კვირის პალიტრა

მზე

N17(150) 24/IV.-30/IV.2003.

ფასი 60 თ.

1168
2003



ინტერნეტ-ჩატი – ახალი საფრთხე ახალგაზრდებისთვის

„ჩემი ძმა ვირტუალურმა სიყვარულმა მოკლა...“

უსინათლო მოძღვრის სასწაულები

გადაღებებს შეწირული ბაადურ წულაძის ზოგიერთი ორგანო

რას შემალავდა ნინო ჩქარეული მამას



თამრიკო ფოცხიშვილი:

„ყველაზე კარგი, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა, არის ის, რომ მამაჩემის გემოვნება ემთხვეოდა ჩვენი თაობის გემოვნებას... ბასა იმ პერიოდში ჩვენთან არ იყო — უმეტესად, ქუჩაში ფეხბურთის თამაშით იყო გართული...“

გვ. 22

№17 (150)
24 - 30 აპრილი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ჰუსეინი სოხუმშია, ბინ ლადენი ცხინვალში ანუ „Прости нас, Леопольдушка!..“ 3
ერთი კითხვა 4,6
ჭრელი მსოფლიო 5
თემა
პოლიტიკოსთა დიაგნოზი: რა სტკივა საქართველოს? 7
კარიერა
ნინო ჩქარეულს ნატოს ან გაეროს დალაშქვრა სურს 9
მოდა
„ჩვენი კოლექცია ყველასგან გამორჩეული იყო“ 10
გამოხმაურება
● „მადლობა ჩემს ფსიქიატრს – მან ხომ ჩემი სული გადაარჩინა!..“ 11
● „არსებობს კი საღმე ასეთი სტატისტიკა?“ 12
კრიმინალი
პატიმრებმა დაღუპულის ხელი ძაღლს აჭამეს... 12
მსახიობი
ბაადურ წულაძე: „თვალი და ყური გადაღებებს შევწირე“ 16
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 18
ტრაგედია
ინტერნეტ-ჩეტი – ახალი საფრთხე ახალგაზრდებისათვის 18
გემოვნება
აფრიკული ბუნების არაბუნებრივი ფერები და ჭადრაკით განმტკიცებული სიყვარული 22
ტესტი
ერთგული მკითხველი 24
ნამდვილი ამბავი
ღვინო, დუდუკი, ქალები... 25
სახე
ინოლა გურგულიამ შვილებს ანდერძად 30 მცნება დაუტოვა... 26
დასტაქარი
რა დაუწუნა ვლადიმირ ხოროშუხინმა სილვესტერ სტალონეს ლოლარებს? 28
ოლვდელმსახური
ბავშვის სასწაულებრივად გადარჩენამ პარტიულ მუშაკს უფლის გზა აპოვნინა 30

ინტერნეტ-ჩეტი – ახალი საფრთხე ახალგაზრდებისათვის



სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, გარკვეული პერიოდის მანძილზე, ინტერნეტ-ჩეტების აქტიური მონაწილე გავხდი და შემთხვევით, ერთი ვირტუალური სიყვარულის შესახებ შევიტყვე, რომელიც რეალური ტრაგედიით დასრულდა.

18

ბაადურ წულაძე: „თვალი და ყური გადაღებებს შევწირე“

ირაკლიმ მითხრა: დროდადრო, წყლიდან ტივზე ამოდიო. მაგრამ წყლიდან თუ ამოვიდოდი, უკან ჩასვლას ვეღარ შევძლებდი... ცხადია, ბათუმში გაზრდილმა კაცმა ცურვა კარგად ვიცოდი. მოიტანეს არაყიც, რომ გავხურებულიყავი...



16

პატიმრებმა დაღუპულის ხელი ძაღლს აჭამეს...

ზუსტად ერთი წლის წინ, თბილისის ავჭალის კოლონიაში ზედიზედ, საშინელი დანაშაულები ხდებოდა. სადისტურ მკვლელობებს პაგიმრები, ურთიერთდაპირისპირების გამო, ერთიმეორის მიყოლებით გეგმავდნენ. ბარაკებში კი, ერთმანეთის მოსაკლავად, აფეთქებებს აწყობდნენ.

12

ბავშვების საშვარელ ნამძვანს თეატრისა და კინოს რეჟისორები არ წყალობენ

ნანა ჯორჯაძემ ფილმში – „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“ გადამიღო. სამი თვე შეუსვენებლად ვმუშაობდი. შემდეგ, ეს ფილმი „ოსკარზე“ წარადგინეს, დავჯექი, ვუყურე და – არა ვარ ფილმში...

50

სასარგებლო აზრები

აფორიზმების ენციკლოპედია 31

რჩევები

- ნათელი და ლაღი ცხოვრება რომ გქონდეთ 32
- თაფლი – თქვენი სილამაზისა და ახალგაზრდობის საიდუმლო 33

დღესასწაული

ადდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 34

საფეხბურთო მინდვრებზე 36

რგოლა

სისწრაფის მსხვერპლნი 37

სპორტული მოზაიკა 39

ვარსკვლავი

სკანდალების მოყვარული „ტატუირებული ვარდი“ კეთილი ნების ელჩი გახდა 40

რომანი

რუსუდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42

სამყარო

სიყვარულისთვის შექმნილი ქალაქი 46

პირადი ცხოვრება 49,60

სალონი

ბავშვების საყვარელ წამყვანს თეატრისა და კინოს რეჟისორები არ წყალობენ 50

ავტო 52

აქეთური-იქითური 53,55

ჯანმრთელობა

- ჰონკონგის ეპიდემია 56
- ართროზი 57
- გედმეტი ქოლესტერინი – გედმეტი კილოგრამები 58

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (28 აპრილი – 4 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

როგორი ადამიანი ხართ სამგარეულოს გადასახედიდან? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ბავშვის სასწაულებრივად გადარჩენამ პარტიულ მუშაკს უფლის გზა აპოვნინა

ქალაქგარეთ ერთ პატარა ეკლესიაში დავდიოდი ხოლმე. ტაძარი დანგრევის პირას იყო მისული. იქაურ მღვდელს ვუთხარი: ცემენტი ჩემზე იყოს-მეთქი. მანქანის მძღოლი, რაიკომში მისულა და პარტკომისთვის ჩაუყაჭავს: ასე და ასე იყოო... დიდი ამბავი ატყდა.

30

რა დაუნუნა ვლადიმირ ხოროშუხინმა სილვესტერ სტალონეს დოლარებს?

ძირითადი მიზეზი უმოძრაობაა: ადამიანი სულ უფრო ნაკლებს მოძრაობს. თანაც, ბევრმა არ იცის, რომ ხერხემლის დაზიანება სხვა დაავადებებსაც იწვევს, მაგალითად – ჩიყვს, მხედველობის დარღვევებს.

28

სკანდალების მოყვარული „ტატუირებული ვარდი“ კეთილი ნების ელჩი გახდა

მის ჩაცმულობაში ყოველთვის შავი ფერი ჭარბობს, უამრავი ტატუ აქვს და „უმუხრუჭო გოგონას“ სახელითაა ცნობილი. მისთვის უცხოა ნებისმიერი შეზღუდვა თუ აკრძალვა, არასოდეს ემორჩილება საზოგადოებაში გაბატონებულ წეს-ჩვეულებებს.

40

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

„მართალი უთქვამთ, „ჩავუშვებ“ და მერე როგორ!.. – კბილებში გამოცრა გაანრისხებულმა დეამ. – თანაც, მართლაც მაგარი „სპრავედლივი“ ვიქნები...

– დეა, გეხვეწები...

– რას მეხვეწები, გოგო, კაცის მკვლელის დანდობას?“

42

ჰუსეინი სიხუმში, ბინ ლადენი ცხინვალში ანუ „Прости нас, Леопольдушка!..“

ვაღიარებ, რომ პროვოკატორი ვარ და ინტრიგების ხლართვა ჩემი უპირველესი მოვალეობაა, მაგრამ სიმართლე მეც წამომცდება ხოლმე ხანდახან. ახლაც გეტყვით ერთ სიმართლეს: სანამ ჩვენი ხელისუფლება პატიოსან ცხოვრებაზე ხელს არ აიღებს და ტყუილების თქმას არ მიეჩვევა, მანამ არ იქნება ჩვენი საშველი...

ამოდენა ჯარია გადმოსული ოკეანის გაღმიდან და ჩვენგან სულ რაღაც 500 კმ-ში იმყოფება, მათი უკან გაშვება იქნება ისე, რომ ცოტა ხნით მაინც არ შემოვიპატიჟოთ?! მერედა, რა ბიჭები, რა მებრძოლები! არმატურას ღეჭავენ უკანა კბილებით!.. არ სჭირდება ჩვენს მიწა-წყალს მაგათი დახმარება, თუ რა?!. მოვაწყოთ ერთი შაბათობა, რომელშიც კოალიციის ჯარებიც მიიღებენ მონაწილეობას და ბარემ მივალაგ-მოვალაგოთ ეს ანგრეული ქვეყანაც. კომუნისტების დროს ხომ სწორედ აღდგომის დღეს ვამთხვევდით შაბათობას? ჰოდა, ახლაა ზედგამოჭრილი დრო, მაგრამ ამისათვის ერთი ტყუილია საჭირო. ჩვენი მთავრობა კი ამას არ კადრულობს. არადა, თურქეთი ხომ არ გააკეთებს ყველაფერს ჩვენ მაგივრად? კიდევ ერთხელ გვცა პატივი და ინფორმაცია გაავრცელა, რომლის თანახმადაც, სადამ ჰუსეინს მართლა დასცემია 900-კილოგრამიანი ბომბი, მაგრამ „ბრონევოი“ ბერეტი ეხურა, გადარჩენილა და ახლა აფხაზეთში იმალება... ადგეს ახლა ბუში და თვითონ არკვიოს, ბიჭვინთაშია წამოწოლილი ძია სადამი თუ რიწის ტბის პირას ატრიალებს შამფურებს...

აი, რატომ ვცდილობ, ტყუილის თქმას მივაჩვიო ჩვენი პრეზიდენტი, სულ რომ სიმართლეს ამბობს, მაგალითად — ოთხ წელიწადში კარგად ვიქნებითო... მეორე ტყუილის მოფიქრებაც შეიძლება და საშვილიშვილო საქმეც გაკეთდება. გვაქვს მეორე კოზირიც — უსამა ბინ ლადენი — კაი ბიჭი, ნახევრად ქართველი, დედით ხარაგაულელი კამიკაძე, კისერზე დასმული წურბელასავით რომ ეჯავრება ამერიკელ ხალხს. კიდევ ერთი განგაში უნდა შემოჰკრას ჩვენმა მთავრობამ და მსოფლიოს ამცნოს: ყური მოვკარი, მგონი, ბინ ლადენი სამაჩაბლოშია, „ოპტავიო“ აქვს გახსნილი ერგნეთის ბაზარზე და ვადაგასულ „პეჩენიებს“ ყიდისო, — ისეთი ამბავი ატყდება, რომ არძინბაც და კოკოითიც მუხლზე ჩოქვით იხოხებენ კანცელარიის წინ, სიტყვებით — „Прости нас, Леопольдушка!..“

ესაა პოლიტიკა! ყველას უნდა ვუთხრათ, რომ მას შემდეგ, რაც ეს ორი მხარე წაგვართვეს, ორივე ტერორიზმის ბუდედ იქცა, რომელშიც ჰუსეინი და ბინ ლადენი ღებენ კვერცხებს. გააჩაღებს ამერიკა და მისი კოალიცია ომს. არადა, ომი ისეთი დალოცვილი რამ არის, რომ ოლიმპიური პრინციპით მიმდინარეობს: წააგებ — წახვალ... ვენაცვალე ბერძნებს!.. ჰოდა, წააგებს ამ ორივე ომს რუსეთი და აფხაზეთიდანაც წავა და სამაჩაბლოდანაც. გავშალოთ მერე ხელები, ვსვათ ოსური ლუდი და ვიკოტრიალოთ გაგრის პლაჟზე ამერიკელ და ინგლისელ ქალებთან ერთად.

აი, ხომ ნახეთ, რა ადვილია ქვეყნის გამთლიანება ორი „უდაჩნი“ ტყუილით. ჩვენი მთავრობა კი ათი წელია, „ამთლიანებს“ და ვერაფერი მოუხერხებია. მგონი, მაგათ „საგარეო“ ტყუილები არ ეხერხებათ, „საშინაო“ ტყუილები უფრო გამოსდით:

— ამან არჩევნები გამიყალბაო...

— იმან ჩემი პლაკატი ჩამოხიაო...

— ამან დედა შემაგინაო...

— იმან ამისრულაო...

— ამან „ტრუსიკში“ რეზინა გამიწყვიტა და „რაგატკას“ ისვრისო... და ა.შ.... არადა, ერთგულების ფიცი აქვთ დადებული!..

ჩვენ კი უნდა ვუსმინოთ და ვუთმინოთ, ტვინები გამოვილაყოთ და თვალები დავივსოთ იმის ყურებით, როგორ ჩამოჰყავთ კომისიები და კომისიის კომისიები თავიანთი ნაჭამის სხვებზე გადასაბრალებლად; როგორ იწვევენ იმიჯმეიკერებს, რომ ეფექტური კოსმეტიკა და „მალიარკა“ ჩაიტარონ და ქვეყნის ახალ აღმაშენებლებად მოგვევლინონ, მაგრამ ხომ გახსოვთ „ლურჯი მელიის“ ზღაპარი? — შეღებილი ყოფილა ეს გაიძვერაო...

მოკლედ, ხომ არ ჯობს, ერთი ისეთი შაბათობა, ზემოთ რომ მოგიყევით, მაგათაც მოვუწყოთ? მივაწვდინოთ ხმა ჩვენს ამერიკელ და ევროპელ „მამობილებს“ — მგონი, ჰუსეინი კანცელარიაში მუშაობს, ბინ ლადენი კი, საპარლამენტო არჩევნებში აპირებს კენჭისყრასო...

ხო, ხო, რა ამბავი ატყდება?!.. რას დაალაგებენ და დააშაბათობებენ ყველაფერს!.. არადა, შაბათობაც ოლიმპიურ სისტემას მიეკუთვნება: „აგალაგებენ — წადი!..“ ვენაცვალე ბერძნებს!..

P.S. პრეზიდენტის ინაუგურაციას ფარული კამერაც იღებდა ზემოდან. პრეზიდენტს ხელი წიგნზე უდევს და ხმამაღლა წარმოთქვამს:

— ვფიცავ, ერთგულად ვემსახურო ჩემს ხალხს, დავიცვა მისი ინტერესები...

იღებს ხელს და კამერა აფიქსირებს წარწერას წიგნის ყდაზე: „ქართული ხალხური ზღაპრები“...

პროვოკატორი

„რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოში ოპერაცია „კმარას“ გეგმავენ...“

— თქვენი ვერსიით, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ საქართველოში ფართომასშტაბიანი ოპერაცია იგეგმება, იმ პოლიტიკურ დაჯგუფებებს კი, რომლებიც ამ ოპერაციაზე დათანხმდებიან, ევალებათ, რომ საჭიროების შემთხვევაში, სერიოზული დესტაბილიზაციის მოწყობაში მიიღონ მონაწილეობა. ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალებაზე მიანიშნებთ. როგორ ფიქრობთ — მაინც ვის გამოიყენებენ რუსული რეაქციული ძალები დესტაბილიზაციისთვის?

***ირინა სარიშვილი-ჭანტურია**, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი:*

— რუსული სპეცსამსახურების მიერ იგეგმება ფართომასშტაბიანი, კარგად აპრობირებული ოპერაცია, სახელწოდებით — „კმარა“. ამის თაობაზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკურ პარტიებთან, რომლებიც შემდეგ, უზრუნველყოფენ დესტაბილიზაციას საქართველოში. დესტაბილიზაციის აზვირთებას ხელს შეუწყობს სატელევიზიო მაუწყებლობა, რომელიც მთლიანად რუსული კაპიტალით ფინანსდება; გარდა ამისა, მას სახელისუფლებო შტოებიც დაემატებიან. დღესდღეობით, არ ვაკონკრეტებ იმ რეაქციულ ძალებს, რომელთაც დესტაბილიზაციის მოწყობა სურთ, მაგრამ ფაქტი ერთია: მოგვწონს თუ არ მოგვწონს ახალი სახელისუფლებო ძალის შემადგენლობა, იგი ითვლება დღევანდელი პოლიტიკური კურსის მხარდამჭერად. ■

ალიძვრება თუ არა საქმე ვახტანგ ქუთათელაძის წინააღმდეგ?

— პარლამენტის დროებითი კომისია აწარმოებდა გამოძიებას ჯუმბერ პატიაშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის გამო, რომელიც უშიშროების სამინისტროს ოპერატიული დანაყოფების ფარულ საქმიანობას ეხებოდა. საინტერესოა, ითვალისწინებს თუ არა კომისიის მიერ ახლახან გამოტანილი დასკვნა რომელიმე კონკრეტული ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას?

***მიხეილ ოსაძე**, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე:*

— კომისია ადასტურებს, რომ 1999-2001 წლებში, უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრი სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიაში, რელიგიურ კონფესიასა და სხვა ორგანიზაციაში აგენტურულ ოპერატიულ მუშაობას ეწეოდა და ახორციელებდა თანამშრომელთა გადმობირებას, ვისგანაც მერე საჭირო ინფორმაციას იღებდა. დადასტურდა, რომ ანტიტერორისტული ცენტრის სამოქმედო გეგმა — გრიფით „საიდუმლოდ“ — მართლაც, უშიშროების სამინისტროში მომზადდა. თუმცა, პატიაშვილის ხელში მოხვედრილი დოკუმენტის ვარიანტი არის ე.წ. შავი პირის ქსეროასლი. დასკვნა უკვე გადავეცით გენერალურ პროკურატურას. საქმე ის გახლავთ, რომ უშიშროებას, ოფიციალურად რეგისტრირებულ ორგანიზაციებში, რაღაც ფარული საქმიანობის განხორციელების უფლება არა აქვს. გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს რაიმე დანაშაულებრივ ქმედებას, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას და ა.შ. ასეთ შემთხვევაშიც კი, საჭიროა გენერალური პროკურორის ხელმოწერილი ნებართვა. უშიშროებას პროკურორისთვის არასოდეს მიუმართავს — ანუ ადგილი ჰქონდა დიდ კანონდარღვევას, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. ალბათ უშიშროების ყოფილი მინისტრის — ქუთათელაძის, ანტიტერორისტული ცენტრის უფროსის — კენჭაძის და მისი მოადგილის — ნოზაძის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება: ყველა საბუთზე ამ სამი პიროვნების ხელმოწერაა. თუმცა, აღიძვრება თუ არა სისხლის სამართლის საქმე მათ წინააღმდეგ, ეს უკვე პროკურატურის პრეროგატივაა და მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, სჯობს, მის გადაწყვეტილებას დაველოდოთ... ■

„მამასახლისების მოღვაწეობის მიზანი მოსახლეობის ზომბირებაა“

— თქვენი აზრით, რამდენად ეფექტური იქნება თბილისში მამასახლისის ინსტიტუტის შემოღება?

***შალვა ნათელაშვილი**, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:*

— ზოდელავასა და სააკაშვილის მოდელის მამასახლისები კიდევ ერთი პარაზიტული სხეულია დედაქალაქის მთლიან ორგანიზმზე. იცით, რატომ ვაძლევთ ასეთ მკაცრ შეფასებას? მამასახლისების მოღვაწეობის მიზანი იქნება არჩევნების გაყალბება, მოსახლეობის ზომბირება კონკრეტული პოლიტიკური ძალების სასარგებლოდ. სააკაშვილსაც და ზოდელავასაც ის უნდა ერჩივნოთ, რომ ფული მოსახლეობასთან მივიდეს ყოველგვარი მამასახლისისა და აფერისტის გარეშე... ■

საუკუნის ტოლი სენატორი

მსოფლიოში უხუცესი სენატორს, ამერიკელ სტრომ ტერმონდს ამ ცოტა ხნის წინ, 100 წელი შეუსრულდა. მას მართლაც უნიკალური ბიოგრაფია აქვს. წლების მანძილზე, ტერმონდი სათავეში ედგა აშშ-ის სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტს და ისეთი თავგამოდებით იბრძოდა საბჭოთა კავშირისა და საერთოდ, კომუნიზმის წინააღმდეგ, რომ მისი ერთ-ერთი თანაგუნდელის მოსწრებული გამონათქვამით, „გაცილებით მეტი დამსახურება აქვს რუსეთში დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში, ვიდრე თვით მიხაილ გორბაჩოვს...“ სხვათა შორის, მისი ეს ღვაწლი სათანადოდ შეაფასა ყირგიზეთის პრეზიდენტმა ასლან აკაევმა, რომელმაც უხუცესი სენატორი მედლით დააჯილდოვა.

მაგრამ ტერმონდი არა მარტო ანტისაბჭოური მოღვაწეობითაა ცნობილი. ჯერ კიდევ 1957 წელს, მან დაამყარა რეკორდი, რომელიც საეჭვოა, ოდესმე ვინმემ გაიმეოროს: სენატის სხდომაზე სამოქალაქო უფლებების კანონის განხილვისა და სეგრეგაციის გაუქმების პროტესტით გამოსვლისას, ის 24 საათისა და 18 წუთის განმავლობაში იდგა ტრიბუნაზე!.. თუმცა, სტრომ ტერმონდის მთავარ ღირსებად მაინც მის დღეგრძელობას მიიჩნევენ. პირველად კონგრესმენის სავარძელში ის 1932 წელს ჩაჯდა, სენატორი კი, 1954 წელს გახდა. 1948 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჰარი ტრუმენს შეებრძოლა. მის მშობლიურ შტატში – სამხრეთ კაროლინაში ჯერ კიდევ 30 წლის წინ გაჩნდა ანდაზა: „ბევრი პოლიტიკოსი, რომელიც კარგა ხანია, სამარეში წევს, მოუთმენლად ელის ტერმონდის სიკვდილს...“ ■

ინტერვიუ ლედი დაიანას სულთან

ამერიკული ტელეარხი – Associated International Television-ი თავის მაყურებელს სენსაციური დოკუმენტური ფილმის ჩვენებას ჰპირდება, სადაც წარმოდგენილი იქნება ექსკლუზიური ინტერვიუ ლედი დაიანას სულთან. მოკლედ რომ ვთქვთ, 9 მარტს, ლედი დი პასუხს გასცემს იმ კითხვებს, რომელიც მისთვის სიცოცხლეში არავის დაუსვამს.

შექმნილ სიტუაციაში კი, ყველაზე უცნაური ის არის, რომ 90-წუთიანი დოკუმენტური ფილმის შემქმნელები პირდაპირ ეთერში ექსტრასენსების მოწვევას აპირებენ, რომლებიც გარდაცვლილის სულთან დაკავშირებას, სტუდიაშივე შეეცდებიან. „სამარის მიღმა“ ინტერვიუს გარდა, ფილმში ნაჩვენები იქნება შეხვედრები იმ ადამიანებთან, რომლებიც კარგად იცნობდნენ პრინცესას და მის შეყვარებულ დოდი ალ-ფაიედსაც.

ფილმის შემქმნელების ვარაუდით, სურათი მაყურებლის დიდ ინტერესს გამოიწვევს; შესაბამისად, მოგებაც დიდი იქნება, რადგან ამ დოკუმენტური ფილმის ნახვის მსურველებმა დაახლოებით 7 დოლარი უნდა გადაიხადონ.

შეგახსენებთ, რომ გამოძიების ოფიციალური ვერსიის თანახმად, ავტოკატასტროფის მიზეზი მძღოლის არაფხიზელი მდგომარეობა გახდა. თუმცა, ალ-ფაიედის მამა დღემდე ირწმუნება, რომ მისი შვილისა და ლედი დაიანას სიკვდილში დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების ხელი ურევია. ■

ინდოელი მეხანძრეების გასაჭირი

ჯავახარის მეხანძრეები, სუსტი სქესის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანი სატელეფონო ზარის გამო, იმდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომ საფრთხე შეექმნა სახანძრო სადგურის მუშაობას. ქალები განუწყვეტლივ რეკავენ სახანძრო სამსახურში და მათ გულებში მოგიზგიზე ცეცხლის ჩაქრობას ითხოვენ.

სადგურში, სადაც 55 მეხანძრე მუშაობს, დღეში 70 მსგავსი ხასიათის ზარი გაისმის. თანამშრომელთა თქმით, ეს გაუგებრობა რამდენიმე თვის წინ დაიწყო, ამჟამად კი, „მოწყენილი დიასახლისების“ ზარების რაოდენობა დღითი დღე იზრდება.

„ქალები საკუთარ მისამართს გვა-

ძლევენ და მათთან მისვლას გვთხოვენ. ჩვენი ზრდილობიანი უარის მოსმენის შემდეგ კი, ბრაზობენ და გვირჩევენ, რომ სულელებივით არ მოვიქცეთ“, – ამბობს ერთ-ერთი მეხანძრე. მეხანძრეებმა დასახმარებლად ადგილობრივ სატელეფონო კომპანიას მიმართეს, მაგრამ იქაც ვერაფერს გახდნენ, რადგან კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სახანძრო დახმარების ტელეფონები უფასოა და ამიტომ მათ არაფრის გაკეთება არ ძალუძთ.

პოლიციაც ვერაფრით დაეხმარა გაჭირვებაში ჩავარდნილ მეხანძრეებს; აღმოჩნდა, რომ პოლიციელები უარეს დღეში არიან, რადგან მათთან არა მარტო „დიასახლისი ქალები“, არამედ მოსახლეობის სხვა, უქმად მყოფი წარმომადგენლებიც თავშესაქცევად ხშირად რეკავენ. ■

„კონკრეტული პიროვნებების დასახელება საგამოძიებო ორგანოების საქმეა...“

— ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია მოითხოვს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემების გაკონტროლებას, რათა მათი მიზეზით გამოწვეული დანაკარგები შემცირდეს. დანაკარგები თურმე უკვე სოლიდურ თანხებს აღწევს. თქვენ მოითხოვთ დამნაშავეთა დასჯას და აცხადებთ, რომ ამის შესახებ მასალებს გენერალურ პროკურატურას მიაწვდით. მაშ, ვინ არიან დამნაშავენი?

ელიზბარ ერისთავი, *ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე:*

— მას შემდეგ, რაც ენერგოზედამხედველობას და საბითუმო ბაზარს დავავალეთ, რომ ხელახლა შეემოწმებინათ მაღალი ძაბვის გადამცემები, აღმოჩნდა, რომ გასულ წელს, 420 მლნ კილოვატსაათი იყო ზეგეგმური დანაკარგი — ე.ი. ნორმატიულზე მეტი. ჩვენი ქსელი მოწესრიგებული რომ იყოს, მაშინ ნორმატიული დანაკარგიც გაცილებით ნაკლები იქნებოდა. დანაკარგების ერთი ნაწილი, მრიცხველების გაყალბების საშუალებით ელექტროენერგიის დატაცებითაა გამოწვეული. დაპირისპირებით არავის ვუპირისპირდებით — უბრალოდ, გადავწყვიტეთ, რომ ყველა მასალა უახლოესი ერთი კვირის მანძილზე, საგამოძიებო ორგანოებს გადავცეთ. დამნაშავენი არიან ისინი, ვინც ქვესადგურებში მუშაობენ. ასეთი ქვესადგური 200-ზე მეტია. კონკრეტული პიროვნებების დასახელება კი, საგამოძიებო ორგანოების საქმეა. ვერც კომპანიის ძველი ან ახალი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაზე მივანიშნებთ. გამოძიების დასრულებამდე, უფლება არა გვაქვს, ხელმძღვანელობას დავდოთ ბრალი. ■

„რჩეულიშვილის ქმედებები უკვე საშიშ ხასიათს იღებს...“

— თქვენი განცხადების საფუძველზე, პარლამენტში ახალი სკანდალი აგორდა. ვახტანგ რჩეულიშვილი იარაღის უკანონო შეძენაში დაადანაშაულეთ. თუ გაქვთ ამის დამამტკიცებელი რაიმე საბუთი?

გიორგი ბარამიძე, *„ევროპიანებული დემოკრატების“ ლიდერი:*

— მაქვს უფლება, არ დავასახელო წყარო, მაგრამ რაც მთავარია, მოვიპოვე ინფორმაცია და თანაც, ამ ინფორმაციის დამადასტურებელი საბუთი პარლამენტის თავმჯდომარეს აქვს ხელთ. ნინო ბურჯანაძეს წარვუდგინე პარლამენტის ბლანკი, რომელშიც ერთ-ერთი რუსული ფირმისგან 200 იარაღის შეძენის მცდელობაა დაფიქსირებული. ამ ბლანკზე, სხვათა შორის, დაფიქსირებულია იარაღის შეძენის მსურველ სხვა დეპუტატთა სახელები და გვარებიც. რჩეულიშვილის ასეთი ქმედებები უკვე საშიშ ხასიათს იღებს... ვერ გეტყვით, რისთვის სჭირდებოდა ეს იარაღი, ამბობენ, რომ გარკვეული ჯგუფის შესაიარაღებლად. გამორიცხული არაფერია. ხელისუფლებამ რომ შექმნა საკუთარი შეიარაღებული ბანდფორმირებები, ეს ხომ ფაქტია! ხელისუფლება არჩევნებში ძალადობას მიმართავს... ფაქტია ისიც, რომ რჩეულიშვილს უკანონოდ უნდოდა დიდი ოდენობით იარაღის შეძენა, რაც მისივე ხელმოწერითაც არის დადასტურებული! ამ ყველაფერზე განსჯა თქვენთვის მომინდვია... ვშიშობ, რომ „სოციალისტების“ ლიდერის ამგვარი საქციელი ხუმრობას ნამდვილად აღარ ჰგავს... ■

„ბოტულიზმით დაავადებული სამივე პაციენტი მკურნალობის კურსს გადის...“

— გავრცელებული ინფორმაციით, გასულ კვირას, ბოტულიზმით დაავადების სამი შემთხვევა დაფიქსირდა. რა იყო ამის მიზეზი?

რამაზ ურუშაძე, *შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსი:*

— ორი დაავადებული, თბილისში მცხოვრები ერთი ოჯახიდან გახლავთ. მათ, შებოლილი თევზი უჭამიათ. მესამე კი, რუსთავში ცხოვრობს და მისი დაავადების მიზეზი გახდა კუსტარულად დამზადებული კონსერვი. სამივე დაავადებული, მოწამვლის საშუალო ხარისხით მკურნალობის კურსს გადის ინფექციური პათოლოგიის საქალაქო ცენტრებში. ■

უცხოელი იმიჯმეიკერები „აღორძინებისთვის“ უფასოდ იმუშავებენ?..

— გავრცელებული ინფორმაციით, საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, „აღორძინების“ წინასაარჩევნო კამპანიას, 61 იმიჯმეიკერი უხელმძღვანელებს. საინტერესოა, რამდენი დაუჯდება ასლან აბაშიძეს ეს „სიამოვნება“?

ცოტნე ბაკურია, *„აღორძინების“ თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი:*

— იმიჯმეიკერები მოვიწვიეთ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან, იტალიიდან და გერმანიიდან. ამერიკელ იმიჯმეიკერებს შორის არიან ისინიც, ვინც ჯორჯ ბუშ-უმცროსის და ალ გორის წინასაარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდნენ. ფრანგები, მაშინ როდესაც ჟაკ შირაკი პარიზის მერი იყო, მის წინასაარჩევნო კამპანიას უძღვებოდნენ, შვეიცარიელები — ლიხტენშტეინის ხელისუფლებას, გერმანელები კი — 70-იან წლებში, დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის, ვილი ბრანდტის წინასაარჩევნო კამპანიას ხელმძღვანელობდნენ. მათი რჩევა არის: პატიოსნება, აკადემიურობის შენარჩუნება და ოპონენტებზე ყურადღების ნაკლებად გამახვილება. ისინი იმუშავებენ ანაზღაურების გარეშე. მხოლოდ ბინის საფასურს ავუნაზღაურებთ და ზაფხულში, ბათუმში დასვენების ხარჯებს — სულ ეს არის. ■

ავთო მარგველაშვილი

ნებისმიერი ქვეყანა მასში მცხოვრები ადამიანების ერთობლიობას წარმოადგენს და ისეთივე ცოცხალ ორგანიზმად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, ჯანმრთელი თუ ავადმყოფი ორგანოებით. ავადმყოფობა კი, თავის მხრივ, მრავალნაირი არსებობს — როგორც ძნელად, ისე იოლად განკურნებადი.

დღევანდელი საქართველო რომ მთლად კერკეტი კაკალივით საღი და ჯანმრთელი ვერ არის, ეს სადავო საკითხს არავისთვის წარმოადგენს, მაგრამ ალბათ საინტერესოა, კონკრეტულად რომელ ორგანოს რა სნეულება შეჰყრია.



პოლიკოსთან დიაგნოზი: რა ს

— რაც შეეხება საქართველოს საშინაო პოლიტიკას, ამ მხრივ არც ჩემში შეცვლილა რაიმე მისდამი დამოკიდებულებაში და არც თვით, შიდაპოლიტიკაში. ვერავინ იტყვის, რომ ამ მხრივ საქართველო კარგადაა და სწორედ ამის გამო, ხელისუფლების კრიტიკაში ვერავინ შემეჯიბრება; რაც შეეხება საგარეო კურსს — მე მისი მომხრე ვარ... ამ ბლოკში ჩემი შესვლა თვითონ ჩემში გამოიწვევს იმ ცვლილებებს, რომ გავხდები უფრო ობიექტური. ოპოზიცია კი, მაინც ვერ არის ობიექტური მთავრობის მიმართ და მხოლოდ ბრალდებებზეა გადასული. იმედი მაქვს, ჩემი შესვლა ჩემთვისაც და ამ ძალისთვისაც სასიკეთო შედეგების მომტანი იქნება...

რამაზ საყვარელიძე:

— ბევრი რომ არ ვილაპარაკო, დღევანდელი საქართველოს ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, მომაკვდავის დონეზეა, თანაც — ხელოვნურადაა მიყვანილი ამ დონემდე...

— რამ გამოიწვია მისი ამ მდგომარეობაში ჩავარდნა?

— ყველაფერმა: ცუდმა მოვლამ, ცუდმა კვებამ, მოწამვლამ, მოუცლელობამ და ა.შ...

— ტვინში თუ ჩაგიხედავთ — იქ როგორაა საქმე?

— ტვინის ნაწილებს პრობლემა არა აქვთ — გადასარევად გრძნობენ თავს, არაფერი აწუხებთ. ცდილობენ, ტელევიზორსაც აღარ უყურონ, რომ მოსახლეობის ჩივილმა არ შეაწუხოთ...

— სქესობრივ მდგომარეობაზე რას იტყვით?

— რომელი სქესია, არ ვიცი. მგონი, რაღაც ჰიბრიდია და საშინლად პასიური...

— არც მთლად საგანგაშოდ უნდა იყოს საქმე. ხომ დაიწყო წინასაარჩევნო მკურნალობა?

— ასეთი „მკურნალობით" კიდევ უფრო მოუსწრაფავენ სიცოცხლეს...

— მაშინ იქნებ, გვიკარნახოთ მკურნალობის უკეთესი მეთოდი!..

— ტვინის გადანერგვის სასწრაფო ოპერაციაა საჭირო, ახალი ტვინი უნდა ჩავუდგათ — ჯანმრთელი და საღად მოაზროვნე. არც დონორების პოვნაა პრობლემა. ის ტვინი კი დაბერებულია, ზის თავის ქალაში კომფორტულად და აღარაფერი ადარდებს.

— რამდენად იმედიანად უყურებთ მოახლოებულ არჩევნებს? ელით ახალი ძალების მოსვლას ხელისუფლებაში — ეი. უმტკივნეულო „გადანერგვას"?

— ვინ მიუშვებს ახალ ძალებს? მაგათ ხომ არ იციან არჩევნების სხვანაირად გაუყალბებლად ჩატარება! უბრალოდ, არ იციან და დემოკრატიულ არჩევნებს როგორ ჩაატარებენ?!

— მაშინ როგორ გაივლის საქართველო იმ გვირაბს, რომლის ბოლოსაც შუქია?

— სწრაფი უკუსვლით და იმ გადანერგვით, რომელზეც უკვე გესაუბრეთ.

— ანუ „წინ წარსულისაკენ"?

— კი. ნულიდანაა დასაწყები ყველაფერი, თანაც — სასწრაფოდ, სანამ გვიანი არ არის...

ვახტანგ ხმალაძე:

— მძიმედ კრიზისულია საქართველოს ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამის მიზეზი ბევრია, სუბიექტურიც და ობიექტურიც. ობიექტური მიზეზები ის არის, რომ ჩვენი სახელმწიფო ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკშია. ლამის ორი საუკუნის განმავლობაში, მას არ უცხოვრია დამოუკიდებლობის პირობებში და დავკარგეთ ის ცოდნა, გამოცდილება, რომელიც აუცილებელია დამოუკიდებელი ქვეყნის მართვისათვის. გვჭირს თეორიული ცოდნის დეფიციტიც — რა არის სახელმწიფო და როგორ უნდა განვითარდეს იგი. ხალხშიც არ იყო მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და გამოვაცხადეთ თუ არა დამოუკიდებლობა, ამ ყველაფერმა ერთად იჩინა თავი. მოწინააღმდეგეც ბევრი გამოგვიჩნდა — როგორც შინ, ისე გარეთ. გართულდა თვითშეგნების ჩამოყალიბება და ადამიანებმა დაიწყეს ფიქრი იმაზე, რაც უფრო იოლი იყო — პირად და არა სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე. აქსიომაა: შეუძლებელია პირადი უსაფრთხოება, თუ უსაფრთხო პირობებში არაა სახელმწიფო. შეიქმნა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, რადგან ინტეგრირებულნი ვიყავით საბჭოთა ეკონომიკაში: „თელავი-კამჩატკის" პრინციპით. გადაიკეტა ეს არხები — ანუ გულს გადავუკეტეთ მკვებავი სისხლძარღვები. ამ დროს, გული ჩერდება. ადამიანებმა დაიწყეს საკუთარ გადარჩენაზე ფიქრი, მიმართავდნენ კანონიერ თუ უკანონო ხერხებს: კანონიერი — ვაჭრობა; უკანონო — ქურდობა და ა.შ... რა თქმა უნდა, უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება მმართველობას და იმ საზოგადოებასაც, რომელმაც ასეთი მმართველობა აირჩია და ქვეყნის სადავეები მას მიანდო.

— კიდევ რომელი დაავადების სიმპტომებს გამოარჩევთ?

— საქმე რა არის, იცით? ჩვენს მოსახლეობას აღმოაჩნდა მოკლე მახსოვრობის უნარი. ავიწყდება, რომ მავანმა გუშინ თუ გუშინწინ, უკვე მოატყუა და მაინც იჯერებს მის ლამაზ დაპირებებს ოქროს კოშკის აგების თაობაზე...

— ეი. სკლეროზიც აღენიშნება პაციენტს...

— *(იცინის)* ასე გამოდის. და კიდევ — უიმედობა. არ ვიცი, ამას რა ჰქვია... შეიძლება თქვან: ჩვენ, მაინც არავინ გვეკითხება, მაინც გააყალბებენ არჩევნებსო, — მაგრამ ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ გასდით. აბა, ერთს მაინც ჩაავლონ ხელი, იყვირონ? — მეორე აღარ გააკეთებს, ვეღარ გაბედავს იმავეს.

— როგორ უნდა ჩატარდეს ინტენსიური თერაპია?

— თუ იგივე ძალები დარჩნენ სცენაზე, არავითარ გადანაწილებას აზრი არ ექნება. ყველაფერი ხელოვნურად ხდება — ერთიანდებიან ისინი, ვინც ხვალ, ისევ დაიშლებიან. ამის პრაქტიკაც გვქონია. დაიშლებიან, რადგან საკმაოდ ანტაგონისტური ძალები იყრიან ერთად თავს. ეი. შეგვრჩება ისეთივე დანაწევრებული პარლამენტი, როგორიც დღესაა. ასეთი პარლამენტი ვერ მიიღებს საჭირო გადაწყვეტილებებს. ეს ხელოვნური „ერთსულოვნებაა". მოსახლეობა იხიბლება ზოგადი, ლამაზი ფრაზებით, რომელშიც არ არის გახსნილი, თუ რამდენად ასრულებადია ეს ყოველივე. რეალობა კი სულ სხვაგვარია: ხვალ ცხრა პირი ოფლი უნდა შეიშრო, ზეგ კი ცხრა პირი ტყავი უნდა გაიძრო, რომ მაზეგ ცოტათი უკეთესად იყო, ვიდრე გუშინ იყავი. შეიძლება ცოტა მწარედ ჟღერს, მაგრამ რას ვიზამთ?! გაიხსენეთ ილიას სიტყვები! რაც მას მწარე ფრაზები აქვს ნათქვამი, იმდენი ვის უთქვამს?!. გამოდის, რომ ილია ჭავჭავაძეზე მეტად ამათ უყვართ საქართველო, ვინც დღეს ლამაზ დაპირებებს იძლევა *(იცინის)*.

სიმართლე გითხრათ, პოლიტ-საორდინატოროში მოსმენილმა შეფასებებმა დიდად ვერ მანუგეშა. მართლა ასე თუ გაგრძელდა, ეს საცოდავი საქართველო შეიძლება, ერთ „მშვენიერ" დღეს მარილწყლით გაბერილი ფაქიზოსავით წაგვექცეს და მერე ვიმართლოთ თავი — წუხანდელი ღამენათევია და ჩაეძინაო...

მოკლედ, ნამდვილი ექიმებისკენ ავიღეთ გეზი და კონკრეტული პასუხები მოვითხოვეთ.

მირზა (სტომატოლოგი):

— საშინელი კარიესი აქვს მოდებული და საუკეთესო პასტებით კბილები კი არა, კვერცხებიც რომ ვუხეხოთ, არაფერი ეშველება, სანამ სიბრძნის(!) კბილები არ ამოუვა...

მერაბი (უროლოგი):

— პოლიტიკური აქტივობა აქვს იმდენად დაქვეითებული, რომ მის ამაღლებას „ვიაგრაც" ვერ უშველის...

გოჩა (პროქტოლოგი):

— გაუტანლობა, რომელიც საშინელ გაუვალობაში გადაიზარდა.

მარინა (ოფთალმოლოგი):

— საშინელი ახლომხედველობა სჭირს, შორსმჭვრეტელობა აკლია...

თამაზი (ნეიროქირურგი):

— ამდენჯერ თავის ახდა არ შეიძლება, მაგრამ საჭიროა. მოკლედ, თავია თუ კაბრიოლეტი, ვერ გაიგებ...

ასეთმა პასუხებმა სასოწარკვეთაში ჩაგვაგდო, მაგრამ ქაშვეთის ზარებმა ყველაზე დიდი იმედი გაგვიღვიძა და გაგვახსენა, რომ აღდგომის დღესასწაული ახლოვდება და ალბათ საქართველოც აღსდგება. გილოცავთ!.. ■

სამოდელო სააგენტო „ნატალის“ ცნობილი მოდელი ნინო ჩქარეული სულ ცოტა ხნის წინ, „აჭარა მიუზიკ-ჰოლის“ ოფის-მენეჯერად დანიშნეს, ასევე ანსამბლ „სუხიშვილების“ პრესმდივნის მოვალეობასაც ითავსებს. ნინოს სამსახურში ვესტუმრე, ცოტა ხნით საქმეებს მოვწყვიტე და მის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ დავუსვი რამდენიმე შეკითხვა.

ნინო ჩქარეულს ნატოს ან გაეხოს დარეშქერა სურს

ნათია ქივიძე

— თავდაპირველად, შენი სამოდელო კარიერის სიახლეების თაობაზე გვითხარი.

— ახალი ის არის, რომ „მაკა ასათიანის“ ჩვენებაზე ვიყავი მოსკოვში, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა წილად. რაც შეეხება სხვა ჩვენებებს — სერიოზული არაფერი ჩატარებულა. ოლიკო ბერაძის ჩვენება კი იყო, მაგრამ ჩემს მოსკოვში ყოფნას დაემთხვა, ამიტომ მონაწილეობა ვერ მივიღე. ამ ბოლო დროს, არც ისე აქტიურად ვმონაწილეობ სამოდელო ცხოვრებაში. რამდენიმე პრეზენტაციაც გავაცდინე.

— როდის, როგორ და რატომ დაიწყო შენი სამოდელო კარიერა?

— 15 წლის ვიყავი, როცა ლიკა ყაზბეგმა ქუჩაში მნახა და თავის სტუდიაში მიმიწვია. ერთ წელიწადში, „ნატალიში“ გადავედი. ამას ის ფაქტიც დაემთხვა, რომ „მის თბილისი“ გავხდი, მოგვიანებით, მაკა ასათიანის ჩვენებაშიც მივიღე მონაწილეობა. მაშინ პარიზის სააგენტო „ფორდის“ წარმომადგენლებმა მნახეს. ისე დაემთხვა, რომ რამდენიმე დღეში, მეც პარიზში მივდიოდი. მათ თავიანთი კოორდინატები მომცეს. ჩასვლის შემდეგ დავუკავშირდი და შემომთავაზეს ორწლიანი კონტრაქტი, რომელიც საკმაოდ მომგებიანი იყო. ჩამოვედი თბილისში, რომ ორწლიანი სამუშაო ვიზა გამეფორმებინა, მაგრამ მამაჩემმა აღარ გამიშვა.

— ოჯახი როგორ ეგუება შენს მოდელობას?

— საკმაოდ ნორმალურად. თუმცა, ჩემი მოდელობის ამბავი მამაჩემმა ორი წლით გვიან შეიტყო, რადგან ეს პროფესია არ მოსწონდა და ვუმალავდი. „მის თბილისი“ რომ გავხდი, მაშინ ვუთხარი.

— როგორც მოდელს, შრომის ანაზღაურება თუ გაქვს?

— ძალიან ნორმალური ანაზღაურება მაქვს, მით უმეტეს — საქართველოს პირობაზე... ახლა, მოსკოვში რომ ვიყავით, იქაურ მოდელებს ვესაუბრეთ და აღმოჩნდა, რომ მათ ჩვენზე ნაკლები ანაზღაურება აქვთ.

— ჩამოგვითვალე შენი ტიტულები...

— ვარ „მის თბილისი 1999“, „ვიცე-მის მოდელი 1999“; „მის მილენიუმის“ კონკურსზე მეორე ადგილი ავიღე.

— თუ გიფიქრია, რომ ოდესმე მოდელი აღარ იქნები?

— რა თქმა უნდა, მიფიქრია. ასაკის გამო, სამოდელო კარიერა შეზღუდულია. დროთა განმავლობაში, თავისთავად დავანებებ თავს. მოდელობა ჩემთვის პირველხარისხოვანი არ არის — უპირატესობას განათლების საკითხს ვანიჭებ. მაგრამ ძალიან მიყვარს პოდიუმი, რაც არ უნდა იყოს — 6 წელია, სცენაზე გამოვდივარ და მივეჩვიე, ჩემი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. თუმცა, ამ დროის განმავლობაში მოდელობას ჩემში სიახლის გრძნობა დაეკარგა და ჩვეულებრივად აღვიქვამ.

— სულ ახლახან „აჭარა მიუზიკ-ჰოლის“ ოფის-მენეჯერობა ჩაგაბარეს. ვინ მიგიწვია ამ თანამდებობაზე და რატომ?

— ეს თანამდებობა კლუბის ხელმძღვანელობამ შემომთავაზა.

— როგორც ოფის-მენეჯერს, რა ფუნქცია-მოვალეობები გაკისრია?

— მევალება მომუშავე პერსონალზე კონტროლი, გასაყიდი თუ გაყიდული ბილეთების რაოდენობის აღრიცხვა, ასევე უნდა ვიზრუნო პერსონალის ვიზუალურ მხარეზე. ამ ყველაფერს კი, პრესმდივნის ფუნქციასაც ვუთავსებ. ამ თანამდებობაზე სერგი გვარჯალაძეა, რომელიც სტრატეგიას სახავს, ხოლო მე ამ სტრატეგიის განხორციელება მევალება.

— სხვადასხვა ტიპისა თუ ეროვნების ადამიანებთან გიხდება ურთიერთობა. არ გქონია რაიმე ბარიერი — თუნდაც ენობრივი?

— ძალიან მსიამოვნებს ხალხთან ურთიერთობა, მათ შორის — ჟურნალისტებთანაც. არავითარი ბარიერი არა მაქვს, მით უმეტეს, ენობრივი, რადგან თავისუფლად ვფლობ ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებს. ისე, ხანდახან ხალხთან ურთიერთობით ვიღლები კიდეც.

— ამ ბოლო დროს, საქმიანი ქალის იმიჯი მოირგე. რამ გამოიწვია ეს და რას ნიშნავს ქალისთვის თვითდაფინანსება?

— ადრე უფრო ხშირად დავდიოდი სილამაზის სალონში, მაგრამ ახლა დრო აღარ მაქვს. სამსახურის გამო უფრო საქმიანი იმიჯი მჭირდებოდა და მგონი ვახერხებ კიდეც. თმა შევიჭერი და სტილი შევიცვალე. რაც შეეხება თვითდაფინანსებას — ეს ნებისმიერი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია, რადგან დამოუკიდებლობის შეგრძნებას გაძლევს. კარგი ანაზღაურება მაქვს.

— ვისი იდეა იყო, რომ „სუხიშვილების“ პრესმდივანი ყოფილიყავი?

— ეს იყო ნიანუს *(ნინო სუხიშვილი.*

— *ავტ.)* წინადადება, რომელიც „ასა ფართიზე“ შემომთავაზა. მეც სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან მიმაჩნია, რომ „სუხიშვილები“, თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი ფენომენი მაინც არის, რომელიც საამაყოდ შემოგვრჩა ქართველებს... ჩემთვის ძალიან საპატიოა მათთან მუშაობა. ვგრძნობ, რამდენად დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია, რადგან პრესა ძალიან ბევრს ნიშნავს.

— მათთან კონტრაქტი უკვე გააფორმე?

— არა, ჩვენ სიტყვიერად შევთანხმდით. როდესაც მათ პრესასთან ურთიერთობა დასჭირდებათ, მაშინ დავეხმარები. მოგეხსენებათ, ხშირად, გასტროლებზე არიან და მუდმივი დახმარება არ სჭირდებათ. ანაზღაურებაც, რა თქმა უნდა, მექნება.

— თავად თუ ცეკვავ?

— ერთი წლის წინ დავდიოდი ცეკვაზე, მაგრამ ახლა დრო აღარ მრჩება. ქორწილში ან დაბადების დღეზე ხელის ლამაზად გაშლა აუცილებელია და მეც ცოტა ვისწავლე. თუმცა, გათხოვებას ჯერ არ ვაპირებ...

— გავიგე, ამერიკაში სასწავლებლად წასვლა გადაგიწყვეტია. წელს ამთავრებ სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტს. ეს დიპლომი შენთვის საკმარისი არ იქნება?

— სექტემბერში გავემგზავრები. ქალაქ ბოსტონის მახლობლად მდებარე ერთ-ერთი პრესტიჟული კოლეჯიდან მაქვს მიწვევა. წასვლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ „სერიოზული“ დიპლომი მჭირდება. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტმა ნატოში ან გაეროში უნდა იმუშაოს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი კი, იქ ნაკლებად ჭრის.

— იქ ანალოგიურ ფაკულტეტზე ისწავლი?

— დიახ, ოღონდ ალბათ უფრო ეკონომიკური განხრით.

— სად იცხოვრებ იქ და რა საშუალებებით?

— ვიცხოვრებ კოლეჯის საცხოვრებელში. რაც შეეხება თანხებს — ალბათ მშობლები დამეხმარებიან, კიდევ, მაქვს დიდი შანსი იმისა, რომ რომელიმე ამერიკულ სამოდელო სააგენტოშიც მივიდე და მოდელობა განვაგრძო.

— ამდენ თანამდებობას ვის უტოვებ?

— ჯერ არ ვიცი. საერთოდ კი, შეუცვლელი ადამიანი არ არსებობს. ■

„ჩვენი კოლექცია ყველაზე გამორჩეული იყო“

ახლახან კიევიდან დაბრუნდა კომპანია „მაკა ასათიანის“ ჯგუფი, რომელიც პირველად გამართულ ფესტივალში — „კიევის პოდიუმი“ მონაწილეობდა. ქართველი დიზაინერები კიევში მოსკოვიდან ჩავიდნენ, სადაც „მოდის კვირეულზე“ ჩვენი გოგონებიც წარდგნენ მაყურებელთა წინაშე. მკითხველისთვის შთაბეჭდილებების გაზიარება ამ ორი აქციის მონაწილეს, დიზაინერ თეონა თავართქილაძეს ვთხოვეთ.

— ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა. მოსკოვში შარშანაც ხომ ვიყავით და წელს უკვე მოუთმენლად გველოდნენ. ანშლაგით ჩაიარა ჩვენებამ. დიზაინერებმა თბილი სიტყვები არ დაიშურეს ჩვენთვის. არ მინდა, საკუთარი თავის ქებად ჩამეთვალოს, მაგრამ ჩვენი კოლექციაც და გოგონებიც, მართლაც ყველასგან გამორჩეულები იყვნენ. 9 „მანეკენშიცა“ გვყავდა წაყვანილი. კონკრეტულად, ვინ რა მიწვევა მიიღო, ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ვიცი, რომ ბევრი დიზაინერი დაინტერესდა ჩვენი გოგონებით. ძალიან მწყდება გული, რომ მათ კიევში წამოსვლა ვერ შეძლეს. სწორედ იმ დროს, მათ სანახავად ჩამოსული იყო Fashion TV-ის მფლობელი — მიშელ ადამსი. დაფინანსება მხოლოდ 5 კაცისთვის იყო გათვალისწინებული. მე, მაკა ასათიანი, ვანიკო თარხნიშვილი, სამოდელო სახლის დირექტორი და ვიზაჟისტი წავედით. ასე რომ, ჩვენი მოდელები ამჯერად, უკრაინელებს ეცვათ. უკრაინელი ქალებიც კარგები არიან, მაგრამ ჩვენები რომ წამოსულიყვნენ, ალბათ კიევშიც ყველაზე გამორჩეულები იქნებოდნენ...

ეს ფესტივალი პირველად მოეწყო უკრაინაში, ტექსტილის ფაბრიკის მიერ. ვფიქრობდი: ფესტივალი პირველად ტარდება და ალბათ ბევრი რამ იქნება დაუხვეწავი-მეთქი, — მაგრამ ყველაფერი მაღალ დონეზე იყო გაკეთებული. ორი დღე დაეთმო ჩვენებას. მივიღეთ რაღაც დიდი ჯილდო და ფესტივალის დიპლომი. ფესტივალში მონაწილეობდნენ უკრაინელი ახალგაზრდა დიზაინერები, უკვე ცნობილი უკრაინელი დიზაინერები და სტუმრები: ლიტველი სანდრა სტრაუკაიტი, ალიონა ახმადულინა და კიდევ რამდენიმე დიზაინერი. რაც შეეხება კოლექციას — მოსკოვშიც და კიევშიც ერთი და იგივე ჩვენება გვქონდა წაღებული. მოსკოვში კონტრაქტი გვაქვს მაღაზია „მარკისთან“ და მთელი კოლექცია იქ რჩება ხოლმე. ეს კოლექციაც, სხვების მსგავსად, სეზონს უსწრებს — ე.ი. წავიღეთ შემოდგომა-ზამთრის კოლექცია, რომელსაც მაღაზიაში გასაყიდად აგვისტოში გამოიტანენ. რადგან მოსკოვის ჩვენებიდან ზუსტად ერთ კვირაში უნდა წავსულიყავით კიევში და გამორიცხული იყო

ახალი კოლექციის შექმნა, ვანიკო მოელაპარაკა „მარკის“ მფლობელს, რომ კოლექციას კიევში წავიღებდით და მერე უკან დავაბრუნებდით. ისინი ამაზე დაგვთანხმდნენ და გვითხრეს, რომ კიევში ჩამოვიდოდნენ და თვითონ წაიღებდნენ კოლექციას. ასეც მოხდა, თუმცა, ზოგიერთი მოდელი ვერ გავატანეთ: სამი ჩვენების შემდეგ, ზოგი ცოტა დასვრილი იყო, ზოგს ბრეტელი მოსძვრა, ზოგს — ღილი... ვთხოვეთ: ყველაფერს პირვანდელ სახეს დავუბრუნებთ და მერე გამოგიგზავნით-თქო. მაკა ძალიან ნერვიულობდა: ის მოსკოვში არ იყო ჩვენთან ერთად წამოსული და ყოველ წუთს მირეკავდა ხოლმე: რა ხდებაო? თბილისში რომ ჩამოვედით და ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი, მერე დაშშვიდდა... ■

„მადლობა ჩემს ფსიქიატრს –
man xom Cemi suli gadaarCina!..~

„გზის“ №10-ში, რუბრიკით „თემა“ გამოქვეყნებულმა წერილმა — „აგრესია, აღგზნებადობა და გარდატეხის ასაკის სხვა სირთულეები“ დიდი გამოხმაურება გამოიწვია. როგორც ახალგაზრდა მკითხველები, ასევე მოზარდების მშობლები, თავიანთ პრობლემებს გვიზიარებენ — ზოგი ტელეფონით, ზოგი — წერილით. ზოგი მათგანის სატკივარს მომდევნო ნომრებში გაგიზიარებთ, ამჯერად კი, ერთ-ერთი თბილისელი გოგონას ამბავს გადმოგცემთ, რომელმაც გარდატეხის ასაკის ყველა სიმძიმე საკუთარ თავზე გამოსცადა და გვთხოვა, საშუალება მიგვეცა, თავისი ტკივილის შესახებ დაუფარავად ესაუბრა. თუმცა გვარსახელი ჩვენთვის არ დაუმალავს, ჩვენ მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ, ინკოგნიტოდ დაგვეტოვებინა იგი და პირობითად მადონას დავარქმევთ.

ლელა ჭანკოტაძე

— რატომ გადაწყვიტე ჩვენთან დაკავშირება?

— მე სახლში „გზის“ ყველა ნომერი მაქვს. მხოლოდ იმ წერილებს ვკითხულობ, რომელიც ადამიანის განცდებსა და გრძნობებს ეხება. მათში საკუთარ თავს ვეძებ, თითქოს ნუგეშსაც ვპოულობ. გადავწყვიტე, ჩემი ამბავი სააშკარაოზე გამომეტანა, ჩემი განცდები, სევდა და ტკივილი სხვებისთვისაც გამეზიარებინა.

მე უბედური ვარ... ჩემმა მშობლებმა ისე გამზარდეს, ჩიტის რძესაც არ მაკლებდნენ. ადრე, ყველა შემომნატროდა, ახლა კი ყველას ვეცოდები... მას შემდეგ, რაც თავი მახსოვს, სულ, ერთი თანაკლასელი ბიჭი მიყვარდა. მას თემური ჰქვია. თავიდან, გრძნობებს ვმალავდი, მერე, დაქალს გამოვუტყდი. მან კი ეს ამბავი მთელ კლასს გააგებინა. ცხადია, თემურსაც. მეგონა თანამიგრძნობდა, მან კი აგდებულად დამიწყო ყურება. სულ დამცინოდა, ცდილობდა, შეურაცხყოფა მოეყენებინა ჩემთვის. ვცადე, თავი დამეცვა. რას მერჩი-მეთქი? — ვკითხე. — შენი შესაფერისი ნახე; გგონია, მამაშენის ფულით მიყიდიო?!. საშინლად გავბრაზდი. მისმა სიტყვებმა თავმოყვარეობა შემილახა. მართალია, მამაჩემი ძალიან მდიდარი კაცია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ფულის გარეშე ცხოვრებას ვერ შევძლებ. ვცადე, თემურისთვის ეს ამეხსნა. ერთმანეთს სკოლაში, ფიზკულტურის დარბაზში შევხვდით მაშინ, როცა იქ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მოულოდნელად, თემური დამეტაკა და გაუპატიურება დამიპირა. ყვირილი ავტეხე. მან კი ისეთი სილა გამაწნა, ტკივილისგან კინაღამ გული წამივიდა. უცბად, დარბაზში მისი მეგობრები შემოცვივდნენ და თემურს მხარში ამოუდგნენ. თავს იფასებს, მხოლოდ იმათ თვალწინ იხდის, ვისაც მამამისის ფულზე გული არ ერევათო... — უთხრა მეგობრებს. ძალით გავხადოთო! — თქვეს ბიჭებმა და ისე სწრაფად შემომახიეს მაისური, რომ დაყვირებაც ვერ მოვასწარი... ამის იქით არ წასულან — სიცილი დამაყარეს და დარბაზიდან გავიდნენ...

— თვითმკვლელობის მცდელობა ამის გამო გქონდა?

— დიახ. შინ რომ მივედი, ვეღარ ვაზროვნებდი. მხოლოდ სიკვდილი მინდოდა. ჩემს ოთახში შევედი და სამართებლის პირით ვენები გადავიჭერი. მეგონა, შინ არავინ იყო. მოულოდნელად, მოსამსახურე შემოვიდა. კივილი დაიწყო. დედაჩემს დაურეკა... მამაჩემს ვინ შეატყობინა, არ ვიცი. სისხლით მოსვრილი რომ დამინახა, ისე მცემა, კინაღამ მომკლა. ჩემი საავადმყოფოში წაყვანაც არ უნდოდა. დედაჩემმა ძლივს დასძლია მისი წინააღმდეგობა... ძლივს გადამარჩინეს.

— სკოლის მეობრებმა როგორ აღიქვეს შენი საქციელი?

— სკოლაში აღარ დავბრუნებულვარ. როგორც კი გამოვჯანმრთელდი, მამაჩემმა გერმანიაში, ბონში გამიშვა სასწავლებლად. ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა. ორი სრული წელიწადი სახლიდან მოშორებულმა გავატარე. ძალიან მინდოდა აქ დაბრუნება, მაგრამ ასე თუ მოვიქცეოდი, ვიცოდი — მამა მომკლავდა. ნერვიულობისგან სიგარეტის მოწევაც დავიწყე. არც ალკოჰოლზე ვამბობდი უარს... ორი წლის შემდეგ თბილისში რომ დავბრუნდი, თემური ვეღარ ვნახე. ალბათ მემალებოდა. ვურეკავდი — ტელეფონთან არ მოდიოდა. დედამისს ვეხვეწებოდი: უთხარით, დამელაპარაკოს-მეთქი. ყოველი ცდა ამაო იყო... ერთი სიტყვით, შევეგუე იმ აზრს, რომ თემური დავკარგე, რაც დამიჯერეთ, იოლი არ იყო.

— რას გულისხმობ?

— უძილობა დამჩემდა. ღამეებს თეთრად ვათენებდი. სხვადასხვა აბს ვსვამდი, მაგრამ ხშირად, მაინც ვერ ვიძინებდი ხოლმე. ზოგჯერ, მთელი ღამე ფანჯარასთან ვიჯექი და სიგარეტს ვეწეოდი. ყოფილა შემთხვევა, როცა ერთ ღამეში, 20-30 ღერი მომიწევია. ერთი სიტყვით, ვიტანჯებოდი. 20 ოქტომბერს, თექვსმეტი წელი შემისრულდა. მამამ მანქანა მაჩუქა. ცხადია, გამიხარდა. რესტორანში სუფრა გააწყო და — ვინც გინდა, დაპატიჟეო, — მითხრა. მხოლოდ ახალი თანაკლასელები და რამდენიმე ძველი მეგობარი დავპატიჟე, მაგრამ ნამდვილი სასწაული მოხდა: თემური მოვიდა. ყვავილები მომართვა და ლოყაზე მაკოცა. თან სიამაყით გამომიცხადა: აი, ეს გოგო ჩემი საცოლეაო, — და ვიღაც საცოდავი გოგო გამაცნო, რომელიც ადრევე შევნიშნე, მაგრამ რატომღაც ყურადღება არ მივაქციე. როგორც კი თემურმა სიტყვა დაამთავრა, თავში სიცივემ დამიარა. სიმწრისაგან გონება გადამეკეტა. ჯერ მაგიდა ავაყირავე, შემდეგ შამპანურის ბოთლს წამოვავლე ხელი და იმ გოგოს მოვუქნიე. წივილ-კივილი რომ ატყდა, საიდანღაც მამაჩემი მოვარდა (წესით იქ არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეტყობა, ჩუმად გვადევნებდა თვალყურს); კისერში მწვდა და სახეში მუშტი მირტყა. რომ დავეცი, წიხლებით მანამდე მცემდა, სანამ გონება არ დავკარგე. ღმერთისგან არ ვიყავი განწირული და ალბათ ამიტომ არ შემოვაკვდი ხელში...

— იმ გოგოს რა დაემართა?

— თავის ქალის მძიმე ტრავმა მიიღო, მაგრამ გადარჩა. მერე გაირკვა, რომ თემურის საცოლე კი არა — ბიძაშვილი

ყოფილა. მე კი, იმ დღეს, მამიდაჩემმა წამიყვანა თავისთან. სხეული სულ დალურჯებული მქონდა. ექიმებმა ასეთი დიაგნოზი დამისვეს: კომოციოს *(ტვინის შერყევა. — ავტ.)* მძიმე ფორმა. სამი თვის განმავლობაში, საავადმყოფოში ვიწექი. იქიდან ისევ მამიდასთან დავბრუნდი. სუსტად ვიყავი, თავს ცუდად ვგრძნობდი, მაგრამ ყველაზე მეტად სირცხვილი მტანჯავდა. ერთ დილას, სახლიდან გავიპარე. მატარებელში ჩავჯექი და ბათუმში ჩავედი, მაგრამ პოლიციამ დამაკავა: დღისით, მზისით, შუა ქუჩაში გახდა დავიწყე. ჩათვალეს რომ შეშლილი ვიყავი. მერე, მეხსიერება ფსიქიატრიული საავადმყოფოს კედლებში აღმიდგა. მადლობა ჩემს ფსიქიატრს — მან ხომ ჩემი სული გადაარჩინა!..

P.S. ავტორთან დაკავშირების მსურველებმა შეუძლიათ დარეკონ: 8 93 30-58-97

■



„არსებობს კი სადმე ასეთი სტატისტიკა?“

მე თქვენი ჟურნალის აქტიური მკითხველი ვარ. მიმდინარე წელს (№14/147), გამოქვეყნებულია ინტერვიუ ქალბატონ ნინო ხვედელიანთან, სათაურით — „რა იწვევს თანდაყოლილ მანკს“ *(საუბარი იყო ყბა-სახის თანდაყოლილი მანკის სახეობებზე. — რედ.)*. აღნიშნული ინტერვიუ ჩემთვის საინტერესოა პროფესიული თვალსაზრისით, ვინაიდან ვმუშაობ ბათუმის ჩარკვიანის სახელობის სამშობიარო სახლში მეან-გინეკოლოგად და მიწევს შეხება აღნიშნულ პრობლემასთან, მაგრამ ამ წერილის დაწერა მაიძულა სხვა გარემოებამ, რაზედაც ქვემოთ მოგახსენებთ.

რესპონდენტი, დიღმის ბავშვთა მეორე საავადმყოფოს ყბა-სახის ქირურგიის განყოფილების გამგე, ქალბატონი ნინო ხვედელიანი, შეკითხვაზე, თუ არსებობს სტატისტიკური მონაცემები თანდაყოლილი მანკით დაავადებული ბავშვების რაოდენობის შესახებ, პასუხობს, რომ ამ მხრივ ლიდერობს აჭარა და იგი, მისი აზრით, გამოწვეულია ქორწინებებით ნათესავებს შორის, რაც იქ (აჭარაში!) თურმე დაშვებულია. საინტერესოა, რესპონდენტმა სად მოიძია სტატისტიკური მონაცემები აჭარაში ნათესაური ქორწინებების შესახებ და არსებობს კი სადმე ასეთი სტატისტიკა?

აღნიშნულმა ინფორმაციამ გამოიწვია არა მარტო ჩემი, არამედ ჩემი ახლობლების და კოლეგების აღშფოთება. აჭარაში, მიუხედავად მოსახლეობის სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობისა, ქორწინება ნათესავებს შორის დაუშვებელია და არ ხდება (ჩემთვის ასეთი შემთხვევა, მიუხედავად ჩემი სოლიდური ასაკისა, ცნობილი არ არის). შეიძლება, ადგილი ჰქონდეს ერთეულ შემთხვევებს, ისევე, როგორც საქართველოს სხვა ნებისმიერ კუთხეში და ის ჩვენი მოსახლეობის მიერ აღიქმება ანომალიად.

როგორც მეან-გინეკოლოგი, გაცნობებთ, რომ ნაყოფის თანდაყოლილი სიმახინჯეების გამომწვევი მიზეზები უპირატესად არის: გენეტიკური ფაქტორები, გარემოს ეკოლოგიური და რადიაციული დაბინძურება, ინტოქსიკაციები, სპეციფიკური და არასპეციფიკური ინფექციები, მშობლების მავნე ჩვევები — ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და სხვა.

ბატონო რედაქტორო, დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს ჟურნალს მრავალი აქტიური მკითხველი ჰყავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ხომ შეიძლება, ქალბატონის მიერ მოწოდებული ცრუ ინფორმაცია, თუ სარწმუნოდ არა, საეჭვოდ მაინც მიიჩნიოს ვინმემ, რაც ნამდვილად დადებითად არ იმოქმედებს აჭარასა და საქართველოს სხვა კუთხეებს შორის შემდგომ ურთიერთობებზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, ვიტოვებ იმედს, რომ თქვენი ჟურნალის რედაქცია ყურად იღებს ჩემი და ჩემი ახლობლების გულისტკივილს და მას გახდის განსჯის საგნად, რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით,
მანანა თამაზაშვილი

(იბეჭდება მცირედი შემოკლებით და სტილის სრული დაცვით. — რედ.)

პატიმრობა

ზუსტად ერთი წლის წინ, მთელი აპრილის განმავლობაში, თბილისის ავჭალის კოლონიაში ზედიზედ, საშინელი დანაშაულები ხდებოდა. სადისტურ მკვლელობებს პატიმრები, ურთიერთდაპირისპირების გამო, ერთიმეორის მიყოლებით გეგმავდნენ. საცხოვრებელ ბარაკებში კი, ერთმანეთის მოსაკლავად, აფეთქებებს აწყობდნენ. ერთ-ერთ ასეთ აფეთქებას ახალგაზრდა პატიმრის სიცოცხლე შეეწირა. მისი სხეული ხელყუმბარამ ნაფლეთებად აქცია. მეორე დღეს, მოწინააღმდეგე ჯგუფის მსჯავრდებულებმა გარდაცვლილის მოწყვეტილი ხელი კოლონიის ეზოს ძაღლს — ბოქსიორს აჭამეს...

მეგი ცანავა

ამ ამაზრზენ ფაქტს, შედეგად კიდევ ერთი საშინელი მკვლელობა მოჰყვა. ამჯერად, პატიმარს ფიქსატორიანი დანით ხუთი, მათგან — სამი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენეს. პროკურატურის ინფორმაციით, მსჯავრდებულებმა დღისით, მზისით, მოკლულის გვამი კოლონიის ეზოში გაიტანეს, მიწაზე დააგდეს და წიხლები ურტყეს...

2002 წლის 11 აპრილს, დილით, თბილისის ზემო ავჭალის №9 მკაცრი და საერთო რეჟიმის კოლონიის პატიმრებს ჯერ კიდევ ეძინათ, როცა ისინი აფეთქების ხმამ გააღვიძა. ყველა ეზოში გავიდა. ერთ-ერთი მსჯავრდებული — მევლუდ ფერაძე მათ ასფალტზე უგონოდ დაგდებული დახვდათ. ის უკვე დაღუპული იყო. პატიმრებმა ისიც შენიშნეს, რომ აფეთქების შედეგად, მას ცალი ხელი მოწყვეტილი ჰქონდა...

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და როგორც გამოძიების შემდეგ სამართალდამცავებმა აღნიშნეს, ფერაძეს მსჯავრდებული ელდარ გოგბერაშვილის მოკვლა უნდოდა. ამ მიზნით სცადა, ასაფეთქებელი ნივთიერება მის საცხოვრებელ ოთახში შეეგდო, მაგრამ მოულოდნელად, ხელყუმბარა ხელში აუფეთქდა. ფერაძის გარდა, აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა.

დანაშაულის მოტივად, გამოძიებამ მევლუდ ფერაძეს, ელდარ გოგბერაშვილსა და ამ უკანასკნელის მეგობრებს შორის დაპირისპირება დაასახელა. პროკურატურა და ციხის ადმინისტრაცია ირწმუნებოდა, რომ გოგბერაშვილი და კიდევ რამდენიმე

დაღუპულის ხელი ძაღლს აჭამეს...

სისხლიანი გაკძანალია სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში

მსჯავრდებული კოლონიაში ლიდერობდნენ, ამას კი პატიმართა მასა (დაახლოებით 130 პატიმარი), რომელშიც ფერაძეც შედიოდა, ვერ ურიგდებოდა.

№9 კოლონიის მსჯავრდებულები უფრო კონკრეტულ მიზეზს ასახელებენ. მათი თქმით, ფერაძე, გოგბერაშვილსა და მის მეგობარ – ზურაბ გოგობერიშვილთან კარტს თამაშობდა. ხშირად აგებდა. წაგებული, საკმაოდ სოლიდური თანხის მიტანა კი მისი ოჯახის წევრებს უხდებოდათ. ამის გამო, ფერაძეს ნათესავებთან ურთიერთობა დაეძაბა, თუმცა არც მას, არც მის ახლობლებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ – თავანი უნდა ჩაებარებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას, შესაძლოა, სავალალო შედეგი მოჰყოლოდა. ამდენი წაგებით გამწარებულმა ფერაძემ, კოლონიაში გავრცელებული ხმების თანახმად, გოგბერაშვილის მოკვლა განიზრახა.

სხვა ვერსია აქვთ თავად გოგბერაშვილსა და აწ გარდაცვლილი – ზურაბ გოგობერიშვილის ახლობლებს: მათი თქმით, გოგობერიშვილს და მის მეგობრებს ქურდულ სამყაროსთან ჰქონდათ გართულებები, რის გამოც სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ისინი ერთი კოლონიიდან მეორეში გადაჰყავდა. თუმცა, სადაც შევიდოდნენ, მათ, ქურდების დავალებით, მაშინვე დევნიდნენ.

აფეთქების მეორე დღეს, მსჯავრდებულები მორიგ მსხვერპლზე ალაპარაკდნენ. ამბობდნენ, რომ გოგბერაშვილი და მისი მეგობრები, ფერაძეს განზრახვას მიუხვდნენ და ახლა, სამაგიეროდ, ამ უკანასკნელის ძმაკაცებისა და თანამზრახველების მოკვლას თავად აპირებდნენ. გავრცელებული ხმებით, პირველი, მსჯავრდებული – გიგა სვანიძე უნდა ყოფილიყო.

როგორც ამბობენ, კოლონიის დირექცია სხვა ინფორმაციას ფლობდა: დირექტორის თქმით, ფიზიკური განადგურების საფრთხე თავად გოგბერაშვილსა და გოგობერიშვილს ემუქრებოდა. მათ მოსაშორებლად კი, შეთქმული პატიმრები მძიმე დანაშაულის ორგანიზებას გეგმავდნენ და ამ მიზნით კოლონიაში ცეცხლსასროლი იარაღის შეტანასაც ცდილობდნენ.

ალეკო გზირიშვილი, კოლონიის ყოფილი დირექტორი:

განსასჯელი გოგლიძე

განსასჯელი სვანიძე

„ავჭალის კოლონიაში გადასვლამდე, რამდენიმე ციხის დირექტორად ვიყავი ნამუშევარი. ასე რომ, საკმაო გამოცდილება მქონდა. №9 კოლონიაში სულ ორი თვის მისული გახლდით, როცა მივხვდი, რომ მსჯავრდებულებს შორის ფარული შუღლი და დაპირისპირება იყო. მაშინვე საქმის კურსში ჩავაყენე სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ყველა ის სამსახური, რომელსაც კანონით ევალებოდა სიტუაციის გაკონტროლება. ამ მიზნით ოპერატიული ღონისძიებები ტარდებოდა.

შევიტყვეთ, რომ მსჯავრდებულთა გარკვეული კატეგორია უკმაყოფილებას გამოთქვამდა ე.წ. ლიდერების მიმართ. ლიდერებში ითვლებოდნენ: ელდარ გოგბერაშვილი, ზურაბ გოგობერიშვილი, დავით ჩუბინიძე, ომარ არჯევანიძე, ნიკოლოზ ჭავჭანიძე და სხვები. მათ წინააღმდეგ პატიმრებს „ბუნტი“, როგორც შევიტყვე, ადრეც – 1997 და 2000 წლებშიც მოუწყვიათ. ერთ-ერთი დაპირისპირების დროს, ელდარ გოგბერაშვილისთვის ყელიც კი გამოუჭრიათ (მაშინ ის სიკვდილს გადაურჩა), ხოლო კოლონიის თანამშრომელი მძევლად აუყვანიათ.

11 აპრილს მომხდარი აფეთქების შემდეგ, გავეცი ბრძანება, რომ ზემოთ ხსენებულ მსჯავრდებულებზე კონტროლი გაძლიერებულიყო, რადგან ჩემი ინფორმაციით, მათ სიცოცხლეს დაპირისპირებულ პატიმართა მხრიდან, საფრთხე ამჯერადაც ემუქრებოდა. გადავწყვიტეთ, ისინი, იზოლირების მიზნით, საპყრობილის რეჟიმზე – ე.წ. „კრიტში“ გადაგვეყვანა. ცხადია, ზონიდან რამდენიმე ადამიანის გაყვანა უფრო მოსახერხებელი იყო ჩვენთვის, ვიდრე 100-მდე პატიმრის. ისიც მაცნობეს, რომ ზურაბ გოგობერიშვილს ქურდულ სამყაროსთან გართულებები ჰქონდა, რადგან როგორც ამბობდნენ, მას ერთ-ერთი კანონიერი ქურდი ჰყავდა მოკლული და სასჯელსაც ამისთვის იხდიდა.

ჩუბინიძე, არჯევანიძე, გოგბერაშვილი და სხვები, ჩემი ბრძანების შესაბამისად, „კრიტში“ წაიყვანეს და ზონას მოაცილეს. რაც შეეხება ზურაბ გოგობერიშვილს, მასთან სამსაათიანი საუბრის და მოლაპარაკებების მიუხედავად, საპყრობილეში წასვლაზე არ დაგვთანხმდა. ვარწმუნებდი: შენი კარცერში მოთავსება აუცილებელია, რადგან პატიმრები შენზე თავდასხმას გეგმავენ-მეთქი. მაინც უარი თქვა. მაშინ, დეპარტამენტის ხელმძღვანელობას მივმართე. გოგობერიშვილი ვერც მათ დაიყოლიეს. არ მინდოდა, რამე უბედურება მომხდარიყო და ამიტომ გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, გოგობერიშვილი ზონას გამეშორებინა. ამ მიზნით, კვლავ უფროსობას მივმართე. დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან, უშანგი მგელაძესთან შევედი და მაგიდაზე პატაკი დავუდე: ან გოგობერიშვილს გადაიყვანთ კარცერში, ან მე წავალ სამსახურიდან-მეთქი. მან კი პატაკი დახია და მითხრა: შენ აქ საჭირო კაცი ხარ, სიტუაციას ჩვენ გავაკონტროლებთო. გადაწყდა, რომ 16 აპრილს, დილით, გოგობერიშვილი „კრიტში“ ძალით გადაეყვანათ, მაგრამ ვერ მოასწრეს“.

2002 წლის 16 აპრილს, დილით, დაახლოებით ათის ნახევრისთვის, მსჯავრდებული ზურაბ გოგობერიშვილი დანით მოკლეს. მკვლელობაში პროკურატურამ გიგა სვანიძე და მისი მეგობარი – გელა გორგოძე დაადანაშაულა. გამოძიების თანახმად, იმ დილით ისინი გოგობერიშვილს ოთახში შეუცვივდნენ და დანით სასიკვდილოდ დაჭრეს. შემდეგ, მე-2 სართულიდან ეზოში ჩაათრიეს, აგინეს

და ფეხებიც ურტყეს.

ამ ფაქტს დღეს ორივე პატიმარი უარყოფს. სვანიძე, გოგობერიშვილის დაჭრას აღიარებს, თუმცა ირწმუნება, რომ ეს მხოლოდ თავდაცვის მიზნით ჩაიდინა. გორგოძე დანაშაულში მონაწილეობას არ ადასტურებს. ამჟამად, ორივე მათგანს უზენაესი სასამართლო ასამართლებს.

30 წლის გიგა სვანიძე წარმოშობით ზესტაფონელია, ჰყავს ცოლი და მცირეწლოვანი შვილები. ადრე, პოლიციელი გახლდათ და დაპატიმრებამდე, ზესტაფონის შს სამმართველოში უბნის ინსპექტორად მუშაობდა. 2000 წლის 27 სექტემბერს, ის ქუთაისის საოლქო სასამართლომ განზრახ მკვლელობისთვის გაასამართლა. ამბობენ, რომ მკვლელობა მან დედის ღირსების შელახვის გამო ჩაიდინა. დანაშაულისთვის, რომელიც აღიარა კიდეც, მას სულ მცირე, 7 წლით თავისუფლების აღკვეთა ელოდა. თუმცა, სასამართლო სვანიძის მდგომარეობაში შევიდა, გაითვალისწინა, რომ ის დადებითად ხასიათდებოდა და ყოფით ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობისთვის მას ზღვარს ქვემოთ სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

2000 წლის დეკემბრიდან, გიგა სვანიძე სასჯელის მოსახდელად ციხიდან თბილისის №9 ზემო ავჭალის კოლონიაში გადაიყვანეს. ის სულ რამდენიმე დღეში უნდა გათავისუფლებულიყო, როცა ზურაბ გოგობერიშვილის მკვლელობა ჩაიდინა.

გიგა სვანიძე:

„მევლუდ ფერაძეს სწორედ №9 კოლონიაში დავუმეგობრდი. იგი უზენაესი სასამართლოს მიერ იყო გასამართლებული და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. პატიმრებიდან, ყველაზე კარგი და ახლო ურთიერთობა მასთან მქონდა. ფერაძის პრობლემა ის იყო, რომ კარტს თამაშობდა. ამ საქმეში მისი მეტოქეები ძირითადად, გოგბერაშვილი და გოგობერიშვილი იყვნენ. ციხეში კარტის თამაშისას, მოწინააღმდეგეებს შორის ყოველთვის დაძაბული ურთიერთობაა ხოლმე; ისინი ცდილობენ, ერთმანეთი როგორმე მოიშორონ. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა, თუმცა ფერაძის განზრახვის შესახებ მე არაფერი ვიცოდი.

2002 წლის 11 აპრილს, დილით, აფეთქების ხმამ გამაღვიძა. გარეთ რომ გავედი, დავინახე, რომ ფერაძე ძირს ეგდო. მითხრეს, დაიღუპაო. რამდენიმე წუთში, ზონაში ადმინისტრაციის, დეპარტამენტის და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლები მოვიდნენ. მსჯავრდებულები ზემოთ, ოთახებში აგვიყვანეს, ფერაძის გვამი კი, დაწესებულების ტერიტორიიდან გაიტანეს. მაშინ ამბობდნენ, ფერაძემ თავი აიფეთქაო, მაგრამ შემდეგ – გოგბერაშვილის აფეთქება უნდოდაო, – თქვეს.

მომხდარი ფაქტის გამო, ზურაბ გოგობერიშვილი კმაყოფილებას ვერ ფარავდა. ეს აშკარა იყო და მარტო მე არ შემინიშნავს, სხვა პატიმრებმაც აღნიშნეს. უკვე გარდაცვლილი მევლუდის მისამართით ამბობდა: ერთი ბოზით ნაკლები იქნება დედამიწაზეო. ეს სიტყვები ჩემი თანდასწრებით რამდენჯერმე გაიმეორა.

როცა ფერაძის გვამი ასფალტზე ეგდო და შემთხვევის ადგილს ათვალიერებდნენ, შევნიშნე, რომ მას ცალი ხელი არ ჰქონდა. მევლუდის დაღუპვამ მსჯავრდებულთა უმეტეს ნაწილზე იმოქმედა. პირადად მე, ამ ამბავს ძალიან განვიცდიდი, მაგრამ მეორე დღიდან, ზონაში ყველანი ჩვეულ ცხოვრებას დავუბრუნდით.

დაახლოებით დღის 2 ან 3 საათი იქნებოდა, როცა სამზარეულოში შევედი და ფანჯრიდან ზურაბ გოგობერიშვილი და მსჯავრდებული – მერაბ ურუშაძე დავინახე. გოგობერიშვილი ზონის ძაღლის – ჩალისფერი ბოქსიორის წინ იყო ჩაცუცქული, ხელში პოლიეთილენის პარკი ეჭირა და ძაღლს რაღაცას აჭმევდა. ამ დროს, ურუშაძის სიტყვები მომესმა: რას შვრები, ბიჭო, არ გრცხვენია? მევლუდის ხორცს ძაღლს როგორ აჭმევო?.. შოკში ჩავვარდი. გაოგნებული, მაშინვე გარეთ გავვარდი და თავზე წავადექი მათ. ყველაფერი დავინახე... ერთადერთი, რისი თქმაც იმწუთას მოვახერხე, იყო: გაჩერდი, როგორ არ გრცხვენია-მეთქი? ამაზე გოგობერიშვილი ჩემკენ მოტრიალდა, ამომხედა და მითხრა: შენ ახლა, ბიჭო, ამას გულში ჩაიდებ თუ თავში, თუ ჭკვიანად არ იქნები, შენც ეს დღე მოგელისო. ამის შემდეგ, იქაურობას გავშორდი. არ მინდოდა, მოთმინებიდან გამოსულს, რაიმე დანაშაული ჩამედინა, ვცდილობდი, მაქსიმალურად გამეკონტროლებინა თავი, რადგან რამდენიმე დღეში, საბოლოოდ ვთავისუფლდებოდი.

მეორე დღეს, ჩემთან ურუშაძე მოვიდა და გამაფრთხილა: გოგობერიშვილს შენი მოკვლა უნდა და მოერიდე, რამე იღონეო. ამის შემდეგ, თავად ზურასაც შევხვდი. მითხრა: შენს მოკვლას მამაზეციერიც კი ვერ გადამაფიქრებინებს, მევლუდს გოგბერაშვილის მოკვლა რახან უნდოდა, ესე იგი მეც იმავეს მიპირებდა, შენ კი ამის შესახებ აუცილებლად გეცოდინებოდა; ვინც ეს ამბავი იცოდა და არაფერს ამბობდა, ყველანი უნდა დავხოცოთო. ვუპასუხე: მე სუფთა ვარ, ფერაძე ჩემი მეგობარი იყო, მაგრამ მისი განზრახვის შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცოდიმეთქი.

ამ საუბრის შემდეგ, ზურაბ გოგობერიშვილი ოთახში შემომივარდა. მაშინ ჩემთან ერთად მეორე პატიმარი – ირაკლი ქვლივიძეც იყო. ზურას ხელში დანა და „შტირი“ ეკავა და პირდაპირ ჩემკენ გამოექანა. თუმცა, ქვლივიძემ მოასწრო, ჩვენ შორის ჩამდგარიყო და გავეშველებინეთ.

მივხვდი, რომ ჩემს სიცოცხლეს აშკარად საფრთხე შეექმნა. გადავწყვიტე, კოლონიის ადმინისტრაცია ჩამეყენებინა საქმის კურსში. ზონაში თანამშრომლები გავაფრთხილე: გოგობერიშვილი მემუქრება და ყურადღება მომაქციეთ-მეთქი. ამ ამბავმა დირექტორის ყურამდეც მიაღწია. ვცდილობდი, ყოველთვის ხალხმრავალ ადგილას ვყოფილიყავი, კოლონიის თანამშრომლებს გვერდიდან თითქმის არ ვშორდებოდი. მორიგე თანამშრომელს – ზვიად ჩუთლაშვილს ვთხოვე, დაწესებულების დირექტორისთვის ვითარება აეხსნა და ჩემი უსაფრთხოება როგორმე უზრუნველეყოთ. მიუხედავად ამისა, შევნიშნე, რომ ზურა გოგობერიშვილი თავისი ლოგინით ღამის გასათევად სწორედ იმ სართულზე გადმოვიდა, სადაც მე ვცხოვრობდი. ამით განცვიფრე-

ბულმა, კოლონიის ხელმძღვანელს შეკითხე: რა ხდება-მეთქი? მან კი მიპასუხა: რას იზამ, სვანიძე – შეხვალ დასაძინებლად კორპუსში თუ არაო?

თავი დამცირებულად ვიგრძენი, ამდენმა გაფრთხილებამ უკვე თავმოყვარეობა შემილახა და გადავწყვიტე, ოთახში შევსულიყავი. იმ ღამით გელა გორგოძეც ჩემთან დარჩა. მთხოვა: თუ შეიძლება, აქ დავწვები, ტელევიზორს ვუყურებო. გელა კოლონიაში ახალი მოსული იყო, თუმცა მე დიდი ხანია ვიცნობდი. გამიხარდა კიდეც, ჩემთან რომ დარჩა, რადგან ვიფიქრე, გოგობერიშვილი თუ შემომივარდა, მოწმის თანდასწრებით განზრახვას სისრულეში არ მოიყვანს-მეთქი.

16 აპრილს, დილით, 9 საათზე ავდექი, თავი მოვიწესრიგე და სამზარეულოში გავედი. გორგოძე ოთახში დარჩა. მეორე სართულის კიბესთან მოულოდნელად გოგობერიშვილს შევეჩეხე. ახლა ვინ გიშველისო?! – მითხრა და გულმკერდში მუშტი ჩამარტყა, კედელთან მიმიმწყვდია. სუნთქვა შემეკრა, მუხლები მომეკვეთა. ამ დროს, ის კისერში მწვდა და მახრჩობდა. გოგობერიშვილი ფიზიკურად ჩემზე გაცილებით დიდი და ძლიერი იყო, ამიტომაც წინააღმდეგობის გაწევას ვერ ვახერხებდი. კისერში ხელებს სულ უფრო და უფრო მიჭერდა, უკვე გონებას ვკარგავდი. ქურთუკის ჯიბეში დანა მქონდა, ამოვიღე და თავდაცვის მიზნით, ორჯერ მოვიქნიე. მაინც არ გაჩერდა. მაშინ მას სამჯერ, შემავალი ჭრილობა მივაყენე. გოგობერიშვილი წაიქცა და კიბეზე დაგორდა. დაახლოებით ნახევარი წუთი დამჭირდა სუნთქვის აღსადგენად. მაინტერესებდა, გოგობერიშვილს რა მოუვიდა და გარეთ გავედი. დაჭრილი გოგობერიშვილი ბარაკის შესასვლელში იწვა. ფეხით გადავუწიე თავი და ვკითხე: რა გინდოდა? რატომ მკლავდი-მეთქი? ამის შემდეგ, კოლონიის თანამშრომელს „სასწრაფოს“ გამოძახება ვთხოვე. რა მოხდაო? – მკითხეს, მეც დავიღუპე და ეს უბედურიც დავღუპე-მეთქი, – ვთქვი...“

ზვიად ჩუთლაშვილი, კოლონიის თანამშრომელი:

„11-დან 16 აპრილამდე, ზონაში მორიგე ვიყავი. გიგა სვანიძისგან ვიცოდი, რომ მას გოგობერიშვილთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მითხრა: მოკვლით მემუქრება და ორივეს ყურადღება მოგვაქციეო. ამის შესახებ კოლონიის ადმინისტრაციასაც შევატყობინე.

16 აპრილს, დილით, შევნიშე, რომ ბარაკში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. ალბათ ჩხუბობენ-მეთქი – ვიეჭვე და მაშინვე კოლონიის დირექტორთან წავედი. ამის შემდეგ, ზონაში აღარ შევსულვარ და არც მოკლული და არც მკვლელი არ მინახავს“.

თუმცა, ზვიად ჩუთლაშვილი წინასწარი გამოძიების დროს სულ სხვაგვარად აღწერდა მოვლენებს:

„... სვანიძე მოვიდა და მითხრა: გოგობერიშვილმა და მისმა მეგობრებმა მევლუდ ფერაძის ხელი ძაღლს აჭამეს, მე გარდაცვლილ ფერაძეს შუბლზე ვაკოცე და აღვუთქვი, რომ შურს ვიძიებო... 16 აპრილს, დილით, ბარაკში ჩოჩქოლი ატყდა. დავინახე, გელა გორგოძე დაჭრილ ზურა გოგობერიშვილს პირქვე როგორ მიათრევდა ეზოში, მარჯვენა ხელში მას სისხლიანი დანა ეჭირა, პატიმრებისა და თანამშრომლების მისამართით იგინებოდა და ყვიროდა: არ მომეკაროთო! სვანიძეც იქვე იდგა და გოგობერიშვილს ეძახდა: შენ გინდოდა ზესტაფონელის სიკვდილიო? – თან წიხლებს ურტყამდა. მოშორებით სხვა მსჯავრდებულებიც იდგნენ...“

წესდების თანახმად, ჩუთლაშვილს სამსახურში მსჯავრდებულების კონტროლი, თანამშრომლების საგუშაგოებზე განაწილება და ზონაში წესრიგის დამყარება ევალებოდა. მიუხედავად ამისა, ჩათვალა, რომ სიტუაციის განსამუხტავად, ზომები დაუყოვნებლივ თვითონ კი არ უნდა მიეღო, არამედ პირველ რიგში, ტერიტორია დაეტოვებინა და მოშორებით მდგარ კორპუსში, დირექტორის კაბინეტში ასულიყო.

გელა გორგოძის დანაშაულში მონაწილეობაზე კოლონიის ყოფილი დირექტორი გზირიშვილიც საუბრობს: *„შემთხვევის ადგილას მსჯავრდებულები და თანამშრომლები შეკრებილიყვნენ. გარდაცვლილს რომ მივუახლოვდი, შევნიშნე, რომ „მაიკა“ ნახევრად გახდილი ჰქონდა. დაზიანებები სხეულზე არ ეტყობოდა, რადგან პირქვე იწვა; ასფალტზე სისხლის ნაკვალევი შეიმჩნეოდა. გოგობერიშვილს პულსი გავუსინჯე; გული აღარ უცემდა, თუმცა ჯერ კიდევ თბილი იყო. იქვე, „ფანტანთან“ გელა გორგოძე დავინახე. წყალთან იდგა და ბოტასებს იწმენდდა. ეს საეჭვოდ მომეჩვენა. თუმცა, არ დამინახავს, ტალახიანი ჰქონდა თუ სისხლიანი. „ფანტანი“ მიცვალებულიდან სულ 3-5 მეტრით იყო დაშორებული. მაშინ ვიფიქრე, რომ მკვლელობა მის მიერ იყო ჩადენილი...“*

საგამოძიებო ჯგუფის თანამშრომლებმა ზონიდან პირველად გელა გორგოძე გაიყვანეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ხელმძღვანელები მხოლოდ მხრებს იჩეჩდნენ და აცხადებდნენ, რომ არც ის იცოდნენ, თუ რატომ ან როგორ მოახერხეს მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში პატიმრებმა არაერთი მძიმე დანაშაულის ჩადენა და არც ის – თუ საიდან მოხვდა კოლონიაში ხელყუმბარები, დანები და სხვა აკრძალული ნივთები. ფაქტია, რომ ციხეში პატიმრები, გამოსწორების ნაცვლად, კიდევ უფრო საშიშ დამნაშავეებად იქცნენ. ვერც ერთმა უწყებამ, რომელსაც ზონაში წესრიგის დამყარება და მსჯავრდებულებზე მკაცრი კონტროლის განხორციელება ევალებოდა, დანაშაულის თავიდან აცილება და საფრთხის ქვეშ მყოფ პატიმართა დაცვა ვერ შეძლო.

მომხდარი ფაქტების გამო, ალეკო გზირიშვილს კოლონიის დირექტორის სავარძელი დაატოვებინეს. დღეს გზირიშვილი უმუშევარია და აცხადებს: *„ჩემზე რაც იყო დამოკიდებული, გავაკეთე. ზონაში შექმნილი სიტუაციის შესახებ ხელმძღვანელობას მოვახსენე, ზომები კი მათ უნდა მიეღოთ“.*

უზენაეს სასამართლოში რამდენიმე დღის წინ გამართულ სხდომაზე, აწ გარდაცვლილი ზურაბ გოგობერიშვილის დედა დაჰკითხეს. მისი თქმით, ზურაბს ქურდული სამყაროს წარმომადგენლები გამუდმებით დევნიდნენ, *„ამის შესახებ დეპარტამენტის თანამშრომლებმაც იცოდნენ, მაგრამ არად ჩააგდეს“,* – დასძინა მან. დაღუპულის დედა მკვლელობაში, სვანიძესთან ერთად, გორგოძესაც ადანაშაულებს.

გელა გორგოძე თავიდანვე აცხადებდა, რომ მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა. მან სასამართლოშიც იგივე გაიმეორა. №9 კოლონიაში გორგოძე 2002 წლის 30 მარტიდან იმყოფებოდა, მანამდე კი სასჯელს გეგუთის კოლონიაში იხდიდა. როგორც შევიტყვეთ, ის ადრე, ერთ-ერთი სასჯელაღსრულებითი დაწესებულების თანამშრომელი იყო. სწორედ იმ პერიოდში, ურთიერთშელაპარაკებისას მან ცეცხლსასროლი იარაღით თავისი სიმამრი მოკლა და რამდენიმე პოლიციელი დაჭრა. ამ დანაშაულისთვის გელა გორგოძეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ სამუდამო პატიმრობა შეუფარდა. თუმცა მოგვიანებით, განაჩენი საკასაციო პალატამ გააუქმა და უვადო პატიმრობა 20 წლით თავისუფლების აღკვეთით შეუცვალა.

1964 წელს დაბადებულ გელა გორგოძეს ცოლ-შვილიც ჰყავს, თუმცა სიმამრის მკვლელობის შემდეგ, ცოლ-ქმარი გაიყარა.

ზურაბ გოგობერიშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით, უზენაეს სასამართლოში ამჟამად ჩვენებებს მოწმეები იძლევიან. მომდევნო პროცესზე, რომელიც მომავალ კვირაში გაიმართება, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები დაიკითხებიან. ■



ბაადურ წულაძე: თვალი და ყური გადაღებებს შევწირე

ბაადურ წულაძის ცხოვრებაში „რევოლუცია“ მაშინ დაიწყო, როცა ოქროსმედალოსანი და მოსკოვში, ბაუმანის სახელობის ინსტიტუტში სასწავლებლად გამზადებული, ტროლეიბუსს შეახტა და... ВГИК-ში (კინემატოგრაფიის ინსტიტუტში) აღმოჩნდა. პირველი ცდა უშედეგო იყო. მეორე წელს კი, სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. სხვანაირად დაიწყო აზროვნებაც, ცხოვრებაც. მას შემდეგ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებით იცხოვრა. იმ იღბლიან მსახიობთა შორის აღმოჩნდა, რომლებსაც როლები არასდროს მოჰკლებიათ. ბატონი ბაადური ახლაც, ახალ როლზე მუშაობს.

ლელა ჭანკოტაძე

— ვინ იღებს ფილმს და როგორია სცენარი?

— ლევან ზაქარეიშვილი იღებს მხატვრულ ფილმს, რომელსაც პირობითად ჰქვია „სტამბოლი-თბილისი“. მე ვთამაშობ პროფესორ ოთარის როლს. სამი თუ ოთხი წელია, რაც ჩამოყალიბდა შემოქმედებითი ჯგუფი, მაგრამ უფულობის გამო, გადაღებებს ვერ იწყებდა. ახლა, როგორც იქნა, „კინოცენტრმა“ იკისრა სურათის დაფინანსება. ფილმს საინტერესო სცენარი აქვს, მოქმედება ხდება ბაზრობაზე. ყოფილი პროფესორი ჯიხურში დგას და წვრილმანებს ყიდის. მსოფლიო კინემატოგრაფის, როგორც ხელოვნების ფუძემდებელია ჟორჟ მელიესი. მაგრამ იყო დრო, როცა ეს კაცი ყველამ დაივიწყა. უცებ კი, ვაგზალზე, პატარა ჯიხურში აღმოაჩინეს — ის სათამაშოებს ყიდდა... შეიძლება, ეს ცოტა ლეგენდასაც ჰგავს, მაგრამ ისეთი ლეგენდაა, რომლისაც ყველას სჯერა. ეს ლეგენდა დაედო საფუძვლად ფილმს „სტამბოლი-თბილისი“.



— ჩემი აზრით, თქვენ იღბლიანი მსახიობი აღმოჩნდით. არც ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს გაკლდათ როლები და არც ახლა, როცა მსახიობთა უდიდესი ნაწილისთვის კინოში თამაში შეიძლება, ოცნებად დარჩეს... თქვენ როგორ ფიქრობთ — რა არის იმის მიზეზი, რის გამოც რეჟისორები ასე გწყალობენ?

წელიწადში ერთ ფილმს იღებს ყაზახეთი და იმ ფილმშიც მთავარი როლი მე ვითამაშე

— წელიწადში ერთ ფილმს იღებს ყაზახეთი და იმ ფილმშიც მთავარი როლი მე ვითამაშე. ეს არის ფილმი — „ლეილას ლოცვები“. გადაღებები შარშან დამთავრდა. რეჟისორმა პირდაპირ მითხრა: სამი წელი მედო სცენარი და ვიცოდი, რომ ეს როლი შენ უნდა გეთამაშო... არ ვიცი, რის გამო მწყალობენ რეჟისორები. საერთოდ, ვამბობ ხოლმე: კარგი და ცუდი მსახიობი არ არსებობს — ან ხარ მსახიობი, ან არა ხარ... ბევრი მსახიობი გადაღებაზე რომ მოდის, ამბობს: სცენარი სისულელეა, რეჟისორი დეგენერატია, როლი არ მომწონს, ფულს ცოტას მიხდიან და ა.შ. ჯერ უნდა გადაწყვიტო, რა მოგწონს, რატომ თანხმდები ამ როლის თამაშს... მე თუ დავთანხმდი როლზე, იმ დროს ჩემთვის ეს ხდება ერთადერთი როლი, რომელიც უნდა ვითამაშო — გადაღებების დროს სხვა რამეზე აღარ ვფიქრობ.

— რატომ არ მიგიზიდათ სცენამ? რატომ არ გახდით თეატრის მსახიობი?

— კინო ჩემთვის სხვაა, თეატრი კი — სხვა. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვითამაშო რეპეტიციაზე, მერე — სპექტაკლზე და ეს გამეორდეს უამრავჯერ. კინო სულ სხვა რამეა, თეატრში ყოველდღე,

ერთი და იგივე ხალხი მხვდება — ამის ატანა არ შემიძლია, ამის გამო შეიძლებოდა, თავი ჩამომეხრჩო... კინოში გამუდმებით სიახლეებია. ამიტომ ვამბობ ხოლმე: კინოში კი არ ვიმუშავე — ვიმოგზაურე-მეთქი. ახლა შევძლებდი თეატრში თამაშს: მომწონს პრინციპი — რომ დაგპატიჟებენ ერთ სპექტაკლზე და ერთ როლს ითამაშებ. მაგრამ თეატრის შტატში? — არა და არა! გასაკვირი არც არის, თეატრში რომ სულ ინტრიგებია — ხან რეჟისორს აგდებენ და ხან მსახიობს...

— რაშია თქვენი წარმატების საიდუმლო?

— როცა თამაშობ, ტვინი უნდა „გამორთო". წინასწარ არ უნდა იფიქრო: სად უნდა დადგე, საით უნდა წახვიდე, როგორი მოძრაობა უნდა გააკეთო. ამგვარი მოძრაობები ტანმა უნდა „დაიმახსოვროს". ჩემი უსაყვარლესი კომიკოსი ტოტო გახლდათ. ის დაბრმავდა. მაგრამ ერთ-ერთმა რეჟისორმა აიჩემა — ჩემს ფილმში მთავარი როლი ტოტომ უნდა ითამაშოსო. მართლაც, მოიყვანეს გადაღებებზე ტოტო. მან თქვა: მომკიდეთ ხელი და გამატარეთ მიზანსცენაო... ითამაშა, თანაც — შესანიშნავად.

— დაახლოებით რამდენი როლი გაქვთ ნათამაშები?

— თუ ჩამოვთვლი, ასამდე როლი მოგროვდება.

— გადასაღებ მოედანზე ალბათ ხიფათსაც შეჰყრიხართ, არა?

— სასწაული არაფერი მომხდარა. ისე, რა არსებებთან ერთად არ მითამაშია: მახრჩობელა გველთან, ძაღლთან, ვეფხვთან, ლომთან, მაიმუნთან... ვეფხვთან ერთად ვიყავი კადრში: ვეფხვს ჩემ გვერდით უნდა ჩაევლო, მე უნდა შემშინებოდა. ცოტა კი მეშინოდა, მაგრამ რადგან როლზე დავთანხმდი, ეს სცენაც უნდა მეთამაშა, ცხენზე არ ვმჯდარვარ, მაგრამ როცა დამჭირდა, ვისწავლე. მართალია, დიდი მოჯირითე არა ვარ, როლი კი ნამდვილად კარგად შევასრულე. უამრავჯერ გადავყრივარ ხიფათს. მახსოვს, კიევის სტუდია იღებდა ფილმს — „ეკვილიბრისტი", რომელშიც მთავარ როლს ვთამაშობდი. ბოლო სცენების გადასაღებად წავედით მინსკში, გადაღებები ცირკში მიმდინარეობდა. რადგან ყოველდღე, რამდენიმე წარმოდგენა იმართებოდა და ცირკის შენობა დაკავებული იყო, გადაღებებს ღამით ვიწყებთ. ბოლო დღეს, ყველამ დავცალეთ სასტუმროს ნომრები და გადაღებაზე ბარგით მივედით: დამთავრდებოდა თუ არა, ყველანი ჩვენ-ჩვენს, ქვეყანაში წავიდოდით. ყველას გაქვთ ალბათ ნანახი, ცირკში ცხენების მომთვინიერებელს, მათრახი რომ უჭირავს. სწორედ ის მათრახი უნდა დამეჭირა საფინალო სცენაში. ეკვილიბრისტმა გამაფრთხილა: დაბლა არ მოიქნიო, თორემ პირდაპირ თვალში მოგხვდებაო. შევასრულე მისი დარიგება, მაგრამ ბოლო კადრის წინ, ჩამოვჯექი არენაზე, ყურადღებით შევათვალიერე მათრახი და გავიფიქრე: დაბლა რომ მოვიქნიო, ნუთუ მართლა თვალში მომხვდებამეთქი?! ვსინჯე და ვერ მივხვდი, რა მომივიდა: ვიგრძენი რაღაც კატასტროფა — თითქოს ყველაფერი ჩამომენგრა თავზე... გამაქანეს საავადმყოფოში. მილიმეტრზე ნაკლები მანძილით ასცდა გუგას, თორემ გათავებული იქნებოდა შენი საქმეო, — მითხრა ექიმმა. ცხადია, თვალი საშინლად დამისივდა და გამიშავდა... მაინც გაგრძელდა გადაღება: ისე მიღებდნენ, რომ

კინოში კი არ ვიმუშავე — ვიმოგზაურე

ჩალურჯებული თვალი არ გამომჩენოდა.

— რატომ მოიქეცით ასე? ცნობისმოყვარეობამ გძლიათ?

— ცნობისმოყვარეც ვარ, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, მაშინ ასე რატომ მოვიქეცი, ცხადია, რომ მას შემდეგ ასტიგმატიზმი მაქვს.

— ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა გადაღებების დროს მარცხი მოგივიდათ?

— მეორე შემთხვევაც მქონდა. ირაკლი კვირიკაძე იღებდა ფილმს — „მოცურავე" და ნოემბერში, ბათუმიდან მახინჯაურამდე მაცურავა. ირაკლიმ მითხრა: დროდადრო, წყლიდან ტივზე ამოდიო. მაგრამ წყლიდან თუ ამოვიდოდი, უკან ჩასვლას ვეღარ შევძლებდი... ცხადია, ბათუმში გაზრდილმა კაცმა ცურვა კარგად ვიცოდი. მოიტანეს არაყიც, რომ გავხურებულიყავი. არ გავცივებულვარ. უბრალოდ, მას შემდეგ ყური მაწუხებს, ასე რომ, თითო თვალი და ყური გადაღებებს შევწირე.

— პრეტენზიული თუ ხართ, როგორც მსახიობი?

— მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, ათ ფილმზე მეტში ვითამაშე. როცა სხვა ქვეყანაში მიწვევენ, ბევრს არაფერს მოვითხოვ — არ მინდა აპარტამენტები, მაგრამ ჩემს ნომერში აუცილებლად უნდა იყოს ცხელი წყალი და სიმშვიდე — ე.ი. ნომერში მარტო უნდა ვცხოვრობდე; გადაღებებიდან დაღლილი რომ მივალ, ტელევიზორი ჩავრთო, გავიგო, რა ხდება ქვეყანაზე და დავისვენო. ■

ცნობისმოყვარეც ვარ, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, მაშინ ასე რატომ მოვიქეცი...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ხვლიკ პანგოლინს კუჭში აქვს კბილები.

2. სპარსეთს, ირანი ოფიციალურად 1935 წელს ეწოდა.

3. აზიურმა მაკაკებმა ცურვა და წყალში ყვინთვა იციან.

4. რონალდ რეიგანი ფეხსაცმლით მოვაჭრის ოჯახში დაიბადა.

5. კომპოზიტორ ბრამსს ძალზედ უყვარდა უწმაწური ამბების მოყოლა.

6. ტატუირება მსოფლიოს მრავალ ხალხში ქვის ხანიდან იყო გავრცელებული.

7. „ქალებს ჩვენ ჩვენი ნაკლოვანებების გამო ვუყვარვართ“, — წერდა ოსკარ უაილდი.

8. არც ბაირონამდე, არც ბაირონის შემდეგ, ერთი პოეტის მიმდინარეობა არ შექმნილა.

9. ჩინეთის კედელი ერთადერთი ნაგებობაა დედამიწაზე, რომელიც კოსმოსიდან მოჩანს.

10. დაუჯერებელია, მაგრამ ბასტილიის ციხეში ერთხელ, ფრანგული ენციკლოპედიაც მოხვდა.

11. ბროშურა „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“ ფილიპე მახარაძემ ახალგაზრდობაში გამოსცა.

12. „პერვი სროკ ატბივალ ია ვ უტრობე“, — ამბობს ვლადიმირ ვისოცკი ერთ-ერთ თავის სიმღერაში.

13. პატარა ხელეურს, რომელსაც მკის დროს, გამვლელს მიართმევდნენ ბარაქის ნიშნად, წკიპარტი ერქვა.

14. ხელყუმბარა პირველად, XVI საუკუნეში გამოიგონეს. P.S. „გრანატა“ იტალიური სიტყვაა და მარცვლოვანს ნიშნავს.

15. ლექსი „იქ, სადაც რბის ალაზანი“ — ალექსანდრ გრიბოედოვის დაწერილია. ტრაგედია „ქართული ღამე“ პოეტს დაუმთავრებელი დარჩა.

16. XVII საუკუნის 30-იან წლებში, იაპონიაში უცხოელთა ჩასვლა აიკრძალა. თავად იაპონელებს კი, ქვეყნის დატოვება აეკრძალათ.

17. ცნობილი ფსიქიატრის დავიდ ჰომბურგის აზრით, ფსიქიატრთათვის ყველაზე დიდი გამოცანაა, თუ როგორ ახერხებს ადამიანთა უმრავლესობა სრულ ჭკუაზე დარჩენას.

18. ოფიციალური განცხადება ჩერნობილის ავარიის შესახებ საბჭოთა კავშირმა მხოლოდ კატასტროფიდან რამდენიმე კვირის შემდეგ გააკეთა. P.S. ატმოსფეროში გაზრდილი რადიაცია პირველად შვედებმა

ინტერნეტ-ჩეტი

ახალი საფრთხე ახალგაზრდებისათვის

„ჩემი ძმა ვირტუალურმა სიყვარულმა მოკლა...“

ლიკა ლუბენეცი

ბოლო წლებში, ინტერნეტმა ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ინტერნეტი, ვისთვის უზარმაზარი ინფორმაციული სივრცეა, ვისთვის კი — მხოლოდ გასართობი ან უბრალოდ, ადამიანებთან ურთიერთობის ახალი საშუალება. „ჩეტ“ ინგლისურად „ლაქლაქს“ ნიშნავს. ამავე სახელწოდებას ატარებს ე.წ. ვირტუალური ოთახები, საიდანაც ინტერნეტ-მომხმარებლები ერთმანეთს ესაუბრებიან. სტატისტიკის მიხედვით, 13-დან 25 წლამდე ასაკის ყოველი მეექვსე თბილისელი, კვირაში 20 საათზე მეტს „ჩეტ-საუბრებს“ უთმობს. ინტერნეტში პარტნიორის პოვნა ძალზედ იოლია — ქსელით ხომ ყოველდღიურად, მილიონობით ადამიანი სარგებლობს. უხილავ თანამოსაუბრეებს შორის, ხშირად იბმება ვირტუალური მეგობრობა, სიყვარული, ხოლო ზოგი, ვირტუალური სექსითაც კი ერთობა... ვირტუალური საუბრები მით უფრო მიმზიდველია, რადგან თანამოსაუბრეებს ერთმანეთისადმი არავითარი ვალდებულება არ ეკისრებათ: ორივე მხარეს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მათი ურთიერთობა მხოლოდ თამაშია. მაგრამ ვაი, რომ ზოგ შემთხვევაში, ეს, ერთი შეხედვით უტყუარი ჭეშმარიტება მცდარი აღმოჩნდება და სავალალო შედეგის მომსწრენი ვხდებით ხოლმე...

ამაში თავად დავრწმუნდი, როცა სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, გარკვეული პერიოდის მანძილზე, ინტერნეტ-ჩეტების აქტიური მონაწილე გავხდი და შემთხვევით, ერთი ვირტუალური სიყვარულის შესახებ შევიტყვე, რომელიც რეალური ტრაგედიით დასრულდა. ერთ-ერთმა ჩემმა ახალშეძენილმა ნაცნობმა (პირობითად სოფო დავარქვათ) თავისი ძმის ამბავი მომიყვა, რომელმაც ღრმად ჩამფიქრა იმაზე, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს ერთი შეხედვით უვნებელი ჩეტფლირტი. გადავწყვიტე, სოფოს პირადად

შევხვედროდი. ინტერვიუზე ის მხოლოდ იმ პირობით დამთანხმდა, თუ ინკოგნიტოდ დარჩებოდა...

— გიორგი, ჩემი საყვარელი ძმა, ძალიან კეთილშობილი და გულისხმიერი ბიჭი იყო. რამდენიმე წლის წინ, როდესაც მამა გარდაგვეცვალა, ოჯახის პრობლემები მთლიანად მან იტვირთა. დედა უმუშევარი იყო, მაშინ არც მე ვმუშაობდი და ორივე, გიორგის კისერზე ვიყავით... ორი წლის წინ, ჩემს ძმას რუსეთში შესთავაზეს სამსახური და მთელი ოჯახი მოსკოვში გავემგზავრეთ.

— **სად მუშაობდა გიორგი?**

— ერთ-ერთ კომპიუტერულ ფირმაში. თავისი სამსახურის გამო, ხშირი შეხება ჰქონდა კომპიუტერთან და ინტერნეტთან. თავიდან ინტერნეტით მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებისთვის სარგებლობდა. მაგრამ ერთხელ, თანამშრომელმა ურჩია — ჩეტში შედი, კარგად გაერთობი და იხალისებო... თვითონაც ჩეტის ხშირი სტუმარი იყო და ამბობდა, რომ ვირტუალური გზით ძალიან ადვილია გოგოს შებმა...

— **გიორგის მეგობარი გოგონა არ ჰყავდა?**

— იმ მომენტისთვის, როდესაც ეს ამბები დატრიალდა, სერიოზული ურთიერთობა არავისთან ჰქონდა, მაგრამ ისე, გოგონები ხშირად ურეკავდნენ ხოლმე: ძალიან სიმპათიური ბიჭი იყო. თუმცა, არასდროს ჰქონია „თავში ავარდნილი“ ის, რომ ბევრი თაყვანისმცემე-

ლი გოგონა ჰყავდა. უყურადღებოდაც არავის ტოვებდა. მე დღემდე არ მესმის, საერთოდ, რატომ დაინტერესდა ჩეტით — ქალების ყურადღება ნამდვილად არ აკლდა... თავიდან, უბრალოდ ერთობოდა და უფრო იმიტომ დაინტერესდა. შედიოდა ჩეტში, რომ ინტერნეტის მეშვეობით თავის თბილისელ მეგობრებს დაჰკონტაქტებოდა. მერე, ვირტუალურმა სამყარომ ნელ-ნელა ჩაითრია. ერთხელ კი, გაიცნო გოგონა — თამუნა, რომელსაც თავიდან, ისევე ესაუბრებოდა, როგორც ყველა დანარჩენს: მსუბუქი ფლირტი, ხუმრობა... მაგრამ თანდათან შეამჩნია, რომ კომპიუტერთან სულ უფრო და უფრო მეტ დროს ატარებდა. რამეს თუ ეკითხავდი, სულ იმით იმართლებდა თავს, რომ ხან სამსახურში იყო დატვირთული და საქმის დამთავრებას ვერ ასწრებდა, ხან ახალი ვებ-გვერდი ჰქონდა გასაკეთებელი... მაგრამ მივხვდი, რომ იტყუებოდა — სინამდვილეში, თამუნასთან საუბრებში ატარებდა ღამეებს.

— **თამუნაც მოსკოვში ცხოვრობდა?**

— არა, თამუნა თბილისში იყო. როგორც მაშინ გიორგის ეუბნებოდა, მშობლები გარდაცვლილი ჰყავდა და უფროს ძმასთან ერთად ცხოვრობდა... ერთხელ, სატელეფონო ანგარიშზე მოგვივიდა ძალიან დიდი თანხა. საუბრების ძირითადი ნაწილი ჩემთვის უცნობ აბონენტთან კონტაქტით იყო დაგროვილი. გამიკვირდა და გიოს ვკითხე: ამდენ ხანს ვის ელაპარაკები-მეთქი? რაღაცა გაურკვევლად ჩაიბურტყუნა და აღარ ჩავაცივდი, მაგრამ მივხვდი, რომ თამუნას ნომერი იყო. თან ვერ მეუბნებოდა — რცხვენოდა, რომ ამდენ დროს უთმობდა გოგოს, რომელიც რეალობაში თვალით არ ჰყავდა ნანახი და ფაქტობრივად, არც იცნობდა... მაშინ ეს ძალიან არ მესიამოვნა, რადგან გამოდიოდა, რომ გიორგი თითქოს აღარ მენდობოდა, მანამდე კი, თითქოს ჩვენ ერთმანეთს არაფერს ვუმალავდით... საერთოდ, იმ პერიოდისთვის, ძალიან შეიცვალა; შინ მოვიდოდა თუ არა, უცებ კომპიუტერს მიუჯდებოდა და მთელ ღამეებს ათენებდა. აღარც დისკოთეკებზე დადიოდა, მეგობრებსაც იშვიათად ხვდებოდა...

— **არ გიცდიათ, ძმას პირდაპირ თამუნაზე დალაპარაკებოდით?**

— დალაპარაკება მაშინ გადავწყვიტე, როდესაც საკუთარი დაბადების დღეც კომპიუტერთან გაატარა. მეგობრები ურეკავდნენ, სადმე წავიდეთო, — სთხოვდნენ, — გიო კი პასუხობდა: არ მცალიაო. მივუჯექი და ვკითხე: გიორგი, რა გემართება? ბოლო დროს, ძალიან შეცვლილი ხარ, ყველას შენი ყურადღება მოგვაკლდა, დღე და ღამე ინტერნეტში ხარ-მეთქი. სწორედ მაშინ მითხრა სიმართლე. პასუხი რომ მოვისმინე, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: სოფო, იცი, მგონი, შეყვარებული ვარო, — მითხრა. — ვისზე-მეთქი? — რომ გითხრა, არ დამცინებ? ხომ იცი, ერთ გოგოს ვესაუბრები ინტერნეტით, თამუნა რომ ჰქვია — აი, იმაზეო... რა თქმა უნდა, ძალიან გამიკვირდა: კი, მაგრამ ის ხომ ნანახიც არ გყავს და როგორ-მეთქი? — აი, ასე, რა — აუცილებლად ხორციელად უნდა მიყვარდეს? — ძალიან კარგად ვუგებთ ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ამხელა მანძილი გვაშორებსო, — და დასძინა: ვიცოდი, რომ ვერ გამიგებდი; თუ ვერ მიგებ, შემეშვიო...

— **გიორგის მეგობრებმა იცოდნენ მისი გატაცების შესახებ?**

— მეგობრებთან ყოველთვის გულგახსნილი იყო, ამ შემთხვევაში კი — არა. ყველას უმალავდა. თავად განსაჯეთ: სერიოზული, 23 წლის ახალგაზრდა ბიჭი უცებ, ვირტუალური სიყვარულით დასნეულდა! თან — როგორ!.. მერე, იმ გოგოსთვის საჩუქრების გაგზავნაც დაიწყო. ალბათ ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ძალიან ბევრ ფულს ხარჯავდა. ადრე, რამდენიც არ უნდა მეთხოვა ძმისთვის, უარს არ მეუბნებოდა, ბოლო პერიოდში კი, თამუნას ისეთ ძვირად ღირებულ საჩუქრებს უგზავნიდა, რომ ფული ფაქტობრივად აღარ რჩებოდა და მე თუ ვთხოვდი, მეუბნებოდა, არ მაქვსო...

— **რა საჩუქრებს უგზავნიდა?**

— ძვირფას ბეჭდებს, სამკაულებს, ულამაზესი ყავილების თაიგულებს, უბრალოდ სუვენირებს. ბოლოს, კომპიუტერიც კი უყიდა. მანამდე, ერთი კვირა, სულ აღგზნებული, აგრესიულიც კი იყო. რომ ვკითხე — რა მოხდა-მეთქი? — მიპასუხა: თამუნას კომპიუტერი გაუფუჭდა, თავისი არ ჰქონია. ახლა ამ ამბავს პატრონს ვერ ეუბნება; ფულს ვაგროვებ და ახალი მე უნდა ვუყიდოო... კომპიუტერის ყიდვას, დიდი თანხების გაგზავნაც მოჰყვა: ერთხელ, ატირებულმა თამუნამ დაურეკა და უთხრა: ჩემი ძმა ავტოკატასტროფაში მოყვა და არ ვიცი, რა ვქნა — ოპერაციისთვის ფული მჭირდებაო. რა თქმა უნდა, ჩემმა ყურებამდე შეყვარებულმა ძმამ მაშინვე იშოვა ფული და გაუგზავნა. სხვათა შორის, მაშინ, თავისი მობილური ტელეფონი ჩადო ლომბარდში... ამის შემდეგაც სისტემატურად უგზავნიდა ფულს.

— **დედათქვენი რას ამბობდა ყველაფერ ამაზე?**

— დედამ არ იცოდა. რომც სცოდნოდა, რა უნდა ეთქვა? გიოს არასდროს არაფერს უშლიდა და საკუთარი შრომით მოპოვებული ფულის ხარჯვას ხომ ვერ აუკრძალავდა?!. რამდენჯერმე, გიოსა და თამუნას სატელეფონო საუბრის მოწმე გავხდი, ვერ წარმოიდგენთ, როგორ ესიყვარულებოდა... სულ იმ შეხვედრაზე ელაპარაკებოდა, რომელიც მათ წინ ელოდათ... ერთხელაც, ყური მოვკარი ფრაზას: ჩემი ცოლი როცა გახდებიო... მაშინ ვიფიქრე: სმენამ ხომ არ მიღალატა-მეთქი? გიოს ვკითხე, მართლა თუ აპირებდა თამუნას ცოლად მოყვანას? — აუცილებლად მოვიყვანო, — მიპასუხა. რომ შეხვდე და არ მოგეწონოს-მეთქი? — ეგ გამორიცხულია;

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

აღმოაჩინეს და განგაში ატეხეს.

19. სახელგანთქმული ბრაზილიელი მწვრთნელი ვისენტე ფეოლა თავის დროზე, პარიკმახერად მუშაობდა.

20. „შუა საუკუნეების უკანასკნელი და ახალი დროის პირველი პოეტი“ — ამ სიტყვებით მოიხსენიებდა ენგელსი დანტე ალიგიერის.

21. პეიზაჟის ხატვისას, კლოდ მონე ცდილობდა, ბუნების ერთსა და იმავე სურათზე დღის განმავლობაში მომხდარი ფერთა ცვლა გამოესახა. მზე გადადიოდა და ფერები განუწყვეტლივ იცვლებოდა. სანამ მხატვარი მოლბერტზე ტილოს დაამაგრებდა, ფერები უკვე სხვა იყო. მონე შეუსვენებლად ხატავდა. დღის ბოლოს, მას უამრავი ნახატი უგროვდებოდა და საღამოს, უკვე ტილოების გროვაში იქექებოდა. ერთხელ, გაბრაზებულმა, ეს ნახატები წყალში გადაყარა, მაგრამ დროულად მოეგო გონს და უკან ამოიღო.



22. რუსი მსახიობი რიჟენსკი ფრანგ მოქანდაკეს, როდენს უწევდა პოზირებას. როდესაც პარიზის ელიტისათვის ცნობილი გახდა, რომ როდენი პარიზში ჩასული რუსული თეატრის პირველივე სპექტაკლს დესწრო, რომელშიც რიჟენსკი მონაწილეობდა, დაირხა ხმები, თითქოს როდენი არაერთგვაროვანი სექსუალური ორიენტაციით გამოირჩეოდა. ამ ხმებმა თავად როდენამდეც მიაღწია. იგი ისე გამწარდა, რომ ტირილი დაიწყო — ახლა პედერასტს დამიძახებენო.

23. ახლო წარსულში, მოსკოვში გამოვიდა მეშვიდე კლასელთათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო საზოგადოებათმცოდნეობაში. სახელმძღვანელოს ერთ-ერთ თავში ვლადიმირ ჟირინოვსკის მიერ ჩადენილი სამი ქმედება არის აღწერილი და აღნიშნულია, რომ ეს ადამიანი ამ ქმედებებისთვის ჯერაც არ დასჯილა. ზემოთ ხსენებული თავი ხულიგნობას ეხება.

24. „ლიტერატურა, ხალხის ჭკუა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია, მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბღავენის, აღარა ბღავენოს, რადგან იგინი თავის ბღავენითა ამდაბლებენ ჩვენს ენას. ამას ვითხოვთ ხალხის სახელითა და ხალხისვე სახელის დაცვისათვის“, — წერდა ილია ჭავჭავაძე.

თამუნაც უკვე თანახმაა ჩემს ცოლობაზეო.

— **რამდენ ხანს გრძელდებოდა მათი ვირტუალური ურთიერთობა?**

— ოთხი თვე. ალბათ არ გჯერათ, ხომ? გგონიათ, რომ გიორგი არანორმალური იყო? თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, მსოფლიოში ვირტუალური სიყვარულის რამდენი შემთხვევაა. თანაც, ცალკეულ შემთხვევებზე კი არ გელაპარაკებით — ვირტუალური სიყვარული უკვე ნამდვილი სენია! ადამიანები, რომელთაც რაღაც აკლიათ რეალურ ცხოვრებაში, იმ მორალურ დანაკლისს ვირტუალურში ეძებენ... ოღონდ, ჩემი ძმა რას ეძებდა იქ, ეს დღემდე ვერ გამიგია. მართლა შეყვარებული იყო, თამუნათი ცხოვრობდა! კედელზე მისი სურათები ჰქონდა გაკრული. იმ წელს, თამუნა სასწავლებელს ამთავრებდა; გიორგი ეხმარებოდა, როგორც შეეძლო — შოულობდა და უგზავნიდა იშვიათ წიგნებს, უწერდა საკურსოებს და ბოლოს, დიპლომიც დაუწერა, რომელშიც თამუნამ უმაღლესი ქულა მიიღო.

— **ასე თუ უყვარდა გიორგის თამუნა, ოთხი თვის მანძილზე თბილისში ჩასვლა რატომ ვერ მოახერხა?**

— როდესაც თამუნამ წარმატებით დაიცვა დიპლომი, გიორგიმ შეატყობინა, რომ ზაფხულში თბილისში ეახლებოდა. ძალიან უხაროდა. მერე, ერთ მშვენიერ... თუ უბედურ დღეს, შინ დაბრუნებულს საოცარი სურათი დამხვდა: გიორგის თავი ხელებში ჩაერგო და კომპიუტერთან ჩასძინებოდა. მაგიდაზე კი, თითქმის ცარიელი, ვისკის ბოთლი იდგა. ძალიან გამიკვირდა: ვერ ვიტყვი, რომ გიორგი სასმელს არ ეკარებოდა, მაგრამ ამდენი არასდროს დაულევია. გავაღვიძე, რომ საძინებლამდე მიმეყვანა. ზედმეტი კითხვებისგან თავი შევიკავე, მაგრამ უეცრად, თვითონ ჩამეხუტა და ატირდა. „სოფო, მიშველე რამე, რა ვქნა? — თამუნამ მითხრა, აღარ მიყვარხარო; თავს მოვიკლავ, თავს მოვიკლავ!!!“ — იმეორებდა გამწარებული. იმ მომენტში, მისი სიტყვები სერიოზულად არ მიმიღია — ნასვამია-მეთქი, ვიფიქრე...

— **აღარ უცდია თამუნასთან დაკონტაქტება?**

— ყოველდღე ურეკავდა, ელექტრონული ფოსტით წერილებს უგზავნიდა. თამუნა რამდენჯერმე დაელაპარაკა და აუხსნა, რომ თბილისში გაიცნო ბიჭი, რომელიც შეუყვარდა რეალურად და არა — ვირტუალურად. უკვე ერთია თვეა, რაც ერთად ვართ, მაგრამ ვერ გეუბნებოდი, რადგან არ მინდოდა, რომ გული გტკენოდაო და გიორგის სთხოვდა: ნუღარ მირეკავ, ჩემს შეყვარებულს არ სიამოვნებსო... სამ დღეში, ჩემი ძმა საბაზანოში ვიპოვეთ ვენებგადაჭრილი... კიდევ კარგი, რომ სანამ „სასწრაფო“ მოვიდოდა, სისხლის შეჩერება შევძელი! ექიმმა თქვა: ეს რომ არ მოგეხერხებინა, ვერ გადავარჩენდითო. ამ შემთხვევის შემდეგ, რა თქმა უნდა, დედას ვეღარ დავუმალავდი გიოს თვითმკლელობის მცდელობის მიზეზს. დედას ნერვული სტრესი დაემართა, ეხვეწებოდა გიოს: ფსიქიატრთან წავიდეთო... მეგობრებმაც გაიგეს ყველაფერი. ეგონათ, რომ გიო ჭკუიდან შეიშალა: ტარიელი მივჯნურობამ გააშმაგაო... მაგრამ საშინელება ჯერ კიდევ წინ იყო: გიომ, ცხოვრებაში პირველად, ნარკოტიკების მიღება დაიწყო... გავიდა ერთი თვე და თბილისში გამგზავრება გადაწყვიტა: მაინც უნდა ვნახო თამუნა, იქნებ, როგორმე შევირიგოო.

— **თამუნას შეატყობინა თავისი ჩამოსვლის შესახებ?**

— არა. მისამართი იცოდა... ნეტავ, შემეჩერებინა მაშინ!.. თითქოს გულმა მიგრძნო მოსალოდნელი უბედურება და ვთხოვე: მეც წამიყვანე თბილისში, ბებია მომენატრა-მეთქი. უარი არ უთქვამს და თან წამომიყვანა. იმ დღეს, როცა თამუნას სანახავად წავიდა, ვნერვიულობდი, ვერ ვისვენებდი. უკანასკნელად ვცადე, შემეჩერებინა, მაგრამ რა აზრი ჰქონდა?.. ორ საათში, ჩემი ძმა დაბრუნდა. კარი რომ გავუღე, გულს შემომეყარა, ისე გამოიყურებოდა: ტუჩი — გახეთქილი და დასისხლიანებული, მაისური შემოხეული ჰქონდა... შემოვიდა და იქვე, კართან ჩაიკეცა; ძალიან ჩუმად, მაგრამ გარკვევით მითხრა: „არასდროს... გესმის — არასდროს არავინ არ გაიცნო ინტერნეტით! რა იდიოტი ვიყავი, თურმე რა ტრიალებს სამყაროში — მე კიდევ, ამაღლებულ გრძნობებზე ვფიქრობდი... მაგრამ მაინც მიყვარს, მიყვარს და რა ვქნა?!.“ — და მიამბო თავისი სასიყვარულო ამბის სევდიანი დასასრული. თამუნასთან მისულს, ახალგაზრდა ბიჭმა გაულო კარი. ვინ გნებავთო? — ჰკითხა. გიომ უთხრა: თქვენ ალბათ ნოდარი ხართ, თამუნას ძმაო... — მე ნოდარი — ვარ თამუნას მეუღლეო, — უპასუხა მან, — თქვენ თვითონ ვინ ხართ და რა გნებავთო? — დაბნეულ გიოს ელდა ეცა: მეუღლეო?! — ამ დროს, შემოსასვლელში ახალგაზრდა გოგონა გამოჩნდა და გიომ თამუნა იცნო. — თამუ, გიო ვარო! — შესძახა ჩემმა ძმამ. გაკვირვებულმა გოგომ იკითხა: რომელი გიოო? — მერე სახეზე დააკვირდა და იცნო: — ა-ა, გიო... მერე, აქ რა გინდაო? — ჰკითხა განცვიფრებულმა... რა მოხდა ამის შემდეგ, დეტალებში აღარ მოვყვები. იმ ლაპარაკს, თამუნას ქმრისა და გიოს შეტაკება და ცემა-ტყეპა მოჰყვა... „ობოლი“ თამუნა, 21 წლის გათხოვილი ქალი აღმოჩნდა, რომელმაც ფულის შოვნის იოლი ხერხი მოიფიქრა: ინტერნეტით პოულობდა შესაბამის კანდიდატებს და, ქართული ჟარგონით რომ ვთქვათ, „აგოიმებდა“ მათ. კანდიდატს არჩევდა ფინანსური მდგომარეობის მიხედვით, და რა თქმა უნდა — ხასიათის მიხედვითაც: ნებისმიერი კაცი ხომ არ წამოეგებოდა მის ანკესზე... სიმართლე რომ ვთქვათ, გიორგის შემთხვევის გარდა, მხოლოდ ერთხელ გამართლებია, რადგან ვირტუალურ მზეთუნახავზე შეყვარებული ბიჭები მის დაფინანსებას არ ჩქარობდნენ... იმ საღამოს, თამუნამ გიორგის უთხრა: თავი დამანებე, ქმარი მყავს; რა ჩემი ბრალია, თუ ვერ გაიგე, რომ გეკაიფებოდიო?!. გიორგის მონაყოლის გარდა, თამუნას ოინების შესახებ შევიტყვე ჩეტიდან, რომელსაც ვესტუმრე და პატარა გამოძიება ჩავატარე...

— **თამუნას მეუღლე რა აზრის იყო ცოლის გართობის ხერხზე?**

— არ ვიცი. მგონი, იცოდა... ზუსტად ვერ გეტყვი... ნორმალური ქმარი ასეთ რამეს მოითმენდა?.. იმ საღამოს, გიორგიმ მითხრა: მანქანით უნდა გავისეირნო, მინდა გადავხარშო ყველაფერიო. სანამ წავიდოდა, ცოტა ხნით საბაზანოში ჩაიკეტა. მერე, უკვე წასული რომ იყო, სანაგვე ყუთში შპრიცი ვიპოვე და მივხვდი, რომ ისევ ნარკოტიკი შეუშვა ვენაში. ეგ რომ მცოდნოდა, მარტოს არ გავუშვებდი... გიო ეზოში ჩავიდა და ავტოფარეხიდან ბაბუის მანქანა გამოიყვანა. მაშინ ჩემი ძმა უკანასკნელად ვნახე ცოცხალი: რამდენიმე საათში, ბაბუაჩემს დაურეკეს და შეატყობინეს, რომ გიო მცხეთის გზაზე მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა... მორჩა, კითხვებს ნუღარ მისვამ — რისი მოყოლაც შემეძლო, მოვყევი... ეს მხოლოდ იმიტომ გავაკეთე, რომ ვინმე, გიორგის მსგავს სიტუაციაში არ აღმოჩნდეს...

P.S. ოფიციალურად, გიორგის სიკვდილის მიზეზად, ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მანქანის მართვის შედეგად მომხდარი ავარია გამოცხადდა. მაგრამ სოფო დარწმუნებულია, რომ გიო შეგნებულად გამოესალმა სიცოცხლეს. თუმცა, რა მოხდა სინამდვილეში, ვერასდროს შევიტყობთ. მაგრამ ფაქტია, რომ ტრაგედიის საფუძვლად ვირტუალური სიყვარული იქცა; მან გააღვიძა ადამიანში იდეალი, რომელიც მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებობდა და ძალზედ შორს იდგა რეალობისაგან... ამიტომ, არასდროს უნდა დაგავიწყდეს: ინტერნეტ-ჩეტი, ვირტუალური სიყვარული, მხოლოდ ილუზია და თამაშია... ■

სუსტი სქესი „შიფის“ ძლიერ ვიტამინებს ირჩევს

ძვირფასო ქალებო, შეინარჩუნეთ ახალგაზრდობა და მიმზიდ-ველობა, გვერწმუნეთ – ეს მეტად ესაჭიროებათ ძლიერი სქესის წარმომადგენლებს, რადგან თავი უფრო ძლიერებად იგრძნონ. კომპანია „შიფ“-ი და მისი ექსკლუზიური ვიტამინები ცხოვრებ-ისეული ჰარმონიის გარანტიას გაძლევენ!

დღესდღეობით, რთული ეკოლოგიური მდგომარეობის, მუდმივი სტრესისა და დატვირთვის, ჰიპოდინამიის, ქრონიკული უკმარისობის ეპოქაში, ჩვენს ორგანიზმს მეტად ესაჭიროება მხარდაჭერა. ამ ფაქტორების გამო, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაში ქალის ორგანიზმია. ორსულობისა და მეძუძურობის პერიოდში სერიოზული დატვირთვები და ზოგადად, სამყაროსადმი ქალის ემოციური დამოკიდებულება მენსტრუალური ციკლისა და ჰორმონალურ დარღვევებში, აგრეთვე ნაადრევი კლიმაქსით ვლინდება. თანამედროვე ქალბატონის ორგანიზმი ხშირად კრიტიკულ სიტუაციებში ვარდება, როდესაც მას მთელი ძალისხმევის გამოყენებით მუშაობა და დატვირთვა უწევს. სწორედ ასეთ მდგომარეობაში დაგვეხმარებიან იუჯინ შიფის ნატურალური (არაჰორმონალური) პრეპარატები.

ამერიკული კომპანია „შიფ“-ი და ფირმა „ჯეოვიტი“ წარმოგიდგენთ პრეპარატების ხაზს ქალბატონებისთვის:

„პმს-სისტემა“ – პრემენსტრუალური სინდრომის რეგულატორი, ამ პერიოდში ქალის ორგანიზმში წარმოქმნილი ჰორმონალური დისბალანსის კომპენსირებას ახდენს. სისტემა ორი ფლაკონისგან შედგება: 1. ვიტამინებისა და მინერალების კომპლექსი: შეიცავს ვიტამინებისა და მინერალების კომბინაციას, რომელიც არეგულირებს ენდოკრინული სისტემის ფუნქციონირებას; 2. მცენარეული ექსტრაქტების კომპლექსი — ხელს უწყობს პრემენსტრუალურ პერიოდში ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური ვეგეტატიური გამოვლინებების ნორმალიზაციას.

„პრენატალი“ – უზრუნველყოფს საკვერცხეების ფუნქციის ნორმალიზაციას, ხელს უწყობს ნაყოფის განვითარებას მისი მუცლად ყოფნის დროს, აგრეთვე დაბადების შემდეგაც, დედის რძესთან ერთად საჭირო ვიტამინებისა და მინერალების მიღებით. რეკომენდირებულია: ქალებისთვის, რომლებიც დედობისთვის ემზადებიან, ორსულებისთვის, მეძუძური დედებისთვის.

„მენოპაუზ-სისტემა“ — კლიმაქტერული პერიოდის რეგულატორი. პრეპარატი რეკომენდებულია ქალებისთვის 35-50 წლის ასაკში, მენოპაუზის მოახლოების პერიოდში, არარეგულარული მენსტრუაციების შემთხვევაში, რეპროდუქციული ფუნქციის სტიმულაციისთვის, აგრეთვე მენსტრუაციის სრული შეწყვეტისას, ე. ი. ჰორმონების სინთეზის მკვეთრი დაქვეითებისას. სისტემა ორი ფორმულისგან შედგება. ფლაკონი 1: ვიტამინებისა და მინერალების ფორმულა წარმოდგენილია ქალისთვის სპეციფიური მენოპაუზის პერიოდში ყველა საჭირო ვიტამინისა და მინერალის ოპტიმალური კონცენტრაციით. ფლაკონი 2: მცენარეული ექსტრაქტების ფორმულა. შეიცავს აქტიურ ნივთიერება — ფიტოესტროგენს, რომელიც ქალის ორგანიზმში ესტროგენების დეფიციტს აკომპენსირებს.

„B-სტრესი“ – B ჯგუფის ვიტამინების, ჟენ-შენისა და კოენზიმების ოპტიმალურად შერჩეული კომბინაცია. ხელს უწყობს ნეირონის სტრუქტურის შენარჩუნებას. როგორც ენერჯაიზერი, ენერგოსტიმულაციას განაპირობებს. ნატურალური კომპონენტების ამგვარი კომბინაცია იძლევა მისი გამოყენების საშუალებას: სტრესის მოსახსნელად, ნევრასთენიის, ნევროზებისა და დეპრესიებისას.

„ბრინ თი“ — სისტემა სხეულის ფორმირებას უწყობს ხელს. შესაბამისი პროგრამის დაცვით მიიღწევა რეალური შედეგები წონაში დაკლების, ენერგიის მომატებასა, და საერთოდ, ორგანიზმის გაჯანსაღებაში. მწვანე ჩაის აქტიური ნივთიერება აძლიერებს ორგანიზმის მეტაბოლიზმის ინტენსიობას, რის ხარჯზეც: 1. აკომპენსირებს ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებების დეფიციტს, რომელიც საკვების არასრულფასოვანი მიღებით ვითარდება; 2. აძლიერებს ცხიმების წვას და არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას; 3. მატულობს ენერგია, რომელიც გამომუშავდება ორგანიზმში დაგროვილი ცხიმებისა და საკვებიდან მიღებული კალორიების წვის შედეგად. **არ შეიცავს ეფედრინს!**

„სუპერკალციუმ 1200“ — კალციუმი აუცილებელია ძვლებისა და კბილების ნორმალური ზრდისთვის, კუნთოვანი ტონუსის რეგულირებისა და გულის კუნთის კუმშვადუნარიანობისთვის. აგრეთვე ხელს უწყობს ცენტრალური ნერვული სისტემის რელაქსაციას. განსაკუთრებით აქტუალურია ოსტეოპოროზის მკურნალობასა და პროფილაქტიკაში, რომელიც პროვოცირებულია დისჰორმონალური პროცესებით მენოპაუზის პერიოდში.

პრეპარატების შეძენა შეგიძლიათ მხოლოდ კომპანია „ჯეოვიტში“, სადაც გამოცდილი ექიმები კვალიფიციურ კონსულტაციას გაგიწევენ და სწორ დანიშნულებას შეგირჩევენ.

ჩვენ მზად ვართ თქვენი ცხოვრების ხარისხი გავაუმჯობესოთ!

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),
ვიტამინ-ცენტრი, კომპანია „ჯეოვიტი“,
ტელ/ფაქსი: 29-20-91; 899 10-99-20;
899 14-35-56.
(სამუშაო საათები 10-დან 18 საათამდე,
შაბათ-კვირის ჩათვლით)
R

მამა არასდროს არაფერში გვზღუდავდა მე და ჩემს დას

აფრიკული ბუნების არაბუნებრივი ფერები და ქაღრაკით განმტკიცებული სიყვარული

*საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ გემოვნებაზე არ დაობენ. მხატვარ **თამრიკო ფოცხიშვილს** კი მიაჩნია, რომ ადამიანები ყველაზე მეტს სწორედ გემოვნებაზე დაობენ. მისი, როგორც ქალის გემოვნების ჩამოყალიბებაში ძალიან დიდი როლი მამამ — პოეტმა მორის ფოცხიშვილმა შეასრულა. ყველაზე ძვირფასი ნივთებიც სწორედ ბატონი მორისის დატოვებული წიგნები და ნახატებია. თამრიკო აფრიკაში მოგზაურობაზე ოცნებობდა. ეს ოცნება მას მეუღლემ — მსახიობმა და რეჟისორმა გიორგი გურგულიამ აუსრულა. შინ აფრიკიდან ჩამოტანილი უამრავი ნივთი აქვს და ძალიან უყვარს, რადგან თითოეული რაღაც ამბავთანაა დაკავშირებული და კარგ განწყობას უქმნის. „როცა ამ ნივთებს ვუყურებ, მახსენდება: სადღაც არის ქვეყანა, სადაც ყველანაირი ფერი იმგვარადაა ერთმანეთთან შეხამებული, რომ ძალიან იშვიათია მხატვარი, რომელიც ამის წარმოდგენას შეძლებდა...“ — ამბობს თამრიკო. თავის საუკეთესო თვისებად თამრიკოს მიაჩნია ის, რომ თავშეკავებულია და შეუძლია ოქროს შუალედის პოვნა. „არსებობს თომას მანის გენიალური გამონათქვამი: „დოსტოევსკი, ოღონდ — ზომიერების ფარგლებში“. ყველაფერში ზომიერებას უნდა იცავდე“, — ამბობს მხატვარი.*

ნათია თენიეშვილი

— როგორც ამბობთ, თქვენი გემოვნების ჩამოყალიბებაზე ბატონმა მორისმა მოახდინა გავლენა...

— კი, მამა არასდროს არაფერში გვზღუდავდა მე და ჩემს დას. საბჭოთა საქართველოში ვცხოვრობდით და ნორმალური ტანსაცმელი თბილისში პრაქტიკულად არ იშოვებოდა. არც ჟურნალები იყიდებოდა და ვერც Fashion tv-ს ვუყურებდით. მამა ბევრს მოგზაურობდა და ჩემთვის და ბასასთვის ჩამოჰქონდა ტანსაცმელი და მოდის ჟურნალები. ყოველთვის გვეცვა ის, რაც მოდაში იყო ევროპაში. აქედან გამომდინარე, მან მოახდინა გავლენა ჩვენი გემოვნების ჩამოყალიბებაზე.

— ლიტერატურულ გემოვნებაზე რას იტყვით? ალბათ წიგნებსაც ბატონი მორისი გირჩევდათ.

— მირჩევდა, მაგრამ ყველა ახალგაზრდას ჰგონია, რომ მშობელზე მეტად, მეგობარს უნდა დაუჯეროს. ჩვენც ასე გვეგონა. ყველაზე კარგი, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა, არის ის, რომ მამაჩემის გემოვნება ემთხვეოდა ჩვენი თაობის გემოვნებას. იმ პერიოდში, როცა ჩვენ ვყალიბდებოდით, მოდაში იყო ეგზისტენციალური ლიტერატურა. პირველად მაშინ ითარგმნა რუსულად სარტრი, კამიუ და ამ მიმდინარეობის სხვა ავტორები. ამას ვკითხულობდით ჩვენც და მორისიც. ჩემ გვერდით იყო რამდენიმე მეგობარი და მამა, რომლებთანაც შემეძლო ამ თემებზე საუბარი. ბასა იმ პერიოდში ჩვენთან არ იყო — უმეტესად, ქუჩაში ფეხბურთის თამაშით იყო გართული და ცოტა მოგვიანებით შემოგვიერთდა.

— თქვენი შვილის გემოვნების ჩამოყალიბებაზე ვინ ზრუნავს?

— დათუნას გემოვნების ჩამოყალიბებაზე გავლენას ძირითადად, დეიდა და მამა ახდენენ. ბასას საზღვარგარეთიდან ჩამოაქვს მისთვის ტანსაცმელი, გიორგისგან კი, გადაღებული აქვს ფართხუნა, დიდ-ჯიბეებიანი, „ზანგური“ შარვლები. რა თქმა უნდა, MTV-ც მოქმედებს. ამას წინათ, ტელევიზორში ნახა ვარდისფერთმიანი პანკი მომღერალი. ბასა ბერლინში მიდიოდა და ვარდისფერი თმის საღებავი ჩამომიტანეო, — დააბარა. მამამისმა ეს რომ გაიგო, წარბი ასწია, პატარა ლექცია ჩაუტარა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს, როცა კაცს ვარდისფერი თმა აქვს და განზრახვაზე ხელი ააღებინა... მიხარია, რომ ლიტერატურის სიყვარული გენეტიკურად გადაეცა დათოს და ამას დაემატა ის, რაც კარგი აქვს ახალ თაობას — კომპიუტერი. თუმცა ვფიქრობ, რომ ზომიერების გრძნობა აქაც საჭიროა.

— ის კლიპები და სარეკლამო რგოლები, რომლის მხატვარიც თქვენ ხართ, მთლიანად თქვენი გემოვნებით არის გაკეთებული, თუ მომღერალსა და რეჟისორსაც უწევთ ხოლმე ანგარიშს?

გიორგი გურგულია და თამრიკო ფოცხიშვილი

გიორგიმ აღმოაჩინა ადამიანი, რომელსაც ჩვენთვის სხვადასხვა სოფლიდან ჩამოჰქონდა აფრიკული რიტუალური ნივთები – ნიღბები და ა.შ.

– თუ მუსიკალური რგოლია, მაშინ მომღერალზეა დამოკიდებული, თუ სარეკლამოა – მაშინ იმ პროდუქციაზე, რომლის რეკლამირებასაც ემსახურება. არ იქნება სწორი, რომელიმე კლიპში ჩემი შემოქმედების გამოფენა, რომ მოვაწყო. მაყურებელმა ის კი არ უნდა თქვას – რა კარგი მხატვრობაა! – უნდა იყვიროს: მთლიანობაში, აუ, რა მაგარიაო!.. მხატვრის მუშაობა აუცილებლად უნდა იყოს შეხამებული რეჟისორის გემოვნებასთან, რადგან პროდუქციის ავტორი, პირველ რიგში, მაინც რეჟისორია. მე მიწევს შუალედური ფუნქციის შესრულება. ვცდილობ, მოვერგო ყველას და თან ჩემიც გავიტანო.

— თქვენ კლიპებზე ბასასთან ერთად მუშაობთ ხოლმე, რეკლამებზე — გიორგისთან ერთად. ისინი როგორი რეჟისორები არიან? თვითონ თუ შეუძლიათ ოქროს შუალედის პოვნა და რაღაც დათმობებზე წასვლა?

– არ ვილაპარაკებ მათზე, როგორც ოჯახის წევრი, ამ შემთხვევაში ვილაპარაკებ, როგორც დამდგმელი მხატვარი. არც ერთი არ არის დამთმობი. ორივენი მაქსიმალისტები არიან. ისინი ოქროს შუალედს კი არა – „მაქსიმალურ ოქროს“ ეძებენ. მაგრამ რეჟისორი ალბათ ასეთიც უნდა იყოს. მუშაობის პროცესი მე წარმომიდგენია, როგორც გრძელი დერეფანი; ამ დერეფნის კედლებს გაძლევს რეჟისორი და ამით გსვამს ჩარჩოში; მთავარია – „ჭერი“ არ მოგცეს, რათა ფრენა შეგეძლოს... ეს არის ჩემი პრინციპი და თუ ამის საშუალება მაქვს, შედეგი ყოველთვის კარგია. უზომო და სრულიად თავისუფალი ვარ საკუთარი ნამუშევრის კეთებისას – მაშინ, როდესაც მე თვითონ ვარ ავტორი. ვჯდები, ვხატავ რაიმეს და ამ საქმეში ვერავინ გამაკონტროლებს.

— თამრიკო, თქვენი ოცნება იყო აფრიკაში მოგზაურობა. რა გავლენა მოახდინა მისმა ნახვამ და რა შეიცვალა თქვენში მას შემდეგ?

– შეცვლით არაფერი შეცვლილა. უბრალოდ აღმოჩნდა, რომ ის, რაც მიყვარდა თურმე ტყუილად არ მყვარებია. ის ფერები, რომელიც არაბუნებრივ ფერებად ითვლებოდა, მე ბუნებაში ვნახე – მაგალითად, მუქი იისფრის გვერდით, მკვეთრი ყვითელი და ა.შ. აფრიკაში ყოფნისას მე და გიორგი ხშირად ვდაობდით იმაზე, ნამდვილი იყო თუ ხელოვნური ესა თუ ის ყვავილი. ისეთი ფერები იყო, ვერაფრით ვიჯერებდი, რომ შეიძლებოდა ბუნებრივი ყოფილიყო. როცა ამის შესახებ ვეკითხებოდით ვინმეს, როგორც გიჟებს ისე გვიყურებდნენ: რას ჰქვია, ხელოვნურიო?!. იქ გიორგიმ აღმოაჩინა ადამიანი, რომელსაც ჩვენთვის სხვადასხვა სოფლიდან ჩამოჰქონდა აფრიკული რიტუალური ნივთები – ნიღბები და ა.შ. თავიდან, ცოტა შემეშინდა, მაგრამ ახლა, როგორც ხელოვნების ნიმუშები, ისე მილაგია სახლში. ზღვის ნაპირზე ვნახეთ ადამიანი, რომელიც კლავდა გველებს და მისგან ვიყიდეთ დედალი და მამალი პითონის ტყავი. ახლა ეს ტყავები ჩვენს ოფისში კიდია. აფრიკიდან წამოსულები, პარიზში ჩავედით. უამრავი რამ მოგვქონდა, ვერ ჩავატიეთ ჩანთებში და მე პატარა ქანდაკებები მქონდა გულზე ასხმული, გიორგის – ბედუინის ხმალი და ა.შ. ხალხი ისე გვიყურებდა, როგორც ველურებს. საზღვარზე მე გამატარეს, გიორგი კი გააჩერეს. მერე ვუთხარი: ჩემთან არის-მეთქი და გამოუშვეს. იქ ყოფნის დროს დავგეგმეთ მე და გიორგიმ ლათინურ ამერიკაში წასვლა. გავიგეთ, რომ იქ, რომელიღაც მთის წვერზე, ამზადებენ სპეციფიკურ ქუდებს. ჯერ დრო არა გვაქვს, მაგრამ აუცილებლად წავალთ. გიორგი ისეთი ტიპია, რომ იტყვის – გააკეთებს კიდეც: არც მე ვარ „გადამგდები“ ადამიანი *(იცინის)*...

— გიორგი საკმაოდ არაორდინარული ადამიანია. ალბათ საჩუქრებსაც უცნაურსა და უჩვეულოს გიძღვნით ხოლმე...

მამამისმა ეს რომ გაიგო, წარბი ასწია, პატარა ლექცია ჩაუტარა იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს, როცა კაცს ვარდისფერი თმა აქვს

– გიორგის „ძირითადი საქმიანობა“ საჩუქრების მიძღვნაა, მსახიობობა და რეჟისორობა – მხოლოდ ჰობია. მთელი თავისი ჰონორარით, ძირითადად, საჩქურებს ყიდულობს. მისი საჩუქრები ყოველთვის ძვირფასი და არაორდინარულია. ბასა ყოველთვის ერთსა და იმავე სუნამოს ხმარობს, მე – ყოველთვის სხვადასხვას. ეს იმიტომ ხდება, რომ ბასას მეგობრებმა იციან, რომელი სუნამო უყვარს და მხოლოდ იმას აჩუქებენ ხოლმე. გიორგი კი, აბსოლუტურად უმიზეზოდ – არა აქვს მნიშვნელობა, დაბადების დღეა, ქალთა დღე თუ

ტესტი

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გეგახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რომელ წელს გაიხსნა მილანის სახელგანთქმული საოპერო თეატრი ლა სკალა?

ა) 1778;
ბ) 1878;
გ) 1921.

2. სად დაიგადა ცნობილი მოკრივე კასიუს მარსელუს კლეი?



ა) აშშ-ში;
ბ) ინგლისში;
გ) სამხრეთ აფრიკაში.

3. ვისთან მეგობროობდა ედიტ პიაფი?

ა) ჟან მარესთან;
ბ) შარლ აზნავურთან;
გ) გრეტა გარბოსთან.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

გემოვნება

ძალიან ორიგინალური კლიპი გამოვიდა. 60-იანი წლების მხატვრების სტილში იქნება

ახალი წელი, — ჩემთვის ყიდულობს ორ ან სამ სხვადასხვანაირ სუნამოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა უნდა გავსინჯო. ყველაზე არაორდინარული საჩუქარი კი, რომელიც დაბადების დღეზე მომიძღვნა, ჭადრაკი იყო. ჭადრაკის თამაში მან მასწავლა და ვფიქრობ, რომ ჩემი და გიორგის ოჯახიც დღემდე სწორედ ჭადრაკმა შეინარჩუნა: სხვა მხრივ, იმდენად განსხვავებული ხასიათები გვაქვს, რომ ახლა ერთად არ ვიქნებოდით. ჭადრაკის თამაშის დროს გვარდება ყველა სადავო საკითხი ჩვენ შორის. სადავო კი ბევრი გვაქვს...

— გიორგის ყოველთვის თავისუფალი სტილის ტანსაცმელი აცვია. როგორც ვიცი, ერთხელ ძალით აყიდვინეთ კოსტიუმი...

— მოსკოვში, ფილმ „ომის“ პრემიერა იყო და თავისი ჩაფართხუნებული „ზანგური“ შარვლით მიდიოდა. არ შეიძლება ამის გაკეთება-მეთქი, — ვეუბნებოდი. დიდხანს დაობდა, მაგრამ ამჯერად, ომი მე მოვიგე. ძალით ვაყიდვინე ულამაზესი შავი კოსტიუმი და ჰალსტუხი-ბაფთა. ეცვა და ძალიან კმაყოფილი იყო. სამაგიეროდ, დიდჯიბეებიანი შარვალი აქვს ბევრი და ჯიბეებშიც უამრავი რამ ულაგია ხოლმე; ჰკიდია ჯაჭვი, რომელზეც ასხმულია 20 კილო რკინა: სხვადასხვა გასაღები, ექვსნაირი დანა და ა.შ. ამას წინათ, სადღაც ვიყავით დაპატიჟებულები. მე ვერ წავედი და ვთხოვე, მარტო წასულიყო. დაცვამ არ შეუშვა — დანები დატოვეო. როგორ დატოვებდა? — იმ დანებში აქვს მთელი სული და გული ჩაქსოვილი. კიდევ კარგი, რომ ცეცხლსასროლი იარაღი არ უყვარს, თორემ იმასაც აისხამდა და ისე ივლიდა...

— თქვენც ყოველთვის, თავისუფალი ტანსაცმელი გაცვიათ. ეს პროფესიონალური ჩვევაა თუ არც თქვენ გიყვართ კლასიკური სტილი?

— მართალია. ტყუილად ვადანაშაულებ გიორგის — არც მე მიყვარს. თუ სადმე ისეთ ადგილას მივდივარ, სადაც დასვენების საშუალება მექნება, მაშინ აუცილებლად ჭრელი ტანსაცმელი მაცვია. გადაღებებზე ასე ვერ ჩავიცვამ. მქონდა ერთი საყვარელი, ყვითელი „კურტკა“. მიჩვეული ვიყავი, კარგად მქონდა დაცდილი და სულ ის მეცვა გადაღებებზე. ის „უცნობის“ კლიპს — „მზეს ველოდები“ — გადაღებებს შეეწირა. მერე ვერაფერი მოვირგე და ახლა, ბასამ ჩამომიტანა ისევ ყვითელი, „ბოსის“ ფირმის „კურტკა“. მარიკა თხელიძის კლიპზე გამოვცადე და მგონი, ძალიან კარგად მოვირგე.

— როგორც ვიცი, ბასა უკვე ამონტაჟებს ახალ კლიპს. რა იქნება განსხვავებული ამ მუსიკალურ რგოლში?

— ეს არის მარიკა თხელიძისა და სოსო თოლორაიას დუეტი. ძალიან ორიგინალური კლიპი გამოვიდა. 60-იანი წლების მხატვრების სტილში იქნება. სრულიად ახალი რამ არის, რისი მსგავსიც ჯერ ქართულ კლიპებში არ ყოფილა. მალე გამოვა ეკრანზე და მაყურებელი თავად შეაფასებს.

— ეს კლიპი დამთავრდა. კიდევ თუ მუშაობთ რამეზე?

— ფონდი „ქართული ხარისხი“ აპირებს აქციების ჩატარებას. ერთ-ერთი აქციის მხატვარი მე ვარ. წინასწარ არ ვიტყვი, რა იქნება, მაგრამ ყველა ნახავს, რადგან აქციები ქალაქში ჩატარდება. ჩემი აზრით, ძალიან ლამაზი რაღაც უნდა გამოვიდეს. მე და გიორგი ვმუშაობთ „სანტეს“ ნაყინის სარეკლამო რგოლზე, სადაც ბევრი ლამაზი გოგო და კარგი სიტუაცია იქნება. მიღებული, მაქვს რამდენიმე კლიპზე მუშაობის შემოთავაზება, მაგრამ ამ წინადადებებზე ჯერ ვფიქრობ.

— თქვენი ძირითადი პროფესია კინომხატვრობაა. ამ სფეროში სამუშაო არ გაქვთ?

— კარგად მოგეხსენებათ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენში კინოფირზე აღარაფერს იღებენ. ბასას შესთავაზეს ერთ არაქართულ პროექტში მონაწილეობა. მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ვიმედოვნებ, რომ მიმიწვევს, როგორც დამდგმელ მხატვარს. ■

ავთო მარგველაშვილი

ღვინო, დუდუკი, ქალები...

ქართველ კაცს ოდითგანვე უყვარდა ქეიფი და თუ ღვინით მთვრალი, „ქალის სიამოვნებასაც“ დააყოლებდა დესერტად, საკუთარ თავზე ბედნიერი არავინ ეგულებოდა ქვეყანაზე. სწორედ ამიტომ იყო მოდაში სიმღერა – „ღვინო, დუდუკი, ქალები“...

ცივილიზაციამ თავისი კვალი ყველაფერს დაატყო: ღვინო „მარტინიმ“ და „ჯინ-ტონიკმა“ შეცვალა, დუდუკი – კომპიუტერულმა მუსიკამ, მაგრამ ქალი ისევ ქალად დარჩა ყოველგვარი „რემიქსებისა“ და „რიმეიქების“ გარეშე. ქალი ისეთი გამოგონებაა, რომლის გარეშე ოჯახი არც იქმნება და არც ინგრევა. მაგრამ დღეს ქალით შექმნილი და კაცით დანგრეული ოჯახის ამბავი მინდა მოგითხროთ.

მერაბ დავითიჩი დილით, „პახმელიის“ თავის ტკივილმა გააღვიძა. რა არ სცადა: ცხელი ჩაი, ცივი რძე, ბორჯომი, შამპანური, მაგრამ თავს ვერაფერი უშველა. ბოლოს, ტელეფონი მოიმარჯვა და რადგან ცოლის შინ დაბრუნებას ხვალამდე არ ელოდა, საყვარელს დაურეკა და მოსვლა სთხოვა.

– რა წამოგიღო, ბარემ მითხარი, არაფერი დამრჩეს! – ჩაუკისკისა საყვარელმა.

– მე რაც მინდა, იმას ვერ დატოვებ და დანარჩენს არ დავეძებ – ოღონდ, მალე მოდი, – თქვა და ყურმილი დაუკიდა „ხვადმა“.

ქალიც მალე მივიდა, კაცმა გაწყობილი სუფრა დაახვედრა, თვითონ კი შხაპის მისაღებად გაემართა. საყვარელმა შამპანური დაისხა და აივანზე გავიდა.

გრილი შხაპის ქვეშ მოღიღინე კაცს ცოლის ხმა მოესმა. თვალი გაახილა და ელდა ეცა: ცოლმა ვნებიანად გაუღიმა, პირსახოცი მიაწოდა და უთხრა:

– რომ იცოდე, როგორ მომენატრე... მალე გამოდი, საძინებელში გელოდები...

კაცმა ცივი წყლის ონკანი ბოლომდე მოუშვა და შხაპის ქვეშ მანამდე გაჩერდა, სანამ კანკალმა არ აიტანა. ყველაფერი „პახმელიას“ დააბრალა – ცოლიც მომეჩვენაო, – და წელზე პირსახოცშემოხვეული გამოვიდა.

მაგიდასთან ისევ საყვარელი დახვდა, რომელსაც უკვე გაეძრო ტანსაცმელი.

– ხუთ წუთში აქ ვარ, – უთხრა ქალმა, ტანზე პირსახოცი შემოხსნა და სააბაზანოსკენ წავიდა. კაცი შიშმა შეიპყრო, მაგრამ „პახმელიაზე“ ხომ უარესებიც ელანდებათ ხოლმე – ამიტომ დივანზევე წამოწვა და განცხრომის მოლოდინში წერაატანილი ლომივით გაინაბა.

ორი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ საძინებელი ოთახის კარი გაიღო და შიშველ ტანზე ხალათშემოხვეული ცოლი შემოვიდა, ქმარს ისევ გაუღიმა, ჰაეროვანი კოცნა „წაუმესიჯა“ და უთხრა:

– ხუთ წუთში შენთან ვარ! – და სააბაზანოსკენ წავიდა. კაცს უნდოდა წამომხტარიყო, ცოლს ხვადივით სცემოდა, საძინებელში შეეყვანა, კარი ჩაეკეტა და... მაგრამ შიშისაგან ელდანაცემს წამოხტომა არც თვითონ შეეძლო და აღარც მის „მეგობარს“...

ატყდა სკანდალი, შეიყარა ქვეყანა... აბა, ერთი შხაპის ქვეშ ერთდროულად ორი ქალი როგორ იბანავებდა?! მოკლედ, საქმე ოჯახის დანგრევამდეც მივიდა, მაგრამ ცოლის მშობლებმა მოინდომეს და ასეთი კარგი სიძე ქალიშვილს არ დააკარგვინეს, ერთი ღალატის მცდელობისათვის...

გავიდა რამდენიმე თვე. ეს ამბავი „დავიწყებას“ მიეცა და ცოლ-ქმარმა განაგრძო მშვიდად ცხოვრება, მაგრამ ერთხელ დილით, როცა ქმარი შხაპს იღებდა, ცოლი კი ჩაის უდუღებდა, ქმრის მობილურზე მესიჯის ზარმა გაიწკარუნა. ცოლმა ცნობისმოყვარეობას ვერ სძლია და ტექსტს გადაავლო თვალი:

„ძალიან მომენატრე! რამდენი წელია, არ მინახიხარ... საღამოს 7 საათზე ფილარმონიასთან გელოდები. ძველებური ორგიები გავიხსენოთ, ვარდო!..“

ცოლმა ჯერ ტექსტის წაშლა გადაწყვიტა, მაგრამ – „ბაბნიკი“ ქმრის „ფაქტზე დაჭერის“ სურვილმა გადააფიქრებინა და ტელეფონი ადგილზე დადო.

– მგონი, მესიჯი მოგივიდა, – უთხრა სააბაზანოდან გამოსულს. ქმარმაც წაიკითხა ტექსტი, კმაყოფილმა ჩაიღიმა, მადიანად ისაუზმა, ცოლს უთხრა: საღამოს დამაგვიანდებაო, – და წავიდა...

ცოლმა ტაქსი დაიჭირა და დათქმულ დროზე 15 წუთით ადრე, ფილარმონიას მიადგა. მალე ქმარიც გამოჩნდა, რომელიც „მუზასთან“ იდგა და აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. მალე მის ფეხებთან მანქანა გაჩერდა, რომლიდანაც ახალგაზრდა გოგონა გადმოვიდა, კაცი გადაკოცნა, მერე მანქანაში ჩაისვა და ვაკისკენ „გააჭენა“.

– უკან გაჰყევი, არ ჩამორჩე! – უბრძანა ტაქსის მძღოლს ცოლმა და ტაქსიც უკან აედევნა „ობიექტს“.

ვარდო ქმრის ბავშვობის ძმაკაცი იყო – ვარდენი. ვარდოს მოფერებით ეძახდნენ. ის გოგონა კი, ვარდოს და გახლდათ, რომელიც ძმასთან ერთად გუშინ დაბრუნდა თბილისში რუსეთიდან...

– ვარდო შინ გელოდება. მე სახლამდე მიგიყვან, თვითონ კი დაქალებს მოვინახულებ, – უთხრა კაცს გოგონამ და მანქანა კორპუსთან შეაჩერა. – აბა, კარგი დრო გაატარეთ! – და წავიდა.

ქმარი სადარბაზოში შევიდა, ცოლიც უკან შეუმჩნევლად აედევნა, დააკვირდა ლიფტის თავზე ანთებულ ნათურას და მეორე ლიფტს იმავე სართულამდე აჰყვა...

ვარდო ძმაკაცს გადაეხვია, შინ შეიპატიჟა და უთხრა:

– საშინლად ცხელა. გაიძრე, სადაცაა ქალებიც მოვლენ.

თვითონაც ტრუსების ამარა მიუჯდა სუფრას. ჭიქები კონიაკით შეავსო, მონატრებული მეგობარი ადღეგრძელა და გადაჰკრა...

ცოლმა სართულის ყველა კარს მიადო ყური. ბოლოს მისი ქმრის ხარხარიც გაიგონა და კარს მუშტები დაუშინა.

– აი, ჩვენი ქალებიც მოვიდნენ! – თქვა ვარდომ და კარი გააღო. – ვა, ეს რა კარგი გოგოა! ეს ჩემი იქნება... დაქალი სად არის, ლამაზო? – ჰკითხა ძმაკაცის ცოლს, რომელიც ცხოვრებაში პირველად ნახა.

მტრისას, იქ ამბავი ატყდა: ქმარი ცოლისკენ გაექანა, რადგან ტელეფონით გამოძახებული მეძავი ეგონა, ცოლი კი ქმარს ეცა, რადგან ნახევრად შიშველი კაცი დაინახა მის ასევე შიშველ ქმართან განმარტოებული... შუაში ჩამდგარ საცოდავ ვარდოს, ხან ცოლის კლანჭები ხვდებოდა, ხანაც – ქმრის მუშტები. აქაც შეიყარა მთელი კორპუსი და მანამდე ვერ გააშველეს მოჩხუბრები, სანამ პოლიციის განყოფილებაში არ ამოაყოფინეს თავი.

მართალია, ბოლოს თითქმის ყველაფერი გაირკვა, მაგრამ ცოლ-ქმარი მაინც გაეყარა ერთმანეთს. ქმარი მისი „ტრუსიკის ძმაკაცს“ გაჰყვა რუსეთში სამუშაოდ, ცოლი კი, ზის დედ-მამის სახლში და გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ ეძებს ოჯახის შექმნის ახალ ვარიანტს... ■

ასე იქმნებოდა ის სიმღერები, რომელსაც დღეს მთელი საქართველო მღერის

ინოლა გურგულიამ შვილებს ანდერძად 30 მცნება დაუგოვა...

ინოლა გურგულიას ბიძას ერთი ძველი საფლავის ქვაზე უნახავს წარწერა — „ირინოლა“ თუ „მარინოლა“ — მაგრამ დასაწყისი სიძველისგან წაშლილი ყოფილა და გარკვევით მხოლოდ ბოლო ხუთი ასო იკითხებოდა. ასე გაჩნდა სახელი — ინოლა...

ბავშვობიდან მღეროდა. 7 წლისა უკვე გიტარაზე უკრავდა, 16 წლიდან კი, მუსიკის წერა დაიწყო. ტექსტი და მელოდია მასთან ერთდროულად მოდიოდა. ქუჩაში მიმავალი, უცებ წაიღიღინებდა რაღაცას, მერე შინაგანად განავრცობდა — ასე იქმნებოდა ის სიმღერები, რომელსაც დღეს მთელი საქართველო მღერის.

ნათია თენიეშვილი

„იმღერეთ ჩემი სიმღერები და მე თქვენთან ვიქნები“, — წერს ინოლა გურგულია თავის ანდერძში. ამ დანაბარებს, მისი შემოქმედების მოყვარულებთან ერთად, რა თქმა უნდა, მომღერლის შვილები და შვილიშვილებიც ასრულებენ. ამჯერად ქალბატონი ინოლას გახსენება მის ქალიშვილს — ***ია შულლიაშვილს*** *ვთხოვეთ. ია მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია და ძალიან ჰგავს დედას.*

— ახლობლები და მეგობრები მამსგავსებენ — გარეგნობით, ხმით, მიმიკით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეც მისნაირი უნდა ვიყო. შეუძლებელია, ვინმე იყოს ზუსტად ისეთი, როგორიც ინოლაა. რაღაც მომენტებში, მეც ვიჭერ მსგავსებას, მაგრამ ის შინაგანად სხვანაირი იყო. მას შეეძლო, ადამიანის სულში შესულიყო და მისთვის თავი შეეყვარებინა. ტკივილის დროს, გაღიმებაც შეეძლო. ის უფრო ლაღი და, რა თქმა უნდა, უფრო კარგი იყო...

თუ რაიმე კარგი გვაქვს მე და ჩემს ძმებს — გვაქვს დედისგან. რა თქმა უნდა — მამისგანაც, მაგრამ თავიდათავი ინოლა იყო. ვერ ვიტყვი — შვილებისთვის ძალიან ეცალა-მეთქი, — მაგრამ იმ ცოტა ხანშიც ასწრებდა იმის დათესვას, რასაც სახელს ვერ დავარქმევ. ეს იყო განსაკუთრებული ალერსი და ყურადღება... ინოლა პროფესიით ინგლისური ენის სპეციალისტი იყო, ორიდან რვა საათამდე აბიტურიენტები ჰყავდა ხოლმე. მეცადინეობის დროს, სარკმლიდან მანიშნებდა ხოლმე რაღაცას — სიყვარულს გამოხატავდა და ეს იყო ჩვენი კონტაქტი დღის მანძილზე... საღამოობით, ან კონცერტი ჰქონდა, ან შეხვედრა და სულ სადღაც მიდიოდა. ეს იმდენად ხშირად ხდებოდა, რომ ეს უფრო მახსოვს. მიუხედავად ამისა, ყველაფერს ასწრებდა და არაფერი დაუკლია ჩვენთვის.

— სიმღერას თუ გასწავლიდათ?

— არ გვასწავლიდა. სულ სიმღერა გვესმოდა, ალბათ გენეტიკურადაც გადადის რაღაც ნიჭი — და ჩვენც ვმღეროდით. ზუსტად არ მახსოვს, როდის დავიწყე, მაგრამ ორი წლის ვიყავი, „ჩაის სახლში“ სარვამარტო კონცერტზე მე და ჩემი ძმა რომ გვამღერეს. მაშინ გადამიღეს მუსიკალურ მხატვრულ ფილმში — „მოვდივართ და მოვიმღერით“. როცა სბავშვო სიმღერას წერდა, პირველად, ჩვენზე გამოცდიდა ხოლმე. მახსოვს, ავად ვიყავი, ვიწექი. ის სამზარეულოში ფუსფუსებდა. უცებ წამოვიდა, დაჯდა როიალთან და დაუკრა სიმღერა, ტექსტიანად. მერე ჩაწერა და იქვე მამღერა. ის სიმღერა დარჩა და დღეს ბავშვები მღერიან.

ის მსახიობია და ძალიან ჰგავს დედას

— ყველა სიმღერა გადაჰქონდა ნოტებზე?

— არა, ძალიან ბევრი სიმღერა მოსდიოდა გონებაში, მაგრამ ჩაწერა არ უყვარდა. რა ჩანაწერებიც გააკეთა, ისიც — მისი მეგობრების დიდი ძალისხმევის შედეგად: ჩაუკეტავთ ოთახში და ძალით ჩაუწერინებიათ. ტელევიზიისა და რადიოს ფონდში არის ტრიოს ჩანაწერები. ცალკე ინოლას ხმა რაც გვაქვს, ეს საოჯახო ჩანაწერებია. ცოტა ხნის წინ, ინოლას იუბილეზე გამოვუშვით ამ ჩანაწერების კასეტაც და დისკიც.

— ის, რომ ასე ჰგავხართ დედას, გეხმარებათ თუ ხელს გიშლით?

— ცოტა ძნელია მისი შვილობა — პასუხისმგებლობაა დიდი. ყოფილა მომენ-

ტები, როცა რაღაცას ვაკეთებ და მგონია, რომ ეს ჩემია, მაგრამ რაკი ინოლას შვილი ვარ, ასე არ უნდა გავაკეთო-მეთქი. ყოველთვის ვცდილობ, რომ ზღვარი არსებობდეს: ინოლა – ინოლაა და მე – მე ვარ... მე მისი შვილი ვარ და ეს ჩემთვის ბედნიერებაა, მაგრამ ზოგჯერ, სპეციალურად ვაკეთებ რაღაცას, რადიკალურად განსხვავებულს, რათა ჩვენ შორის ზღვარი იყოს. ჩემი ძმაც სულ მეუბნებოდა: კარგია, რომ ასე ჰგავხარ, მაგრამ შენ უნდა იყო – ია და არა ინოლაო.

— მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან მღეროდით, პროფესიად მსახიობობა აირჩიეთ, რატომ?

– 10 წლის ვიყავი, როცა დედა გარდაიცვალა. ამის მერე, საკმაოდ დიდი პერიოდი აღარ ვმღეროდი. მოგვიანებით, ისევ დავიწყე სიმღერა, მაგრამ ცოტა ჩაკეტილი და მორიდებული ბავშვი ვიყავი და მაშინ მივუჯდებოდი როიალს ან ავიღებდი ხელში გიტარას, როცა შინ არავინ იყო. სხვებთან ვმღეროდი, ოჯახის წევრებთან – ვერა... მამაჩემი ჩემთვის ყველაფერში მეტრი, საზომი იყო და მისი რიდი მქონდა. ალბათ იმასაც ვფიქრობდი – შეიძლება, არ ესიამოვნოს, სახლში ინოლას მერე ვინმე რომ იმღერებს-მეთქი... მერე შემთხვევით, ჩემი მეგობრის დაბადების დღეზე აღმოაჩინეს, რომ ვმღეროდი და ჩემდა საბედნიეროდ, მომიწონეს. კონსერვატორიაში უნდა ჩამებარებინა, მაგრამ რატომღაც არ მინდოდა. მაშინ გავიგე: რაკი მორცხვი და შებოჭილი ბავშვი ვიყავი, ინოლას დიდი სურვილი ჰქონია, რომ მსახიობი გავმხდარიყავი: იქნებ, ცოტა „გაიხსნას“ და რაც სათქმელი აქვს, ყველაფერი ამოაფრქვიოსო. ამას ჩავეჭიდე და გადავწყვიტე, თეატრალურში ჩამებარებინა. სხვათა შორის, ძალიან დამეხმარა და ბევრი

ფესტივალზე ჩინეთში

რამ მომცა ამ პროფესიამ. მერე თეატრმაც აღმოაჩინა, რომ ვმღეროდი. თემურ ჩხეიძის ინიციატივით დაიდგა მუსიკალური წარმოდგენა – „ინოლა“, სადაც მე დედაჩემის სიმღერებს ვმღეროდი. მაშინ გამოვჩნდი, როგორც მომღერალი. უნდა ვთქვა, რომ ეტყობა ჩემში, სიმღერაა უფრო ორგანული – ბედმა ეს გზა უფრო გამიხსნა, ვიდრე სამსახიობო. პოპულარობა და სიყვარული ჩემთან სიმღერის წყალობით უფრო მოვიდა...

— სამსახიობო კარიერა რატომ ვერ აგეწყოთ? რეჟისორები ვერ გამჩნევენ თუ თქვენ ხართ პრეტენზიული?

– ზედმეტად არაპრეტენზიული ვარ. აქვე, თეატრში მეუბნებიან: ძალიან მორიდებული ხარო. თეატრში კი, ცოტა უფრო შეუპოვარი და ძლიერი უნდა იყო. თანაც, არ არის ახლა თეატრის აღმასვლის პერიოდი. მართალია, იდგმება სპექტაკლები – ზოგი კარგი, ზოგი ცუდი – მაგრამ რაღაც ფეიერვერკული არ ხდება დღეს საქართველოში. ამ პერიოდს დაემთხვა ჩვენი ახალგაზრდობის წლები. თანაც, მარჯანიშვილის თეატრში საკმაოდ დიდი დასია, ყველა რეჟისორს თავისი მსახიობი ჰყავს, ახლის ძიების დრო არა აქვთ და ა.შ.

— კახა კახაბრიშვილის მოკლემეტრეჟიან ფილმში — „ბედნიერების დღე“ პატარძალი ითამაშეთ. ეს თქვენი პირველი საეკრანო როლი იყო?

– ეს იყო ჩემი დებიუტი ფილმში. არასდროს მქონია კინოში გადაღების სურვილი. ახლა კი, როცა ვიმუშავე, ძალიან მომეწონა. არაჩვეულებრივი ჯგუფი და ძალიან საინტერესო სამუშაო იყო. ამისთვის მადლობელი ვარ ბატონი კახასი.

— თქვენს შვილს თუ გამოჰყვა სიმღერის ნიჭი და თუ მღერის ხოლმე?

– ჩემი შვილია დათო თავაძე. პატარაობაში მღეროდა, ახლა – გარდატეხის ასაკი აქვს და იმდენს აღარ მღერის. გატაცებულია ფლეიტით და ვფიქრობ, რომ ამ საქმეს გაჰყვება. ბერიკების სტუდიაშიც დადის. ჩვენს თეატრშიც, რამდენიმე სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა. კურიოზული ფაქტია, მაგრამ იყო სპექტაკლი, სადაც ჩემს შვილს უფრო მეტი დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე მე. მსახიობობისკენ მიილტვის, მაგრამ მე არ ვურჩევ.

ია შვილთან, დათოსთან ერთად

— ქალბატონ ინოლას ანდერძში უწერია: „იმღერეთ ჩემი სიმღერები და თქვენთან ვიქნები“. თქვენ თუ მღერით ხოლმე?

– მისი გარდაცვალებიდან ორი კვირის შემდეგ იპოვა მამამ ეს ანდერძი. მე და ჩემი ძმა წაგვიყვანა სასაფლაოზე და იქ წაგვიკითხა... რა თქმა უნდა, ვმღერი. მე, ჩემმა ძმამ და რძალმა ტრიო ჩამოვაყალიბეთ და საკმაოდ დიდი წარმატებები გვქონდა პარიზში, ვენაში და სხვა ქვეყნებშიც. ინოლას ანდერძში აგრეთვე ეწერა: „არასდროს დაგავიწყდეთ, რომ თქვენი სამშობლოს შვილები ხართ და კიდევ – ჩემი შვილები“... ხომ არსებობს 10 მცნება. ჩვენ მისი ჩამოწერილი 30 მცნება გვქონდა. სამი წლის ვიყავი, როცა ისინი ჩამოწერა. მისი გარდაცვალების მერე, ეს ფურცელი კედელზე გვქონდა გაკრული. რამდენჯერაც გავივლიდით და გამოვივლიდით, უნებლიეთ ვუყურებდით. მამაც გვახსენებდა ხანდახან: აბა, ერთი ჩახედეთო. ასე რომ, ჩემდა უნებურად მომიწია საკუთარი თავის გაკონტროლება. მივიდოდი, ვკითხულობდი და ვფიქრობდი: რომელიმე ხომ არ დავარღვიე-მეთქი? რა თქმა უნდა, დარღვევები მქონდა, მაგრამ ვცდილობდი, ყველაფერი შემესრულებინა იმიტომ, რომ მჯეროდა: თუ ამას მოვახერხებდი, მაშინ ვიქნებოდი ინოლას შვილი...

საუბრის ბოლოს, ია ვკითხე: დედამ რა დაგიტოვათ-მეთქი? „თუ რამე ხდება ჩემ გარშემო, თუ რამეს ვაკეთებ, სულ მგონია, რომ ინოლა მეხმარება. ძალიან ბევრ რამეში ვგრძნობ, რომ ის ჩემთან არის. ასე რომ, კი არ დამიტოვა – ის აქ არის, ჩემთან. მე ასე მგონია...“ ■

რა დაუწუნა ვლადიმირ ხოროშუხინმა სილვესტერ სტალონეს დოლარებს?

ექიმი ვლადიმირ ხოროშუხინი საქართველოში დაბადებული და გაზრდილი კაცია, მაგრამ თავისი პროფესიის წყალობით, თითქმის მთელი მსოფლიო აქვს შემოვლილი. მუშაობდა იაპონიაში — ტოკიოსა და ოსაკაში, აგრეთვე: რუსეთში, უნგრეთში, შრილანკასა და აშშ-ში. მსოფლიოში ერთადერთი ქირურგია, ვინც ხერხემლის დისკის ამოვარდნას უოპერაციოდ კურნავს. მაგრამ ვლადიმირ ხოროშუხინს ყველაზე მეტად, ჰოლივუდის ვარსკვლავთან შეხებამ გაუთქვა სახელი: ამბობენ, სილვესტერ სტალონემ, რომელსაც ბატონმა ვლადიმირმა ვაჟიშვილი მოურჩინა, მადლიერების ნიშნად, თითქმის ნახევარი მილიონის ჩეკი გამოუწერა, მაგრამ დასტაქარმა არ გამოართვაო... ამ ამბავთან დაკავშირებული კითხვებით ჟურნალისტებმა თავი მომაბეზრესო, ჩემი საქმე გაცილებით საინტერესოა — ყოველდღე უამრავ, უიშვიათეს შემთხვევასთან მაქვს შეხებაო...

ლელა ჭანკოტაძე

— ბატონო ვლადიმირ, ცოტა რამ თქვენი ბიოგრაფიიდან გვიამბეთ და შემდეგ ვისაუბროთ ხერხემალზე, რომელსაც საუკუნის პრობლემას უწოდებთ.

— ჩემი გვარი ციმბირიდან მოდის. დედა კი ქართველი მყავდა — ლილი ნუცუბიძე. დავამთავრე თბილისის 43-ე საშუალო სკოლა ოქროს მედალზე, შემდეგ ჩავაბარე კრასნოდარის სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1970 წელს გამაგზავნეს იაპონიაში, სადაც შევისწავლე მანუალური თერაპია.

— მიამბეთ იმ მეთოდზე, რომელსაც სხვა ექიმებისგან განსხვავებით იყენებთ.

— ხერხემალში არის დისკები, რომელიც ამორტიზატორების როლს ასრულებს თუ ადამიანი მძიმე საგანს ასწევს ან ტრავმას მიიღებს, ფირფიტა ამოვარდება

და ნერვს აწვება. მაშინვე იწყება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება, ტკივილები, სავჯდომი ნერვის ანთება. ადამიანი ფეხს ითრევს და იგრიხება. ასეთ დროს, კეთდება ოპერაციები, რომლის შემდეგ პაციენტთა 70%-ს უარყოფითი შედეგი აქვს. მე ხერხემლის დისკების ამოვარდნას უოპერაციოდ, ნარკოზის ქვეშ ვაკეთებ. ადამიანს ოცდაოთხი დისკი აქვს, ანომალიის შემთხვევაში — მეტიც. მყავდა ახალგაზელი პაციენტი ქალი, რომელსაც რვა დისკი ჰქონდა ამოვარდნილი. მან კარტოფილით სავსე, 100 კგ-იანი ტომარა ასწია. ერთი თვის შემდეგ, გამოჯანმრთელებული წავიდა ჩემგან.

— ოპერაცია და თქვენი მეთოდი იდენტურ შედეგს იძლევა?

— ოპერაცია 700 დოლარამდე, ზოგჯერ მეტიც ჯდება. ჩემთან მკურნალობა 3-ჯერ, 4-ჯერ უფრო იაფია. მოვარჩენ პაციენტთა 90-95%-ს, დანარჩენი 5-10%-ისათვის ოპერაცია აუცილებელია. უამრავი ადამიანი მომმართავს, ერთი ჩემი პაციენტი 33 წლის მანძილზე საწოლს იყო მიჯაჭვული — კისრის მალები ჰქონდა დაზიანებული და ამის გამო, სხეული — ატროფირებული. გავუსწორე სამივე დისკი. ერთი თვის შემდეგ, უკვე ყავარჯნებით მოვიდა, შვიდი თვის შემდეგ კი, უყავარჯნებოდ გაიარა.

— მართალია, რომ ავთანდილ ჯორბენაძეც იყო თქვენი პაციენტი?

— ჯორბენაძე მაშინ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი იყო. წელის მალები ჰქონდა ამოვარდნილი. მოვიდა, გამოჯანმრთელდა და, როგორც ხედავთ, დღემდე

ჯანმრთელად დადის. საერთოდ, არ არის მიღებული პაციენტთა ვინაობის გამხელა, მაგრამ ახლა, ყველა ჯანმრთელია და დიდი ცოდვა არ არის, თუ გეტყვით, რომ პარლამენტართა დიდი ნაწილი ჩემთან მკურნალობდა. ჩემი პაციენტები იყვნენ: ვახტანგ გვარამია, თემურ მურღულია. საერთოდ, ხერხემლის პათოლოგიები ხშირია. არა მარტო ჩემს პაციენტებში, არამედ მთელ მსოფლიოში. ეს საუკუნის პრობლემაა. ამისი ძირითადი მიზეზი უმოძრაობაა: ადამიანი სულ უფრო ნაკლებს მოძრაობს — მანქანით მგზავრობს, სამსახურში მთელი დღე ზის, შინ დაბრუნებული, უმეტესად, წამოწოლილი უყურებს ტელევიზორს. თანაც, ბევრმა არ იცის, რომ ხერხემლის დაზიანება სხვა დაავადებებსაც იწვევს, მა-

გალითად – ჩიყვს, მხედველობის დარღვევებს. ახლახან, კისრის მალებისა და ხერხემლის გასწორების შედეგად, ერთი გოგონა ასტიგმატიზმისგან განიკურნა, რაც საერთოდ განუკურნებელ დაავადებადაა მიჩნეული.

— **ბატონო ვლადიმირ, სტალონეს მართლა მოურჩინეთ შვილი?**

– სტალონეს ვაჟი აუტიზმით *(ავადმყოფური კონცენტრაცია საკუთარ თავზე, რომლის დროსაც ის მოწყვეტილია გარემოს, ცხოვრობს მის მიერ შექმნილ არარეალურ სამყაროში. – ავტ.)* არის დაავადებული, ამიტომ მისთვის ზედმეტი მედიკამენტების მიღება არ შეიძლება. მას ხერხემალი დაუზიანდა. დისკის ამოვარდნის შემთხვევაში, ამერიკელი ქირურგები ოპერაციას მიმართავენ. მისთვის კი, ოპერაცია არ შეიძლებოდა... იმ პერიოდში, აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი მოვარჩინე. სწორედ მისგან შეიტყო სტალონემ ჩემ შესახებ. მაშინვე დამიკავშირდა საელჩოს საშუალებით. მისგან წერილი მომივიდა. ის მწერდა: რადგან კავკასიაში არეულობა და ომია, საქართველოში ვერ ჩამოვალო, – და მთხოვდა, მე ჩავსულიყავი შტატებში. სასწრაფოდ მომიხდა წასვლა. სტალონეს ოჯახთან ერთად, ლოს-ანჯელესში ვცხოვრობდი. იქ ოთხთვე-ნახევარი დავყავი. 2000 წლის დადგომას სტალონეს ოჯახში შევხვდი. ინგლისური ვიცი და ჩვენ შორის ენობრივი ბარიერი არ იყო, სხვა მხრივაც, საერთო ენის გამონახვა არ გაგვჭირვებია – მართლა თბილი და კეთილშობილი ადამიანია.

— **მკურნალობა როგორ მიმდინარეობდა?**

– ბიჭისთვის ნარკოზი და მედიკამენტები არ შეიძლებოდა, ამიტომ მკურნალობას ჩვეულებრივზე მეტი დრო დასჭირდა. მსოფლიოში ვერავინ მოარჩინა. მე კი მოვარჩინე!..

— **გასამრჯელო მართლა არ გამოართვით?**

– ეს ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო. საუბარი იყო 400 ათას დოლარზე. არც ერთი ცენტი არ გამოვართვი. მინდოდა მეჩვენებინა, რომ საქართველოში მცოდნე და პროფესიონალი ხალხი ცხოვრობს... მანამდე მას ნანახი ჰქონდა ფილმი „წითელი სიცხე“, სადაც ქართველი, კრიმინალადაა გამოყვანილი და ეგონა, რომ ჩვენთან ძირითადად მკვლელები და ნარკომანები ცხოვრობენ... ფული რომ არ გამოვართვი, იშვიათი ხარისხის, მაჯის საათი მაჩუქა.

■

„რა იქნება თუ...“

ცხოვრება მოსაწყენია და მისი წინასწარმეტყველება შეიძლება ისევე, როგორც ის, რომ ხვალინდელი დღე კვლავ გათენდება. ზოგჯერ მსურს გავაკეთო რაიმე ისეთი, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიაროს და სული შემეკრას. „უცნაური ხარ და მეტი არაფერი“, – იტყვის ზოგიერთი, ხოლო სხვა კი გამიგებს და მხარსაც დამიჭერს. ტყუილად ხომ არ არსებობს გინესის რეკორდების წიგნი, სადაც იმ ხალხის სურათები და სახელებია განთავსებული, ვინც გადაწყვიტა პასუხი მოეძებნა შეკითხვაზე – „რა იქნება, თუ...?“

ჩემს შემთხვევაში ყველაფერი უმნიშვნელო წვრილმანით დაიწყო – ფეხის ფრჩხილი გამუქდა და დეფორმირება განიცადა. რა თქმა უნდა, დასაწყისში ამ ფაქტისათვის ყურადღება არ მიმიქცევია და ამაზე არც ვნერვიულობდი, მით უმეტეს რომ სამსახურში აუარებელი საქმე მქონდა გასაკეთებელი. შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მეორე ფრჩხილიც გამუქდა და გაიბზარა. მაშინ კი, გავიფიქრე, „რა იქნება თუ...“ არაფერს არ მოვიმოქმედებ.

თანდათანობით ჩემი ფეხი საშინელებათა ფილმების პერსონაჟის საგანს დაემსგავსა – ფრჩხილი უშნო შესახედი იყო. ფეხი გაწითლდა და ტერფზე კანი აიქერცლა. ამის შემდეგ, უკვე ტკივილმაც შემაწუხა და მოცდა აღარ შეიძლებოდა. სიმართლე გითხრათ, ნაკლებად მიმზიდველად მეჩვენებოდა პლაჟზე ფეხსაცმლით გასეირნება.

„მაშ, გავუკეთებ ჩემს თავს გარკვეულ შეღავათს, და რაიმე მალამოს ვიყიდი“, – გადავწყვიტე მე. აფთიაქში მითხრეს, რომ სოკოვანი დაავადება მჭირს და ამის საწინააღმდეგო უამრავი საშუალება გადმომილაგეს. იმის გამო, რომ, მე, ალბათ, სავსებით გამოუსადეგარი მალამო ავარჩიე, ან კიდევ სოკოვანი დაავადება უკვე რთულ ფორმებში გადავიდა, ჩემი დამოუკიდებელი მკურნალობა უშედეგოდ დასრულდა.

ამის შემდეგ ინტერნეტში წაკითხულმა მასალამ კი ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ექიმები არგენტინაში საშინელ შემთხვევას წააწყდნენ – ახალგაზრდა ყმაწვილს სოკოვანი დაავადება შინაგან ორგანოზე აღმოუჩინეს, რომელიც ფეხის ფრჩხილიდან დასნეულდა. სამწუხაროდ, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. პირველი შოკის მოგერიების შემდეგ ტყვიასავით ექიმთან „გავარდი“ და სულ გადამავიწყდა გინესის რეკორდები.

აღმოჩნდა, რომ ამჟამად სოკოვანი დაავადებების მკურნალობისათვის გამოიყენება უახლესი, მაღალეფექტური და ყოვლად უმტკივნეულო პულს-თერაპიის მეთოდი. ერთი კვირის განმავლობაში იღებ წამლებს, ხოლო შემდეგ 3 კვირის განმავლობაში მისი მიღებისაგან ისვენებ. თუმცა კურსი (3 თვე) ჩავიტარე, რომლის შემდეგაც არც ერთ ფრჩხილზე დაავადების კვალიც კი არ დარჩა!

იმ დღიდან ექსპერიმენტებს უკვე სხვაგვარად ვუყურებ. მაგალითად, თითქმის გულგრილად თვალყურს ვადევნებ რომელიმე ახალი გინესური რეკორდის დამყარებას, როგორიცაა ატლანტიკის ოკეანის გადაცურვის მცდელობას ან კიდევ ნიანგის ყბაში თავის ჩაყოფას. ამჯერად უპირატესობას უფრო მეცნიერების უახლესი მიღწევების გამოყენებას ვანიჭებ, ვიდრე ადამიანის ჯანმრთელობისათვის არცთუ უსაფრთხო ექსპერიმენტების ჩატარებას.

თუ თქვენ სოკოვან დაავადებასთან დაკავშირებული პრობლემები გაწუხებთ, დაუკავშირდით ცხელ ხაზს. აკრიფეთ ტელეფონის ნომერი 250-900. ცხელი ხაზი მუშაობს ყოველდღე 15.00 სთ-დან 18.00-მდე, შაბათ-კვირის გარდა (ყველა ზარი უფასოა). გარდა ამისა, შეგიძლიათ, მიაკითხოთ კანისა და ვენსნეულებათა ცენტრალურ დისპანსერს (კონსტიტუციის ქუჩა №4).

R

ყოველდღე უამრავი მორწმუნე მიდის უსინათლო მოძღვართან

ბავშვის სასწაულებრივად გადარჩენამ პარტიულ მუშაკს უფლის გზა აპოვნინა

„დამლოცეთ, მამა მიქეალ, კურთხევა მომეცით, მამა მიქაელ“ — მსგავსი თხოვნით ყოველდღე უამრავი მორწმუნე მიდის უსინათლო მოძღვართან. ისიც, ხელის ცეცებით მოძებნის მთხოვნელის თავს, პირჯვარს გადასახავს, დალოცავს და ბოლოს, გულშიც ჩაიხუტებს.

მამა მიქაელი, რუსთავში, ერთ პატარა ეკლესიაში მსახურობს და იქვე, სენაკში ცხოვრობს. მისი „თვალები“ დღეს ხანდაზმული ქალბატონი თამარია, რომელიც დღე და ღამე მის გვერდითაა და როგორც ბავშვზე, ისე ზრუნავს მასზე. ჩვენს საუბარს მოძღვრის ყოფილი მეუღლე, ქალბატონი თალიკოც ესწრებოდა. მათი ვაჟიც — მამა სერგი იმავე ეკლესიაში მსახურობს და თალიკო მათ მამა მიქაელსა და მამა სერგის ეძახის. რატომ არის ის ყოფილი, რა გზა გამოიარა მოძღვარმა საერო ცხოვრებიდან დღემდე და რატომ ემუქრებოდნენ მას კომპარტიის მუშაკები — ყოველივე ამის შესახებ თავად მამა მიქაელი მოგვითხრობს.

მარი ხაფარიძე

— ჩემი გვარი კასრაძეა. წარმოშობით ცხინვალიდან ვარ — კასრაანთუბნიდან. დავიბადე 1927 წელს. ჩემი ოჯახი თავიდანვე ღვთის რწმენით გამოირჩეოდა. შორეული წინაპრებიდან ერთი ღვთის მსახურიც გვყოლია — მამა გიორგი კასრაძე, მაგრამ მის შესახებ მშობლებისგან გამიგონია მხოლოდ.

— თქვენ რამ გადაგაწყვეტინათ, მღვდელმსახური გამხდარიყავით?

— წინათ სულ სხვა ადამიანი ვიყავი. კომუნისტური რეჟიმის დროს, პარტიის წევრიც გახლდით და სხვადასხვა პარტიულ სამსახურსაც ვეწეოდი. გარაჟის უფროსადაც მიმუშავია. დამთავრებული მაქვს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. მყავდა ცოლი და ორი შვილი. 1966 წელს, ჩემი 4 წლის გოგონა გადმოვარდა მე-3 სართულის ფანჯრიდან. ბავშვი უვნებლად გადარჩა, ნაკაწრიც კი არ დასტყობია. ჩვენ პანიკაში ჩავცვივდით. მოხუცი მეზობელი მყავდა. იმან მითხრა: ღვთის ნებით გადარჩით, ამიტომ მისი მადლიერი იყავით, ამ ადგილზე ცხვარი დაკალით და ეკლესიაში სანთელი დაანთეთო. ეკლესიაში რომ მივედით, მღვდელმა გვითხრა: ბავშვი მოუნათლავია, თქვენც — ჯვარდაუწერელნი, ეს საქმე აუცილებლად მოაგვარეთო. ასეც მოვიქეცით. ამის შემდეგ, უფრო მეტად ვიწამე ღმერთი, თუმცა, დიდ წინააღმდეგობებს ვაწყდებოდი, რადგან კომუნისტური პარტიის წევრი ვიყავი. გადავწყვიტე, პარტბილეთზე უარი მეთქვა და ცხოვრება უფლის სამსახურისთვის მიმეძღვნა. ამას დიდი დრო დასჭირდა. ერთი სამსახურიდან მეორეში გადავდიოდი, მოდიოდნენ პარტიული მუშაკები, მემუქრებოდნენ, უფროსები მეხვეწებოდნენ: არ გაბრიყვდე, სისულელე არ ჩაიდინო, ჩვენც გაგვრიცხავენ პარტიის რიგებიდანო. თალიკოც სულ მეჩხუბებოდა...

თალიკო:

— რა მექნა? ერთი შვილი უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, მეორე — სკოლის მოსწავლე. მეშინოდა, რომ ერთსაც გარიცხავდნენ სასწავლებლიდან და მეორესაც. ამიტომ ვედავებოდი, არ მინდოდა, ბავშვებს მომავალი გაჰფუჭებოდათ...

— თქვენ მაინც თქვენი გაიტანეთ...

მამა მიქაელი:

— რა თქმა უნდა... ნათესავი მყავდა — შოთა ქუტიძე. ის მაშინ ცხიმკომბინატის დირექტორი იყო. მან წამიყვანა თავისთან და მარგარინის საამქროში ტექნიკოსად გამაფორმა; იქვე, კომბინატის ტერიტორიაზე ერთი ოთახი გამომიყო და იქ ვცხოვრობდი, ვლოცულობდი. შოთამ რაიკომში საქმე ჩამიწყო, მე განცხადება გავაშანშალე: პარტიისთვის უვარგისი, გამოუსადეგარი ვარ, როგორც ურიას ღორის ხორცი არ უნდა, ისე მე — თქვენი პარტია-მეთქი... როგორც იქნა, გამრიცხეს. იმ დღესვე, სიონში წავედი და კათოლიკოს-პატრიარქს ველაპარაკე. სიამოვნებით დამტოვა ტაძარში, რადგან ყველა ფსალმუნი ზეპირად ვიცოდი და მეტყობოდა, რომ გულით მინდოდა ღვთის სამსახურში ჩადგომა.

— რა მოვალეობა დაგაკისრათ თავდაპირველად კათოლიკოს-პატრიარქმა?

— როცა ეკლესიაში დარჩენაზე თანხმობა მივიღე, იმ დღიდან, შინ აღარ წავსულვარ. დარაჯიც ვიყავი და ცოტა მოგვიანებით, სანთლების საამქროს უფროსიც. შინ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მივედი, ისიც — 1-2 დღით, როდესაც ჩემი ქალიშვილი მოიტაცეს — გათხოვდა... იმ დღეებში, ჩემი უფროსი ბიჭი გავაგზავნე დილაუთენია, რომ სანთლის საამქროს კარი გაეღო მუშებისთვის. შინ გახარებული დაბრუნდა. საამქროში პატრიარქი მობრძანდა და მთელი საათ-ნახევარი ისე მესაუბრა, რომ არც დამჯდარაო. ამ ამბის შემდეგ, გავიდა 2 წელი, გაიხსნა სასულიერო აკადემია და პატრიარქის თხოვნითა და ლოცვა-კურთხევით ჩემი ვაჟი აკადემიაში ჩაირიცხა. დღეს ის მღვდლად მსახურობს და მამა სერგი ჰქვია...

— როგორც ქალბატონმა თალიკომ აღნიშნა, ის უნივერსიტეტში სწავლობდა. ადვილად დათანხმდა სასულიერო აკადემიაში გადასვლას?

— მამა სერგი რადიოფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობდა და მეორე კურსიდან, იქვე მუშაობდა კიდეც, მაგრამ მაშინვე, უყოყმანოდ დაგვთანხმდა სულიერი ცხოვრების დასაწყებად.

— შემდგომში, თქვენი ცხოვრება როგორ წარიმართა?

— როდესაც სამაჩაბლოში სიტუაცია აირია, 1988 წელს, პატრიარქმა ცხინვალის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში მღვდლად მიმავლინა. კომუნისტები ამ ტაძარს

მარილის საწყობად იყენებდნენ. იქაურობა დავალაგე, დავასუფთავე, ეკლესია ავამოქმედე და 4 წელი ვიმსახურე. ეკლესიაში, ქართველებთან ერთად, ოსებიც მოდიოდნენ. ქართველები უფრო ნაკლებად. 1991 წლის 7 იანვარს, სიტუაცია უფრო დაიძაბა. ცხინვალში ამ დროს ქართული ჯარი შემოვიდა. ოსები დამადგნენ თავზე და მეუბნებოდნენ: წირვა არ ჩაატარო, თორემ ეკლესიას დავცხრილავთო. ქართველმა ბიჭებმა ეკლესიას ალყა შემოარტყეს და ასე ჩავატარე საშობაო წირვა. იმ დღესვე დავტოვე ცხინვალი და თბილისში დავბრუნდი. შემდეგ, მეუფე იობმა კურთხევა მომცა და ოზურგეთში, მაღალ მთაზე, ჯუმათის წმინდა მიქაელის სახელობის ეკლესიაში ბერად აღვიკვეცე. 2 წელი იქ ვიყავი. დილის 4 საათზე ვიწყებდი ლოცვას და 9-ზე ვასრულებდი. ძირითადად, მრევლის შემოწირულობებით ვარსებობდი. ორი წლის შემდეგ კი, დავბრუნდი და მას მერე, რუსთავში ვმსახურობ.

— თვალისჩინი როდის დაკარგეთ?

— 1998 წლის თებერვალში. კუჭის ოპერაცია გავიკეთე და ნარკოზიდან რომ გამოვედი, უკვე ვეღარაფერი დავინახე.

— უსინათლო ადამიანს სხვა გრძნობები უმძაფრდება ხოლმე...

— გრძნობების რა მოგახსენოთ, მაგრამ უფრო მტკიცე გავხდი — თითქოს ძალა და მხნეობაც მომემატა.

— კარგა ხანს გაკვირდებოდით და გამიკვირდა, რომ თქვენთან მოსულ მრევლს სახელებით მიმართავდით. როგორ ცნობთ მათ?

— მე ყველა მიყვარს. სიყვარული თვითონ იკაფავს გზას და სახელებსაც უნებლიეთ ვამბობ. არასოდეს ვცდები.

— მამა მიქაელ, სასწაული თუ გინახავთ?

— ჩემი ცხოვრება სასწაული არ არის, შვილო? რასაც ჩავიფიქრებ, ყველაფერი მისრულდება. ესეც სასწაულია. ჩემი თვალით მინახავს ღვთისმშობლის ხატიდან მირონის დენა. ერთი ამბავი მინდა გავიხსენო: ცემენტის ქარხანაში გარაჟის უფროსად ვმუშაობდი. ქალაქგარეთ ერთ პატარა ეკლესიაში დავდიოდი ხოლმე. ტაძარი დანგრევის პირას იყო მისული. გადავწყვიტე, შეკეთებაში ჩემი წვლილი შემეტანა. იქაურ მღვდელს ვუთხარი: ცემენტი ჩემზე იყოს, მე მოგამარაგებთ-მეთქი. მივედი უფროსთან და ვთხოვე, ერთი მანქანა ცემენტი მიეცა ეკლესიისთვის. დამთანხმდა, მაგრამ გამაფრთხილა: თუ კაცი ხარ, ეს ისე გააკეთე, ვითომ არაფერი ვიცი, თორემ სამსახურიდან გამაგდებენო. გახარებული დავემშვიდობე და ორი დღის შემდეგ, ერთი მანქანა ცემენტი ეკლესიის ეზოში ჩამოვტვირთე. მანქანის მძღოლი კი, რაიკომში მისულა და პარტკომისთვის ჩაუყაჭავს: ასე და ასე იყოო... დიდი ამბავი ატყდა. ერთი თვის შემდეგ, ეს მძღოლი თავისსავე მანქანის კაბინაში დაღუპული უპოვიათ, მიზეზი კი ვერ დაადგინეს... დიდია უფლის ძალა. ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ ალბათ იმ თავისი საქციელისთვის დაისაჯა...

— საერო ცხოვრებაში რა სახელი გერქვათ?

— რომანი. მღვდლად კურთხევის შემდეგ, მამა რომანოზი გავხდი, ხოლო ჯუმათის მონასტერში ყოფნის შემდეგ, ვინაიდან ის ეკლესია მიქაელის სახელობის გახლავთ, მამა მიქაელი დამარქვეს.

— წელან, საუბრისას ქალბატონმა თალიკომ ყოფილ მეუღლედ მოგიხსენიათ. რატომ?

— ბერად ყოფნის შემდეგ, უფლება არა მაქვს, რომ მეუღლე მყავდეს. ჩვენ მხოლოდ სულიერი ურთიერთობა გვაკავშირებს და საერთო შვილები...

■



ქედმაღლური თავდაჭერა — სულელების ფარია.

შარლ ლუი დე სეკონდა მონტესკიე

იცოცხლო — ნიშნავს არა ოდენ შენი სხეულის მოთხოვნები დაიკმაყოფილო, არამედ ძირითადად შეიგნო შენი ადამიანური ღირსებები.

ჟიულ ვერნი

სიტყვის ნიჭი ერთადერთი და ჯერაც შეუფასებელი საშუალებაა მოვლენის შიგნით შესაღწევად.

ნიკოლოზ პიროგოვი

ყველა წიგნი, რაც კი ხელში მოგყოლია,
მონაგონი, ნამდვილი თუ ზღაპრული,
მარტოოდენ ბაბილონის გოდოლია,
თუ არ არის სიყვარულით შეკრული.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

კაცის ბუნების არსი — მოძრაობაა. სრული სიმშვიდე — სიკვდილია.

ბლეზ პასკალი

უსიხარულოდ, უსიყვარულოდ რა სანატრელ არს სიმრავლე დღეთა.

გრიგოლ ორბელიანი

ნამდვილი პატიოსნება — ესაა გადაწყვეტილება, რომ ყოველგვარ გარემოებაში გააკეთო ის, რაც ადამიანთა უმრავლესობას სარგებლობას მოუტანს.

ბენიამინ (ბენჯამინ) ფრანკლინი

ჭეშმარიტების სიყვარული — ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობაა მის საპოვნელად.

კლოდ ადრიან ჰელვეციუსი

მეგობრისთვის სამსახური კაცმა როგორ დაიზაროს?

დაე მოვკვდე, ოღონდ ჩემმა მეგობარმა გაიხაროს!

საადი



ნათელი და ლაღი ცხოვრება რომ გქონდეთ

ალბათ ყოფილა შემთხვევა, რომ გიცდიათ საკუთარი თავის შეცვლა, მაგრამ არაფერი გამოგსვლიათ, არა? ისარგებლეთ ჩვენი რჩევებით და ცხოვრება თქვენთვის საამური გახდება! განსაკუთრებით მაშინ, თუ დეპრესია და ნევროზი მოგეძალათ.

ისწავლეთ უარის თქმა!

რაღა თქმა უნდა, შინისაკენ მიმავალი, მაღაზიაშიც შეივლით და აფთიაქშიც შეირბენთ, მიუხედავად იმისა, რომ შინ ადრე დაბრუნებასა და წიგნის წაკითხვას აპირებდით. შაბათს კი, შვილებს ინგლისურზე წაიყვანთ, თუმცა ქმარი დაგპირდათ, რომ ამ საკითხს თავად მოაგვარებდა... თქვენ იმდენად მიეჩვიეთ, არასოდეს არავის არაფერზე უთხრათ უარი, რომ ველარც კი ამჩნევთ, როგორ გიყენებენ ადამიანები. ამის შედეგი — გადაღლილობა და დეპრესიაა. თავიდან მოიშორეთ ფიქრები იმის შესახებ, რომ ახლობლებს უფრო ნაკლებად ეყვარებით, თუ ხანდახან მათ თხოვნაზე უარს ეტყვით. ეს ასე არ არის!

იფიქრეთ საკუთარ თავზეც!

თქვენს ბიჭუნას ახალი ჯინსის შარვალი სჭირდება, გოგონას თმის შეღებვა და მოდური ვარცხნილობის გაკეთება სურს, ქმარს კი, სახლის ჩუსტები გაუცვდა და მათი ტარება აღარ შეიძლება... შეჩერდით და დაფიქრდით — ბოლოს, როდის მოიცალეთ საკუთარი თავისთვის? ამჯერად თავს მიხედეთ, წადით საპარიკმახეროში და რაიმე, თუნდაც იაფფასიანი ტანსაცმელი შეიძინეთ. განწყობა გამოგისწორდებათ, ეს კი, თავის მხრივ, თქვენს ირგვლივმყოფებზე დადებითად იმოქმედებს.

ნუ ეცდებით, იყოთ უნაკლო!

სამსახურში ცდილობთ, რომ საუკეთესო მხრივ წარმოჩინდეთ და ყოველთვის მოვლილად გამოიყურებოდეთ? შინ კი, ოჯახის წევრებს გინდათ ასიამოვნოთ და ათასნაირ დელიკატესს უმზადებთ. ნუ ეცდებით, ყველაფრის სრულყოფილად გაკეთებას — სხვებიც ხომ არ არიან უნაკლოები?! თქვენი ახლობლები დიდი სიამოვნებით მიირთმევენ რაღაც ჩვეულებრივ, გემრიელ კერძსაც, რომლის მოსამზადებლადაც ბევრად ნაკლები დრო დაგჭირდებათ. ბინაში კი, სულაც არ არის აუცილებელი, იდეალური წესრიგი სუფევდეს — მთავარია, სისუფთავე იყოს.



იდეალური ფორმების შენარჩუნებაზე ფიქრით თავს ზედმეტად ნუ დაიღლით!

უკვე იქამდე მიხვედით, რომ სინდისი გაწუხებთ, რადგან სპორტს ერთ დღესაც კი ვერ უთმობთ? დაივიწყეთ ამის შესახებ! ჩვენი რჩევაა: ხშირად ადით კიბეზე ფეხით, კბილების გახეხვის დროს კი, შეკუმშეთ და მოადუნეთ მუცლისა და საჯდომის კუნთები. რამდენიმე კვირაში შესანიშნავ შედეგს მიიღებთ!

თავისუფალი დროის გამოძებნა აუცილებელია!

კვირაში ერთი დღე გაითავისუფლეთ და აკეთეთ ის, რაც ჭეშმარიტად სიამოვნებას განიჭებთ. მაგალითად, წაიკითხეთ ან მეგობართან ერთად კაფეში წადით, უბრალოდ ესაუბრეთ მას, წადით აუზზე ან ენის შემსწავლელ კურსებზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ — მოსწყდით ყოველდღიურ პრობლემებს. ეს, ნათესავებთან ვიზიტსა და საყიდლებზე სიარულზე უმნიშვნელო სულაც არ არის.





თაფლი

თქვენი სილამაზისა და ახალგაზრდობის საიდუმლო

იმისათვის, რომ ლამაზად და ახალგაზრდულად გამოიყურებოდეთ, სულაც არ არის აუცილებელი ძვირად ღირებული კოსმეტიკური საშუალებების გამოყენება. დრია, ამ მიზნით „ბუნების ნობათი“ გამოიყენოთ!

თაფლი არბილებს ჯანს

აიღეთ 2 კვერცხის ცილა, ერთი ს/კ თაფლი და 1/2 ჩ/კ ნუშის ზეთი (შეგიძლიათ გამოიყენოთ ზეითუნის ზეთიც). თქვიფეთ ერთიანი მასის მიღებამდე, შემდეგ დაუმატეთ 2 ს/კ შვრიის ფქვილი. მიღებული მასა წაისვით სახეზე და გაიჩერეთ 20 წუთით.

იდაყვების მოვლა

თანაბარი რაოდენობის თაფლი და გლიცერინი შეურიეთ ერთმანეთს. შემდეგ, მიღებული მასა წაისვით გაუხეშებული იდაყვების კანზე. ამ საოცარი რეცეპტის მეშვეობით, თქვენი კანი ხუთი, შვიდი პროცედურის შემდეგ უჩვეულო სინაზესა და სავერდოვნებას დაიბრუნებს.

თმის მბზინვარება

ამ რეცეპტის მოსამზადებლად დაგჭირდებათ 1 ს/კ თაფლი, ამავე რაოდენობის ალოეს წვენი, ერთი კვერცხის გული და 1 ჩ/კ ნივრის წვენი. ყველაფერი გათქვიფეთ და შემდეგ მიღებული მასა წაისვით თმის მთელ სიგრძეზე. უკეთესი ეფექტის მისაღებად, სასურველია თუ თავზე თბილ პირსახოცს შემოიხვევთ. 20 წუთის შემდეგ, ჩამოიბანეთ თბილი წყლით, ბოლოს კი ცივი წყლით.

გულისპირის მოვლა

აიღეც 1 ჩ/კ თაფლი და გლიცერინი. საგულდაგულოდ გათქვიფეთ ერთ კვერცხის გულთან ერთად. ამის შემდეგ, მკვებავი ნიღაბი მკერდსა და გულის ფიცარზე წაისვით. გაიჩერეთ 15 წუთით და გრილი წყლით ჩამოიბანეთ. შედეგი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბებს.

მიირთვით ის, რაც გსიამოვნებთ!

ჯანმრთელი კვება ადამიანის ორგანიზმისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. მოიმარაგეთ თხილი, ნიგოზი, ნუში, ვაშლი, ბანანი და სხვა ხილი. საქმის კეთებისას შიგადაშიგ ამ პროდუქტებით ჩაიტკბარუნეთ პირი. სხვათა შორის, ამის მეშვეობით, თქვენ ორგანიზმისათვის აუცილებელ ვიტამინებსა და მინერალურ ნივთიერებებს მიიღებთ. აი, პიცისგან, ღვეზელისა და „ცხელი“ ბუტერბროდებისაგან თავის შეკავებას გირჩევთ.

მიჰყევით დინებას!

ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო წვრილმანიც კი გვაღიზიანებს. სამარშრუტო ტაქსიში ადგილი არ აღმოჩნდა, ან „საცობში“ მოხვდით, ან მაღაზიაში რიგში დგომა მოგიხდათ, სამსახურში კი გაუთავებელი ციებ-ცხელებაა. თითქოს ყველა და ყველაფერი სპეციალურად თქვენს გაღიზიანებას ცდილობს. მაგრამ გამოტყდით — თითქმის ყველა ეს უსიამოვნება ხომ სულაც არ არის ტრაგიკული. ამიტომ არ გირჩევთ ასეთ წვრილმანებზე ნერვიულობას. აღიქვით და მიიღეთ მოვლენები და საგნები ისეთებად, როგორიც არის, — თქვენ ხომ მაინც არაფრის შეცვლა არ შეგიძლიათ.

...ონდონის ...ცენტრი	პოეტური შემოქმედების სიმბოლო	სიმამრის ოჯახში მცხოვრები სიძე	ეგვიპტელთა ღმერთი	იტალიელი ფერმწერი სანდრო ...	უცნობი მიწა ...-ინკოგნიტა	ქარგონული მიმართვა	მდინარე დას. საქართველოში
...ის“	ღორის ... ფეხზე რომ დაისვა, თავზე აგაცოცდებაო	„ჩემო კარგო ქვეყანავ, ... მოგიწყენია“	გამის წოტი	ძერის მსგავსი მტაცებელი ფრინველი	... გვარა	მწერალი	ქალაქი რაჭაში

მორენა მერკვილაძე

რამდენიმე დღეში, მთელი მართლმადიდებლური სამყარო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს იზეიმებს. ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს პასექი ეწოდება. პასექი „ძველი აღთქმის“ დღესასწაულის სახელწოდებაცაა. თუმცა „ახალი აღთქმის“ ეკლესიაში პასექს დღესასწაულმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და სიკვდილიდან — სიცოცხლეში, მიწიდან — ზეცაში გადასვლის აღმნიშვნელი გახდა: „სიტყვა „პასექი“ აღნიშნავს გამოსვლას. ამ დღესასწაულთა დღესასწაულის სახელწოდება მომდინარეობს „ძველი აღთქმის“ ეკლესიიდან და აღნიშნავს ისრაელის შვილთა ეგვიპტიდან გამოსვლას და ამასთანავე მონობიდან მათ განთავისუფლებას. ხოლო „ახალი აღთქმის“ ეკლესიაში აღნიშნავს იმას, რომ თავად ღმერთის ძე მკვდრეთით აღდგომის შემდგომ, ამ წუთისოფლიდან აღვიდა ზეციურ მამასთან, მიწიდან ზეცად, ჩვენ გვიხსნა საუკუნო სიკვდილისგან, მტრის მონობისგან“, — განმარტავს წმინდა ამბროსი.

აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, ჩვენთვის საინტერესო საკითხებს, წმინდა მარინეს სახელობის ტაძრის მოძღვარი, **მღვდელი შიო მენაბდე** განგვიმარტავს:

— ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის უდიდესი სასწაულით მოხდა მარადიულ სიკვდილსა და ჯოჯოხეთზე გამარჯვება და ცოდვის მონობაში მყოფ ადამის მოდგმას მიეცა საშუალება, რომ უკვდავების გზას დასდგომოდა. ამაში მდომარეობს აღდგომის დღესასწაულის არსი. როგორ მოხდა დაბეჭდილ საფლავში მყოფი მაცხოვრის სხეულის მკვდრეთით აღდგომა?

— წმინდა წერილიდან ცნობილია, რომ ქრისტეს აღდგომა პირველად მენელსაცხებლე დედებს — მარიამ მაგდალინელს და მარიამ იაკობისას ეუწყათ უფლის საფლავზე მჯდომი ანგელოზისგან. როდესაც მენელსაცხებლე დედები, მზის ამოსვლისას, უფლის საფლავის სანახავად მივიდნენ, სამარხი გახსნილი დახვდათ. მანამდე კი, როგორც მათე მახარებელი გვაუწყებს: „და აჰა მოხდა დიდი მიწისძვრა, ვინაიდან უფლის ანგელოზი ჩამოვიდა ციდან, მივიდა, ლოდი გადააგორა და ზედ დაჯდა“ (მათე 28.2). ხმაურმა უფლის საფლავის მცველები შეაშინა და გაიქცნენ. სწორედ უფლის საფლავიდან გადაგორებულ ლოდზე მჯდომი ანგელოზი ეცხადება მარიამ მაგდალინელს და აუწყებს უკვე აღსრულებული მაცხოვრის აღდგომის შესახებ. მენელსაცხებლე დედებმა, უფლის აღდგომა მოციქულებს ამცნეს. როდესაც პეტრე და იოანე სამარხთან მივიდნენ, იქვე ნახეს ტილოები და სუდარა, რომელშიც მაცხოვრის სხეული იყო გახვეული. იოანე ოქროპირი განმარტავს: „ეს იყო სწორედ აღდგომის ნიშანი“. „ახალი აღთქმის“ მიხედვით, მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი პირველად, მარიამ მაგდალინელს ეცხადება. იმავე დღეს ეცხადება პეტრე მოციქულს, შემდეგ — ორ მოციქულს, რომლებიც ემაუსს მიდიოდნენ. საღამო ჟამს კი, გამოეცხადა თერთმეტ მოციქულს, რომლებიც ერთ ოთახში იყვნენ შეკრებილები და იუდეველთა შიშით, კარი ჰქონდათ დახშული.

— ქრისტიანებისთვის უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს ის ადგილი, სადაც მაცხოვარი იშვა, ეწამა და მკვდრეთით აღსდგა. იერუსალიმში — მაცხოვრის მკვდრეთით აღდგინების ადგილზე, ამჟამად, აღდგომის სახელობის ტაძარი დგას, სადაც აღდგომის დღესასწაულზე ყოველწლიურად, საგანგებო წირვა-ლოცვა აღესრულება და უამრავი ადამიანი უდიდესი სასწაულის — უფლის საფლავზე მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლის მომსწრე ხდება. როგორ ხსნის მართლმადიდებლური ეკლესია ამ მოვლენას?

— მართლმადიდებლური ეკლესია ამ მოვლენას ღვთისგან მოვლინებულ სასწაულად მიიჩნევს. IV საუკუნეში, ელენე დედოფალმა ააგებინა მაცხოვრის აღდგომის ტაძარი და იმავე წელს, უფალმა ზეციური ცეცხლი გარდმოავლინა მაცხოვრის საფლავზე. უფლის საფლავზე მადლმოსილი ცეცხლი მხოლოდ მართლმადიდებლური აღდგომის დღესასწაულის წინ — დიდ შაბათს გადმოდის. ვნების შვიდეულის პარასკევს, მაცხოვრის საფლავის კარს ბეჭდავენ სანთლის ბეჭდით; იკეტება ტაძრის კარიც; მორწმუნეთა დიდი ნაწილი ტაძარში ან მის გარეთ რჩება და მთელ ღამეს ლოცვაში ატარებს. დიდ პარასკევ საღამოს, ტაძარში ყველა სანთელს და კანდელს აქრობენ. ირგვლივ სრული სიბნელე სუფევს. მაცხოვრის საფლავის ზედაპირზე აფენენ ბამბის თხელ ფენას და ჩამქრალ, ზეთით სავსე კანდელს დგამენ. დიდ შაბათს, მართლმადიდებელთა პატრიარქი შედის მაცხოვრის საფლავთან აღმართულ სამლოცველოში — კუვუკლიაში. პატრიარქს ხელში ჩამქრალი სანთლები უჭირავს. სამლოცველოში შესვლამდე, მას საგანგებოდ ამოწმებენ, რათა დარწმუნდნენ, რომ არაფერი შეაქვს ისეთი, რითიც ცეცხ-

ლის ანთებაა შესაძლებელი. პატრიარქი იწყებს ლოცვას და დაახლოებით პირველიდან ორ საათამდე, ხდება მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლა. ცეცხლის გარდამოსვლის წინ, ტაძარში პერიოდულად ხდება გაელვება, შემდეგ კი, ტაძრის გუმბათიდან ეშვება მოცისფრო ალი, რომელიც უფლის საფლავზე ეშვება და ნელ-ნელა ეფინება საფლავის ფილაზე დაფენილ ბამბის ფთილებს. მას ეხება პატრიარქი სანთლებით და ანთებული სანთლებით მორწმუნეებთან გამოდის. პატრიარქის სანთლებიდან, ცეცხლი ყველა სანთელს ედება. თითოეულ ადამიანს ხელში 33 სანთელი უჭირავს, რაც სიმბოლურად მაცხოვრის დედამიწაზე გატარებულ წლებზე მიგვანიშნებს.

— გადმოედინება თუ არა მადლმოსილი ცეცხლი სხვა სარწმუნოების წარმომადგენელთა მღვდელმთავრის ლოცვა-ვედრებით?

— მართლმადიდებელ პატრიარქთან ერთად, კუვუკლიაში შესვლის უფლება აქვს მონოფიზიტთა მღვდელმთავარსაც, მაგრამ იგი მხოლოდ ანგელოზის სვეტში დაიშვება (კუვუკლია ორნაწილიანია: ანგელოზის სვეტი და საკუთრივ საფლავი — მღვიმე). იყო შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი აღდგომის დღეს, სომხებმა მოისყიდეს ტაძრის მცველი თურქი სამხედროები, კუვუკლიაში შევიდნენ, ჩარაზეს კარი და მართლმადიდებელთა პატრიარქს უფლის საფლავთან მისვლის უფლება არ მისცეს. მონოფიზიტთა მღვდელმთავარი და ტაძარში შეკრებილი სომხები ლოცულობდნენ მადლმოსილი ცეცხლის მისაღებად. უეცრად, მოწმენდილ ცაზე დაიქუხა, მარმარილოს სვეტი გაიბზარა და ნაპრალიდან ცეცხლი გადმოვიდა. მართლმადიდებელმა პატრიარქმა აიტაცა ეს ცეცხლი და გადასცა ყველა იქ მყოფს. ამის შემდეგ, არც ერთი სარწმუნოების წარმომადგენლებს არ გასჩენიათ მადლმოსილი ცეცხლის მიღების სურვილი, რადგან ეს იყო ნიშანი იმისა, რომ მადლმოსილი ცეცხლის გარდამოსვლა მხოლოდ მართლმადიდებელთა პატრიარქის ხელში ხდება.

— რა ღვთისმსახურება აღესრულება აღდგომის დღესასწაულზე მართლმადიდებლურ ტაძრებში და როდის იწყება სააღდგომო მსახურება?

— შაბათ საღამოს, ყველა მოქმედ მართლმადიდებლურ ტაძარში იწყება ლიტანიობა (განსაკუთრებული ლოცვის სახე, რომელსაც სადღესასწაულო ელფერი აქვს და ეკლესიის გარშემო ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე სამღვდელოებისა და მრევლის გალობითა და ლოცვით მსვლელობით გამოიხატება). დიდ შაბათ საღამოს, ტაძარს ტოვებს სამღვდელოება და ტაძარში მყოფი მრევლი. იკეტება ტაძრის კარი (რაც სიმბოლურად მაცხოვრის დაბეჭდილ საფლავს განასახიერებს). მაცხოვარმა საფლავში სამი დღე დაყო, ამიტომ სამი დღის დაფვლის აღსანიშნავად, ლიტანიობის დროს, სამღვდელოება და მრევლი სამჯერ შემოივლიან ტაძრის გარშემო. ამის შემდეგ იხსნება ტაძრის კარი და იწყება საგანგებო ღვთისმსახურება, რომელიც დილამდე გრძელდება. სააღდგომო ღვთისმსახურების ღამიდან დღეში გადასვლა სიმბოლურად, „ძველი აღთქმიდან“ „ახალ აღთქმაში“ — ანუ სიბნელიდან სინათლეში (ჯოჯოხეთიდან — სამოთხეში) — გადასვლას მიგვანიშნებს, რაც უფალმა თავისი აღდგომით მოგვიტანა.

— აღდგომის დღესასწაულის დღეს, ქრისტიანები ერთმანეთს ესალმებიან სიტყვებით — „ქრისტე აღსდგა!“ პასუხად კი ვამბობთ — „ჭეშმარიტად აღსდგა!“ საიდან იღებს სათავეს ურთიერთმისალმების ეს ტრადიცია?

— ურთიერთმისალმების ამ ფორმით მორწმუნენი ქრისტეს აღდგომის წყალობით მინიჭებული უკვდავებით გამოწვეულ სიხარულს უზიარებენ ერთმანეთს და მის ჭეშმარიტებას ადასტურებენ. როგორც აღვნიშნეთ, ქრისტეს აღდგომა პირველად მარიამ მაგდალინელს ეუწყა და მანვე წარმოთქვა პირველად სიტყვები: „ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!“ „ქრისტე აღსდგა!“ — ამ სიტყვებში ჩადებულია ჩვენი რწმენის ნათელი, ჩვენი სასოების სიხარული, ჩვენი სიყვარულის სიმტკიცე“ — განმარტავს არქიმანდრიტი რაფაელი. მორწმუნენი არა მარტო აღდგომის დღესასწაულის დღეს, არამედ მისი შემდგომი 40 დღის მანძილზე, „გამარჯობის“ ნაცვლად, ერთმანეთს უნდა ესალმებოდნენ სიტყვებით: „ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!“

— რატომ ვღებავთ სააღდგომოდ კვერცხს? რას მიგვანიშნებს კვერცხის წითელი ფერი და რატომ არსებობს კვერცხის ურთიერთგაცვლის ტრადიცია?

— კვერცხი საერთოდ მიჩნეულია სიცოცხლის სიმბოლოდ. როგორც კვერცხის უსიცოცხლო ნაჭუჭიდან იბადება სიცოცხლე, რომელიც იყო სავსებით დაფარული, ასევე საფლავში მყოფი ქრისტე აღსდგა, რათა ადამიანებისთვის მარადიული სიცოცხლე მოეტანა. მარადიული სიცოცხლე კი, უფალმა მოგვიტანა საკუთარი სისხლით, რაზეც კვერცხის წითელი ფერი მიგვანიშნებს. საღმრთო გადმოცემით, კვერცხის ერთმანეთში გაცვლის ტრადიცია ეკუთვნის მარიამ მაგდალინელს. როდესაც მარიამ მაგდალინელი რომის იმპერატორის — ტიბერიუს პირველის წინაშე წარდგა, კვერცხი გაუწოდა სიტყვებით: „ქრისტე აღსდგა!“ „ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდეს“, — ეჭვით უპასუხა იმპერატორმა, მაგრამ სიტყვები დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ კვერცხმა გაწითლება იწყო...

— რატომ ვაცხობთ სააღდგომოთ პასქას?

— როგორც თეოფილაქტე ბულგარიელი განმარტავს, ჩვენი პასქა არის ქრისტე, ჩვენთვის შეწირული — ანუ პასქა სიმბოლურად იესო ქრისტეს განასახიერებს. ძველად ოჯახის თითოეულ წევრზე თითო პასქა ცხვებოდა. ამით მორწმუნენი აღიარებდნენ, რომ ქრისტე თითოეული ჩვენგანისთვის შეეწირა მსხვერპლად და თითოეული ჩვენგანისთვის აღსდგა. სააღდგომო პურის — პასქის სახელწოდება მომდინარეობს აღდგომის დღესასწაულის სახელწოდებიდან — პასექი.

— დღემდე შემორჩენილი ტრადიციის თანახმად, საქართველოს ბევრ რაიონში აღდგომის დღესასწაულზე გადიან საფლავზე. რამდენად მართებულია ეს ჩვეულება?

— აღდგომის დღესასწაული არის დღესასწაული — როგორც ცოცხალი, ასევე გარდაცვლილი ქრისტიანებისთვის, ამიტომ თუ სურვილი გვაქვს, რომ ჩვენი გარდაცვლილი ახლობლების სულებს აღდგომის დღესასწაული ვახაროთ, აღდგომა დღეს ეს უნდა გამოვხატოთ არა საფლავზე გასვლით, არამედ ტაძარში აღვლენილ სააღდგომო ღვთისმსახურებაში მონაწილეობით, რადგან საგანგებო ღვთისმსახურების დროს, ეკლესია გარდაცვლილი ქრისტიანებისთვისაც ლოცულობს. იმის გამო, რომ ჩვენში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ქრისტიანები დევნას განიცდიდნენ, აღდგომის დღესასწაულის დღეს გადიოდნენ საფლავზე, როგორც შედარებით მშვიდ ადგილზე და იქ აღნიშნავდნენ ამ დღესასწაულს, რაც ტრადიციად იქცა. რადგან ეს ტრადიცია დღემდე შემორჩა და აღდგომა დღეს საფლავზე გასვლა არამართებულია, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაშვებულია იკომონიის (შერბილებული) წესი, რომ საფლავზე აღდგომის მეორე დღეს — ორშაბათს გავიდეთ და არა უშუალოდ აღდგომის დღესასწაულის დღეს.

— როდის ხსნილდება სააღდგომო მარხვა?

— სააღდგომო ღვთისმსახურების შემდეგ, ხდება ყველისა და კვერცხის კურთხევა, რომლის შემდეგაც მორწმუნეებს სახსნილო საკვების მიღების უფლება ეძლევათ. ■

შეყვარებულ უეინ რუნის მტრები ჰყოლია

ინგლისური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს, უეინ რუნის მოულოდნელად საფრთხე დაემუქრა. ამას წინათ, სახლს, რომელშიც რუნი ოჯახთან ერთად ცხოვრობს, უცნობი ვანდალები დაესხნენ თავს. მათ არა მარტო შენობის ყველა ფანჯარა ჩაამტვრიეს, არამედ ოჯახის ტრანსპორტზეც მიიტანეს იერიში. ამის შედეგად, ვუნდერკინდის მამა, უეინ რუნი-უფროსი შოკში ჩავარდა. „დანაშაულის მიზეზებზე საუბარი მიჭირს, – განაცხადა მან, – სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი ჩვეულებრივი ხულიგნები იყვნენ. მაგრამ თუკი პოლიცია დაამტკიცებს, რომ ეს დაგეგმილი აქცია იყო, მაშინ საქმე უფრო სერიოზულ პრობლემასთან გვექნება. დღემდე ჩვენთვის ყველაზე დიდ პრობლემას მანქანის დახვრეტილი საბურავები წარმოადგენდა, მაგრამ ამჯერად ხულიგნებმა ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯეს. ჩვენს ფანჯრებს ქვები დაუშინეს!.. ყველაზე სამწუხაროდ კი ის გახლავთ, რომ ამ დროს შინ ბავშვებიც იმყოფებოდნენ, რომლებმაც ეს ყველაფერი საკუთარი თვალით იხილეს“. თავად 17 წლის უეინმა მომხდარის შესახებ კომენტარისაგან თავი შეიკავა და იმედი გამოთქვა, რომ მსგავსი ფაქტები აღარ განმეორდება. სამაგიეროდ, მან ცოტა ხნის წინ, თავისი საიდუმლო გაამხილა. აღმოჩნდა რომ „ევერტონის“ „ვუნდერკინდს“ მარჯვენა მხარზე თავისი და შეყვარებულის – კოლინ მაკლაფლინის ვნების ამსახველი სვირინგი ჰქონია. უეინის მშობლების თქმით, მათი ვაჟიშვილი კოლინს უკვე 7 თვის განმავლობაში ხვდება. საქმე იქამდე ყოფილა მისული, რომ თურმე რუნი თავის რჩეულს ხშირად სკოლის კართანაც კი უცდის ხოლმე. ამას წინათ, უეინს კოლინისათვის დაბადების დღეზე ძვირფასი საათიც უჩუქებია, რომლის ღირებულებაც დაახლოებით 2 ათასი გირვანქა სტერლინგია. ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელზეც უკვე თითქმის ყველა ინგლისური საკლუბო გრანდი ნადირობს, მისივე მეგობრების თქმით, ბოლო დროს საერთოდ არ შეცვლილა. იგი კვლავაც ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს ყველა თავის მეგობართან და მათთან ისეთივე ურთიერთობა აქვს, როგორიც ადრე ჰქონდა. სხვათა შორის, ბოროტი ენები ირწმუნებიან, რომ ამის მიზეზიც ისევ და ისევ კოლინია, რომელიც თურმე მედიდურ ადამიანებს ვერ იტანს. ამჟამად რუნი ლივერპულში ცხოვრობს და მალე იგი ოჯახთან ერთად ახალ – 350 ათას გირვანქად ღირებულ სახლში გადაბარგდება.

ნეაპოლში დონ დიეგოს სახელი უკვდავყვეს

ამიერიდან, ქალაქ ნეაპოლში მდებარე სტადიონი დიეგო მარადონას სახელობისა იქნება. ქალაქის ხელმძღვანელობამ სწორედ ამგვარად გადაწყვიტა არგენტინელი სუპერვარსკვლავის სახელის უკვდავყოფა. შეგახსენებთ, რომ 1980-იანი წლების მიწურულს, დონ დიეგო სწორედ „ნაპოლის“ ღირსებას იცავდა და კლუბს ორჯერ მოაგებინა სკუდეტო. სტადიონ „სან პაოლოსათვის“ მარადონას სახელის მინიჭების წინადადება ქალაქის საბჭოში მემარცხენე ფრაქციამ წამოაყენა და ხმათა აბსოლუტური უმრავლესობაც მიიღო. ახლა მხოლოდ ისღა დარჩა, რომ ეს გადაწყვეტილება ფორმალურად დაამტკიცონ რომში. საინტერესოა, რომ იტალიაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაუშვებელია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებისათვის იმ ადამიანთა პატივსაცემად სახელების მინიჭება, რომელთა გარდაცვალებიდან 10 წელზე ნაკლები დროა გასული. ეს კანონი ჯერ კიდევ ფაშისტური დიქტატურის პერიოდში მიიღეს და იგი დღემდე ძალაშია. სხვათა შორის, თავის დროზე მას ხელი არ შეუშლია „ენთუზიასტებისათვის“ იმაში, რომ „სტადიო დე ლე ალპისთვის“ „სტადიო ბენიტო მუსოლინი“ ეწოდებინათ. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ამჟამად, დონ დიეგოს ყოფილ კლუბს, „ნაპოლის“ მძიმე დღეები უდგას – ის სერია B-ში თამაშობს და ალბათ მიმდინარე სეზონის ბოლოს, უკვე სერია C1-შიც გადაინაცვლებს.

„მანჩესტერი“ რონალდინიოში 25 მილიონის გადახდას აპირებს

ფრანგული გაზეთის „ეკიპის“ ცნობით, პსჟ-ს პრეზიდენტი, ლორან პერპერი და „მანჩესტერ იუნაიტედის“ გენერალური დირექტორი, პეტერ კენონი ფრანგული კლუბიდან რონალდინიოს ინგლისში გადასვლასთან დაკავშირებით აწარმოებენ მოლაპარაკებებს. როგორც ცნობილი გახდა, „მანჩესტერის“ ხელმძღვანელობა მზად არის, რომ ბრაზილიელ ნახევარმცველში პსჟ-ს 25 მილიონი ევრო გადაუხადოს. ფრანგული კლუბის წარმომადგენლები კი, 45 მილიონზე ნაკლებად რონალდინიოს გაყიდვას არ აპირებენ. გარდა მანჩესტერელებისა, მსოფლიო ჩემპიონით „იუვენტუსიცაა“ დაინტერესებული, თუმცა ტურინული გრანდი ბრაზილიელ ვარსკვლავში მხოლოდ 20-25 მილიონს იმეტებს. თავად რონალდინიოს გული ნისლიანი ალბიონისაკენ მიუწევს, რადგან მისი აზრით, „მანჩესტერი“ უფრო შემტევ ფეხბურთს თამაშობს. აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ ფეხბურთელის აგენტები უკვე შეხვდნენ ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობას.

სიცოცხლის მსხვერპლნი

„ფორმულა-1“-ის რბოლა ერთ-ერთი ყველაზე ექსტრემალური სპორტის სახეობაა, რომელში მოასპარეზე პილოტების ჯანმრთელობა და სიცოცხლე მუდმივად საფრთხის ქვეშაა. თავისი 50-წლიანი ისტორიის მანძილზე, „სამეფო რბოლებმა“ 60-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და მხოლოდ ბოლო წლებში განხორციელებულმა უსაფრთხოების განსაკუთრებულმა ზომებმა შეამცირა „ფორმულა-1“-ის ტრასებზე მსხვერპლთა რიცხვი.

2003 წლის ბრაზილიის გრან-პრი ავტორბოლების მოყვარულთ დიდხანს ემახსოვრებათ. ინტერლაგოსის ტრასაზე თავსხმა წვიმამ რბოლაში ისეთი ქაოსი შეიტანა, რომ სტარტზე მდგომი 20 მრბოლელიდან ათმა ფინიშამდე ვეღარ მიაღწია. მათ შორის იყო მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი, Ferrari-ს ვარსკვლავი, მიხაელ შუმახერიც. ფაქტობრივად, ფინიში ვერ გადალახა დანარჩენმა ათმა ბოლიდმაც, რადგან ასპარეზობის წესების თანახმად, მათ 71 წრე უნდა გაევლოთ, მაგრამ უკვე 54-ე წრეზე ავსტრალიელი მარკ უებერის Jaguar-ი ნაწილებად დაიშალა და ერთბაშად სამი ბორბალი დაკარგა. 55-ე წრეზე კი, ბორბალი უკვე ფერნანდო ალონსოს Renault-ს მოსწყდა. ესპანელი პილოტის ავტომობილი ძლიერად შეეჯახა დამცველ ბარიერს, ხოლო შემდეგ – მოპირდაპირე კედელს. ეს შემთხვევა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ რბოლა შეეჩერებინათ და გამარჯვებული, 53-ე წრის შედეგების მიხედვით გამოევლინათ.

ინტერლაგოსის ტრასაზე გამართული რბოლის ყურებისას, ვერავინ წარმოიდგენდა იმას, რომ ასპარეზობა უმსხვერპლოდ დასრულდებოდა: სპორტულ ავტომობილთა ნაწილები აქეთ-იქით ყუმბარის ნამსხვრევებივით ცვიოდა, რის გამოც 10-ზე მეტი ბოლიდი ჯართად იქცა. მიუხედავად ამისა, ამ ავტომობილების პილოტთაგან სერიოზულად არავინ დაშავებულა. მარტო ფერნანდო ალონსო მოათავსეს ჰოსპიტალში, თუმცა ექიმებმა მას მხოლოდ მხრის, ბარძაყისა და მუხლის მსუბუქი დაჟეჟილობა დაუდგინეს და საავადმყოფოდან მეორე დღესვე გამოწერეს.

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ „ფორმულა-1“ სპორტის ათ ყველაზე საშიშ სახეობაში შედის, თუმცა იგი მაინც ექსტრემალურ ასპარეზობათა შორის ერთ-ერთ უსაფრთხო დისციპლინად ითვლება. ეს კი, ბოლო წლებში შემოღებული უსაფრთხოების განსაკუთრებული მეთოდების გამოყენების საშუალებით გახდა შესაძლებელი. მანამდე, „ფორმულა-1“-მა რთული და ფათერაკებით აღსავსე გზა განვლო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტატისტიკური მონაცემების თანახმად, „ფორმულა-1“-ის რბოლებში მომხდარმა ავტოკატასტროფებმა 60-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა. განსაკუთრებით მძიმე, 1960-1962 წლები აღმოჩნდა, როდესაც 18 კაცი დაიღუპა. ყველაზე სისხლიან რბოლად კი, 1961 წელს ჩატარებული, იტალიის გრან-პრი ითვლება. ამ რბოლის წინ, გერმანელი პილოტი, გრაფი ვოლფგანგ ფონ ტრიპსი ჩემპიონატში დამავჯერებლად ლიდერობდა და უკვე იტალიის გრან-პრიზე შეეძლო ეზეიმა მსოფლიო ჩემპიონობა, მაგრამ ტრასაზე დიდი ტრაგედია მოხდა. რბოლის დასაწყისშივე, ფონ ტრიპსის Ferrari „ლოტუსის“ გუნდის ბოლიდს შეეჯახა, რის შედეგადაც ჰაერში აიჭრა და პირდაპირ მაყურებელთა ტრიბუნაზე დაეცა. დაიღუპა 14 ადამიანი, მათ შორის თავად ფონ ტრიპსიც. ამ ავარიამ მონცის სამეფო პარკის ტრასაზე გამართული გრან-პრი სამუდამოდ ჩაწერა „ფორმულა-1“-ის ისტორიაში, როგორც ყველაზე სისხლიანი რბოლა. ამ ასპარეზობისას სულ 17 კაცი დაიღუპა.

1963-1967 წლებში გამართულმა რბოლებმა შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა. 50 რბოლაში 47 ავარია მოხდა, რის გამოც 5 ადამიანი დაშავდა, მათ შორის სამი დაიღუპა. ამის შემდეგ „ფორმულა-1“-ს კვლავ „შავი პერიოდი“ დაუდგა – მომდევნო 10 წლის განმავლობაში ჩატარებულმა რბოლებმა 12 კაცის სიცოცხლე შეიწირა. ფონ ტრიპსის დაღუპვიდან ცხრა წლის შემდეგ, 1970 წლის 5 სექტემბერს მონაკოში ავსტრიელი მრბოლელის, იოჰენ რინდტის Lotus 72 დაიმსხვრა. „ჩემპიონატის დასრულებამდე სულ სამი ეტაპი იყო დარჩენილი და იოჰენმა იცოდა, რომ ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში ვეღარავინ შეეცილებოდა, მაგრამ ისე იქცეოდა, თითქოს მას ტრასაზე ვინმე უსწრებდა, – იხსენებს რინდტის ცოლი, ნინა, – იგი თავისი ახალი ბოლიდით უკმაყოფილო იყო და მასზე სპეციალური დამცავები მოახსნევინა“. ამის გამო მანქანა უმართავი გახდა. ტრასაზე რინდტის ბოლიდი მარცხნივ წავიდა და ზღუდეს შეეჯახა. როდესაც შემთხვევის ადგილზე დაცვამ მიირბინა, პილოტი უკვე მკვდარი იყო. რამდენიმე დღის შემდეგ, რინდტის ნეშტი მის მშობლიურ გრაცში გადაასვენეს და იქ დაკრძალეს. იმავე წლის დეკემბერში კი, იოჰენის მეუღლეს, ნინა რინდტს ქმრისათვის განკუთვნილი ჩემპიონის თასი გადაეცა. იოჰენ რინდტი გახდა „ფორმულა-1“-ის ერთადერთი პილოტი, რომელსაც ჩემპიონის ტიტული დაღუპვის შემდეგ მიენიჭა.

„ფორმულა-1“-ის ტრასებზე კი, კვლავ იხოცებოდნენ ადამიანები. 1978 წლის 10 სექტემბერს კვლავ მონაკოში, სტარტიდან უკვე მეორე მოსახვევში, რამდენიმე ბოლიდი შეეჯახა ერთმანეთს, რის შედეგადაც შვედმა მრბოლელმა რონი პეტერსონმა მოტეხილობები მიიღო. ჰოსპიტალში მას სისხლძარღვების დაცობა აღმოუჩინეს. მეორე დღეს, დილით პეტერსონი ცხიმოვანი ემბო-



ლიისგან გარდაიცვალა.

1982 წელს ცოლდერში გამართულ რბოლაზე კანადელი ჟილ ვილნევი – ამჟამად BAR-ის ცნობილი პილოტის, ჟაკ ვილნევის მამა – დაიღუპა. ვარჯიშის ბოლო წუთებზე ჟილი ტრასაზე გავიდა თავის კოლეგასთან (Ferrari-დან), დიდიე პირონთან ერთად, რომელმაც საუკეთესო შედეგი უჩვენა. ვილნევი ე.წ. „სწრაფ წრეზე" იმყოფებოდა, როდესაც ბოქსისკენ მძიმედ მიმავალი March-ის მრბოლელი იოჰენ მასა შენიშნა. ჟილმა March-ის მარცხნიდან გასწრება გადაწყვიტა, მასამ კი, ვილნევის მანქანა რომ შენიშნა, გზის დათმობა სცადა და ისიც მარცხნივ გადავიდა. ამ გაუგებრობის შედეგად, კანადელი პილოტის წითელი Ferrari March-ის უკანა ბორბლებს შეასკდა და ჰაერში ავარდა. მიწაზე დაცემის შემდეგ, ბოლიდი კვლავ ისე ახტა, როგორც ბატუტისტი და ჰაერში რამდენჯერმე დატრიალების შემდეგ, გაზონზე დაეცა. პირველი დარტყმა ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ უსაფრთხოების სალტეები გაწყდა და ვილნევი ბოლიდიდან გადმოვარდა, რის შედეგადაც მან ისეთი მძიმე ტრავმები მიიღო, რომ რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

1994 წელს სან-მარინოს გრან-პრიზე მომხდარმა ავტოკატასტროფამ „ფორმულა-1"-ის ორი პილოტის სიცოცხლე შეიწირა. თავისუფალი გარბენისას ავსტრიელი როლანდ რატცენბერგერი დაიღუპა. მიუხედავად ამისა, ავარიის მიზეზების გამოკვლევისათვის ორგანიზატორებს გარბენების შეჩერება საჭიროდ არ ჩაუთვლიათ. მალე ავარიაში ბრაზილიელი რუბენს ბარიკელოც მოყვა. ამის შემდეგ, არაერთი პილოტი ავარიის შედეგების გამოკვლევას მოითხოვდა, მაგრამ მათ ორგანიზატორები ვერ დაიყოლიეს. სტარტი – და კვლავ კატასტროფა: პედრო ლამი იურკი – იარვი ლეხტოს Benetton-ს აზიანებს, რომლის ნამსხვრევებითაც ტრავმებს მაყურებლებიც იღებენ. რბოლას ამჯერადაც არ აჩერებენ. სტარტიდან მეორე წრეზე აირტონ სენას Williams-ი ტამბურელოს მოსახვევში ორიენტაციას კარგავს და 220 კმ/სთ სიჩქარით, ბეტონის ზღუდეს ასკდება. ავტომობილი, ცხადია, დაზიანდა, მაგრამ არა იმდენად, რომ პილოტის გადარჩენა შეუძლებელი ყოფილიყო. აირტონ სენა უვნებლად გადარჩენილა უფრო საშინელ ავტოკატასტროფებშიც, მაგრამ ამჯერად, ბრაზილიელ პილოტს აღარ გაუმართლა: ბოლიდის კონსტრუქციამ მისი ჩაფხუტი გახვრიტა, რაც მრბოლელს სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ასე დაიღუპა „ფორმულა-1"-ის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი.

სან-მარინოში განვითარებულმა მოვლენებმა დიდი რეზონანსი გამოიწვია. სამგზის მსოფლიო ჩემპიონის, აირტონ სენას ტრაგიკული დაღუპვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრა, თუმცა გამოძიება ტრასაზე მომხდარი ავარიების შესახებ კონკრეტულ დასკვნამდე მაინც ვერ მივიდა. მიუხედავად ამისა, 1994 წლის მოვლენებმა დიდი ბიძგი მისცა „ფორმულა-1"-ში უსაფრთხოების ზომების გაძლიერების დაწყებას. სულ მალე, ამ მხრივ გაწეულმა სამუშაომ თავისი შედეგი გამოიღო: ე.წ. უსაფრთხოების საყელომ (კოკპიტის გვერდითი დამატებული კედლები) სიცოცხლე შეუნარჩუნა კარლ ვენდლინგერს 1994 წელს მონაკოში მომხდარი ავარიის დროს. მომდევნო წელს, ადელაიდაში საყელომ თავის ფუძის მოტეხილობას გადაარჩინა მიკა ჰაკინენი, რომლის ბოლიდმაც კატასტროფა განიცადა (ასეთივე სიტუაციაში დაიღუპა როლანდ რატცენბერგერი). კოკპიტის გაძლიერების წყალობით კი, 1997 წელს კანადის გრან-პრიზე ოლივიე პანისი გადაურჩა სიკვდილს, ხოლო ორი წლის შემდეგ, სილვერსტოუნის ტრასაზე – მიხაელ შუმახერი.

ერთ დროს მრბოლელთათვის უდიდეს საფრთხეს ხანძარი წარმოადგენდა. „ფორმულა-1"-ის ცოცხალ ლეგენდას, ნიკი ლაუდას ალბათ არასოდეს დაავიწყდება 1974 წელს ნიურნბერგის ტრასაზე გამართული რბოლა. როდესაც მან ერთ-ერთი ჩქაროსნული მოხვევისას თავის Ferrari-ზე კონტროლი დაკარგა, იგი ზღუდეს შეეჯახა, რის შედეგადაც ბოლიდი ცეცხლის ალში გაეხვა. ნიკი ლაუდა სიკვდილს მისი ორი კოლეგის მოხერხებულმა მოქმედებამ გადაარჩინა, რომლებმაც იგი ცეცხლმოკიდებული მანქანიდან გადმოიყვანეს. ბოლოს, „ფორმულა-1"-ის ასპარეზობებზე ძლიერი ხანძარი გერმანიის გრან-პრის მსვლელობისას მოხდა, როდესაც Benetton-ის ბოქსში იოს ფერსტაპენის ბოლიდს საწვავის ჩასხმამდე ცეცხლი მოედო. საბედნიეროდ, მაშინ არავინ დაშავებულა. გაძლიერებული უსაფრთხოების პირობების წყალობით ბოლო წლებში „ფორმულა-1"-ის რბოლებში დიდ ხანძარს ადგილი აღარ ჰქონია.

მიუხედავად ამისა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ „ფორმულა-1"-ის რბოლა სრულიად უსაფრთხო ასპარეზობად გადაიქცა. 1994 წლის შემდეგ, ნამდვილად აღარ დაღუპულა არც ერთი პილოტი, თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მსხვერპლი საერთოდ არ ყოფილა. რა თქმა უნდა, ტრასაზე მოსალოდნელი ყველა სიტუაციის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია და ხანდახან უსაფრთხოების თანამედროვე სისტემაც უძლური აღმოჩნდება ხოლმე. 2000 წელს მონაკოში 33 წლის მეხანძრე, პაოლო გისლიმბერტი დაიღუპა. იტალიის გრან-პრის ორგანიზატორთა დასკვნის თანახმად, იგი სახიფათო ზონაში აღმოჩნდა: მესამე მოსახვევში შესვლამდე, Jordan-ის პილოტმა, ჰაინცჰაროლდ ფრენტცენმა, რუბენს ბარიკელოს Ferrari-ს გასწრება განიზრახა, ამ უკანასკნელს კი, უკანა ხედვის სარკეში არ ჩაუხედავს და თავად გადაწყვიტა Jordan-ის მეორე პილოტის, იარნო ტრულის გასწრება, რის გამოც ფრენტცენს გადაეღობა. „მე მანევრისათვის უკვე აღარც დრო და აღარც სივრცე აღარ მქონდა, – თავს იმართლებდა შემდეგ ფრენტცენი, – მოხვევა მოვინდომე, მაგრამ ჩემი ბოლიდი ბორბლებით Ferrari-ს შეეჯახა და უკვე ინერციით ჩემს თანაგუნდელს დავეჯახე, რომელიც თავის მხრივ კულტჰარდს შეასკდა. შემდეგ, რამდენადაც მივხვდი, ჩვენ Arrows-იც შეგვეჯახა, რის შედეგადაც მანქანათა ნამსხვრევები აქეთ-



იქით მიმოიფანტა და ერთ-ერთი გისლიმბერტის მოხვდა". მეხანძრემ შინაგანი ორგანოების მრავალმხრივი დაზიანება მიიღო და რბოლის დასრულებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, ჰოსპიტალში გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ვერ დაადგინეს, თუ ვისი მანქანის ნამსხვრევის მოხვედრის შედეგად გარდაიცვალა გისლიმბერტი, მის სიკვდილში ბრალი მაინც ფრენტცენს დასდეს და ტრასის მეხანძრის გაუფრთხილებლობით მკვლელობაში დაადანაშაულეს. პილოტს ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, მაგრამ რამდენიმეთვიანი კვლევა-ძიებისა და ექსპერტიზის შემდეგ, ფრენტცენი გაამართლეს: სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს უბედური შემთხვევა, ჩვეულებრივი სარბოლო ინციდენტი იყო. ორგანიზატორებს კი დაავალეს, რომ დამატებითი ზომები მიეღოთ მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მონაცის ტრაგედიიდან შვიდი თვეც არ იყო გასული, რომ მელბურნში 2001 წლის სეზონის პირველ ეტაპზე, ტრასის კიდევ ერთი მოსამსახურე დაიღუპა. იგი ჟაკ ვილნევის ბოლიდიდან მოულოდნელად მომძვრალმა ბორბალმა იმსხვერპლა. ამის შემდეგ, კანადელი პილოტის მანქანა ხუთჯერ ამოტრიალდა, მაგრამ ვილნევმა მაინც შეძლო დამოუკიდებლად გამოძრომა იმ უფორმო მასიდან, რასაც რამდენიმე წამის წინ, სპორტული ავტომობილი ერქვა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის იმ პოლიტიკის სისწორე, რომელიც „ფორმულა-1"-ის მრბოლელთა უსაფრთხოების დაცვის გაძლიერებისკენ იყო მიმართული. სხვათა შორის, ვილნევი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე აკრიტიკებდა ფედერაციას და ამტკიცებდა, რომ „ფორმულა-1"-ის მესვეურთა მიერ შემოღებული ახალი წესები რბოლას სანახაობრიობას უკარგავდა. მელბურნის ინციდენტის შემდეგ კი, ვილნევის კრიტიკა აღარავის მოუსმენია... ■

Formula-1: No smoking, please!

თამბაქოს მწარმოებელი კომპანია British Tobacco სარბოლო გუნდ BAR-იში დაბანდებული თავისი აქციების ნაწილის გაყიდვას აპირებს. ეჭვგარეშეა, რომ ავტოსარბოლო სამყაროდან თამბაქოს მწარმოებელი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კომპანიის წასვლა, „ფორმულა-1"-ში სიგარეტის რეკლამის აკრძალვასთანაა დაკავშირებული, რომელიც 2006 წელს შევა ძალაში. „სამეფო რბოლების" კიდევ ერთმა მონაწილე გუნდმა, BMW-Williams-მა ამას წინათ, „ფორმულა-1"-ის ისტორიაში თამბაქოს საწინააღმდეგო პირველი ხელშეკრულების შესახებ განაცხადა. კომპანია GlaxoSmithkline-ს მიერ NiQuitin-ის სახელით გამოშვებული პროდუქცია ხალხს მავნე ჩვევაზე უარი თქმაში დაეხმარება. ■

რომი უილიამსი მძლეოსნემს ხელს უშლის

მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში, დაგეგმილ ვადაში არ ჩატარდება, რისი მიზეზიც ის გახლავთ, რომ რობი უილიამსი 8 ივლისს მიუნხენში კონცერტის გამართვას აპირებს. ბრიტანელმა პოპ-მუსიკოსმა ჩემპიონატის ორგანიზატორებზე ადრე დაიქირავა სტადიონი „ოლიმპია-პარკი", სადაც დაგეგმილია როგორც კონცერტის, ასევე ტურნირის გამართვაც. გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციას მსოფლიო ჩემპიონატის 9 ივლისს დაწყება ჰქონდა განზრახული, მაგრამ მას რობი უილიამსმა დასწრო და სტადიონი სამი დღით ადრე აიღო იჯარით. „მიუხედავად იმისა, რომ უილიამსის კონცერტი ერთი დღით ადრე გაიმართება, პრობლემას ეს მაინც ვერ გადაწყვეტს, – ამბობს გერმანიის სპორტული ასოციაციის პრეზიდენტი, მანფრედ ფონ რიხტოფენი, – სცენის დაშლა დიდ დროს მოითხოვს, რაც დაგეგმილ ვადაში ჩემპიონატის ჩატარების საშუალებას არ მოგვცემს". თავის მხრივ, „ოლიმპია-პარკის" დირექტორმა, უილფრიდ სპრონკმა განაცხადა, რომ უილიამსს თავისი გეგმების შეცვლა არ შეუძლია, რადგან მიუნხენში გამოსვლამდე, მან 4 ივლისს ვენაში უნდა ჩაატაროს კონცერტი და ამ ორ ღონისძიებას შორის საკმაოდ მცირე დროა იმისთვის, რათა რაიმე შეიცვალოს. ■

ჰაასი კურნიკოვას ოტელოთან ერთიმა

შარშან დეკემბერში მიღებული ტრავმის გამო, ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელი იძულებითი პაუზით სარგებლობს და სიცოცხლის სიამეებით ტკბება. იგი ამჟამად თავის ახალ მეგობარ გოგონასთან ერთად ერთობა, რომელიც ძალიან ჰგავს ანა კურნიკოვას. სხვათა შორის, ჰაასი სწორედ რუს ლამაზმანთან მისი საოცარი მსგავსების გამო დაინტერესებულა ამ გოგონათი. აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანელი ჩოგბურთელის ახალი გატაცება, ლეგენდარული ბორის ბეკერის ყოფილი მენეჯერის, ალეკს მაიერ-ველდენის ქალიშვილია. ტომმა პირველი ნახვისთანავე შეჰყვარებია სენდი და ამას წინათ, მასთან ერთად მაიამიში ვოიაჟიც კი მოუწყვია. მთელი კვირის განმავლობაში, წყვილი ფლორიდის ულამაზეს პლაჟზე ერთობოდა. ჩოგბურთელის ერთ-ერთი ნაცნობის თქმით კი, საქმე იქამდეა მისული, რომ ჰაასს სულ მიავიწყდა ჩოგბურთი, რომელსაც წესით, მაისის შუა რიცხვებში უნდა დაუბრუნდეს. მიუხედავად ამისა, თავად ტომის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ეს ინფორმაცია უარყო და დასძინა, რომ ტრავმირებული მხარი კვლავაც სტკივა, რის გამოც მისი ვარჯიშის ხანგრძლივობა მხოლოდ 20 წუთით შემოიფარგლება. ■



ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

„ᲢᲐᲢᲣᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲓᲘ“ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲛᲐᲮᲔᲚ

თავისი უცნაური ხასიათით მთელ ჰოლივუდში სახელგანთქმული ანჯელინა ჯოლი ხანჯლების დიდი კოლექციის მფლობელია, გატაცებულია მგვით და უამრავი სვირინგითა აქვს სხეული „დამშვენებული“, მათ შორისაა, იაპონური „სიკვდილის“ ტატუ, რომელიც მსახიობს მარჯვენა მკლავზე აქვს გამოსახული.

სკანდალების მოყვარულ მსახიობზე პრესა გაუთავებლად წერს. მის შესამკობად ჟურნალისტები არც ეპითეტებს იშურებენ და არც მუქ საღებავებს, რამეთუ ასეთი პირქუში პერსონა ჰოლივუდს დიდი ხანია, რაც აღარ ახსოვს. მის ჩაცმულობაში ყოველთვის შავი ფერი ჭარბობს, უამრავი ტატუ აქვს და „უმუხრუჭო გოგონას“ სახელითაა ცნობილი. მისთვის უცხოა ნებისმიერი შეზღუდვა თუ აკრძალვა, არასოდეს ემორჩილება საზოგადოებაში გაბატონებულ წეს-ჩვეულებებს და ხშირად, მაპროვოცირებელ და არაპოლიტკორექტულ გამოთქმებსაც ხმარობს საკუთარი თავის მიმართაც, მაგალითად: „ანგელოზი-გამანადგურებელი“, „ტატუირებული ვარდი“...

როცა ახალდაბადებულ გოგონას მშობლებმა ანჯელინა ჯოლი – ანუ „ლამაზი ანგელოზი“ დაარქვეს, ალბათ კოშმარულ სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდნენ, რომ 25 წლის შემდეგ, მათი „ანგელოზი“ ვამპირ ქალად მოევლინებოდა ჰოლივუდს, სკანდალები კი, მისი ცხოვრების ნორმად იქცეოდა.

საზოგადოების შეცბუნება ანჯელინას რატომღაც სიამოვნებას ანიჭებს. იგი ადამიანთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, ვინც ნებისმიერი საშუალებით ცდილობს საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნას. მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, უყვართ იგი თუ სძულთ. მთავარია, რომ მისი სახელი მკაფიო ასოციაციას იწვევდეს და არასოდეს არავისში ერეოდეთ. სხვათა შორის, ჰოლივუდში ახლა განსაკუთრებით მოდაშია პასტელის ფერები ანუ – a-la გვინეტ პელტროუს სილუეტი. ჯოლის თითქმის ყველა „კონკურენტი“, გამხდარი, ფერმკრთალი და ქერათმიანია. ისინი „ვრინ-პისის“ (მწვანეთა) მოძრაობის აქტიური მხარდამჭერები არიან, მონაწილეობენ საქველმოქმედო აქციებში, მისდევენ ჯანსაღი ცხოვრების წესს და მზად არიან, წარმატებული კინოკარიერისათვის ყოველგვარი მსხვერპლი გაიღონ. მათი პოლიტკორექტული გამოთქმები და გაუთავებელი ინსინუაციები ამერიკის უკანასკნელი ქალწულის თემაზე უკვე ყველას ყელში ამოუვიდა.

ყოველივე მზად იყო საიმისოდ, რომ საზოგადოებაში „ეპატაჟის ახალი დედოფალი“ გამოჩენილიყო, რომელიც საკუთარი უარყოფითი თვისებებით მიიწონებდა თავს – ჯოლიმაც არ დაახანა და დედოფლის ტიტულს დაეუფლა.

შესაძლოა, ანჯელინამ საკუთარი იმიჯი სიტუაციიდან გამომდინარე კი არა, უბრალოდ თავისი უჩვეულო ხასიათის წყალობით მოიპოვა. ინტერვიუებში იგი ხშირად თავს იმით იწონებს, რომ უყვარს უკიდურეს ზღვარზე ცხოვრება, იქნება ეს ემოციური, ფიზიკური თუ საზოგადოებაში მიღებული ნორმების სფერო. „ყოველთვის იმ ერთი წამით ვცხოვრობ, გეგმებს არასოდეს ვსახავ. შესაძლოა, ხვალ ყოველივე შეიცვალოს – ჩემი ცხოვრებაც, იმიჯიც, პროფესიაც და ჩემ ირგვლივ მყოფი ხალხიც... სხვაგვარად ცხოვრება – მოსაწყენია“.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ანჯელინა ჰოლივუდში „ქუჩიდან მისული“ გოგონა როდი იყო. იგი პოპულარული მსახიობის, ჯონ ვოიტის ქალიშვილი გახლავთ. შუაღამის კოვბოის მეტსახელით ცნობილი ვოიტი („შუაღამის კოვბოიში“ შესრულებული როლისათვის ის „ოსკარით“ დაჯილდოვდა), 70-იანი წლების ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ვარსკვლავი გახლდათ. მართალია, ახლა ჯონს არცთუ ისე ხშირად იღებენ ფილმებში, მაგრამ მას ჰოლივუდში დღემდე, უდიდეს პატივს სცემენ.

ანჯელინა ჯოლი ვოიტი 1975 წლის 4 ივნისს ლოს-ანჯელესში დაიბადა. მამისაგან განსხვავებით, დედა – მარსელინ ბერტრანი ნაკლებად ცნობილი მსახიობი იყო. გოგონა სულ ერთი წლის გახლდათ, როცა მისი მშობლები გაიყარნენ. ანჯელინასა და მის უფროს ძმაზე მზრუნველობა დედამ იკისრა, თუმცა მამაც აქტიურად მონაწილეობდა მათ აღზრდაში. მშობლები მეტოქეობდნენ ბავშვების ავტორიტეტის მოსაპოვებლად. დედამის ასეთი ქცევა პატარა ანჯელინას მხედველობიდან არ გამოჰპარვია, ამით ისარგებლა და მშობლების მანიპულირებას მიჰყო ხელი. როცა მარსელინი და ჯონი მიხვდნენ, თუ რა ხდებოდა, უკვე გვიანი იყო: პატარა ენჯი თავნება, უმართავ გოგონად ქცეულიყო.

ანჯელინა შვიდი წლის იყო (1982), როცა კინოში მისი დებიუტი შედგა. ჰელ ეშბის ფილმის – „გამოსავლის ძებისას“ – სცენარის თანაავტორი და თანაპროდიუსერი, მამამისი გახლდათ. ჯერ კიდევ 12 წლის გოგონა, სამსახიობო ხელოვნებას უფროსი ასაკის სტუდენტებთან ერთად, ლი სტრასბერგის თეატრალურ სტუდიაში ეუფლებო-

და. სწავლის პარალელურად მოდელად მუშაობდა და ვიდეოკლიპებშიც მონაწილეობდა. სხვათა შორის, ანჯელინამ ორივე ასპარეზზე წარმატებას მიაღწია: მის ფოტოებს მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ჟურნალები ბეჭდავდნენ, ხოლო ვიდეოკლიპებში ისეთი დონის ოსტატები იღებდნენ, როგორებიც არიან: ლენი კრავიტცი და მით ლოუფი. ჯოლი არც კინოს ივიწყებდა და მისი ძმის – ჯეიმს ჰეივენის კინოკომპანიის – USC School of Cinema-ს ბაზაზე გადაღებულ ხუთ სურათშიც მიიღო მონაწილეობა.

ყოველივე უჩვეულოსა და ექსცენტრიკულისაკენ ლტოლვით გოგონა სიყრმის ასაკიდანვე გამოირჩეოდა. „16 წლის ვიყავი, როცა ძმები მარქსების ძველი ფილმის – „ნომრების მომსახურება“ – მოტივების მიხედვით სპექტაკლს ვდგამდით. იქ უამრავი საინტერესო როლი იყო, მაგრამ მე რატომღაც ბოროტი მენეჯერის სახე ავირჩიე. როცა მამა სპექტაკლის პრემიერას დაესწრო, სახტად დარჩა და მითხრა: ჩემი არ იყოს, შენც უცნაური გემოვნებით გამოირჩევიო“.

ანჯელინამ 18 წლის ასაკში გადაწყვიტა, რომ მისი უმთავრესი მოწოდება, კინო იყო და სცენურ ფსევდონიმად თავისი მეორე სახელი – ჯოლი აირჩია. თუმცა, ჰოლივუდშიც და მის ფარგლებს გარეთაც, ანჯელინას „მსახიობური ფესვების“ შესახებ ყველასათვის ცნობილი იყო.

პირველი ფილმი, რომელშიც უკვე ზრდასრულმა ანჯელინამ ითამაშა, ფუტურისტული ბოევიკი – „კიბორგი-2“ იყო. სურათში ენჯიმ ლამაზმანი კიბორგის მეორეხარისხოვანი როლი შეასრულა. 1995 წელს, მსახიობი გადაიღეს ფილმში – „ჰაკერები“, სადაც მას პარტნიორობას უწევდა ინგლისის ახალგაზრდობის კერპი – ჯონი ლი მილერი. ამ სურათში შედგა მილერის დებიუტი დიდ კინოში (მანამდე იგი მხოლოდ სერიალებში მონაწილეობდა), ანჯელინასათვის კი, ეს პირველი დიდი პროექტი გახლდათ. ისინი ფილმში კომპიუტერზე თავდავიწყებით შეყვარებულ მოზარდებს თამაშობდნენ. „ჩვენ მოგვცეს სამი კვირის ვადა, რათა დავუფლებოდით კომპიუტერის კლავიატურას და გორგოლაჭებიანი ციგურებით სრიალიც გვესწავლა, – იხსენებს ანჯელინა. – ეს ნამდვილი სამოთხე იყო – ჯონთან ერთად სიამოვნებით დავქროდი გორგოლაჭებიანი ციგურებით და თანაც ამაში ფულს მიხდიდნენ!“

ჯოლი და მილერი 1996 წლის გაზაფხულზე დაქორწინდნენ. მათი შეუღლება თითქმის დაემთხვა ფილმის პრემიერას. ანჯელინასა და ჯონის გზები მალევე გაიყარა და ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ისინი შეუღლების შემდეგაც სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობდნენ: ჯოლი – აშშ-ში, მილერი კი – ინგლისში. ანჯელინა ჰოლივუდში გავრცელებული ტრადიციისამებრ, ინტერვიუებში აცხადებდა, რომ ეს ხელს არ უშლიდა მათ სიყვარულს. მაგრამ 1999 წელს, წყვილი გაიყარა. ჯოლიმ მთელი „დანაშაული“ საკუთარ თავზე აიღო: „ჩემთან ცხოვრება საკმაოდ მძიმეა. არ მიყვარს საჭმლის მომზადება; არც ის, როცა მეხებიან; არასოდეს ვიმართლებ თავს...“ თუმცა, ენჯის სხვა მიზეზების დასახელებაც შეეძლო: „თავისუფალი სიყვარულის“ მომხრე და არატრადიციული შეხედულებების მქონე მსახიობი არც საპირისპირო სქესის და არც თავისივე სქესის წარმომადგენლებთან გართობაზე ამბობდა უარს...

მიუხედავად გამოკვეთილად ექსცენტრიკული ხასიათისა, მსახიობს კინოში ძალზედ მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი სახეები აქვს შექმნილი: ალაბამის შტატის პარალიზებული გუბერნატორის, ჯორჯ უოლასის ცოლის („ჯორჯ უოლასი“); შიდსით გარდაცვლილი ნარკომანი და ლესბოსელი მანეკენის, ჯია კარანჯისა („ჯია“); მანქანების გამტაცებლის („გაიტაცე 60 წამში“); ჭირვეული ცოლის („ფრენისას მართვა“); პოლიციელი ქალის („შიშის ძალა“); ფსიქიატრიული კლინიკის სოციოპათი პაციენტის („შეწყვეტილი სიცოცხლე“) და სხვა.

მსახიობს საყოველთაო აღიარება ჯერ კიდევ 1997 წელს, ტელეფილმ „ჯორჯ უოლასში“ შესრულებულმა როლმა მოუტანა. ჰოლივუდში აკრედიტებულმა უცხოელმა კრიტიკოსებმა ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებლისათვის დაწესებული „ოქროს გლობუსი“ ჯოლის მიაკუთვნეს. ერთი წლის შემდეგ, „ჯიაში“ შექმნილი შთამბეჭდავი სახისათვის ანჯელინამ კვლავ მოიპოვა „ოქროს გლობუსი“. ხოლო ჯეიმს მენგოლდის „შეწყვეტილი სიცოცხლე“ მის შემოქმედებაში ჯერჯერობით ყველაზე მნიშვნელოვანი ფილმი აღმოჩნდა, რადგან ამ სურათში შესრულებული მეორეხარისხოვანი როლისთვის მსახიობმა არა მარტო „ოქროს გლობუსი“, არამედ კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო – „ოსკარიც“ მოიპოვა (1999).

„ოსკარების“ გადაცემის ცერემონიიდან სულ რამდენიმე თვეში, ანჯელინამ კიდევ ერთი სიურპრიზი მოუწყო პუბლიკას: ის ცოლად გაჰყვა მსახიობსა და რეჟისორს ბილი ბობ ტორნტონს (სხვათა შორის, ბილიც „ოსკაროსანია“). მათ ლოს-ანჯელესში ყველასაგან ფარულად დაიწერეს ჯვარი. ჯონ ვოიტმა ქალიშვილის ქორწინების ამბავი ტელეეკრანიდან შეიტყო და კიდევ ერთ მონაჭორად მიიჩნია. ანჯელინამ აღიარა, რომ ტორნტონთან ქორწინებას სერიოზულად უდგებოდა და იმედი გამოთქვა, რომ ეს კავშირი ხანგრძლივი და ბედნიერი აღმოჩნდებოდა. მაგრამ ცოტა ხნის წინ, მასაც გაეყარა.

ბოლო დროს, ჰოლივუდის „ტატუირებულმა ვარდმა“ იმიჯი ნაწილობრივ შეიცვალა და საქველმოქმედო საქმიანობას მიჰყო ხელი. გაეროს კეთილი ნების ელჩის მისიით იგი კონფლიქტების ზონებში მოგზაურობს და ლტოლვილთა ბანაკებში მცხოვრებთ ეხმარება. ის ჰუმანიტარული მისიით უკვე ესტუმრა: კამბოჯას, სიერა-ლეონეს, ტანზანიას, პაკისტანს და ახლა, ჩეჩნეთში ვიზიტი აქვს დაგეგმილი. ლარა კროფტის როლისათვის აღებული ჰონორარიდან ჯოლიმ მილიონი დოლარი კამბოჯელი ლტოლვილების, კიდევ ერთი მილიონი კი, ავღანელთა დახმარების ფონდში გადარიცხა.

ანჯელინა ჯოლი ჰოლივუდის ერთ-ერთი ყველაზე მოდური და პოპულარული ვარსკვლავია და მას უამრავ საინტერესო პროექტს სთავაზობენ. ასე რომ, მაყურებელს წინ, მისი მონაწილეობით გადაღებული, კიდევ არაერთი საინტერესო ფილმი ელის. ■

დაგვიანებული ჩეისი მისკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-16

დეა ავალიანი მკვლელობისთვის გასამართლებული ძმის — თემურის სანახავად კოლონიას ესტუმრება. მათ მძიმედ დაავადებული დედა ჰყავთ. გაჭირვებული მდგომარეობიდან ოჯახის გამოსაყვანად, კერძო სახლში მცხოვრები დედა-შვილი მეორე სართულის დაგირავებას აპირებს. პაემნის დროს, თემური დას კანონიერ ქურდს — გიგოლას გააცნობს. იმავე საღამოს, რესტორანში დეას მდგმური ლონდა მას ახალგაზრდა კაცს — გურამს გააცნობს. წვეულებისას მოქეიფეებს შორის, დეა გიგოლას ნახავს...

რესტორნიდან გურამთან ერთად წამოსული დეა, მისი დაჟინებული თხოვნით, შინ ესტუმრება. მისით მოხიბლული გურამი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ მეორე დღეს საქართველოდან კარგა ხნით მიდის...

მეორე დღეს დეა შეესწრება თანაკურსელის — კახა ჯღარკავას კამათს ბიჭთან, რომელშიც თავისი ძმის თანაკლასელს — გიორგი აბრამიძეს იცნობს... შინ დაბრუნებულ დეას, შინ გურამის დატოვებული გიტარა და კონვერტი დახვდება. კონვერტში ფული, მედალიონი და ბარათი დევს, სადაც გერმანიაში წასული გურამი სთხოვს — ჩემს ჩამოსვლას დაელოდეო... მოგვიანებით, ლონდა თავის საყვარელთან, კაკოსთან და გიგოლასთან ერთად მოდის. გიგოლა დეას დედამისის ავადმყოფობის ამბავს გამოჰკითხავს და კარგი ექიმით დახმარებასაც დაჰპირდება, თან ფულსაც გადასცემს და დაჟინებით სთხოვს — უარს ნუ მაკადრებო...

მეორე დღეს, რედაქციაში მისულ დეას, რომელიც სწავლასთან ერთად გაზეთშიც მუშაობს, თანაკურსელი გოგონა საშინელ ამბავს შეატყობინებს: კახა ჯღარკავამ უნივერსიტეტთან ვიღაც ბიჭი მოკლაო...

მაიკომ გაფითრებულ ანას მაშინვე წყალი მოურბენინა, დეამ კი კითხვები დააყარა:

— ვინ ბიჭი?.. რატომ მოკლა?.. რა მოხდა?..

— ზუსტად, რა მოხდა, არ ვიცი... — როგორც იქნა, ამოღერღა ანამ. — მე რომ მივედი, ის საცოდავი უკვე საავადმყოფოში ჰყავდათ წაყვანილი...

— მერე, ექიმებმა რატომ ვერაფერი უშველეს?

— საავადმყოფოში უკვე მკვდარი მიიყვანეს... გზაში, შეყვარებულს ჩაჰკვდომია ხელში... თიკომ და თათამ მითხრეს...

— ეგენიც იქ იყვნენ?

— აბა რა... კახა ხომ მაგათ გარეშე ნაბიჯს აღარ დგამს...

— იმიტომაც მისდის საქმე კარგად... რაო, მაინც რა გითხრეს მაგ სულელებმა?

— ის ბიჭი მაღლივში სწავლობდა მათემატიკურზე და პირველ კორპუსში ვიღაც ფილოლოგ გოგოს აკითხავდა ხოლმეო...

— გვარი და სახელი არ გიკითხავს?

— კი, მაგრამ სახელს ვეღარ ვიხსენებ, გვარად კი, აბრამიძე ყოფილა, საწყალი...

— ვი-ი-ნ? გიორგი?.. გიორგი აბრამიძეზე ლაპარაკობ? — თვალები შიშით გაუფართოვდა დეას.

— ხომ გითხარი, სახელი არ მახსოვს-მეთქი... — დაფრთხა ანა.

— შენ რა, იმ ბიჭს იცნობდი? — ლაპარაკში ჩაერთო მაიკოც.

— კი... ვიცნობდი... — ნერვიულობისგან ხმა თითქმის ჩაუწყდა დეას. — უფრო სწორად, გუშინ გავიცანი...

— გუშინ? — გაუკვირდა მაიკოს. — როგორ?

— როგორ და... კახამ გიორგი გაჩერებაზე შემთხვევით დაინახა, აუხირდა და მე რომ არ ჩავრეულიყავი, ალბათ გუშინვე, რაღაც უბედურება მოხდებოდა.. მერე გიორგიმ მიცნო: შენ თემო ავალიანის და არა ხარო?.. ჩემი ძმის კლასელი ყოფილა... ღმერთო, მაინც როგორ გაიმეტა?!. როგორ მოკლა?!. თანაც, რისთვის?.. ერთი უბრალო...

— მართლა, სულ დამავიწყდა, — დეას სიტყვა გააწყვეტინა ანამ, თან ფეხზეც ფეთიანივით წამოხტა და საათზე დაიხედა: — ათ წუთში, ფაკულტეტზე უნდა ვიყოთ, დეკანი გვიბარებს.

— ვის? მე და შენ? — გაუკვირდა დეას.

— არა, მთელ ჯგუფს... გამომძიებელი უნდა მოვიდესო...

— მაშინ წავიდეთ, თორემ ვეღარ მივასწრებთ, — ჩანთას ხელი წამოავლო დეამაც.

ქუჩაში გასვლისთანავე, დეა ტროლეიბუსის გაჩერებისკენ გაქანდა, მაგრამ ანამ შეაჩერა:

— მოდი, ცოტა ფეხით გავიაროთ...

— შენი ვეღარაფერი გავიგე: რედაქციიდან კისრისტეხით წამომიყვანე, გვაგვიანდებაო და ახლა ფეხით გავიაროთო, მეუბნები? — გაუკვირდა დეას.

— არ გვაგვიანდება. დეკანი ორისთვის გველოდება. ახლა კი, ორის ნახევარია. უბრალოდ, არ მინდოდა, რომ მაიკოსთან კიდევ რამე წამოგცდენოდა და იმიტომ აგაჩქარე.

— მაინც, რა უნდა წამომცდენოდა?

— რა და... — ირგვლივ დაბნეულად მიმოიხედა ანამ.

— ჰო, თქვი, რას გულისხმობ?

— ჯერ მითხარი — მე და შენ ხომ ნამდვილად მეგობრები ვართ?

— მეგობრები?.. — დაიბნა დეა. — აბა, როგორ გითხრა?

— როგორ და პირდაპირ! — თვალი თვალში გაუყარა ანამ.

— პირდაპირ მარტო იმის თქმა შემიძლია, რომ მე ამქვეყნად ერთადერთი მეგობარი მყავდა — ჩემი კლასელი გვანცა სხიერელი...

— რას ჰქვია — გყავდა?.. უკვე მოგიკვდა თუ რა?.. — ხმაში ირონია გაურია ანამ.

— კი. მოკვდა...

— რას მეუბნები?.. — ახლა კი მართლა შეწუხდა ანა. — რა მოუვიდა?

— საკუთარ დაბადების დღეს დაიღუპა... — ნერწყვი ძლივსღა გადაყლაპა დეამ და თვალები ცრემლებით აევსო.

— როგორ?.. რანაირად?..

— გვანცას ოჯახს თბილისთან ახლოს აგარაკი აქვს... იქ მამამისს კარგა მოზრდილი ვენახი ჰქონდა გაშენებული და ყოველ წელს, ოჯახისთვის ღვინოსაც წურავდა... იმ დილითაც, მიშა ბიძია — გვანცას მამა ღვინის წამოსაღებად წავიდა თურმე აგარაკზე და გვანცაც აეკიდა: დედას და ბებიას დაბადების დღის სამზადისში მაინც ხელს ვუშლი და ცოტა გამასეირნეო... უკან რომ ბრუნდებოდნენ, თვითმცლელს შეასკდნენ...

— გვანცას მამა გადარჩა?

— თავიდან ორივე ცოცხალი იყო, მაგრამ შემდეგ მანქანას ცეცხლი წაეკიდა და...

— არ მითხრა, ცოცხლად ამოიწვნენო?

— კი... — ამოიოხრა დეამ. — ცეცხლი რომ ჩააქრეს, უკვე ორივე სულმთლად დანახშირებული იყო... მიშა ბიძია გვანცას ისე გადაჰფარებოდა, თითქოს საკუთარი სხეულით შვილის ცეცხლიდან გამოხსნას ცდილობდაო...

— კი, მაგრამ... ეს ამბავი აქამდე, ერთხელ მაინც როგორ არ მომიყვი? — გაუკვირდა ანას.

— რა ვიცი... რატომღაც საჭიროდ არ ჩავთვალე...

— ჰო-ო... — რაღაც უცნაურად გაწელა ანამ.

— რა იყო, გეწყინა?

— არა, მაგრამ შენც ნუ გეწყინება, რასაც ახლა გეტყვი... ეტყობა, აქამდე არც მე ჩავთვალე საჭიროდ ამის თქმა...

— კარგი, რა, ანა, ვერ გავიგე, რას მეჯიბრები? — გაცხარდა დეაც. — თუ გინდა, ახლაც ნუ მეტყვი. მე მგონი, არაფერს გაძალებ...

— არა, ახლა აუცილებლად უნდა გითხრა... საქმეს სჭირდება და იმიტომ...

— მაშინ, ყურადღებით გისმენ.

— გეხვეწები, კახა, გამომძიებელთან არ დაასმინო... — დაიწყო ანამ.

— რას ჰქვია, არ დავასმინო? — გაუკვირდა დეას.

— რას და... არ უთხრა, რომ კახა იმ ბიჭს „კურტკის“ წართმევას უპირებდა...

— „კურტკის“ ამბავი შენ ვინღა გითხრა?

— თიკომ და თათამ, სხვა ვინ მეტყოდა?..

— აუ, ამ ორ იდიოტს ხომ ვერაფრით ავცდი... კიდევ რა გითხრეს?..

— რა და... ჩვენ კი არაფერს ვიტყვით, მაგრამ ხომ იცი, დეა რა „იდეინია“, როგორი „სპრავედლივი“ უჭირავს, ამიტომ, კახას, გამომძიებელთან აუცილებლად ჩაუშვებს, იმ ბიჭს „კურტკის“ „დაწერას“ რომ უპირებდაო...

— მართალი უთქვამთ, „ჩავუშვებ“ და მერე როგორ!.. — კბილებში გამოცრა განრისხებულმა დეამ. — თანაც, მართლაც მაგარი „სპრავედლივი“ ვიქნები...

— დეა, გეხვეწები...

— რას მეხვეწები, გოგო, კაცის მკვლელის დანდობას?

— ჰო.

— ვერ გამიგია, რატომ?..

— იმიტომ... — ხმა ჩაუწყდა ანას. — იმიტომ, რომ კახა ჯღარკავა პირველი კურსიდან მიყვარს და მთელი ცხოვრებაც მეყვარება...

— რა თქვი?.. — გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა დეას. — ჯღარკავას გარდა, შესაყვარებელი ვერავინ ნახე?.. იცი, მაგ არაკაცმა რა ბიჭი მოკლა?!

— ვიცი, — მოკლედ უპასუხა ანამ.

— ის თუ იცი, გიორგის დედა, მაგ ერთადერთ შვილს სანთელივით რომ შესცქეროდა?! — არ ცხრებოდა დეა.

— ეგეც ვიცი, — ისევ მშვიდად უპასუხა ანამ. — მაგრამ გულს ვერაფერს უბრძანებ — მაინც მიყვარს...

— კი, ბატონო, შენი ნებაა, გიყვარდეს, ვინ გიშლის?..

— ვინ და შენ! — უცბად ორივე ხელი მხრებში მარწუხებივით ჩაავლო დეას ანამ. — შენ და შენი უაზრო პრინციპულობა!

— უაზროო?!.

— აბა რა?! იმ ბიჭს მაინც აღარაფერი ეშველება, უკვე მკვდარია... ახლა კახას უნდა შველა...

— სულ ტყუილად ირჯები, ჩემო კარგო, კახას შენი შველა ნამდვილად არაფერში დასჭირდება. ისეთი „შანსავიკი“ მამიკო ჰყავს, ათი კაციც რომ მოკლას, მაინც რამეს მოუხერხებს... ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა, რომ მეკითხა: კახა პოლიციამ უკვე აიყვანა? — დაინტერესდა ბოლოს დეა.

— არა. მიმალვა მოასწრო.

— მანქანით იყო?

— კი, მაგრამ მანქანა გაჩერებაზე დაუტოვებია, თვითონ, გაქანებულ ტროლეიბუსს შეხტომია და ჯერჯერობით, მის კვალს ვერავინ მიაგნო...

— რა თქმა უნდა, ვერც მისმა დედიკომ და მამიკომ, ხომ?

— ნუ ცინიკოსობ, რა... — გაცხარდა ანა. — კახას მამა ფაკულტეტზე თავზარდაცემული მოვარდნილა და რომ გაუგია, ის ბიჭი მოკვდაო, ამხელა კაცი ბავშვივით ატირებულა...

— ბავშვივით თუ ნიანგივით?..

— არა, შენთან ლაპარაკი აღარ შეიძლება! — ხელი ნერვიულად ჩაიქნია ანამ და ამის შემდეგ, უნივერსიტეტამდე დარჩენილი გზა გოგონებმა მართლაც უსიტყვოდ გაიარეს.

ფაკულტეტზე მისულ დეას და ანას დეკანატთან ორად-ორი თანაკურსელიღა დახვდათ...

— სად ხართ ამდენ ხანს? — შეიცხადა ერთ-ერთმა. — უკვე ყველა დაგვკითხეს. ცოტა კიდევ რომ დაგეგვიანათ, დეკანი თქვენს საძებნელად გამოგვაგზავნიდა.

— კი, მაგრამ ორზე არ ვიყავით დაბარებულები? — გაუკვირდა დეას. — ახლა კი...

— ორზე კი არა, ორის ნახევარზე, — შეუსწორა მას მეორე თანაკურსელმა.

დაბნეულმა დეამ ანას გადახედა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მას არაფერი ეხებოდა. ამასობაში, დეკანატის კარი გაიღო და ზღურბლზე მდივანი გამოჩნდა:

— მადლობა ღმერთს! ჩქარა, შემოდით ერთ-ერთი, თორემ, ბატონი დავითი უკვე გიჟს ჰგავს...

ანამ დეას გადახედა, მაგრამ ეს უკანასკნელი ადგილიდან მაინც არ დაძრულა:

— მე ბოლოს შემოვალ...

— მაშინ, შენ მოდი, ანა, — კარი უფრო ფართოდ გააღო მდივანმა და ანას გზა დაუთმო.

ანამ დეას ერთი ბრაზიანად გადახედა და ოთახში მედიდურად შეაბიჯა. მაგრამ რამდენიმე წუთში, უკან აშკარად დაბნეული გამოვიდა.

— რა იყო?.. ასეთი რა გკითხეს? — მისცვივდნენ მას თანაკურსელები.

— ისეთი არაფერი... — ჩურჩულით წარმოთქვა ანამ და დეას თვალები ვედრებით მიაპყრო: — ახლა შენი ჯერია, ოღონდ, გეხვეწები — არ დაგავიწყდეს, რაც გთხოვე...

დეას დანახვაზე, ფართო მაგიდასთან მჯდარ, მოღუშულ დეკანს სახეზე ნათელი დაეფინა:

— ო-ო, აი, ჩვენი ფაკულტეტის თვალიც მოვიდა... ბატონო თამაზ, გაიცანით, ეს დეა ავალიანია...

ამ სიტყვებზე, დეკანის მაგიდის წინ მდგარ ვიწრო და გრძელ მაგიდასთან მჯდარმა, თაბახის ფურცლებში თავჩარგულმა, მელოტმა და ლოყებღაჟღაჟა მამაკაცმა თავი სასწრაფოდ ასწია და ამოწითლებული თვალები შეაცეცა დეას:

— ძალიან სასიამოვნოა... დაბრძანდით, ქალიშვილო... სულ რამდენიმე წუთს წა-

გართმევთ... ჯერ ერთმანეთი გავიცნოთ: მე გამომძიებელი ქურხული გახლავართ... იმედია...

— მე მგონი, ჩვენ ერთმანეთს საკმაოდ კარგად უნდა ვიცნობდეთ, ბატონო თამაზ... — გამომძიებელს სიტყვის დამთავრება აღარ აცალა დეამ და სკამზე გამეხებული ჩამოჯდა.

— მართლა? — სახეზე მოჩვენებითი გაკვირვება გამოეხატა გამომძიებელს. — ხომ ვერ მეტყვით, საიდან?

— თქვენ ჩემი ძმის საქმეს იძიებდით... და ამის გამო, მეც არაერთხელ გყავართ დაკითხული...

— ა-ა? — გაღიმება სცადა გამომძიებელმა, მაგრამ ამის ნაცვლად, სახე მხოლოდ უშნოდ დაემანჭა. — არ გამიკვირდა — ასეთი მშვენიერი ქალიშვილი საიდან უნდა მიცნობდეს-მეთქი?.. კარგი, მოდით, ახლა ჩვენს ახალ საქმეს მივხედოთ...

— მანამდე, ერთი კითხვა მეც მაქვს. შეიძლება?

— გისმენთ. რა გაინტერესებთ?

— ბატონო თამაზ, იმას, რასაც ახლა თქვენ აკეთებთ, მოწმის ოფიციალური დაკითხვა ჰქვია?

— დაახლოებით.

— დაახლოებით თუ ზუსტად?

— ამას თქვენთვის ასეთი არსებითი მნიშვნელობა აქვს?

— დიახ, ძალიან არსებითი... თუ ეს ოფიციალური პროცედურაა, მაშინ თქვენც ოფიციალურად, პოლიციაში უნდა დამბარეთ და იქ დამკითხოთ. ასე არ არის?

— დეა, მომისმინე, — საუბარში სასწრაფოდ ჩაერია დეკანი. — ბატონ თამაზს პირადად მე ვთხოვე, რომ ფაკულტეტზე მოსულიყო. ხომ იცი, რა საშინელებაც მოხდა, ყველანი როგორი დათრგუნვილები ვართ... ახლა, პოლიციაშიც რომ სათითაოდ გვატარონ, ალბათ ნერვები საერთოდ აღარ შეგვრჩება... ბატონ თამაზს შენთან სულ რამდენიმე კითხვა აქვს, უპასუხე და თავისუფალი ხარ...

— კარგი, ბატონო დავით, როგორც თქვენ იტყვით... — დაეთანხმა დეა დეკანს და შემდეგ, ისევ გამომძიებელს მიუბრუნდა: — გისმენთ, რა გაინტერესებთ?

— როგორც თქვენმა მეგობრებმა მითხრეს, გუშინ თქვენ და ეჭვმიტანილი კახაბერ ჯღარკავა გიორგი აბრამიძეს გაჩერებაზე შეხვედრიხართ. რაზე ილაპარაკეთ?

— შემიძლია, გავიგო — ეს ინფორმაცია მაინც რომელმა ჩემმა მეგობრებმა მოგაწოდეს? — დაინტერესდა დეა.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა გამომძიებელმა, შემდეგ მაგიდაზე დაწყობილი თაბახის ფურცლები გულმოდგინედ გადაათვალიერა და ერთ-ერთზე შეჩერდა: — ა, ბატონო... თინათინ ნაყოფიამ და თამარ გვაზავამ.

— ესე იგი, თიკომ და თათამ... ასეც ვიცოდი... კარგი, გიპასუხებთ. გუშინ, კახამ მე და „მოდნიცები“ თავისთან დაგვპატიჟა.

— ვერ გავიგე — თქვენ და ვინ? — ჩაეკითხა გამომძიებელი.

— თინათინ ნაყოფია და თამარ გვაზავა. ამ გოგონებს ჯგუფელები „მოდნიცებს“ ვეძახით... ის იყო, ყველანი მანქანაში ჩავსხედით, რომ კახამ გაჩერებაზე გიორგის მოჰკრა თვალი, ორ წუთში დავბრუნდებიო, — გვითხრა და მანქანიდან გადავიდა. მაგრამ გიორგისთან ლაპარაკი გაუგრძელდა, ამიტომ მანქანიდან მეც გადავედი და — ორი წუთი კარგა ხანია, გავიდა-მეთქი, — შევახსენე კახას...

— შემდეგ რაღა მოხდა?

— არაფერი... კახამ გიორგის უთხრა: ხვალ გნახავო, — და ორივენი ისევ მანქანისკენ გამოვბრუნდით.

— გიორგი აბრამიძეს დიდი ხანი იცნობდით?

— არა, მხოლოდ გუშინ გავიცანი.

— კახამ გაგაცნოთ?

— არა, თავად გამეცნო.

— თავად?

— დიახ, გიორგი ჩემი ძმის თანაკლასელი იყო. მიცნო და გამომელაპარაკა.

— მანამდე, მასზე არაფერი იცოდით? თქვენს ძმას არასოდეს უხსენებია?

— როგორ არა! — ძალიან ხშირად იხსენებდა ხოლმე...

— მართლა? მაინც როგორ იხსენებდა?

— როგორც ძალიან ნიჭიერ ბიჭს. სკოლაში მთელი კლასი მათემატიკას მაგისგან ვიწერდით ხოლმეო...

— „ვაკის სამმოში“ გიორგის ყოფნაზე არაფერი უთქვამს?

— ბატონო თამაზ! — სიბრაზისაგან ხმა უცნაურად გაებზარა დეას. — „ვაკის სამმოში“ გიორგი აბრამიძის კი არა, ჩემი ძმის ყოფნის ამბავიც, პირველად და უკანასკნელადაც, მხოლოდ თქვენგან მაქვს გაგონილი. თანაც, რამდენადაც მახსოვს, გამოძიებამ ჩემს ძმას ეს ვერაფრით დაუმტკიცა...

— ვფიქრობ, თქვენს ძმას ამის გარეშეც ბევრი ცოდვა ჰქონდა...

— ჩემი ძმა უკვე ციხეში ზის და სასჯელს იხდის. ასე რომ, თუ ამის მეტი ჩემგან არაფერი გაინტერესებთ... — ფეხზე წამოდგომა დააპირა დეამ.

— მოითმინეთ... მოითმინეთ... — შეაჩერა ის გამომძიებელმა. — მაშინ, როგორც რუსები იტყვიან, ближе к делу, კახაბერ ჯღარკავა გიორგი აბრამიძესთან ლაპარაკის შემდეგ, გაღიზიანებული ხომ არ მოგეჩვენათ?

— არ მომჩვენებია — ნამდვილად გაღიზიანებული იყო.

— არ გიკითხავთ, რა მოხდა?

— ვკითხე.

— მერე, რა გიპასუხათ?

— ეს ქალებთან გასარჩევი საქმე არ არისო.

— მაგრამ ნაყოფიამ და გვაზავამ რომ სულ სხვა რამე მითხრეს?

— მაინც რა? — დაინტერესდა დეა.

— კახა ძალიან აღელვებული იყო, დეა კი ყველანაირად ამშვიდებდა, ხოლო როცა კახა მანქანიდან ტკბილეულის საყიდლად გადავიდა, დეამ ჩვენც გაგვიმხილა: ის ბიჭი კახას „კურტკის“ გახდას უპირებდა და დასაშინებლად დანაც კი მოულერა, კიდევ კარგი, დროზე მივუსწარი — რომ მიცნო, ვისი დაც ვიყავი, კახას მხოლოდ ამის გამო შეეშვაო...

— რა-ა? — ფეხზე გიჟივით წამოხტა დეა და თავჩაქინდრულ დეკანს გამეხებული მიუბრუნდა: — ბატონო დავით, თათამ და თიკომ ეს მართლა თქვეს?

დეკანმა თავი ძლივსღა ასწია:

— კი, ნამდვილად თქვეს, — სევდიანად ჩაილაპარაკა მან შემდეგ.

— რაკი ასეა... — მაგიდას მრისხანებით ანთებული თვალები მოავლო დეამ. — მაშინ, იქნებ, ფურცელი და კალამი მომცეთ...

— ფურცელი და კალამი რაღად გინდა? — დაინტერესდა დეკანი.

— ოფიციალური ჩვენება უნდა დავწერო და ბატონ გამომძიებელს პირადად ჩავაბარო.

ბატონმა დავითმა ფურცელი და კალამი უხმოდ მიაწოდა და დეაც მაშინვე წერას შეუდგა. რამდენიმე წუთში, ფურცელი ბოლომდე შეავსო და მეორე მოითხოვა. დეკანმა მეორე ფურცელიც უხმოდ გაუწოდა. ბოლოს, დეამ წერა დაასრულა, ხელი მოაწერა, თარიღი დაუსვა და ორივე ფურცელი გამომძიებელს დემონსტრაციულად დაუდო წინ:

— ეს ჩემი ოფიციალური ჩვენებაა, რომელშიც არც ერთ სიტყვას აღარ შევცვლი. ძალიან დამავალებთ, თუ წაიღებთ და რეგისტრაციაშიც გაატარებთ. თუ არა — ხვალ, განყოფილებაში თავად მოვიტან...

გამომძიებელმა ფურცლები აიღო, სტრიქონებს სწრაფად გადაურბინა და შემდეგ, დეკანს გაუწოდა. დეკანმა დეას ნაწერი დინჯად ჩაიკითხა.

— დეა, ჩემო კარგო... — როგორც იქნა,

ამოღერღა მან შემდეგ.

— დიახ, ბატონო დავით? — მაშინვე უპასუხა დეამაც.

— გეთანხმები, ძალიან ცუდი რამ მოხდა... დიდი უბედურება... მაგრამ ახლა, საქმეს შველა უნდა... ხომ იცი, ჩვენს ფაკულტეტს უკვე რამხელა ჩრდილი მიადგა... ახლა, თუ იმის მტკიცებასაც ჩვენვე მოვყვებით, რომ ყველაფერში მხოლოდ კახა ჯღარკავაა დამნაშავე...

— ბატონო დავით, მე არაფერს ვამტკიცებ... უბრალოდ, იმას ვწერ, რაც ჩემი თვალით ვნახე და გავიგონე — ეს არის და ეს...

— მაგრამ იმაზე თუ გიფიქრია, ხალხი რას იტყვის? ამის შემდეგ, ჩვენს ფაკულტეტზე რა აზრი შეექმნება?

— ხალხს აზრი უკვე შეექმნა, ბატონო დავით! უკვე ყველამ იცის, რომ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ტყავის ქურთუკის გამო კაცი მოკლა... თანაც, ასეც რომ არ იყოს, განა თქვენ თვითონ არ გვასწავლიდით — თქვენი ვალია, საზოგადოებას ფაქტები მიაწოდოთ, მასზე აზრს კი, ის უთქვენოდაც ადვილად შეიქმნისო?..

— კარგი, კარგი... წადი, თავისუფალი ხარ... — თავისთვის ჩაილაპარაკა დეკანმა და შემდეგ, თავი ხელებში ჩარგო.

დეა დეკანატიდან ტყვიასავით გამოვარდა და სანამ დერეფანში მდგარი ანა რამის კითხვას მოასწრებდა, კიბეზე კისრისტეხით დაეშვა. ანაც მაშინვე უკან გამოეკიდა:

— დეა, მოიცა, რა გიჟივით გარბიხარ?!.. არ მეტყვი, რა ქენი? რა უთხარი გამომძიებელს?..

— სრული სიმართლე!

— რა-ა? — ქანდაკებასავით გაშეშდა ანა. — ხომ შემპირდი, რომ...

— მე არავის აღარაფერს ვპირდები, გასაგებია?! — უკივლა დეამ. — გესმით, რას ითხოვთ ჩემგან?! გინდათ, რომ ყველაფერი მოკლულს დავაბრალო? არასოდეს! გესმის?! არასოდეს არ ვიზამ ამას!..

შინ მისულმა დეამ კარი გიჟივით შეგლიჯა, პალტო და ჩანთა შესასვლელში მდგარ სკამზე მიყარა, თავად სასტუმრო ოთახში შევარდა, ტახტზე პირქვე დაემხო და აქვითინდა.

— დეა, შვილო, შენა ხარ? — გამოსძახა საძინებლიდან დედამ.

— ჰო, მე ვარ...

— რა გატირებს? რა მოხდა?

— არაფერი.

— როგორ თუ არაფერი?! აბა, ახლავე შემოდი ჩემთან და დამენახვე!

დეა ცოტა ხანს კიდევ უძრავად იწვა, შემდეგ წამოდგა, ცრემლიანი თვალები ხელისგულებით შეიმშრალა და საძინებელში ისე შევიდა.

— რა დაგემართა? რა ფერი გადევს?! — შეიცხადა ქალბატონმა ელენემ.

დეა მას ლოგინზე ჩამოუჯდა, ჯერ უსიცოცხლო ხელები დაუკოცნა, შემდეგ გულში ჩაეკრა და სლუკუნ-სლუკუნით ყველაფერი უამბო.

— მოგიკვდეს, შვილო, დედა! ეს რა დღეში ჩავარდნილხარ? — აკანკალებული ხელი თავზე ძლივსღა გადაუსვა ქალიშვილს ელენემ. — მკვლელები, შარაგზის ყაჩაღები!.. მაინც იმსხვერპლეს ხომ, ის საცოდავი ბიჭი?! ვაი, მის დედას!.. ერთადერთი შვილი მოუკლეს და ახლა, ყველაფერში დამნაშავედაც მისი გამოყვანა უნდათ, ხომ?.. ღმერთო, სად არის შენი სამართალი?! რატომ ატარებ მიწაზე ამდენ ბოროტსა და ავკაცს?..

როცა ტირილით გული იჯერეს, დედამ შვილის დარიგებას მიჰყო ხელი:

— დეა, შვილო, იქნებ, ეს საქმე ასე ძალიან მაინც არ გაგემწვავებინა?.. შენ ჯღარკავებს არ იცნობ — ყველაფერზე წამსვლელები არიან... ჩვენ კი, ხომ იცი, სულს იქით პატრონი არავინა გვყავს...

— რას ამბობ, დედა? ამხელა ცოდვა საკუთარ თავზე როგორ ავიღო?! რაც არ ჩაუდენია, მიცვალებულს ის როგორ დავაბრალო?!.

— არა, შვილო, იმას კი არ გეუბნები... უბრალოდ, ზედმეტად არაფერში ჩაერიო, ჯღარკავები ზომაზე მეტად არ გააღიზიანო...

— გავაღიზიანე და ეგ არის... დარწმუნებული ვარ, იმ ახვარმა გამომძიებელმა, გიზო ჯღარკავას ჩემი ჩვენება უკვე ლანგრით მიართვა...

— „ახვარი“ რაღა სიტყვაა? რა ქუჩის ბიჭივით ლაპარაკობ?! — შეიცხადა ელენემ.

— მაგის არაკაცობას სხვა სიტყვით უბრალოდ, ვერ გამოვხატავ... ნამდვილად ახვარია...

— ოჰ, შვილო, შვილო... მაინც რა ჯიუტი და უტეხი მყავხარ... ნეტავ, ვის დაემსგავსე?..

— ვის და — შენ... გუშინ არ მეუბნებოდი, ჩემი ჩამონატეხი ხარო? — შეახსენა დეამ.

— კარგი, ახლა, ცოტა ხანს მაცალე, დავფიქრდები, იქნებ, რაიმე გამოსავალი მაინც ვიპოვო... — ცრემლიანი თვალები მილულა ელენემ.

— კარგი, შენ იფიქრე, მე კი ცოტას წავიხემსებ, თორემ, შიმშილისგან უკვე სული მელევა, — ფეხზე წამოდგა დეა.

— გაზქურაზე, ქვაბში, „ტყუილი“ ბორშჩია. თინამ მოგვიმზადა, ჩვენმა მეზობელმა... სხვათა შორის, ძალიან გემრიელია...

— „ტყუილ“ ბორშჩს „მართალი“ კატლეტიც ხომ არ მოაყოლა? — სევდიანად იხუმრა დეამ.

— ცოტაც მოითმინე, დედა გენაცვალოს და კატლეტებს კი არა, „ასეტრინის“ მწვადებსაც აღარ მოგაკლებ, — დაამშვიდა დედამ სამზარეულოსკენ მიმავალი დეა.

ის იყო, დეამ გაზქურაზე მდგარ ქვაბს სახურავი ახადა, რომ შემოსასვლელ კარზე ნერვიული კაკუნიც გაისმა.

— ნეტავ, ვინ უნდა იყოს? — შიშით გული შეუხტა დეას. — მეზობლის ქალები ხომ კარგა ხანია, დაუკაკუნებლად შემოდიან ხოლმე...

— დეა, კარზეა ვიღაც, — საძინებლიდან გამოსძახა დედამ. — ნახე ერთი, ვის გავახსენდით...

დამფრთხალმა დეამ კარი ნელ-ნელა გააღო და ადგილზე გაშეშდა: ზღურბლზე პარლამენტარი გიზო ჯღარკავა იდგა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სიყვარულის ოდენი

შექმნილი ქალაქი

პარიზი ყოველთვის იყო და დღემდე რჩება მშფოთვარე ვნებებისა და რომანტიკული თავგადასავლების ბუნებრივ დეკორაციად. ცნობილი ფრანგი მწერალი ქალი ფრანსუაზა საგანი წერდა, რომ პარიზი ეკუთვნის შეუბოჭავ, თავისუფალ ადამიანებს და ეს ქალაქი შექმნილია სიყვარულისათვის... ასე რომ, მარტოხელებს ვურჩევთ, სასიყვარულო თავგადასავლების საძიებლად პარიზს მიაშურონ, რადგან შესაძლოა, სწორედ ამ ჯადოსნურ ქალაქში შეხვდნენ საკუთარ საბედოს.

კუნძული სიტე. ცოდვიანი სიყვარული

პარიზის გულის გულში, კუნძულ სიტეს სანაპიროზე საკმაოდ მოკრძალებული, არაფრით გამორჩეული სახლი დგას. შენობის ფასადს ორი, მცირე ზომის ბარელიეფი ამკობს. მემორიალურ დაფაზე კი ასეთი წარწერაა: „XII საუკუნეში, ამ სახლში ცხოვრობდნენ აბელარი და ელოიზა“. ეს სახელები კი, ჩვენთვისაც ცნობილია.

მღვდელი აბელარი ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი, ლოგიკოსი და პოეტი გახლდათ. მის ლექციებს კი, რომელიც ნოტრ-დამის ტაძრის ეზოში იმართებოდა, ევროპის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუდენტები ესწრებოდნენ. მშვენიერი ელოიზაც მისი მოსწავლე გახლდათ და საუცხოოდ ფლობდა ლათინურს, ძველბერძნულსა და ძველებრაულს. ელოიზა 18 წლის იყო, აბელარი – 38-ის, მაგრამ სიყვარულმა არც წოდებრივი ცენზი იცის და არც ასაკი. „ჩვენ სწავლას ვიმიზეზებდით და ამ დროს, მთელი არსებით ვეძლეოდით სიყვარულს... ვნებით შეპყრობილები, ერთმანეთის აღერსს უპასუხოდ არ ვტოვებდით...“ ეს არ გახლავთ ციტატა სასიყვარულო რომანიდან, ეს ელოიზას წერილის ნაწყვეტია.

როცა ელოიზას მეურვემ მათი კავშირის ამბავი შეიტყო, გოგონა უკვე ორსულად გახლდათ. მეურვემ ფილოსოფოსის დაჭერა და დასაჭურისება ბრძანა. აბელარის ნებითა და მისი სიყვარულის გამო, ელოიზა მონაზვნად აღიკვეცა. მოგვიანებით, ფილოსოფოსმა უარყო თავისი სიყვარული და ელოიზასადმი მიწერილ წერილში განმარტა, რომ „მისი სიყვარული მხოლოდ მამაკაცური ჟინის დაკმაყოფილების სურვილით იყო გამოწვეული“. მათი ვაჟის – ასტროლაბის ცხოვრების მოსაწყობადაც მხოლოდ ელოიზას არ დაუკლია მცდელობა. სწორედ ელოიზას და არა აბელარს მოიხსენიებენ „სიყვარულის წმინდანის“ სახელით. მან აბელარის სიკვდილის შემდეგ, კიდევ ოც წელიწადს იცოცხლა. XIX საუკუნეში ელოიზასა და აბელარის ნეშტი პერ-ლაშეზის სასაფლაოზე გადაასვენეს, სადაც დღემდე, უწყვეტ ნაკადად მიედინებიან შეყვარებული წყვილები.

სენ-სიულპისის მოედანი. გამარჯობა, კეტრინ!

ელოიზასა და აბელარის მაგალითი გადამდები აღმოჩნდა. სენ-სიულპისის მოედანზე შადრევნების ხმაურსა და ჭადრების შრიალს შორის, საკუთარ სტუდენტებთან და ასპირანტებთან ფლირტისას ხშირად შეხვდებით სორბონის უნივერსიტეტის პროფესურას. რატომ მაინცდამაინც აქ? ალბათ იმიტომ, რომ ახლომდებარე უნივერსიტეტის ფანჯრების ქვეშ ალერსი ცოტა არ იყოს, უხერხული იქნებოდა, სიტეს მოედნამდე კი, საკმაო მანძილია...

მოედანზე ნელი სვლით მიმავალი ტურისტული ავტობუსები, ერთ-ერთი შენობის ფასადთან ამუხრუჭებენ. სახლის ფანჯრებში ზოგჯერ შეიძლება თვალი მოჰკრათ კატრინ დენევის მშვენიერ სახეს, რომელიც სიცოცხლეშივე იქცა პარიზის ღირსშესანიშნაობად.

მარეს კვარტალი. გაუხუნარი სილამაზის საიდუმლო

შორეულ წარსულში, ამ კვარტალში მდებარე, ტურნელის ქუჩაზე ხშირად იმართებოდა რაინდთა ტურნირები. ასეთ დროს, ქუჩის ფიცარნაგს ყრიდნენ და მიწის „რინგს“ აწყობდნენ, ხოლო კიდეებში მაყურებელთა ტრიბუნებს აღმართავდნენ ხოლმე.

ზოგჯერ ტურნირებში თავად ანრი II მონაწილეობდა, რომელიც შავ-თეთრ ფერებში იყო ხოლმე მოსილი, ისევე, როგორც მისი სატრფო – დიანა დე პუატიე. ამბობდნენ, რომ ეს საოცრად ლამაზი ქალბატონი ჯადოქარი იყო და მარადიული ახალგაზრდობის საიდუმლოს ფლობდა. აბა, როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ 40 წლის დიანა მაშინ გახდა ანრის საყვარელი, როცა ის 20 წლის იყო?! დიანას საოცრად კარგი კანი და სახის ფერი ჰქონდა და სიცოცხლის ბოლომდე, პუდრი, ღაწვებზე კი – ფერ-უმარილი არასოდეს წაუსვამს. იგი 65 წლის ასაკში გარდაიცვალა... მოკლედ, ანრი მეორეს კარგი გემოვნება ჰქონდა! მან სიცოცხლეც რაინდულად დაასრულა: ტურნირზე გამოსვლისას გარდაიცვალა და მის ბაგეს უკანასკნელად, საყვარელი

მარლენ დიტრიხი და იოზეფ ფონ შტერნბერგი

ქალის სახელი მოსწყდა.

ტურნელის ქუჩა. დონჟუანი კაბაში

XVI-XVII საუკუნეებში, იმავე მარეს კვარტალში, მაღალი საზოგადოების თავშეყრის ადგილს, სამეფო მოედანი წარმოადგენდა (ამჟამად ვოგეზების მოედანი). აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს და სეირნობდნენ წყვილები; მუშკეტერებისა და გვარდიელების ორთაბრძოლებიც სწორედ აქ იმართებოდა...

მოედნის გვერდით მდებარე, ტურნელის ქუჩის №36-ში ცხოვრობდა ცნობილი კურტიზანი ქალი – ნინონ დე ლანკლო. იგი წარმოშობით ღარიბი აზნაურის ოჯახიდან იყო, გარეგნობითაც დიდად არ ბრწყინავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავისი მომხიბვლელობის წყალობით, ნინონი 60 წლის ასაკშიც კი, ყველას ატყვევებდა. მასზე მთელი დინასტიებიც კი იყვნენ შეყვარებულები. მაგალითად, მისი მსხვერპლი გახდა იმხანად ერთ-ერთი წარჩინებული ქალბატონი – მარკიზა დე სევინიე, რომელიც ნინონის მეზობლად, სამეფო მოედანზე ცხოვრობდა. თავდაპირველად, კურტიზანის საყვარელი, მარკიზას ქმარი იყო, წლების შემდეგ კი – შვილიც.

ნინონი არაჩვეულებრივი, საინტერესო მოსაუბრე გახლდათ. მან გახსნა ლიტერატურული სალონი; ლაფონტენი, მოლიერი და ლაროშფუკოც კი, დიდ პატივად მიიჩნევდნენ მის სალონში სტუმრობას (სხვათა შორის, სამივე, მისი საყვარელი გახლდათ). როგორც ამბობენ, თავად „მეფე-მზე“ – ლუდოვიკო მეთოთხმეტეც კი, ავლენდა მისდამი ინტერესს – ქვეშევრდომები ვალდებულნი იყვნენ, ყოველ ცისმარე დღეს მოეხსენებინათ მისთვის, თუ რაზე საუბრობდა სალონში იმ დღეს ნინონი... უამრავი თაყვანისმცემელი მას საკუთარ ხელს, ტიტულსა და ქონებას სთავაზობდა, მაგრამ პირველი ფემინისტი საკუთარ თავისუფლებას თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ სამთვიანი ურთიერთობის შემდეგ, ქალი აუცილებლად შორდებოდა საყვარელს. გადმოცემის თანახმად, ნინონს ხუთი ათასი საყვარლის ყოლას მიაწერენ!

ანჟუს ქუჩა. რუსი ლამაზმანების საუფლო

ნაპოლეონის ეპოქის დასრულების შემდეგ, პარიზში რუსი კურტიზანების ერა დადგა. პარიზის ყველაზე მდიდრული ქუჩის – სენ-ონორეს მახლობლად მდებარე, ანჟუს №8-ში რუსი არისტოკ-

ანჟუს სანაპირო; ამ სახლში ცხოვრობდნენ: რუსი ავანტიურისტი ქალი, თავადის ასული ტარაკანოვა და ფრანგი კინოვარსკვლავი მიშელ მორგანი

რატი ლამაზმანების არაოფიციალურმა საელჩომ დაიდო სავანე. თავის დროზე, ამ სახლში ცხოვრობდნენ: ნადეჟდა ნარიშკინა და ლიდია ნესელროდე. იმხანად პარიზის უმაღლესი საზოგადოება სწორედ ამ სახლში იყრიდა თავს!

ლიდია ნესელროდემ ალექსანდრე დიუმა-უმცროსის გული დაიპყრო, მაგრამ 15 წლის შემდეგ, მისი ცოლი – ნადეჟდა ნარიშკინა გახდა. ყოველივე კი, პარიზის გამო მოხდა... ლიდია რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის (იგი წარმატებით ემსახურებოდა ზედიზედ სამ იმპერატორს) ვაჟზე იყო გათხოვილი. მისი ქორწინება საკმაოდ უიღბლო აღმოჩნდა და ექიმებმა ნერვების სამკურნალოდ პარიზში წასვლა ურჩიეს. ლიდია პარიზში უამრავ ფულს ფლანგავდა: ერთ-ერთი მეჯლისის დროს, საკუთარი სასახლის ყვავილებით შესამკობად, მან 80 ათასი ფრანკი დახარჯა. ერთხელ კი, საუცხოო მარგალიტის შვიდმეტრიანი (!) მძივი შეიძინა. მან ცნობილი რომანის – „ქალი კამელიებით“ – ავტორის გულის მონადირებაც მოახერხა. გრძნობამ ორივე მათგანს თავი დააკარგვინა. ლიდიას ქმარი სკანდალის თავიდან ასაშორებლად იძულებული გახდა, რომ ცოლი პარიზიდან წაეყვანა. დიუმა მთელი წლის მანძილზე, ევროპაში დაეძებდა სატრ-

ედიტ პიაფი (ცენტრში) ახალგაზრდა ქმართან, ბერძენ ტეო სარაპასთან (მარჯვნიდან მეორე) ერთად

ფოს; როცა შეიტყო, რომ იგი რუსეთში იმყოფებოდა იქაც დაედევნა, მაგრამ რუსეთის საზღვარი მისთვის ჩაკეტილი აღმოჩნდა...

ელისეს მინდვრები. დაკარგული ნეშტის საიდუმლო

ქალაქის მეგზურში დღემდე აღნიშნულია ელისეს მინდვრებზე მდებარე №61-ე სახლი. თავის დროზე, ეს მდიდრული სასახლე, პრუსიის გრაფმა – ხენკელ ფონ დონერსმარკმა თავის საყვარელს – მარკიზა ტერეზა პაივას აჩუქა. მარკიზა ცნობილი ავანტიურისტი გახლდათ.

პარიზის უმაღლეს საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება მან განათლების, აღზრდისა და განსაკუთრებული სილამაზის გარეშეც შეძლო. ტერეზამ მასზე თერთმეტი წლით უმცროს გრაფს თავბრუ დაახვია და სულ მალე, პარიზის საუკეთესო სასახლეების მფლობელი გახდა. ხენკელმა მას პონშარტენის ციხე-დარბაზიც უყიდა (თავის დროზე, ლუდოვიკო მეთოთხმეტემ ეს ციხე-დარბაზი თავის ფავორიტს – ლუიზა ლავალიერს აუშენა). ციხე-დარბაზში ონკანები ხალასი ოქროსი იყო, ღუმლის ფილები – დრეზდენის ფაიფურის, იატაკის ფილებს კი, ძვირფასი თვლები ამკობდა. ტერეზამ ისიც კი მოახერხა, რომ გრაფი მასზე დანიშნულიყო, მაგრამ მოულოდნელად, საფრანგეთსა და პრუსიას შორის ომი დაიწყო და გრაფს პარიზის დატოვება მოსთხოვეს. ეს ძალზედ დიდი დარტყმა აღმოჩნდა მარკიზასათვის. სილეზიაში, ნიუდეკეს ციხე-დარბაზში ყოფნისას მას ინსულტი დაემართა და გარდაიცვალა. მისი საფლავის ადგილსამყოფელი არავინ იცოდა. ერთხელ, გრაფის მეორე ცოლმა საიდუმლო ოთახში შესვლა მოახერხა და იქ საოცარი რამ იხილა – სპირტით სავსე ჭურჭელში ტერეზა პაივას ნეშტი იყო მოთავსებული...

პაბლო პიკასო ცოლთან, ჟაკლინთან ერთად

მონტენის ავენიუ. ქალბატონების ხეივანი

ქუჩას, რომელიც ელისეს მინდვრებს კვეთს, თავისი დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ოდესღაც, მას ქვრივთა ხეივანს უწოდებდნენ. მარჩენლების გარეშე დარჩენილი მარტოხელა ქალები, საყოფაცხოვრებო საკითხების განსახილველად, იქ მართლაც იკრიბებოდნენ. იცვლებოდა დროება – იცვლებოდა ზნე-ჩვეულებანი. მოგვიანებით, ამ ხეივანში მდიდარი, გათხოვილი ქალბატონები დასეირნობდნენ და ახალგაზრდა საყვარლებს დაეძებდნენ. მონტენის ავენიუზე, სადაც ახლა, ფეშენებელური მოდის სახლების მაღაზიებია განთავსებული, იმავე კაფეებში ხშირად ნახავთ გაურკვეველი ასაკის მდიდარ ქალბატონებს, ახალგაზრდა, პირმშვენიერი ჟიგოლოების თანხლებით...

სხვათა შორის, მონტენის ავენიუს №12-ში წლების მანძილზე ცხოვრობდა მარლენ დიტრიხი, რომელსაც პარიზი მსოფლიოს სხვა ნებისმიერ ქალაქს ერჩივნა.

კლიშის ბულვარი. კურტიზანების სამფლობელო

მონმარტრის ფერხთით მდებარე, კლიშის ბულვარს დიდი ხნის მანძილზე, „წითელი ფარნების“ უბნად იხსენიებდნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1947 წელს, საროსკიპოები ოფიციალურად აკრძალეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კლიშის ბულვარმა თავისი სპეციფიკა მაინც შეინარჩუნა – უამრავი სექს-შოპი, ინტიმშოუ და თვით „მულენ რუჟიც“ კი, ამ ქუჩაზე მდებარეობს. ოდესღაც, პიგალის მოედანზე ედიტ პიაფი გამოდიოდა ხოლმე. სხვათა შორის, არა მარტო სამღერლად...

ძველად, ფერმწერები სწორედ ამ ბულვარში ეძებდნენ ხოლმე ნატურებს. მათ შორის, მოქანდაკე პიგალიც, რომლის სახელიც დღეს, კლიშის ბულვარის მახლობლად მდებარე მოედანს აქვს მინიჭებული. სამხრეთით, ახალი ათონის რაიონია, სადაც ამავე სახელწოდების კაფესაც შეხვდებით. ოდესღაც, ამ კაფეში იკრიბებოდნენ იმპრესიონისტები. სწორედ აქ ცხოვრობდნენ მთელ პარიზში სახელგანთქმული კურტიზანი ქალები. აქვე სუფევდნენ რანგით კურტიზანებზე შედარებით დაბლა მდგომი გოგონები – ე.წ. ლორეტები (კვარტალის ცენტრი, ნოტრ-დამი დე ლორეტის ტაძარი გახლდათ). ბალზაკისა და ფლობერის ეპოქაში, ისინი გრიზეტებმა შეცვალეს (გოგონებს უფერული, მოსაწყენი ფერის ტანსაცმელი ეცვათ, სწორედ ამიტომ უწოდეს მათ გრიზეტები: „გრიზ“ – ნაცრისფერი, მოსაწყენი).

XIX საუკუნეში, ამ კვარტალში ცხოვრობდნენ კლასიკოსი მხატვრები. იმხანად ცნობილი კურტიზანი ქალებიც სწორედ აქ ხსნიდნენ სალონებს. ტეტბუს ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სახლში ჟორჟ სანდი წლების განმავლობაში ხვდებოდა შოპენს. ფროშოს №4-ში კი, ცნობილი კურტიზანი ქალი – აპოლონია საბატიე (გოეთეს, ბოდლერისა და ფლობერის სიყვარულის ობიექტი) ბერლიოზთან სწავლობდა დაკვრას.

მონმარტრი. წამებულების გორაკი

XIX საუკუნის ბოლოს, მხატვარმა-მეამბოხეებმა საკუთარ საუფლოდ მონმარტრი აირჩიეს; იმხანად, იგი ქალაქის შემოგარენს წარმოადგენდა. მონმარტრზე ცხოვრება საკმაოდ იაფი იყო, მაგრამ ამასთანავე, არაკომფორტულიც. დღემდე, რაიონის საასენიზაციო სამუშაოები სპეციალური მანქანებით ხორციელდება; წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა მაშინ. მხატვრები მინიმალური საფასურის სანაცვლოდ აქ სახელოსნოებს ქირაობდნენ – სწორედ ასე გაჩნდა ბატო-ლავუარის ცნობილი სახლი, სადაც თავის „ბანდასთან“ ერთად ცხოვრობდა პიკასო; დეგა, ტულუზ-ლოტრეკი, სეზანი და რენუარიც აქ მუშაობდნენ...

ბოჰემური მონმარტრის დიდება მოგვიანებით, მონპარნასზეც გავრცელდა. თუმცა, წამებულის გორაკი (ასე ითარგმნება მონმარტრი), ბოჰემური ცხოვრების მოყვარულთა შორის დღემდე უფრო პოპულარულია. ჟირარდონის ქუჩაზე ცხოვრობდა ცნობილი მსახიობი ჟან მარე, რომელიც რეჟისორისა და მხატვრის – ჟან კოქტოს საყვარელი იყო. ეგვიპტელი მომღერალი დალიდა კი, ხანგრძლივი დროის მანძილზე, ჟუნოს ავენიუზე სახლობდა.

მას კატასტროფულად არ უმართლებდა სიყვარულში – ყველა მამაკაცმა, რომელიც დალიდას უყვარდა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა ან უბედური შემთხვევის გამო გარდაიცვალა. 44 წლის ასაკში, მომღერალმა თავი მოიკლა. მონმარტრის ერთ-ერთ მოედანზე დღეს, მისი ბიუსტი დგას და მოედანიც მის სახელს ატარებს.

მონპარნასი. უფლისწული თავლაში

მონპარნასი მხატვრების თავშესაფრად, პარიზში გამოჩენილი ავტომობილების წყალობით იქცა. უფუნქციოდ დარჩენილ თავლებს მხატვრები ძალზედ იაფად ქირაობდნენ. დიდი კაფეების რაიონში საცხოვრებლად პიკასოც გადავიდა. სულ მალე, ეს ადგილი პარიზის ინტელექტუალურ ცენტრად იქცა.

ამედეო მოდილიანის, მონპარნასის

ორი ფრანგი ვარსკვლავის – ჟან მარესა და ჟან კოქტოს ჰომოსექსუალური რომანი 26 წელი გაგრძელდა; წყვილს არასდროს უცდია საზოგადოებისგან ამ ურთიერთობის დამალვა...

უფლისწულს უწოდებენ. სწორედ აქ შეიყვარა იგი ახალგაზრდა პარიზელმა გოგონამ — ჟანა ებიურტენმა. მოდილიანი თავდავიწყებით მუშაობდა, ღრეობდა, არც კოკაინზე ამბობდა უარს, შემდეგ კი, კვლავ სამუშაოს უბრუნდებოდა... ყოველივე ეს არ აკრთობდა ქალიშვილს. მას ამედეოსაგან გოგონა შეეძინა. მონპარნასის უფლისწული 35 წლის ასაკში ტუბერკულოზისაგან გარდაიცვალა. რამდენიმე დღეში კი, მეორე შვილზე ცხრა თვის ორსული ჟანა ფანჯრიდან გადმოხტა... ეს ყველაფერი ამიოს ქუჩაზე, კაფე „როტონდას“ მახლობლად მოხდა.

რუსპეს ქუჩა. ვისოცკის პარიზი

1973 წლიდან მოყოლებული, ვლადიმირ ვისოცკი ყოველწლიურად სტუმრობდა პარიზს. მის ცოლს, მარინა ვლადის პარიზის მეზონ-ლაფიტეს შემოგარენში საკუთარი სახლი ჰქონდა. მაგრამ ბოჰემური ცხოვრების მოყვარული ვისოცკისათვის იქ ცხოვრება ძალზედ მოსაწყენი აღმოჩნდა. მაშინ, ცოლ-ქმარი პარიზის ე.წ. წყნარ ცენტრში გადავიდა საცხოვრებლად — რუსპეს №28-ში მდებარე ბინა წყვილს ერთ-ერთმა ფრანგმა მეგობარმა დაუთმო. რუსპეს ქუჩა მონპარნასის მახლობლად მდებარეობს. იქვეა ცნობილი კაფეები — „გუმბათი“ და „კლოდერი დე პიპა“, ოდნავ მოშორებით კი, ლუქსემბურგის ბაღი და ლათინური კვარტალია...

მარინა ვლადიმ და ვლადიმირ ვისოცკიმ მოსკოვში გაიცნეს ერთმანეთი, მათი სიყვარულის მოწმე კი, პარიზი გახდა...

მეექვსე ოლქი. ერთი კვმ ათი ათას დოლარად

სამსახიობო და ფინანსური წრეების საყვარელ ადგილს პარიზში მეექვსე ოლქი წარმოადგენს. ეს არის ქალაქის უძველესი ნაწილი — იგი ბონაპარტის სანაპიროდან იწყება და სენ-ჟერმენის ბულვარამდე გრძელდება. აქ მდებარე თითქმის ყველა სახლს საკუთარი ლეგენდა უკავშირდება. როგორც ჩანს, ლეგენდარულ ადგილას ცხოვრება განსაკუთრებულად ძვირი ჯდება, რადგან ამ რაიონის მკვიდრნი ერთ კვმ-ში და ინდივიდუალურ გათბობაში ათასობით დოლარს იხდიან... ამ უბნის უმდიდრესი მცხოვრებნიც კი, ცდილობენ, რომ სითბოსა და წყალზე ეკონომია გააკეთონ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვოლტერის სანაპიროზე მცხოვრები რუდოლფ ნურიევი საერთოდ არაფრის საფასურს არ იხდიდა (იქნებოდა ეს სახლის იჯარის თანხა თუ რესტორანში შეკვეთილი სადილის საფასური), რადგან საკუთარ თავს ეროვნული მემკვიდრეობის რანგში მოიაზრებდა. წარმოიდგინეთ — მიუხედავად იმისა, რომ ღარიბი სულაც არ იყო, ასეთი საქციელი მაინც გასდიოდა. ათი წლის წინ გარდაცვლილი ბალერონის აურაცხელი ქონება დღემდე, დავის საგანს წარმოადგენს...

ფრანგების უსაყვარლესი მსახიობი — ჟან-პოლ ბელმონდო კარგა ხანია, რაც სენ-პიერის ქუჩაზე ცხოვრობს. მან ეს ბინა პიკასოს ვაჟისაგან შეიძინა. იმედია, მსახიობი აღარ მოიწყენს თავის ვეებერთელა აპარტამენტებში — მან ხომ სულ ცოტა ხნის წინ იქორწინა... ■

ბრედ პიტის ცვილის ფიგურის უცნაური თაყვანისმცემელი

საქვეყნოდ ცნობილ ლონდონის მადამ ტიუსოს მუზეუმში ბრედ პიტის სრულიად ახალი ტიპის ცვილის ფიგურა გამოჩნდა. ცნობილი მსახიობის ცვილის ფიგურას დანარჩენებისგან და თავად ბრედის ძველი ფიგურისგან განასხვავებს ის, რომ საჯდომი და სხეულის სხვა ხორციანი ნაწილები სილიკონისგანაა დამზადებული და მსურველს მასზე შეხების უფლებაც ეძლევა. მუზეუმის თანამშრომელთა თქმით, დამთვალიერებელთა შორის, ვარსკვლავის ცვილის ორეული უსაზღვრო პოპულარობით სარგებლობს. მუზეუმის პერსონალი ბრედ პიტის ფიგურის სახეზე მათ მიერ დატოვებული პომადის ნაკვალევის მოშორებასა, ტანსაცმლის ჯიბეებიდან კი, ნაირფერი ტრუსების ამოღებას ვერ აუდიოდა. თაყვანისმცემელთა თავშესაქცევად ფიგურის ზოგიერთი ნაწილის სილიკონისაგან დამზადების იდეა მუზეუმის ადმინისტრაციამ ბრედ პიტს შეუთანხმა. იუმორის გრძნობამ არ უღალატა მსახიობს და წინადადებაზე თანხმობა განაცხადა. იგი დიდი სიამოვნებით მუშაობდა ოსტატებთან, რომლებიც მისი სახისა და სხეულის ანაბეჭდებს იღებდნენ.

ბრედ პიტის ახალი მოდელის ცვილის ფიგურა, ერთ-ერთია იმ ახალ ექსპონატებს შორის, რომლებიც უჩვეულო ნიშან-თვისებებითაა გამორჩეული. მათ შორისაა, მაგალითად, ხაზგასმულად შენელებული მანერით „მოლაპარაკე“ გრეჰემ ნორტონის ცვილის ფიგურა; დევიდ ბექჰემის ცვილის ორეულის მკერდში კი, გული „ძგერს“. ■

ბავშვების საყვარელ ნამყვანს შეატრის და კინოს რეჟისორები არ წყალობენ

„DJ ბუკლეს“ (ჟურნალი „რეიტინგი“) სტუმარი ამჯერად, ბავშვებისთვის საყვარელი გოგიჩა (გიორგი გოგიჩაიშვილი) იყო. სწორედ ამიტომ, მთელი შეხვედრის მანძილზე, დარბაზში ბავშვების ჟრიამული ისმოდა. განსაკუთრებით ყველაზე პატარა თაყვანისმცემელი აქტიურობდა, რომელმაც ჯერ ლაპარაკიც არ იცის და თავის ემოციებს მხოლოდ ყვირილით გამოხატავდა, სულ მალე კი, ძილი მოერია... პატარა თაყვანისმცემლების ნაწილი მორცხვად იჯდა, ნაწილი კი გოგიჩას გაბედულად უსვამდა შეკითხვებს:

ნათია ქივიძე

— გოგიჩა, პირველად ხარ ასეთი ტიპის შეხვედრაზე?

— ასეთი შეხვედრა პირადად ჩემთან, პირველია. შარშან, გამომცემლობა „დიოგენემ“ მსგავსი შეხვედრები მწერლებთან მოაწყო; მე წამყვანი ვიყავი, მაგრამ მოწვეულ სტუმრებზე მეტ კითხვას მე მისვამდნენ. ძალიან გამიხარდა, რომ ჩემთან შეხვედრის მსურველები იყვნენ და ამ სალონში მომიწვიეთ.

— ეკრანზე ძალიან მხიარული ჩანხართ. ცხოვრებაში როგორი ხართ?

— აბსოლუტურად ასეთი ვარ ცხოვრებაშიც. გარდა უნივერსიტეტისა და ე.წ. უბნის მეგობრებისა, მეგობრები მყავს თეატრის, ტელევიზიისა და სპორტის სფეროებიდან. მართლა, ერთი პერიოდი სერიოზულად ვთამაშობდი რაგბის. ნაკრებშიც მოვხვდი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზეც ვითამაშე. გარდა ამისა, ხელიც მოვიტეხე, ცხვირიც გავიკაწრე და ა.შ. სხვათა შორის, „სუხიშვილებშიც“ ვცეკვავდი.

— ახლა თუ ცეკვავთ?

— ჩართეთ მუსიკა *(იცინის)*! ეს ყველაფერი იმას მოვაყოლე, რომ ცხოვრებაშიც ისეთივე ვარ, როგორიც ეკრანზე. ეკრანი ისეთი რამეა, რომ პატარა ტყუილიც კი თუ გაგეპარა, მაყურებელი ამას მაშინვე მიხვდება და არ გაპატიებს. მით უმეტეს, ბავშვს ვერ მოატყუებ: ბავშვებს არაფერი ავიწყდებათ და არც ტყუვდებინ.

— ვისი იდეა იყო, რომ ბავშვებთან გემუშავათ? ვინ იყო თქვენი „ნათლია“?

— ეს იდეა მთლიანად თამრიკო სხვიტარიძეს ეკუთვნის. ის არის „ბასტი-ბუბუს“ მამოძრავებელი ძალა. მას დღესაც უამრავი ახალი იდეა აქვს. სამწუხაროდ, ყველაფერი ფინანსებს მოითხოვს და ვნახოთ, რა იქნება.

— „ბასტი-ბუბუს“ გარდა, სად მუშაობთ?

— ბევრს ვახმოვანებ, უამრავი გადაღება მაქვს... ახლა „ბასტი-ბუბუს“ დაბადების დღის ცენტრშიც დავიწყე მუშაობა.

— ვინ იყო ის ადამიანი, ვინც აღმოაჩინა, რომ ბავშვებთან კარგად იმუშავებდით?

— თავიდან ვმუშაობდი „იბერვიზიაში“, „მეორე არხზე“, შემდეგ — „იბერიაში“. აბსოლუტურად განსხვავებულ გადაცემებს ვაკეთებდი. ბოლოს აღმოვჩნდი „ბასტი-ბუბუს“ სტუდიაში, სადაც გადავწყვიტეთ, რომ ნახატი ფილმები ქართულად გაგვეხმოვანებინა. სინჯები მიმდინარეობდა და მეგობრის რჩევით, მეც ჩამწერეს. გახმოვანებული მაქვს „ბემბი“ და იმდენად მოეწონათ, რომ დამტოვეს. შემდეგ თოჯინა „შონზოს“ ვახმოვანებდი, მოგვიანებით კი „კარუსელში“ აღმოვჩნდი.

— რა თვისების წყალობით მოერგეთ ამ როლს?

— რომ ვთქვა — მხოლოდ ბავშვების სიყვარულის წყალობით-მეთქი, — ალბათ მართალი არ ვიქნები. ამას ალბათ ის გამოცდილებაც სჭირდება, რაც ტელევიზიაში მივიღე: პირდაპირ „კარუსელში“ რომ მოვხვედრილიყავი, მართალია, ბავშვები ისევ ისე მეყვარებოდა, როგორც ახლა, მაგრამ ამდენს ვერ მოვახერხებდი.

— გაიხსენეთ ბავშვებთან დაკავშირებული რომელიმე კურიოზი.

— ქობულეთში ვიყავი დასასვენებლად. გავედი ზღვაზე და იქ ამბავი ატყდა!.. ბავშვებს მაბარებდნენ ხოლმე სამეთვალყურეოდ. მშობლები კაფეებში დადიოდნენ, ბავშვები კი ჩემთან რჩებოდნენ. შევიდოდი ზღვაში — გამომყვებოდნენ კამერებით. ყველა ერთად მელაპარაკებოდა, ზოგი ლექსს მეუბნებოდა, ზოგი მღეროდა... სამი დღე ვიყავი ასე და მერე, პლაჟზე აღარ გავსულვარ. მშობლები მსაყვედურობდნენ: შენ რომ აქ იყავი, მშვიდად ვგრძნობდით თავსო...

— გაიხსენეთ პირველი „კარუსელის“ გადაღება, არ გაგიჭირდათ?

— არა, ბავშვებთან ურთიერთობა არ გამჭირვებია. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ისინი ყველაზე სუფთა ადამიანები არიან. თავიდან, ჩემს ადგილზე ნუგზარ კვაშალი უნდა ყოფილიყო. რატომღაც ვერ მოვიდა. შემდეგ DJ შონზო მოსინჯეს. ერთი გადაცემა მოამზადა და თავადვე თქვა უარი — ვერ შევძლებო. მერე ზაზა ალექსიძე სინჯეს და მის შემდეგ — მე. თავიდან, კითხვების დასმისას ვერ ვითვალისწინებდი საბავშვო სპეციფიკას — ისეთ კითხვებს ვუსვამდი, თითქოს მოზრდილებთან მქონდა საქმე. თამრიკომ ამიხსნა, როგორ უნდა მელაპარაკა ბავშვებთან.

— რაიმე განსაკუთრებული შემთხვევები თუ გახსოვთ?

— მახსოვს, ერთი, ტანით ძალიან პატარა, თოჯინის მაგვარი ბავშვი მონაწილეობდა გადაცემაში. ისეთი პატარა იყო, რომ ვერც დაიჯერებდი, ლაპარაკი თუ შეეძლო. გველაპარაკება რაღაცებს და უცებ



— თქვენი დედაო... — დაიძახა. იმდენი ვიცინეთ, რომ ცუდად გავხდით... რა თქმა უნდა, ეს ეპიზოდი მონტაჟისას ამოვჭერით. საერთოდ, ისეთი კარგი ეპიზოდების ამოღება გვიწევს ხოლმე, რომ მისგან ცალკე გადაცემა გამოვიდოდა.

— ბავშვობაში თუ გიოცნებიათ „ბასტი-ბუბუსნაირი“ გადაცემის წამყვანობაზე?

— ბავშვობიდან მსახიობობაზე ვოცნებობდი. თეატრალურ ოჯახში გავიზარდე — ჩემი მშობლები მსახიობები არიან. რა თქმა უნდა, ტელევიზიაში მოხვედრაზეც ვოცნებობდი.

— ყოფილა თუ არა ისეთი შემთხვევა, როცა ბავშვთან საერთო ენა ვერ გამონახეთ? თუნდაც იმის გამო, რომ ხასიათზე არ იყავით?

— ცუდ ხასიათზე ვყოფილვარ, მაგრამ ეს ჩემი პირადი განწყობაა და თქვენზე არ უნდა გადმოვიდეს. მით უმეტეს, ბავშვმა არ უნდა იგრძნოს, თუ როგორ გუნებაზე ვარ. ბავშვებთან საერთო ენას ყოველთვის ვპოულობ.

— როგორი დამოკიდებულება გაქვთ შვილებთან და რას ნიშნავს მათთვის გოგიჩა?

— ჩემი შვილები ჩემი ადვოკატები არიან. შინ მისვლა ხშირად მაგვიანდება ხოლმე. ერთხელ, დამაგვიანდა, დედაჩემმა, მამაჩემმა და მეუღლემ მისაყვედურეს: ტელეფონით მაინც დაგერეკა და გაგეფრთხილებინეთო. ჩემი გოგონა გამოვიდა და თქვა: მამამ დარეკა, მითხრა — დამაგვიანდებაო, მაგრამ თქვენთვის თქმა დამავიწყდაო... ამოვიღე ხუთლარიანი და ჩუმად ჩავუდე ჯიბეში...

— რომელია თქვენი საყვარელი ზღაპრის გმირი?

— „სალამურაში“ მომწონს მიდი-მოადე, რომელიც ძალიან ალალი კაცია.

— რომელი ცხოველი გიყვართ?

— აბსოლუტურად ყველა ცხოველი მიყვარს, ხვლიკებიც კი. შინ ძაღლი მყავს, მაგრამ არ იცის, რომ ძაღლია: ჩემი მესამე გოგოსავით ვზრდით. რომ გაიგოს თავისი ძაღლობა, შეიძლება, დეპრესიაში ჩავარდეს. თუ მოხდა ისე, რომ ეს ამბავი მაინც გაიგო, ჩვენც ყეფას დავიწყებთ, რომ ვაგრძნობინოთ — ჩვენც შენნაირები ვართო. მადლობელი ვარ ჩემი მშობლების, რადგან ძაღლი მინდოდა და მიყიდეს, თუმცა, ის საწყალი ჩემოდანს დაეჯახა და გარდაიცვალა.

— ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ: ისეთი არეულობაა ჩვენს სახლში, ვინ ვის ტანსაცმელს იცვამს, ვერ გაიგებთო. ახლა ვისი ტანსაცმლით გვესტუმრეთ?

— მეზობელს ეცვა სამი დღის წინ... მართლა ასეა: სახლიდან ვინც პირველი გავა, ყველაზე კარგად იმას აცვია.

— ოჯახში ბევრნი ხართ?

— ამჟამად, ჩემი ბინა არ მაქვს და ცოლის სახლში ვცხოვრობ. იცით, რამდენი ვართ? სიდედრი, სიმამრი, ცოლი, მე, ჩემი ორი შვილი, დედაჩემი, მამაჩემი, ჩემი და, დისშვილი, ძაღლი და ამ დილით... თაგვმაც გაირბინა... არადა, ერთოთახიანი ბინაა. მოკლედ, ერთი ფეხბურთის გუნდი ვართ.

— რომელიმე სპექტაკლში ხომ არ თამაშობთ?

— ხშირად ვამბობ, რომ ძალიან მინდა, რომელიმე სპექტაკლში მათამაშონ. უამრავი თეატრია თბილისში, მაგრამ ალბათ რეჟისორები არ კითხულობენ ჩემს ინტერვიუებს...

— ადრე თითქოს სიმღერაშიც სცადე ბედი — მაიკლ ჯექსონის სიმღერა რომ გადმოთარგმნეთ...

— ის მე არ მიმღერია — დათო ფორჩხიძემ და შონზომ იმღერეს. ეს კლიპი რომ არ გადაეღოთ, სამსახურიდან გამოაგდებდნენ. მეც დავეხმარე. ისე, „ბასტი-ბუბუში“ ჩაწერილი მაქვს ბაყაყის ყიყინი, ვიტამინებზე ვმღერი და ა.შ. მქონია სიმღერის ნიჭი.

— რამდენ ფილმში ხართ გადაღებული?

— ერთხელ, ნანა ჯორჯაძემ ფილმში — „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი“ გადამიღო. სამი თვე შეუსვენებლად ვმუშაობდი. შემდეგ, ეს ფილმი „ოსკარზე“ წარადგინეს, დავჯექი, ვუყურე და — არა ვარ ფილმში... ერთხელ, გოდერძი ჩოხელთან მქონდა გადაღებები. ბავშვი ვიყავი და ბევრი მაცეკვეს. არც იმ ფილმში აღმოვჩნდი...

— თქვენი მეუღლე რას საქმიანობს?

— შინ არის და კარტოფილს წვავს. ჟურნალისტია და რადიო „ფორტუნას“ საინფორმაციო გამოშვებათა დირექტორია.

— თუ გიფიქრიათ იმაზე, რომ ოდესმე ბავშვებთან ვეღარ იმუშავებთ?

— ყველაფერს თავისი დრო აქვს. წავალ ალბათ ეკრანიდან, თუმცა მოხუცებულობის პერიოდშიც შემიძლია ბავშვებს ზღაპრები მოვუყვე. განსაკუთრებით ხშირად, საინფორმაციო გამოშვებებში გვიყვებიან ზღაპრებს... კიდევ უამრავი გეგმა მაქვს, რომელსაც ეკრანს მიღმა გავაკეთებ ბავშვებისთვის, თუმცა, ესეც ფინანსებს მოითხოვს...

შეხვედრის ბოლოს, გოგიჩამ ყველაზე აქტიური ბავშვი შეარჩია, რომელსაც „ბასტი-ბუბუს“ ჩანაწერებიანი ვიდეო და აუდიოკასეტები უსახსოვრა.

P.S. ჟურნალი „რეიტინგი“ შემდეგ შეხვედრას მომღერალ ნინო ქათამაძესთან გეგმავს. ასე რომ, შეიძინეთ „რეიტინგი“, გაეცით ნინო ქათამაძის კითხვებს პასუხი. შეავსეთ ქვითრები და „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებით გაუგზავნეთ რედაქციას. ■



გოგიჩა გამარჯვებულთან ერთად

ევროპაში სიული ამძიავი შეუყვიდათ

სპორტული ყველგანმავლების პოპულარობა არა მარტო აშშ-ში, არამედ ევროპაშიც იზრდება. არადა, კონტინენტზე ლამისაა, თითქმის აღარ დარჩა აუთვისებელი ადგილები, რომ გაზრდილი გამტარობის მანქანების მწარმოებლებს თავიანთი ნაწარმის რეალიზაციის იმედი ჰქონდეთ. მაგრამ ციფრებმა ეს ეჭვი გააქარწყლა: მაგალითად, 2002 წელს, გერმანიაში ამ კლასის 125714 ავტომობილი გაიყიდა, რაც 25%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. გერმანელები უმეტესად, M კლასის Mercedes-სა და BMW X5-ს ეტანებიან. ევროპელ მარკეტოლოგთა თქმით, სპორტული ყველგანმავლები არა მარტო მამაკაცებს, არამედ ქალებსაც სულ უფრო იზიდავს. ავსტრიელი საავტომობილო ექსპერტი მიხაელ პრაშლი აღნიშნავს, რომ სიმაღლისა და გაბარიტების გამო, ამ მანქანებში სუსტი სქესის წარმომადგენლები უფრო დაცულად გრძნობენ თავს. საინტერესოა, რომ განსაკუთრებული პოპულარობით სწორედ ის სპორტული ჯიპები სარგებლობს, რომელიც მსუბუქი კონსტრუქციით, სისწრაფითა და სალონის ფუნქციურობით გამოირჩევა. აი, ამერიკული წარმოების კლასიკური, ხარჯიანი ყველგანმავლები კი (მაგალითად, Hummer H2), ევროპელებს ნაკლებად იზიდავს. ამის გამო, ბაზრის სპეციალისტების პროგნოზით, საუკეთესო პერსპექტივა ელოდება ისეთ მოდელებს, როგორიცაა: VW Touareg, Porsche Cayenne და Volvo XC90. ■

ჩინური წარმოების BMW

ამ ცოტა ხნის წინ, პეკინში გაფორმდა კონტრაქტი, რომლის შესაბამისად, უკვე წლეულს, გერმანული კონცერნის ჩინურ ფილიალში BMW-ს მარკის პირველი მანქანები გამოვა. გერმანელთა პარტნიორია ჩინაური კომპანია Brilliance China Automotive, რომელიც უმეტესად მიკროავტობუსებს აწარმოებს და სადღეისოდ, ქვეყნის ბაზრის ამ სეგმენტის ლიდერია. მე-3 და მე-5 სერიის BMW-ს ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ლაონინის პროვინციაში მდებარე ქარხანა გამოუშვებს. ერთობლივი საწარმოს კაპიტალი პარტნიორებმა 50/50-ზე პრინციპით შექმნეს. ინვესტიციათა საერთო რაოდენობამ 2005 წლისათვის, 450 მლრდ დოლარს უნდა მიაღწიოს. საპროექტო სიმძლავრის მიღწევის შემდეგ, ქარხანა წელიწადში 30000 მანქანას გამოუშვებს. საწარმოში 3000-მდე მუშა-მოსამსახურე იქნება დასაქმებული. ჩინური მაკომპლექტებელი ნაწილების წილი 40%-ს აღწევს. კონტრაქტის გაფორმების დროს პეკინში სიტყვით გამოსვლისას BMW-ს თავკაცმა ჰელმუტ პანკემ აღნიშნა, რომ უახლოეს 10 წელიწადში, ჩინეთის ბაზარი მსოფლიოში ყველაზე დინამიკური გახდება; ამის თქმის საფუძველს ის იძლევა, რომ გასულ წელს, ის 50%-ით გაიზარდა. BMW-ს გარდა, ჩინეთში აქტიურად მოქმედებენ აგრეთვე სხვა უმსხვილესი ავტომწარმოებლები, განსაკუთრებით: Volkswagen, Audi, Toyota. ■

სახალხო ჯუჯე ჯოჩეიდან

კორეული კომპანია Hyundai სპორტული მოდელის – Hyundai Coupe-ს ახალი მოდიფიკაციების გამოშვებას იწყებს. ცვლილებები შეტანილია საბაზო ვერსიაში, რომელიც ამიერიდან, მოდერნიზებული, 2 ლ მოცულობის ძრავათი აღიჭურვება. მისი სიმძლავრე, 136-დან 143 ცხ.ძ-მდე გაიზარდა. მანქანა უფრო ეკონომიურიც გახდა: ორკარიანი კუპე ახლა, ყოველ 100 კმ-ზე 8 ლ ბენზინს წვავს, რაც წინანდელზე 5%-ით ნაკლებია. Hyundai Coupe საკმაოდ მკვირცხლი ავტომობილია: მისი მაქსიმალური სიჩქარე 208 კმ/სთ-ს შეადგენს, 100 კმ/სთ სიჩქარეს კი, 9,1 წმ-ში განავითარებს. მანქანა, როგორც მექანიკურ, ისე ავტომატურ გადაცემათა კოლოფით იქნება აღჭურვილი. მისი მინიმალური ფასი 21.990 ევროს შეადგენს. მზადდება აგრეთვე ექსკლუზიური ვერსია – Style, რომელიც 6-ცილინდრიანი, 2,7 ლ-იანი V ტიპის ძრავათი აღიჭურვება და თავდაპირველად, სულ 150 ცალი გამოვა. მისი სავარაუდო ფასია 27.190 ევრო. ■

ჯგუფი „საუნდი“ სულ ორი წელია, რაც ჩამოყალიბდა, მაგრამ მისი პოპულარობა დღითი დღე იზრდება. რუსთაველმა ბიჭებმა გოგონების გულები „ღამის სიჩუმით“ დაიპყრეს, მერე უსინდისოდ გაუმხილეს — „ერთხელ გაკოცებთ და წავალთ“ — ცოტა ხნის წინ კი, ახალი სიმღერა შემოგვთავაზეს სათაურით — „მინდა ბაგეზე შეგეხო“.

ჯგუფის საქმიანობასა და უახლოეს გეგმებზე, **თემურ ხვიბლიანს** ვესაუბრე, რომელსაც წლის დამდეგს, 21 წელი შეუსრულდა. სწორედ მან გამიმხილა, რომ თუმცა „საუნდის“ ბიჭები სიყვარულზე მღერიან, მათი გულები ჯერჯერობით თავისუფალია...

მარცხნიდან მარჯვნივ ლაშა, პაატა და თემო

"საუნდი": "ყოველი თვის დასაწყისში, თითო სიმღერას გამოვუშვებთ"

— როგორ შეიქმნა ჯგუფი „საუნდი“?

— საქმიანობა რუსთავში დავიწყეთ. თავიდან, ოთხმა მეგობარმა შევქმენით ჯგუფი „სარკე“. იმ შემადგენლობიდან მარტო მე და პაატა ყოლბაიამ გავაგრძელეთ სიმღერა, ლაშა ხელაშვილი მერე შემოგვიერთდა. „საუნდი“ იმიტომ დავირქვით, რომ თანამედროვე მუსიკალურ ტერმინოლოგიაში ეს სიტყვა, ხარისხიანი ხმის მნიშვნელობით იხმარება. პირველად 2001 წლის ივნისში გამოვედით მაყურებლის წინაშე, „ლაგუნა ვერეზე“.

— ჯგუფის ხელმძღვანელი ვინ არის?

— ბატონი მურმან ხვიბლიანი — მამაჩემი. ის ჩვენი პროდიუსერიცაა.

— სიმღერებისთვის ტექსტს თქვენ თვითონ წერთ?

— ტექსტი უმეტესად, ჩვენია. ხანდახან, ირინა სანიკიძე გვიწერს. ერთი-ორჯერ, დიჯეი შონზომაც დაგვიწერა. „ნოსტალგიისთვის“ ყველაზე ხშირად, ზაზა ხუციშვილი წერს ტექსტს, მაგრამ სიმღერისთვის — „ნუ წახვალ“ („ნოსტალგია-3“) ჩვენი დაწერილია.

— ამ პროექტში სიმღერებს ვინ ურჩევს ხოლმე მომღერლებს?

— ჩვენი გემოვნებით ვარჩევთ. „მაესტრო“ უბრალოდ, ამ პროგრამაში მონაწილეობას გვთავაზობს.

— თქვენ თვითონ სიმღერების რომელი ვარიანტი უფრო მოგწონთ — „იგლზის“ „კალიფორნია“ და ადრიანო ჩელენტანოს „სუზანა“ თუ თქვენი „ძველი სასტუმრო“ და „ნუ წახვალ“?

— ჩვენ არ ვეთანხმებით სიმღერების გადმოქართულებას და მათი პირვანდელი სახე უფრო მოგვწონს...

— „ერთხელ გაკოცებ და წავალ“ — თქვენი ცნობილია ჰიტია. ამ სიმღერის შექმნის ისტორია როგორია?

— შარშან, კონცერტებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვმართავდით. ქობულეთში ჩვენი გამოსვლა ზაფხულის პერიოდს დავამთხვიეთ. ამ სიმღერის კლიპი ჩვენ თვითონ გადავიღეთ მეგობრების დახმარებით. წინასწარ დაწერილი სცენარი არ გვქონია. მასში ჩვენი დასვენების პროცესია ნაჩვენები.

— მუშაობის პროცესში, თუ კამათობთ ხოლმე?

— ვერ ვიხსენებ შემთხვევას, რომ ერთმანეთს შევკამათებოდით. რასაც ვაკეთებთ, ყველას ერთნაირად მოგვწონს. სიმღერის ჩაწერის დროს ერთმანეთის აზრს ყოველთვის ვიზიარებთ ხოლმე.

— სულ ახლახან, ქართული ხალხური სიმღერების ალბომი გამოუშვით. არ გაგიჭირდათ მათი შესრულება?

— უკვე დიდი ხანია, რაც ხალხური სიმღერების კარგად შესასრულებლად ვმეცადინეობთ. ალბომის გამოშვება გვეჩქარებოდა და მოვამზადეთ მხოლოდ რვა სიმღერა. ხალხური სიმღერების შესრულება გაცილებით რთულია. ღამეებს ვათენებდით, რომ მათი ჩაწერა დათქმული დროისთვის მოგვესწრო.

— როგორ ფიქრობთ — „საუნდს“ პოპულარობა რომელმა სიმღერამ მოუტანა?

— პოპულარობა ნელ-ნელა მოვიდა. მსმენელმა „ღამის სიჩუმით“ გაგვიცნო. უფროსი ასაკის მსმენელი კი, „ნოსტალგია-2“-მა შეგვმატა, რომელშიც „იგლზის“ „კალიფორნიის“ გადმოქართულებულ ვარიანტს — „ძველ სასტუმროს“ ვმღერით.

— პოპულარობას თან, თაყვანისმცემლების უჩვეულო ქცევაც ახლავს ხოლმე: ალბათ გოგონების ყურადღება არ გაკლიათ, არა?

— საინტერესო სიტუაცია იქმნება ყოველთვის, როცა ქუჩაში გავდივართ. ტელეფონზეც ხშირად გვირეკავენ. ამის გამო, მობილურების ნომრებს თითქმის ყოველკვირა ვიცვლით...

— რომ გირეკავენ, რას გეუბნებიან?

— საქმეც ის არის, რომ თვითონაც არ იციან, რა უნდათ — ისე რეკავენ... ეს

თემურ ხვიბლიანი

ხანდახან შემაწუხებელია, მაგრამ სასიამოვნოცაა, როცა ამდენ ადამიანს უყვარხარ.

— **მუსიკის გარდა, კიდევ რითი ხართ დაკავებული?**

— სკოლის დამთავრების შემდეგ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. თავიდან გადაწყვეტილი მქონდა, კარგად მესწავლა. მინდოდა, ბანკის მმართველი გავმხდარიყავი. მერე მივხვდი, რომ ჩემი პროფესია, სიმღერა უფრო იყო. მუსიკას იმდენ დროს ვუთმობ, რომ სწავლისთვის ველარ ვიცლი და დაუსწრებელზე გადავედი.

— **ლაშა და პაატა თუ ასწრებენ სწავლას?**

— პაატა მომავალი იურისტია, ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობს, ლაშა კომპიუტერს და უცხო ენებს ეუფლება ილია ჭავჭავაძის სახელობის ინსტიტუტში. ჩემგან განსხვავებით, ისინი დასწრებულზე სწავლობენ, მაგრამ არც ისინი ესწრებიან ლექციებს.

— **თაყვანისმცემლები საჩუქრებს თუ გიძღვნიან ხოლმე?**

— რა თქმა უნდა. ერთმა გოგომ ჯგუფ „საუნდის“ კარიკატურა დახატა, სადაც მე გიტარაზე ვუკრავ, პაატა — საქსოფონზე, ლაშა კი — დოლზე. ცოტა ხნის წინ, ერთმა გოგონამ რვეული გვაჩუქა, სადაც სიყვარულზე დაწერილი ლექსებია...

— **მომღერლები სასცენო ჩაცმულობას დიზაინერის დახმარებით ირჩევენ. თქვენ თუ გყავთ დიზაინერი?**

— ჩვენ მთლიანად ჩვენს გემოვნებას ვეყრდნობით. საერთოდ მთავარია, რას და როგორ მღერის მომღერალი და არა ის, თუ რა აცვია.

— **„საუნდის“ უახლოესი გეგმები როგორია?**

— ყოველი თვის დასაწყისში, ახალ კლიპს და ახალ სიმღერას გამოვუშვებთ. ასე გაგრძელდება იანვრამდე. იანვარში კი, ჩვენი მესამე ალბომი გამოვა. შარშან, ისე მოხდა, რომ ჩვენმა სიმღერებმა პოპულარობაში ერთმანეთს შეუშალა ხელი. ამის გამო გადავწყვიტეთ, რომ წინასწარ შედგენილი გეგმით ვიმუშაოთ. უახლოეს მომავალში, მაყურებელს შევთავაზებთ ახალ კლიპს, რომელსაც ჩვენ თვითონვე გადავიღებთ სიმღერაზე — „მინდა, ბაგეზე შეგეხო“. კლიპს სპორტის სასახლეში გადავიღებთ.

■

თათა ვარდანაშვილის იუბილე-გამოფენა „ძველ თბილისში“

ფეხსაცმლის დიზაინერმა თათა ვარდანაშვილმა დაბადების დღის (21 აპრილი) აღნიშვნა და თავისი ახალი კოლექციის გამოფენა ერთმანეთს დაამთხვია. სასტუმრო „ძველ თბილისში“ მისული, ქართული შოუბიზნესისა თუ მასმედიის წარმომადგენლები ლამაზი თაიგულებით ულოცავდნენ მოღიმარ იუბილარს, რომელიც ორიგინალურ, შავ საღამოს კაბაში იყო გამოწყობილი, შემდეგ კი, დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ მის კოლექციას. წარმოდგენილი იყო პლატფორმისძირიანი ფეხსაცმელი, რომელიც საზაფხულოდ არის გათვალისწინებული, აგრეთვე სხვადასხვანაირი, წვეტიანი და სპორტული ფეხსაცმელი. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის ყველა სტუმარს თათას მიერ შეკერილი ფეხსაცმელი ეცვა.

როგორც თათამ გვითხრა, ასეთი იუბილე-გამოფენა უკვე მესამე წელია, ეწყობა და დასძინა: „ძალიან მიხარია, რომ ისეთ დროს ვარ დაბადებული, როცა ბუნება იღვიძებს და სულის გარდატეხა ხდება...“ სწორედ ამ სიტყვების შემდეგ, დარბაზში შუქი ჩაქრა და ფეიერვერკი მოეწყო, რომლის ფონზეც იუბილარის სადღეგრძელო დაილია.

თათას პირველი მომხმარებელი და მისი სტუდიის სახელწოდების „მიზეზი“, ვიდეოკამერით შეიარაღებული პატარა დემეტრე, სერიოზული სახით დადიოდა და ყველა სტუმარს ფირზე აფიქსირებდა.

თათამ კი გვითხრა: რეტრო ბრუნდება, ამიტომ ბებიების ფეხსაცმელი უნდა მოვძებნოთ, მას მცირედი თანამედროვე შტრიხები შევმატოთ და ჩვენ ყველზე მოდური ფეხსაცმლის მფლობელნი გავხდებითო...

■

ქეთა თოფურია და „ინტრო“ კაზინოში რეპს „ეფუცვრავენ“

ამ ცოტა ხნის წინ, ქეთა თოფურიამ და ჯგუფმა „ინტრომ“ დუეტის ჩაწერა დაასრულეს. ჩაწერა „ინტროს“ საკუთარ სტუდიაში მიმდინარეობდა და სიმღერის ტექსტისა და მუსიკის ავტორები თავად ჯგუფის წევრები გახლავან. მიუხედავად იმისა, რომ მომღერლებს ჯერ სიმღერისთვის სახელიც არ შეურჩევიათ, მათ არ დააყოვნეს და ჩაწერის დასრულებისთანავე კლიპის გადაღებაც გადაწყვიტეს. უკვე ერთი კვირაა, რაც კლიპის მონაწილეთა კასტინგი მიმდინარეობს, რომლის დასრულებისთანავე, სულ მალე, გადაღებებიც დაიწყება. „ინტროსა“ და ქეთა თოფურიას ერთობლივი ნამღერის ვიდეოვერსიის ავტორი, რეჟისორი გიორგი რამიშვილია. კლიპის სიუჟეტის თაობაზე ჯერ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ გადაღებები ერთ-ერთ კაზინოშია დაგეგმილი. გარდა ამ ყველაფრისა, ქეთა თოფურიას თაყვანისმცემლებს სიურპრიზიც ელით: მათი კერპი ახალ კლიპში სრულიად განსხვავებულ ამპლუაში მოგვევლინება. მიუხედავად არცთუ ისე ხანგძლივი შემოქმედებითი ცხოვრებისა, ქეთას რეპერტუარი მხოლოდ ერთი მუსიკალური მიმართულებით არ შემოიფარგლება. მის შემოქმედებაში, პოპისა და სოულის გარდა, ფოლკლორისა და მსუბუქი ჯაზის ელემენტებიც ფიგურირებს. ამჯერად, ქეთამ გადაწყვიტა, საკუთარი თავი რეპის სტილშიც გამოეცადა და ახალ სიმღერაში სწორედ რეპს ასრულებს. „ინტროსთან“ დუეტის პარალელურად, ქეთამ დათო ხუჯაძესთან ერთად ჩაიწერა სიმღერა და ახლა ამ სიმღერაზე კლიპსაც იღებენ.

■

მოამზადეს მერი კობიაშვილმა და ნათია ქივიძემ

რენე ზელვეგერი მკრდის კიბოთი დაავადებულებს ეხმარება

რენე ზელვეგერმა ნიუ-იორკის მაღაზია „ბლუმინგდეილსში“ 60-იანი წლების მოდელების ტანსაცმლისა და აქსესუარების ხაზი გახსნა. მიღებულ შემოსავალს მსახიობი მის მიერ დაარსებულ საქველმოქმედო ფონდში გადარიცხავს. მან კარგა ხანია ჩამოაყალიბა ფონდი – „მკერდის კიბოთი დაავადებულთა კვლევის პროგრამა“ და ცდილობს, ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ამ სნეულების მქონე ქალბატონებს.

რენეს პოპულარობა „ჩიკაგოს“ აღიარებამ მოუტანა და მსახიობიც ამ შანსის ხელიდან გაშვებას არ აპირებს. უახლოეს მომავალში მისი მონაწილეობით ეკრანებზე გამოვა ახალი ფილმი – „დაკარგული სიყვარული“. რომანტიკულ კომედიას საფუძვლად დაედო დორის დეისა და როკ ჰადსონის 60-იანი წლების კლასიკური კინოსურათები. ტანსაცმლისა და აქსესუარების ხაზის გახსნის იდეა კი, მსახიობს სწორედ 40 წლის წინანდელი მოდის დაბრუნებამ შთააგონა. რენემ თავის პარტნიორ იუენ მაკგრეგორთან ერთად, სარეკლამო რგოლიც კი გადაიღო, რათა „დაკარგული სიყვარულის“ კინოთეატრებში ჩვენების რეკლამა გაუწიოს თავის ნაწარმს. ■

რიჩარდ გირი პინგვინების ქიმაგად მიიღეს

ჰოლივუდში იღებენ ახალ სურათს – „იმპერატორი ზენდერი“. ფილმი ცნობილი შვეიცარიელი ფოტოგრაფისა და ბუნების დამცველის, ბრუნო ზენდერის ცხოვრებას ასახავს. ანტარქტიკის მფარველისა და მისტერ პინგვინის მეტსახელებით ცნობილ ზენდერს, აღიარება პინგვინების ფოტოსურათებმა მოუტანა. 1997 წელს 52 წლის ზენდერი ექსპედიციაში ყოფნისას დაიღუპა. ვარაუდობენ, რომ ცუდი ამინდის გამო, მას გზა აებნა და გაიყინა. მის მიერ გადაღებული ფოტოსურათები ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმშია გამოფენილი.

ფილმს საფუძვლად დაედო ამერიკულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია, სადაც აღწერილი იყო ზენდერისა და ნიუ-იორკელი ახალგაზრდა ექიმი გოგონას მოგზაურობა ანტარქტიდაში.

ბრუნო ზენდერის როლს ჰოლივუდის ვარსკვლავი რიჩარდ გირი ასრულებს. ფილმის რეჟისორია გრეგორი ჰობლიტი, რომელთან მუშაობის გამოცდილებაც მსახიობს უკვე აქვს. ისინი ერთად მუშაობდნენ 1996 წელს გადაღებულ სურათზე – „პირველყოფილი შიში“. ■

კარენ ელსონი საკუთარი სიმღერების ალბომის გამოშვებას აპირებს

კარენ ელსონი მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმული დიზაინერების ჩვენებებში მონაწილეობს და რეკლამას უწევს „კრისტიან დიორისა“ და „გუჩის“ ნაწარმსაც. დღეს კი, ცნობილმა ბრიტანელმა მოდელმა მომღერლობა გადაწყვიტა.

„კარენი არაჩვეულებრივი მოდელია, ამასთან იგი საოცრად შემოქმედებითი პიროვნებაა და უყვარს სიმღერა, – განაცხადა 24 წლის მოდელის მეგობარმა „დეილი ტელეგრაფისათვის“ მიცემულ ინტერვიუში. – ამჟამად ელსონი ნიუ-იორკში იმყოფება, სადაც სადებიუტო ალბომზე მუშაობს. სხვათა შორის, მომღერლობის იდეა კარენს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ერინ ო'კონორთან ერთად, კარაოკე-ბარებში მოუხშირა სიარულს, სადაც სიმღერით იქცევდა ხოლმე თავს. მისი მსმენელები ერთხმად აღიარებდნენ, რომ იგი საოცრად კარგად მღერის. ახლა კი, ელსონი ალბომის გამოშვებას აპირებს“. ■

იზაბელა როსელინის ქალიშვილმა სამოდელო მიზნესში მოღვაწეობა გადაწყვიტა

ელეტრა ვიდემანმა, იზაბელა როსელინისა და ჯონ ვიდემანის ქალიშვილმა სამოდელო ბიზნესში გადაწყვიტა მოღვაწეობა. ამას წინათ, სამოდელო კომპანია – Abercrombie&Fitch-ის ყოველკვარტალურ ჟურნალში მისი ფოტოსურათები გამოქვეყნდა. 18 წლის ულამაზეს მოდელთან ცნობილი ფოტოხელოვანი, ბრიუს ვებერი მუშაობდა. მისმა ნამუშევრებმა კრიტიკოსების დიდი მოწონება დაიმსახურა და სავარაუდოა, რომ ამიერიდან ელეტრა სამოდელო ბიზნესში მოღვაწეობას გააგრძელებს. „ელეტრას ნამდვილი კლასიკური სილამაზე აქვს, – ამბობს კომპანიის წარმომადგენელი. – იგი ისეთივე მშვენიერია, როგორიც მისი ბებია – ინგრიდ ბერგმანი“... შეგახსენებთ, რომ ელეტრას დედა – იზაბელა როსელინი 14 წლის მანძილზე კოსმეტიკური ფირმის – Lancome-ს სახეს წარმოადგენდა. ■

ჰონკონგის ეპიდემია

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

მსოფლიოში უკვე 3500-ზე მეტი დაავადებული და 160-მდე გარდაცვლილია — ასეთია „ჰონკონგის პნევმონიის“ სტატისტიკური მონაცემები (თუმცა, მაჩვენებლები ზოგჯერ, ლამისაა, ყოველ საათში იცვლება). მკითხველისთვის ალბათ უინტერესო არ იქნება იმ ფაქტებისა და მოსაზრებების გაანალიზება, რომელიც უკვე ეჭვს აღარ იწვევს.

„საჩუქრები“ ცხოველებისაგან

პნევმონია (ფილტვების ანთება) ადრეც ხდებოდა ხოლმე ადამიანთა სიკვდილის მიზეზი; განსაკუთრებით ანტიბიოტიკების, კერძოდ პენიცილინის გამოგონებამდე ითვლებოდა იგი მომაკვდინებელ სენად, რომლის განკურნებაც სასწაულის ტოლფასი იყო. დღეისათვის, ექიმთა არსენალში დაავადების გამომწვევის უამრავი სადიაგნოსტიკო საშუალება და ჩვეულებრივ პნევმონიასთან საბრძოლველი არაერთი პრეპარატია. მიუხედავად ამისა, მაინც ხდება ხოლმე, რომ მკურნალობა წარუმატებელია. ტერმინი „ატიპური პნევმონია“, რომელმაც მთელი მსოფლიო შეაშფოთა, სინამდვილეში სულაც არ არის ახალი; ატიპური პნევმონიები ექიმებმა პირველად, ჯერ კიდევ XX საუკუნის 40-იან წლებში აღწერეს. ისინი იმით განსხვავდებოდა, რომ მათი გამომწვევი იყო არა ანაერობული ვირუსი ან პნევმოკოკი, არამედ ისეთი მიკროორგანიზმები, როგორიცაა ქლამიდია, ლეგიონელა, კოქსიელა (ქუ ცხელების გამომწვევი), რომელთაც საერთო სახელწოდებად „მიკოპლაზმა“ ეწოდათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს უკვე იყო არა ვირუსი, არამედ მიკროორგანიზმები, რომლებიც უჯრედთა მემბრანებზე პარაზიტობდნენ და ცუდად ექვემდებარებოდნენ სულფანილამიდური პრეპარატებითა და პენიცილინებით მკურნალობას. მნიშვნელოვანია, რომ ატიპურ პნევმონიათა გამომწვევების უმრავლესობა, ადამიანებამდე მსხვილი რქოსანი პირუტყვისაგან „მივიდა“.



ამჟამინდელი ინფექცია, რომელიც პირველად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში 2002 წლის ნოემბერში გაჩნდა (პირველი სიკვდილიანობა ამ დაავადებისაგან 2003 წლის მარტში დაფიქსირდა), მრავალი მკვლევარის აზრით, ადამიანებზე ისევ ცხოველებისაგან გადავიდა, რადგან იგი ძალიან ჰგავს ერთ-დროულად ყბაყურასაც, ძაღლის ჭირსაც და ქათმის ბრონქოპნევმონიასაც. ამ უკანასკნელით ჰონკონგში ქათმები 1997 წელს დაავადდა და გამომწვევი აღმოჩნდა H5N1 ტიპის გრიპის ვირუსი, რომელმაც შემდგომში ე.წ. „ქათმის“ გრიპის ეპიდემია გამოიწვია. ახალი ინფექციის სიმპტომები ექიმებმა თავდაპირველად ძალიან მიამსგავსეს სწორედ ამ გრიპის სიმპტომებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თუმცა ატიპური პნევმონიის გამომწვევიც ვირუსია, მაგრამ გრიპის ვირუსებთან მას საერთო არაფერი აქვს.

ახალი დაავადებით დაღუპული ადამიანების ფილტვების ქსოვილიდან ხელმეორედ გამოჰყვეს ვირუსი, რომელიც პარამიქსოვირუსთა ოჯახს ეკუთვნოდა (მსგავსი ვირუსები იწვევს წითელას, ყბაყურას და ა.შ.), მაგრამ რამდენიმე დღეში აღმოჩნდა, რომ გამომწვევი მხოლოდ ეს ერთი ვირუსი არ არის — დაავადებულთა ორგანიზმში დადასტურდა კიდევ სხვა ჯგუფის — კორონაროვირუსთა ოჯახის წევრი ვირუსის არსებობა. სწორედ იგი იწვევს ბრონქოპნევმონიას ადამიანში. ჯერჯერობით სახეზეა ორი ვირუსი, მაგრამ ერთ-ერთი იწვევს დაავადებას თუ ორივე ერთდროულად, დაუდგენელია.

სად დავიმალოთ?

ეს კითხვა დღეს, მრავალ ადამიანს აწუხებს მსოფლიოში და ჩვენს ქვეყანაშიც. სინამდვილეში არსად დამალვა არ არის საჭირო. კაცობრიობა საშუალოდ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ეჯახება ახალ ინფექციებს, ზოგჯერ გაცილებით უფრო მძიმესაც, ვიდრე ეს ინფექციაა. თანაც ვირუსოლოგები და ეპიდემიოლოგები სულაც არ აპირებენ, ისხდნენ გულხელდაკრეფილები, ვიდრე ყველანი არ დავიხოცებით.

რაც შეეხება სიკვდილიანობას, რა თქმა უნდა, თითოეული დაკარგული სიცოცხლე დიდი ტკივილი და ტრაგედიაა, მაგრამ თუ ციფრებს მოვიშველიებთ, შეიძლება ითქვას, რომ ატიპური პნევმონია ჩვეულებრივ პნევმონიაზე მეტად საშიში არ არის. სტატისტიკური მონაცემებით, პნევმონიით დაავადების შემთხვევათა 4% სიკვდილით მთავრდება, ჰონკონგის პნევმონიით გარდაცვლილთა პროცენტული მაჩვენებელიც დაახლოებით ასეთივეა, თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ექიმისადმი დროულად მიმართვა ზრდის წარმატების შანსს. არსებობს ცნობები არა მხოლოდ ახალდაავადებულ-

თა, არამედ გამოჯანმრთელებულთა შესახებაც (მათი რიცხვი უკვე 150-ზე მეტია). ეს იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე ანტიბიოტიკებით მკურნალობას უცნობი ვირუსი ემორჩილება.

ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ახალ ინფექციას გულგრილად მოვეკიდოთ. ვიდრე მედიკოსები ახალ ვაქცინას შექმნიან, დაახლოებით ორი წელი მაინც გავა და ამ ხნის განმავლობაში, დაზღვეულნი არ ვართ, რომ ვირუსი საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოაღწევს. მაგრამ პანიკის შექმნა არც ამ შემთხვევაში გვმართებს. მთავარია, ვისწავლოთ ვირუსულ დაავადებათა პროფილაქტიკის ელემენტარული წესები, გავიძლიეროთ იმუნიტეტი და მივდიოთ ჯანსაღი ცხოვრების წესს.

ცნობა: ატიპური პნევმონიის ინკუბაციური (ფარული) პერიოდი სამიდან შვიდ დღემდეა. შემდეგ იწყება ძლიერი შემცივნება, თავისა და კუნთების ტკივილი, სისუსტე. ტემპერატურა 38 გრადუსზე ადის. კიდევ 3-7 დღის შემდეგ, ძნელდება სუნთქვა, იწყება ქოშინი და მშრალი ხველა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, სამკურნალოდ გამოიყენება რიბოვერინი, სტეროიდული პრეპარატები (ჰორმონები) ანტიბიოტიკებთან ერთად ვენაში. ■

ართროზი

ართროზი მოწიფული ასაკის ადამიანთა უმრავლესობის დაავადებაა. ბოლო დროს სულ უფრო გახშირდა მუხლების ხრჭიალი 20-30 წლისებს შორის; შემთხვევითი არ არის, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი საუკუნე „სახსართა დაავადებებთან ბრძოლის ათწლეულით“ გახსნა.



პირველად იყო ტკივილი

ართროზის პირველი და მთავარი ნიშანი — ტკივილია, რომელიც ნებისმიერი მოძრაობის დროს ძლიერდება. საწყის სტადიებზე იგი უმნიშვნელოა და ვითარდება სახსრების მხოლოდ სერიოზული დატვირთვის, მაგალითად, უხერხულ პოზაში ხანგრძლივად ჯდომის, ბევრი სიარულის ან სირბილის, სიმძიმის ტარების შემდეგ. დასვენებისა და სახსრების მოდუნების შემდეგ, ყველაფერი გაივლის ხოლმე. მაგრამ დროთა განმავლობაში ტკივილი სულ უფრო ხანგრძლივი და აუტანელი ხდება.

ართროზი ნებისმიერ სახსარში შეიძლება განვითარდეს. ზოგჯერ ზიანდება წვრილი სახსრები (მტევნისა და ტერფის); ცუდია, როცა პროცესში ჩართულია მენჯ-ბარძაყის (კოქსართროზი) და მუხლის (გონართროზი) სახსრები. ეს უკანასკნელი სახესხვაობა ყველაზე ხშირად გვხვდება.

ართროზის განვითარების ერთიანი მიზეზები არ არსებობს, მაგრამ არსებობს მთელი რიგი ფაქტორები, რომელიც ასუსტებს ხრტილს და შედეგად მატულობს დაავადების განვითარების რისკი.

ტრავმები. ართროზის განვითარებას შეიძლება ბიძგი მისცეს ძლიერმა, ერთმომენტიანმა ტრავმებმა, რომლებსაც თან ახლავს მოტეხილობა, ამოვარდნილობა, ღრძობა, მყესების დაზიანება. აგრეთვე სახსრის განმეორებითმა მიკროტრავმატიზაციამ არასწორად ორგანიზებული ვარჯიშების დროს.

თანმდევი დაავადებები: ნივთიერებათა ცვლის ნებისმიერი დარღვევა, ენდოკრინული მოშლილობები. ართროზი უფრო ხშირად აქვთ მსუქან ადამიანებს, აგრეთვე ქალებს კლიმაქსის პერიოდში. ვენების ვარიკოზული დაავადება, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები, ათეროსკლეროზი და შაქრიანი დიაბეტი ართროზის ხშირი თანამგზავრები არიან.

სიბერე. ასაკის მატებასთან ერთად ხრტილი ნაკლებად ელასტიკური ხდება და კარგავს დატვირთვისადმი მდგრადობას.

გენეტიკური წინასწარგანწყობა. თუ თქვენს მშობლებს ჰქონდათ ართროზი, მათი ბედის განმეორების რისკი საკმაოდ დიდია, განსაკუთრებით ქალებში.

თანდაყოლილი თავისებურებანი. ადამიანებს, რომელთაც აქვთ შემაერთებელი ქსოვილის თანდაყოლილი სისუსტე და სახსრების მომატებული ძვრადობა, ართროზი შეიძლება ახალგაზრდობაშივე განუვითარდეთ.

კოქსართროზის მძიმე ფორმა ვითარდება ხოლმე მენჯ-ბარძაყის სახსრის თანდაყოლილი ამოვარდნილობის დროს.

გადახედეთ თქვენს ჩვეულებას

„ართროზის“ დიაგნოზი არის სიგნალი იმისათვის, რომ შეცვალოთ ზოგიერთი ჩვეულება.

1. შეზღუდეთ გარკვეული მოძრაობანი. მენჯ-ბარძაყის, მუხლის და წვივ-ტერფის სახსართა ართროზის დროს, არ არის სასურველი სირბილი, ხტუნვა, სიმძიმის აწევა, ჩაბუქვნები, მთაზე და კიბეზე ასვლა. ხელის სახსართა ართროზის დროს კი ნუ ასწევთ სიმძიმეს.

2. ეცადეთ, დიდი ხნით ნუ გაჩერდებით ერთსა და იმავე პოზაში. ეს აფერხებს სისხლის დინებას სახსრებისაკენ და აუარესებს ხრტილის კვებას. შეიმუშავეთ მოძრაობითი აქტიურობის ისეთი რიტმი, რომ დატვირთვისა და მოსვენების პერიოდები ერთმანეთს ენაცვლებოდეს.

3. მისდიეთ აქტიური ცხოვრების წესს. ართროზის დროს სასარგებლოა ცურვა, ველოტრენაჟორებზე ვარჯიში.

4. გესაჭიროებათ ორთოპედის კონსულტაცია. სწორად შერჩეული ორთოპედიული ფეხსაცმელი, სუპინატორები, სამუხლეები ამცირებს სახსართა დატვირთვას და ტკივილს.

ჩაიხედეთ სახსარში

დიაგნოზის დასადასტურებლად უნდა გაკეთდეს რენტგენოგრაფია. სასურველია აგრეთვე სისხლის საერთო და კლინიკური ანალიზის გაკეთება.

ულტრაბგერითი გამოკვლევა გამოავლენს ანთების კერებს, სახსრებსა და მათ

მიმდებარე ქსოვილებში.

როცა ექიმს რთულ შემთხვევაში რაიმე ეჭვი უჩნდება, იყენებენ უფრო მეტად ინფორმაციულ მეთოდს — მაგნიტურ რეზონანსულ გამოკვლევას.

ზოგჯერ დიაგნოსტიკის მიზნით თერმოგრაფიულ მეთოდსაც იყენებენ.

არა მხოლოდ აბები

რა თქმა უნდა, აბებს გვერდს ვერ ავუვლით. ანთების საწინააღმდეგო საშუალებებს შორის, თქვენთვის ყველაზე შესაფერისს შეგირჩევთ ექიმი. გარდა ამისა, არსებობს მრავალგვარი საცხი. რევმატოლოგები მკურნალობის უფრო თანამედროვე მეთოდებსაც ფლობენ.

სახსარშიგა ინიექციები. ბევრი პაციენტი მდგომარეობის გაუმჯობესებას უკვე პირველი ინიექციების შემდეგ გრძნობს, შემდგომ კი, მცირე დისკომფორტის შეგრძნებისთანავე თავად მოითხოვს მის გაკეთებას, მაგრამ ინიექცია კი არ კურნავს დაავადებას, არამედ უბრალოდ ტკივილს აჩერებს, ამიტომ მისი ხშირი გამოყენება ვნებს სახსარს.

ქონდროპროტექტორები — ეს არის პრეპარატები, რომელიც აუმჯობესებს ხრტილის სტრუქტურას. მათი მიღება აფერხებს დაავადების პროგრესირებას, ამაგრებს ხრტილს. ამ ჯგუფის ახალი პრეპარატები საკმაოდ ძვირად ღირებულია (კურსი თითქმის 500 დოლარი ჯდება).

სისტემური ენზიმოთერაპია. ეს ძალიან მოდური, ძვირად ღირებული პროცედურაა. 30 წლის წინ გერმანელმა ბიოქიმიკოსებმა ივარაუდეს, რომ ბევრი დაავადება ორგანიზმისათვის ქიმიურ რეაქციათა დასაჩქარებლად საჭირო ფერმენტების ნაკლებობითაა გამოწვეული. მეცნიერებმა შეადგინეს სხვადასხვა დაავადებათა (მათ შორის ართროზის) სამკურნალოდ საჭირო ენზიმთა (ფერმენტთა) ნარევები. თუმცა მკურნალობის კურსი საკმაოდ ხანგრძლივია, პრეპარატები კი — ძვირი.

ხელოვნური სახსარი

როდესაც მედიკამენტური და ფიზიოთერაპიული მკურნალობის ყველა საშუალება ამოწურულია, ხრტილი კი განაგრძობს დაშლას, რჩება მხოლოდ ქირურგიული მეთოდი, რომლის დროსაც დაავადებული სახსრის ნარჩენებს ხელოვნური პროთეზით ცვლიან. წარმატებით ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, 92%-ში ინვალიდობისათვის განწირული პაციენტი რამდენიმე თვეში იწყებს აქტიურ მოძრაობას. ხელოვნური მუხლის სახსრის ღირებულება 5.000 დოლარია, ხოლო მენჯ-ბარძაყისა — 3.000.

უნდა გვახსოვდეს, რომ ოპერაცია აუცილებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა გამოყენებული იქნება მკურნალობის ყველა კონსერვატიული მეთოდი და პაციენტი განწირულია ინვალიდობისათვის.

■

ზედმეტი ქოლესტერინი — ზედმეტი კილოგრამები

სისხლის შრატში ქოლესტერინის შემცველობა ბიოქიმიური ანალიზით განისაზღვრება. არსებობს საერთო ქოლესტერინის კონცენტრაციის შეფასების კრიტერიუმები:

● 5,2 მმოლ/ლ (200 მგ/დლ) და ნაკლები — ნორმა.

● 5,2-6,5 მმოლ/ლ (200-250 მგ/დლ) — მოსაზღვრე სიტუაცია, რისკის ზონა.

● 6,5-8 მმოლ/ლ (250-300 მგ/დლ) — ზომიერი ჰიპერქოლესტერინემია (ქოლესტერინის მომატება).

● 8 მმოლ/ლ (300 მგ/დლ) და მეტი — მკვეთრი ჰიპერქოლესტერინემია.

თუ გსურთ, არ იღელვოთ საკუთარ ჯანმრთელობაზე, საერთო ქოლესტერინის სტანდარტულ ანალიზთან ერთად, უნდა გაიკეთოთ სისხლის ბიოქიმიური გამოკვლევა — ე.წ. „ლიპიდური ტრიადა“,რომელიც გვიჩვენებს საერთო ქოლესტერინიდან რამდენი პროცენტი მოდის მაღალი სიმკვრივის ალფა-ლიპოპროტეიდებზე (ისინი „კარგი“ ქოლესტერინის გადამტანები არიან) და საშუალო და დაბალი სიმკვრივის ბეტა-ლიპოპროტეიდებზე (ისინი „ცუდი“ და „ძალიან ცუდი“ ქოლესტერინის გადამტანები არიან). „ძალიან ცუდი“ ქოლესტერინი აზიანებს არტერიების კედლებს და არღვევს ნივთიერებათა ცვლას. „ცუდი“ ქოლესტერინი არ უნდა იყოს 3,4 მმოლ/ლ-ზე მეტი. „კარგი“ ქოლესტერინის დონე კი არ უნდა გახდეს 1,6 მმოლ/ლ-ზე ნაკლები. თუ იგი კრიტიკულ ზღვარზე დაეცა, თქვენ ათეროსკლეროზის გზაზე დგახართ, იმის მიუხედავად, საერთო ქოლესტერინი ნორმაშია თუ არა.

რისკის ფორმულა

ათწლეულების განმავლობაში ექიმები ამტკიცებდნენ, რომ ზედმეტი ჭამა იწვევს ცხიმის დაგროვებას, რომლის ნაწილი „ცუდ“ ქოლესტერინად გარდაიქმნება. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქოლესტერინის მაღალი დონე ნორმალური წონის მქონე ადამიანშიც კი თავად ზრდის ჭარბი კილოგრამების შეძენის რისკს.

ქოლესტერინის უტილიზაციაზე (ათვისებაზე) ღვიძლია პასუხისმგებელი. სწორედ მასში გარდაიქმნება ჭარბი ქოლესტერინი ნაღვლის მჟავებად, რომლებიც ნაწლავში ხვდებიან და იქიდან ბუნებრივი გზით გარეთ გამოიყოფიან. ეს მწყობრი მექანიზმი მაშინ ირღვევა, როცა დაზიანებულია CYP7A გენი, რომელიც ღვიძლში ქოლესტერინის გადამუშავებაზე აგებს პასუხს. და მაშინ სისხლის პლაზმაში ცირკულირებს ჭარბი ქოლესტერინი, თუნდაც ადამიანი არ ღებულობდეს ცხიმიან საკვებს. ამასთან, CYP7A გენის დაზიანებისას ირღვევა „ცუდი“ ქოლესტერინის გამოყოფის პროცესი, ხოლო „კარგი“ ქოლესტერინი ორგანიზმს უპრობლემოდ ტოვებს.

„ქოლესტერინული გენის“ მუშაობის შეფერხება განსაკუთრებით აისახება ხოლმე ქალებში. მოზარდ გოგონებში ქოლესტერ-

ინის დონის მატება 7 წლის შემდეგ იწვევს გასუქებას და რაც უფრო დაბალია გოგონა, მით მეტია რისკი. დაბალი ბავშვების მშობლებმა ხშირად უნდა უმოწმონ პატარას ქოლესტერინი სისხლში. იმისათვის, რომ ჯანმრთელები ვიყოთ და აღნაგობაც შევინარჩუნოთ, საჭიროა ვარეგულიროთ ქოლესტერინის დონე სისხლში. CYP7A გენი ყველას როდი აქვს დაზიანებული. ხშირად ჰიპერქოლესტერინემიის მიზეზი სწორი კვების ელემენტარული უცოდინარობაა.

თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იცოდეს, რომ სისხლის შრატში ქოლესტერინის დონეზე გავლენას ახდენს ცხიმები, რომელსაც ვიღებთ ან პირიქით, რომელსაც არ ვიღებთ.

ნაჯერი ცხიმები ზრდის ქოლესტერინის შემცველობას სისხლში. ისინი ბევრია ცხიმიან ხორცში, ნაღების კარაქში, ყველში. რაც ნაკლებია ეს პროდუქტები ჩვენს რაციონში, მით უკეთესი.

ნახევრად უჯერი ცხიმები აქვეითებს ქოლესტერინის დონეს. ისინი შედის სოიის, მზეუსმზირის, სიმინდის ზეთში, თევზსა და ზღვის პროდუქტებში, უცხიმო ქათმის ხორცში და უცხიმო რძის პროდუქტებში.

მონოუჯერი ცხიმები აგრეთვე აქვეითებს ქოლესტერინის შემცველობას სისხლის შრატში (ამასთან, უპირატესად „ცუდი“ ქოლესტერინის). ასეთ ცხიმებს შეიცავს ზეითუნის და არაქისის ზეთი, კაკალი და ავოკადო. ექიმები მიიჩნევენ, რომ ამ პროდუქტებით მდიდარი დიეტა უფრო სასარგებლოა, ვიდრე მკაცრი უცხიმო რაციონი. მნიშვნელოვანია ერთი დეტალი: ეს ცხიმები უბრალოდ კი არ უნდა დაემატოს მენიუს, არამედ მათ სხვა ცხიმები უნდა შეცვალონ.

საკვებში ქოლესტერინის შეზღუდვა ყველაზე იოლი ვეგეტარიანელებისთვისაა რადგან, მცენარეულ საკვებში იგი არ არის. დანარჩენებს კი სპეციალისტები ურჩევენ, შეამცირონ ქოლესტერინის დღიური ნორმა 300 მგ-მდე.

როგორ დავიცვათ თავი ქოლესტერინისგან

უარი თქვით ერბოკვერცხზე. ქათმის კვერცხი საშუალოდ 275 მგ ქოლესტერინს შეიცავს – ეს თითქმის ადამიანის დღიური ნორმაა. უსაფრთხო მაქსიმუმია 3 კვერცხი კვირაში. თუ თქვენ ვერ წარმოიდგენიათ საუზმე კვერცხის გარეშე უმჯობესია, ჭამოთ მხოლოდ ცილა, რადგან მთელი ქოლესტერინი გულშია. ერბოკვერცხის გასაკეთებლად გამოიყენეთ ერთი კვერცხი გულიანად და 2-4 კვერცხის ცილა. ნამცხვრებშიც უმჯობესია ერთი გულიანი კვერცხი ორი კვერცხის ცილით შეცვალოთ. გარდა ამისა, არსებობს დიეტური კვერცხი, რომელშიც ქოლესტერინის შემცველობა 15-50%-ით დაბალია ჩვეულებრივთან შედარებით.

● ძროხის ქონი ერთ-ერთი ყველაზე მავნებელი პროდუქტია. რაც შეეხება ძროხის მჭლე ხორცს, მისი ზომიერად მიღება ყოველდღიურადაც კი შეგინარჩუნებთ ქოლესტერინის ნორმალურ მაჩვენებელს.

● ვაშლისა და თაფლის დიეტა. ცნობილია, რომ ხილ-ბოსტნეული ქოლესტერინის მტერია. ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ განსაკუთრებით ეფექტურია ვაშლი. თორმეტი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად უნდა მიიღოთ 2 ცალი ვაშლი ან 400 მლ ვაშლის წვენი.

იგივე შეიძლება ითქვას თაფლზეც. ისიც შეიცავს ქოლესტერინთან მებრძოლ ანტიოქსიდანტებს. მეცნიერები გვირჩევენ რეგულარულად მივიღოთ თაფლიანი წყალი (ერთ ჭიქაში გავხსნათ 4 ს/კ თაფლი).

● ნუ დალევთ გადადუღებულ ყავას. დუღილისას მასში წარმოიქმნება ნივთიერებები, რომელიც ქოლესტერინს მაღლა სწევს. უკეთესია, წვეთობრივი ყავადანი, რომელიც სასმელს სტაბილურ ტემპერატურას უნარჩუნებს.

● არ დაივწყოთ წითელი ღვინო; ფრანგმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ერთი ჭიქა დღეში საგრძნობლად ზრდის „კარგი“ ქოლესტერინის დონეს. თეთრ ღვინოს ნაკლები ეფექტი აქვს.

● ივარჯიშეთ. ქოლესტერინის დაქვეითებას ხელს უწყობს ფიზიკური ვარჯიში. დატვირთვის დროს სისხლი ინტენსიურად მიედინება ღვიძლისაკენ და „ცუდი“ ქოლესტერინი აქტიურად გარდაიქმნება ნაღვლის მჟავებად.

ფიტორეცეპტები

სისხლში ქოლესტერინის დონეს აქვეითებს შემდეგი პროდუქტები:

● ბადრიჯანი.

● კაკალი: ჭამეთ ყოველდღიურად 100 გრამი.

● ხახვი: აურიეთ ერთმანეთში ხახვის წვენი და თაფლი თანაბარი რაოდენობით. მიიღეთ თითო ჩ/კ 3-5-ჯერ დღეში ჭამამდე.

● ზღვის კომბოსტო (ლამინარია): თითო ჩ/კ მშრალი ფხვნილი ჩაყარეთ საჭმელში და მიიღეთ.

● ხის ნახშირი (ფხვნილი): 1/2 ჩ/კ ჭამამდე, 3-5-ჯერ დღეში. დააყოლეთ ანადუღარი წყალი (შეგრილებული). ■

საპროტესტო აქციის სამკურნალო თვისებები

საპროტესტო აქციებში, გაფიცვებში, მიტინგებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობა თურმე ძალზედ სასარგებლო ყოფილა ჯანმრთელობისათვის – ასეთი დასკვნა გამოიტანეს ბრიტანელმა მედიკოსებმა, რომლებმაც სულ ახლახან, სპეციალური გამოკვლევა ჩაატარეს. ისინი ირწმუნებიან, რომ ადამიანებს, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობენ ამგვარ აქციებში, გაცილებით იშვიათად აწუხებთ ის ფსიქიკური მოშლილობანი, რომელიც სტრესის საპასუხო რეაქციასთანაა დაკავშირებული.

ქალაქ სუსექსის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა მოაწყვეს ინგლისის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის 40 აქტივისტის გამოკითხვა, რომლებიც 160-ზე მეტი საპროტესტო აქციის (ქარხანაში მოწყობილი გაფიცვით დაწყებული – მელიების დასაცავი კამპანიით დამთავრებული) მოწყობაში მონაწილეობდნენ; მათთან ერთად გამოკითხვაში ჩართული იყო ამდენივე ჩვეულებრივი ობივატელი. გამოირკვა, რომ ე.წ. „საპროტესტო ელექტორატის“ წარმომადგენლები სინამდვილეს გაცილებით მშვიდად აღიქვამენ, ვიდრე რიგითი მოქალაქეები. სპეციალისტების აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზე დადებითად მოქმედებს კოლექტიური ფორმით ემოციების ამოფრქვევა. მედიკოსები აღნიშნავენ, რომ „პროტესტანტთა“ წრეში უფრო იშვიათია აგრეთვე დეპრესიისა და სხვადასხვა ფორმის ფობიების შემთხვევა, ვიდრე დანარჩენ მოქალაქეებში. ■

აფლეკს ოჯახის დანგრევაში აღანაშაულებენ

ჰოლივუდში გავრცელებული ხმების თანახმად, მაშინ, როცა აფლეკის საცოლე ფილმში – „მოახლე მანჰეტენიდან“ – მონაწილეობით იყო დაკავებული, თავად ბენი, „თავზეხელაღებულის“ გადაღებებისას თავის პარტნიორ ჯენიფერ გარნერთან ერთობოდა, რამაც საბოლოოდ, გარნერს ოჯახი დაუნგრია.

ამერიკულ ტაბლოიდში – The Globe – გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც აღწერილია მათი ხანმოკლე რომანის დეტალები. „იმ დღეებში, როცა მხოლოდ ბენს ჰქონდა გადაღება, გარნერი კი თავისუფალი იყო, იგი მაინც მიდიოდა გადასაღებ მოედანზე. მსგავსი რამ მსახიობებისთვის საკმაოდ უცხოა, რადგან ისინი თავისუფალ დროს თვალისჩინივით უფრთხილდებიან ხოლმე. იმ პერიოდში წყვილს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა: ისინი პავილიონიდან ხშირად ერთად მიდიოდნენ და ერთადვე ბრუნდებოდნენ ხოლმე“.

მიუხედავად პრესაში გავრცელებული მსგავსი ინფორმაციებისა, ჯენიფერ ლოპესი და ბენ აფლეკი ირწმუნებიან, რომ ერთმანეთის ერთგულები არიან. თუმცა ძნელია, პარტნიორის ერთგულებაში ასი პროცენტით იყო დარწმუნებული, როცა მასთან ხანგრძლივად განშორება გიწევს. ალბათ ამიტომ – ისევ და ისევ გავრცელებული ხმების თანახმად – წყვილმა ისეთი საქორწინო კონტრაქტი შეადგინა, რომელშიც მსგავსი სიტუაციებია გათვალისწინებული. დაქორწინების შემდეგ, თუ რომელიმე მათგანი ღალატში იქნება შემჩნეული, დამნაშავე მხარე მეუღლეს ხუთ მლნ დოლარს გადაუხდის. მეუღლის მოტყუების მცდელობა, მილიონ დოლარადაა შეფასებული, ხოლო ჩხუბის წამომწყები კი 100 ათასი დოლარით დაისჯება. კონტრაქტის საფუძველზე დაცული იქნება მათი შემოქმედებითი თავისუფლებაც: მაგალითად, ყოველ მათგანს შიშვლად გადაღების უფლება აქვს (იქნება ეს ფოტო თუ კინოგადაღება), მაგრამ იმ პირობით, თუკი ამ პროცესს მისი მეორე ნახევარი ესწრება.

სხვათა შორის, ამ პუნქტს სულ მალე გამოიყენებენ: ჯეი ლო პარიზში სარეკლამო კომპანია – Louis Vuitton-მა მიიწვია, სადაც მას მშვენიერ ესპანელ მოდელ მამაკაცთან ერთად ექნება გადაღებები. მომავალი საქმრო მასთან ერთად გაემგზავრება პარიზს, რათა დარწმუნდეს, რომ რეკლამის მონაწილეთა საქმიანი ურთიერთობა უფრო შორს არ წავა. ■

მილიონერი, ძუნწი და პატივმოყვარე ჯენიფერ ლოპესი

ჰოლივუდის რესტორან „სუროში“ მხიარულად გატარებული საღამოს შემდეგ, გარეთ გამოსულმა მილიონერმა მომღერალმა და მსახიობმა, ჯენიფერ ლოპესმა რაღაც უბადრუკი ხუთი დოლარიც ვერ გაიმეტა მანქანების მომსახურე მამაკაცისათვის.

თავად რესტორნის თანამშრომელმა კი, აი, რა უთხრა ამის შესახებ ჟურნალისტებს: „ჯეი ლომ დაიჩივლა, რომ ხურდა არ ჰქონდა, შემდეგ კი მკითხა: თუ იცი, ვის ელაპარაკებიო? მერე მანქანის მოყვანა მთხოვა და დასძინა, რომ ალბათ ამითიც კმაყოფილი დავრჩებოდი... იგი არც ერთი ცენტის გადახადს არ აპირებდა, მაგრამ გულწრფელად ვაღიარებ, რომ გავაცურე: ვუთხარი, რომ მისი მანქანა საგულდაგულოდ გავაპრიალე და ჩემთვის მის საჭესთან დაჯდომაც კი, დიდი პატივი გახლდათ“. რესტორნის თანამშრომლის ტაქტიკამ შედეგი გამოიღო – პატივმოყვარე ჯენიფერმა ჩანთიდან 10 დოლარი (!) ამოიღო და მას აჩუქა. ■

ლივ ტაილერმა ქორწილში საჯუთარი მშობლებიც ჯი ეს დაპატიჟა

კარიბის კუნძულებზე საიდუმლოდ ჩატარებულმა საქორწინო ცერემონიამ, რომლითაც ლამაზმანი მსახიობი და როკ-მუსიკოსი როისტონ ლენგდონის შეუღლება აღინიშნა, პატარძლის დედ-მამის – ბიბი ბიუელისა და „აეროსმიტის“ მომღერლის, სტივ ტაილერის გარეშე ჩაიარა.

გაზეთ „დეილი სტარისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაწყენებულმა დედამ თქვა: „მე მას ვზრდიდი, მის სამსახიობო კარიერას მივეცი ბიძგი, ვარსკვლავად ქცევაში დავეხმარე... ვერ გამიგია, როგორ შეძლო ამ ყველაფრის დავიწყება და მის ცხოვრებაში ასეთი ბედნიერი დღის უჩემოდ გატარება?! ისინი უკვე ორი წელია, რაც დანიშნულები იყვნენ, დაქორწინება კი, სრულიად მოულოდნელად, საიდუმლო ვითარებაში გადაუწყვეტიათ“. ახალდაქორწინებულები ირწმუნებიან, რომ განზრახული აქვთ, თავი მოუყარონ ნათესავებს და საგანგებო წვეულება გამართონ ნიუ-იორკში. ■

ჰოლი ბერი თავისი გახეგნობის გამო ნუნუნებს

მიუხედავად იმისა, რომ ბონდიანის ახალ სერიაში – „მოკვდი, ოღონდ არა ახლა“ – გადაღების შემდეგ, მას მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ ქალად ასახელებენ, თავად მსახიობი საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილოა. „გულახდილად რომ გითხრათ, ვფიქრობ, რომ საკმაოდ უშნო ვარ. ყოველ დილით, საკუთარ თავს სარკეში უგრიმოდ ვხედავ და ამიტომ, სულაც არ ვგრძნობ თავს ვარსკვლავად“. როგორც აფროამერიკელი, ის თურმე ერთგვარ დისკრიმინაციასაც გრძნობს და ამბობს: „ჰოლივუდის ბევრი კინოსტუდიისა თუ ცალკეული რეჟისორისთვის, ადამიანის კანის ფერი კვლავაც პრობლემას წარმოადგენს: მათ არ სჯერათ, რომ ფერადკანიანი მსახიობი მთავარი როლების ღირსია“. არადა, უახლოეს დღეებში ეკრანებზე გამოდის მისი მონაწილეობით გადაღებული ფილმი „ადამიანები იქს-2“, რომელსაც ახალი კინოჰიტის ბედს უწინასწარმეტყველებენ. ■

სან-მარინოს ავტო-დრომი
ფელინის ფილმი (1973)
მუსლი-მანთა კულტის მსახური
ლაბორა-ტორიის თანამ-შრომელი
ვიტრი-ნაში მდგომი
საჭად-რაკო ფიგურა
გან-საკუთრე-ბული ნიჭი
მოძრაობა კლასიკურ საბალეტო ცეკვაში
სუსტი ქარი
ნაგრეხი ძვი სპურაკების დაჩხეპისას
აღმოსავ-ლეთი მეზღვაუ-რთათვის
ლენონის მეუღლე ... ონო
თავბრუ
ქალაქების გამსხ-ვილება
ნადირო-ბის წესების დამრღვევი
ქართული კონიაკი
„შესანიშ-ნავი შვიდეული“ (ჰერსონაჟი)
ტვირთ-მზიდი ცხენის ჯიში
მემარ-ცხენე
მდინარე ერთვის წალკის წყალსაცავს
ბილიარ-დის ჯოხი
„უსრულშო ხმები“ (ყტ)
კორეული ავტომობილი
რეკლა-მირებული მარგარინი
ვიოლი-ნის ხემის მასალა
ორი წერტილი კამათელზე
სიტყვათა წარმოთქ-მის მანერა
ნათელის ანტიპოდი
ქალაქი საფრან-გეთში
დწესებულებ-ის მუშაკთა შემდგენ-ლობა
ამერიკელი ძმები, ავიაციის პიონერები
ფრანგი კინომსა-ხიობი
ოფიცრის წოდება
ბიბლიური ხილი
ჯეიმს ბონდი
მდინარე რომში
მეფე შექსპირის ტრაგედი-აში
სახელმ-წიფოში შესვლის ნებართვა
ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲠᲐᲛᲐᲖ ᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ

24-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ბ.

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ (28 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ – 4 ᲛᲐᲘᲡᲘ) ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ

ᲙᲣᲠᲝ – 21/IV-21/V

ეს სიყვარულის კვირაა თქვენთვის: გნებავთ, ახალი რომანტიკული ურთიერთობა გააბით, გნებავთ – ძველით დატკბით. განსაკუთრებით სასიამოვნოდ ორშაბათსა და შაბათს გაატარებთ. საქმიანობაში კი, სჯობს დინებას მიჰყვეთ.

ᲛᲐᲠᲪᲮᲝᲕᲘ – 22/V-21/VI

ამჟამად მხოლოდ საქმიანი პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული და რაც მთავარია, ყველაფერი საუცხოოდ აგეწყობათ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ პარტნიორებში, რომლებიც ბევრ სარგებელს მოგიტანენ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲝᲕᲘ – 22/VI-22/VII

დროა, ცხოვრების წესის შეცვლაზე დაფიქრდეთ. კვირის დასაწყისში, შეიძლება სევდა მოგეძალოთ, რადგან მოგეჩვენებათ, რომ გაცილებით მეტს იმსახურებთ. შემდეგ ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ და გააქტიურდებით.

ᲚᲝᲛᲘ – 23/VII-23/VIII

საკმაოდ კარგი კვირაა. განსაკუთრებულ წარმატებებს ის ლომები მიაღწევენ, რომლებსაც შემოქმედების სფეროსთან აქვთ შეხება. თუმცა, ერთი საფრთხე მაინც გელით: შეიძლება, საკუთარი მეტიჩრობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

ᲥᲐᲚᲬᲘᲚᲘ – 24/VIII-23/IX

ყველაზე დიდ სიამოვნებას მეგობრებთან ურთიერთობა და საინტერესო წიგნისა თუ ფილმის გარშემო გამართული კამათი მოგგვრით. საქმიანობის თვალსაზრისით, ყველაზე ნაყოფიერი, სამშაბათი და ოთხშაბათი იქნება.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ – 24/IX-23/X

კვირის მანძილზე, უამრავ ადამიანს დასჭირდებით. აქტიური ურთიერთობებისას, დიდი ჯაფაც დაგადგებათ და კარგად დროის გატარებასაც მოახერხებთ, თანაც ბევრ ადამიანსაც მოხიბლავთ. უქმეები აუცილებლად სუფთა ჰაერზე გაატარეთ.

ᲓᲠᲝᲨᲐᲜᲙᲐᲚᲘ – 24/X-22/XI

თუმცა საქმიანობაში ბევრ წარმატებას მიაღწევთ – რადგან პრაქტიკულად ნებისმიერ ამოცანას ადვილად ამოხსნით, შემოსავლის გაზრდასა თუ სამსახურებრივ წინსვლაზე არც იფიქროთ. თავშესაქცევად მაღაზიებში გაისეირნეთ: ახლა შენაძენი არ გაწყენთ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ – 23/XI-21/XII

უმნიშვნელო უსიამოვნებების გარდა, ბევრი არაფერი გემუქრებათ – ოღონდ, ნუ იქნებით ზედმეტად ამბიციური და გმირობის ჩადენას ნუ ეცდებით. თუმცა, ბევრი რამ მაინც გამოგივათ – ყოველ შემთხვევაში, ახლობლები თქვენით კმაყოფილები დარჩებიან.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲠᲥᲐ – 22/XII-20/I

ნუ დაიზარებთ მიღებული ინფორმაციის გადამოწმებას, მეტი ყურადღება დაუთმეთ წვრილმანებს – ეს არა მარტო სერიოზულ შეცდომებს აგარიდებთ, არამედ უკვე დაკარგულის ანაზღაურებაშიც დაგეხმარებათ.

ᲛᲔᲠᲜᲘᲣᲚᲘ – 21/I-19/II

ფრთხილად იყავით – ამ კვირაში, სერიოზული შეცდომები არ დაუშვათ! უჩვეულოდ ენერგიული იქნებით, მაგრამ ურთიერთობებში და ადამიანთა ზრახვების ამოცნობისას, შეიძლება ალღომ გიღალატოთ. ამიტომ დიდი დაკვირვება გმართებთ.

ᲗᲔᲕᲖᲘᲡᲘ – 20/II-20/III

ეს კვირა საკმაოდ უფერული იქნება თქვენთვის. მოერიდეთ სამსახურში დაგვიანებას, დაუდევრად საქმის შესრულებას, თორემ პარასკევს უფროსობასთან კონფლიქტი არ აგცდებათ. თუმცა, ზედმეტად გულთან ახლოს ნუ მიიტანთ საყვედურებს – მალე ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება.

ᲕᲐᲠᲫᲘ – 21/III-20/IV

საკმაოდ მომქანცველი კვირა გელით. ძალებისგან დაცლილად იგრძნობთ თავს და ეს უცნაურადაც კი მოგეჩვენებათ. მაგრამ ამის მიზეზი ზედაპირზე ძევს: ბევრი სამუშაოს შესრულება გიწევთ. ეცადეთ, შეძლებისდაგვარად, სუფთა ჰაერზე გახვიდეთ ხოლმე.

ᲠᲝᲓᲝᲡ ᲕᲔᲫᲔᲚᲩᲘᲝᲗ ᲪᲣᲪᲘᲚ-ᲛᲐᲠᲗᲚᲘ

მოარული აზრის თანახმად – რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, როცა ადამიანი ტყუის, მას ცხვირი და ყურები ეზრდება. არადა, თურმე სიცრუის გაცილებით უტყუარი ნიშანი არსებობს. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ცრუპენტელების მხილება თვალების მოძრაობითაა შესაძლებელი. საქმე ის არის, რომ მეხსიერების (ე.ი ნაღდი ინფორმაცია) და წარმოსახვის (ცრუინფორმაცია) ჩართვა ტვინის სხვადასხვა ნაწილში ხდება. სიგნალი, რომელიც ერთ-ერთი მათგანის მისამართითაა გაგზავნილი, გზად უამრავი ნერვული დაბოლოების გააქტიურებას იწვევს, რაც ადამიანს აიძულებს, რეფლექტორულად ამოძრაოს თვალები. როცა ის რაღაცას იხსენებს, მისი თვალები უნებურად მარჯვნივ გარბის (ზოგი ამ დროს, ჭუტავს კიდეც); ხოლო თუ კაცი ცდილობს, დამაჯერებელი სიცრუე შეთხზას, თვალები მარცხნივ გაურბის. ორივე შემთხვევაში, ეს მოძრაობა ელვისებურია და ძალზედ ძნელად შესამჩნევი, მაგრამ შესაბამისი გავარჯიშების შემთხვევაში, მისი დაფიქსირების უნარის გამომუშავება შესაძლებელია.

მაშ ასე, დაიმახსოვრე: მარჯვნივ – სიმართლეა, მარცხნივ – ტყუილი. დაიმახსოვრე? ახლა კი, მოაშორე ეს ჟურნალი შენი საყვარელი ადამიანის თვალთახედვას, რომ მანაც არ ისწავლოს ტყუილ-მართლის დადგენის წესი...

ქალებისთვის

როგორი ადამიანი ხართ სამზარეულოს გადასახედიდან?

ამბობენ, უცხო ოჯახში სტუმრად მისულმა ადამიანმა პირველად სამზარეულოში უნდა შეიხედოს, რომ ოჯახის წევრების, განსაკუთრებით კი დიასახლისის შესახებ სწორი წარმოდგენა შეექმნას. თურმე სამზარეულოსა და ოჯახში მომზადებული კერძების მიხედვით, დიასახლისის ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნაც შეიძლება.

წინამდებარე „კულინარიული“ ტესტით, ხასიათის ბევრი ნიუანსის დანახვას შეძლებთ. გამოცადეთ თავი: დააკვირდით — როგორი ხართ სამზარეულოში, საკვებთან და სუფრასთან მიმართებაში და ამ სფეროში გამოვლენილი თვისებებით დაადგინეთ, როგორი ადამიანი ხართ.

1) დღეში რამდენჯერ მიირთმევთ საკვებს?

ა) სამჯერ, საფუძვლიანად და მსუყედ;

ბ) საუზმობთ, როცა ამის დრო გაქვთ; სადილობთ, სადაც მოახერხებთ, ვახშამს კი შინ, გემრიელად მიირთმევთ;

გ) აუცილებლად საუზმობთ, დღის მანძილზე კი ბუტერბროდს ან შოკოლადს მიირთმევთ.

2) რომელი კერძები გიყვართ?

ა) ტრადიციული ქართული – ამ საქმეში ექსპერიმენტები არ გიზიდავთ;

ბ) გიყვართ სხვადასხვაგვარი, უჩვეულო კერძის გასინჯვა და სამზარეულოში ექსპერიმენტების ჩატარება;

გ) განსაკუთრებით თევზისა და ბოსტნეულისგან მომზადებული კერძები გიყვართ.

3) როგორ არჩევთ კაფეს, რომელშიც დღისით უნდა ისადილოთ?

ა) მეგობრების რჩევით;

ბ) ირჩევთ პოპულარულ რესტორანს, რომელზეც ბევრი რამ გსმენიათ;

გ) კაფესა თუ რესტორანში იმ შემთხვევაში შეხვალთ, თუ აბრა და ინტერიერი მიგიზიდავთ.

4) რომელ კერძს აირჩევთ, როცა იძულებული ხართ, მხოლოდ ერთი თავი საჭმლით შემოიფარგლოთ?

ა) ცხელ წვნიანს;

ბ) სალათს;

გ) დესერტს.

5) რომელია თქვენი საყვარელი სასმელი?

ა) სტაფილოს წვენი;

ბ) მარტინი;

გ) ცხელი ყავა.

6) თქვენი აზრით, რომელია საუკეთესო დესერტი?

ა) ხილის სალათი;

ბ) ნაყინი;

გ) მარწყვის ტორტის მოზრდილი ნაჭერი.

7) ძირითადად, რომელ კერძებს ამზადებთ შინ ყოფნისას?

ა) იმას, რომლის დამზადებაც გეხერხებათ და კარგად გამოგდით;

ბ) ახალ კერძებს, რომელიც ჟურნალში წაიკითხეთ ან ტელეეკრანზე ნახეთ;

გ) ძალიან იშვიათად ამზადებთ.

8) როგორ აწყობთ სუფრას?

ა) მკაცრი წესების დაცვით – საგულდაგულოდ არჩევთ სუფრას, ჭურჭელს და ხელსახოცებს;

ბ) ეფექტურად – ეგზოტიკური კერძებით, ყვავილებით და სანთლებით;

გ) სუფრის გაწყობას „ალა-ფურშეტის“ მოწყობა გირჩევნიათ.

9) ძირითადად, ვის უწევს თქვენს სახლში ჭურჭლის გარეცხვა?

ა) ოჯახის ყველა წევრს, რიგრიგობით;

ბ) გაქვთ ჭურჭლის სარეცხი მანქანა, რომელიც ამოცანას ამარტივებს;

გ) ერთჯერადი ჭურჭლით სარგებლობთ, რომელსაც გარეცხვა არ სჭირდება.

10) თქვენი აზრით, რომელია იდეალური დიეტა?

ა) მკაცრი სქემით კვება და კალორიების დათვლა;

ბ) ცოტა ჭამა და ბევრი სპორტი;

გ) გასახდომად საჭიროა სიყვარულის მორევში გადაშვება.

დათვალეთ, რომელი პასუხები ჭარბობს — ა) ბ) თუ გ). თუ რომელიმე პასუხთა ჯგუფი ერთი და იმავე რაოდენობისაა, ე.ი. თქვენ შედეგების ორივე ჯგუფს მიესადაგებით.

დაასჯამეთ ქულები

ა) ჯგუფი: მიჩვეული ხართ იმას, რომ ყველაფერში წესები დაიცვათ. იდეალური ადამიანი ხართ, ოჯახის წევრები გაფასებენ, თუმცა საკუთარ თავზე ნაკლებად ზრუნავთ და ოჯახის წევრებზე ხართ გადართული. სამსახურშიც მშვიდი და მოწესრიგებული ხართ, ერთადერთი თქვენი ნაკლი შემოქმედებითი ინიციატივის უქონლობაა.

ბ) ჯგუფი: თქვენთვის ყველაზე მთავარი, ადამიანებზე შთაბეჭდილების მოხდენაა და ამას ახერხებთ კიდეც. ხმაურიან წვეულებაზე მუდამ ელეგანტურად, უკანასკნელი მოდის მიხედვით ჩაცმული ცხადდებით და ყველა ახალი ამბის შესახებ მუდამ ზედმიწევნით ინფორმირებული ხართ. შინ კი სხვადასხვაგვარად იქცევით — ხან ენერგიას აფრქვევთ, ხან კიდევ საოცრად მოწყენილი ხართ. მეგობრების წრეში კი, მუდამ ხალისიანად გამოიყურებით და ამიტომაც, ყველას უყვარხართ. ეცადეთ, არ დაჩაგროთ თქვენი ოჯახის წევრები და ახლობლებისა და გარშემომყოფთათვის იდეალური ადამიანი იქნებით.

გ) ჯგუფი: მეტისმეტად თავმოუბმელი ხართ, მაგრამ ეს არც კი გაწუხებთ. მით უმეტეს, რომ გვერდით მუდამ გყავთ ისეთი ხალხი, რომელიც თქვენს საზრუნავს საკუთარ თავზე აიღებს და მოაგვარებს. მუშაობა არ გიყვართ, თუმცა, როცა გასაქმებენ, ცდილობთ, საქმეში სასიამოვნო დეტალები აღმოაჩინოთ. ეცადეთ, არ მოაწყოთ ყოველდღიური სიურპრიზები — თქვენი ოჯახის წევრები მოუთმენლად ელიან იმ დღეს, როცა „გონს მოეგებით“ და ჩვეულებრივ ადამიანად იქცევით.

მსუქნებს „ხესული „ხელეტის" თამაში ეჯიძალებათ

მას შემდეგ, რაც სატელევიზიო თამაშის – „რუსული „რულეტკის" ბულგარული ვერსიის მონაწილე ერთმა, დიდი გაბარიტების მქონე ქალბატონმა სხეულის მძიმე დაზიანება მიიღო, ამ თამაშში მსუქანი ადამიანების მონაწილეობა აიკრძალა.

ეს უსიამოვნო ინციდენტი პროგრამის ჩაწერისას მოხდა. თამაშის მონაწილე 50 წლის დიანა პავლოვამ დასმულ შეკითხვას არასწორად გასცა პასუხი, წესების თანახმად, ლიუკი გაიხსნა და მოთამაშე შიგ ჩავარდა. ლიუკში მოთავსებული სავარძელი, რომელშიც 115-კილოგრამიანმა მოთამაშემ მოადინა ტყაპანი, ასეთ სიმძიმეზე გათვლილი არ აღმოჩნდა და ნაწილებად დაიშალა; უხერხულად დაცემის გამო კი, ქალბატონმა ფეხი მოიტეხა.

გადაცემის ორგანიზატორებმა სხეულის დაზიანების საკომპენსაციოდ, პავლოვას 3,5 ათასი დოლარი გადაუხადეს, ხოლო მომავალში მსგავსი ინციდენტის თავიდან აცილების მიზნით, თამაშის წესებში ცვლილებები შეიტანეს – ამიერიდან, შოუს ნებისმიერი მონაწილის წონა, 100 კგ-ს არ უნდა აღემატებოდეს. ■

ტოლკიენის სახლი 750 ათას გირვანქა სტერლინგად გაიყიდა

ცნობილი მწერლის, ჯონ რონალდ რუელ ტოლკიენის სახლი 745 ათას გირვანქა სტერლინგად გაიყიდა, მიუხედავად იმისა, რომ მას არც სამზარეულო და არც ცენტრალური გათბობის სისტემა არ ჰქონდა.

ოქსფორდის ცენტრში მდებარე შენობა, მწვავე კონკურენციის საგნად, მხოლოდ სუპერპოპულარული ტრილოგიის – „ბეჭდების მბრძანებლის" ავტორის სახელთან გაიგივების გამო არ ქცეულა. უძრავი ქონების აგენტის თქმით, სახლის ფასმა სასტარტო ღირებულებას 50 ათასი გირვანქა სტერლინგით გადააჭარბა.

ტოლკიენი და მისი ცოლი ამ სახლში 1918 წელს ცხოვრობდნენ. იმხანად, მწერალი ოქსფორდის უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და ხელოვნების მუზეუმში მუშაობდა. სახლის შეძენის მსურველთა შორის, ტოლკიენის საზოგადოებაც იყო, მაგრამ მის საყიდლად ასეთი დიდი თანხის მოგროვება ვერ შეძლო.

სახლის პატრონის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ცნობილია ის, რომ შენობა 20-30 წლის მარტოხელა, შეძლებულმა მამაკაცმა შეიძინა. იქ საცხოვრებლად გადასვლამდე, მას შენობის საფუძვლიანი რესტავრაცია აქვს განზრახული. წინასწარი დაანგარიშებით, შვიდსაძინებლიანი სახლის რემონტი მის მეპატრონეს დაახლოებით 200 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდება. ■

თოხმეტათასიანი მოგება, შეცდომა აღმოჩნდა

ვაშინგტონის კაზინო Tulalipში გასართობად მისული დებრა ჰიუზი სიხარულით ცას ეწია, როცა ავტომატით თამაშისას საკმაოდ სოლიდური თანხა მოიგო. მაგრამ სრულიად მოულოდნელად, კაზინოს ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განუცხადეს, რომ იგი თანხას ვერ მიიღებდა, ვინაიდან მის მიერ მოგებული ჯეკპოტი შეცდომა გახლდათ.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, კაზინოს ტექნიკურ პერსონალს სათამაშო ავტომატების რემონტის შემდეგ, მათი ტესტირების მიზნით, დანადგარები სადემონსტრაციო რეჟიმზე გადაუყვანია; ნორმალურ რეჟიმში დაბრუნება კი დავიწყებია. კაზინოს მფლობელებმა მოგების გაცემაზე უარი განაცხადეს, მაგრამ სათამაშო ავტომატების მწარმოებელმა კომპანიამ (Multimedia Games) ჯეკპოტის თანხის გადახდა საკუთარ თავზე აიღო, რითიც კიდევ ერთხელ გაახარა დებრა ჰიუზი. ■

ჯადოსნური ახალი, ჰომლის დაღევის შემდეგ, ნაბახუსები ახ შეგანუხებთ

ბულგარეთში შექმნეს ისეთი არაყი, რომლის დალევის შემდეგ, ნაბახუსების უსიამოვნო გრძნობა არ შეგაწუხებთ. არაყს, რომელსაც „შოკი" ჰქვია, მართლაც შოკისმომგვრელი ეფექტი აქვს – მეორე დილას თავს ისე გრძნობთ, თითქოს წვეთი სასმელიც არ დაგელიოთ.

ნაბახუსების უსიამოვნო გრძნობის თავიდან ასაცილებლად, მწარმოებლებმა არაყს თაფლი, რძე და სხვა ბიოაქტიური ელემენტები დაამატეს, რომლის მეშვეობითაც ორგანიზმი ადვილად ითვისებს ალკოჰოლს, შემდეგ კი, ასევე იოლად ხდება მისი ორგანიზმიდან გამოსვლა. გარდა ამისა, უნიკალური სასმელი ვიტამინიზებულია – მასში შედის ვიტამინები: C, B_1, და B_2. ■

ფოტოკუჩიოზები

64/18

განსხვავებული ჟურნალი

TV-პროგრამა
21.04-27.04 2003 წ.

მკვლელობა ორი კათხა ლუდის გამო

ჩემი ოჯახი

№16(29) ფასი 60 თ.

52

კახი ასათიანის ქვრივი ქალური ინტუიციით მოქმედებს

48

ნაადრევი დაბერება – ჯოჯოხეთად ქცეული ბავშვობა

44

სიურპრიზი. რომელიც დიმა ობოლაძეს მოუწყვეს

რატომ არ ზრუნავდა გარეგნობაზე ნინო ქათამაძე